

პალატიური სამართალი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე

2025, №1

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)

2025, №1

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)

2025, №1

Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)

2025, №1

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი

ქეთევან შენგელია

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75; www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

საძიებელი

1. **ხელშეკრულებიდან გასვლა**
ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგები 4
2. **ფულადი ვალდებულების შესრულება**
ფულადი ვალდებულების დაფარვის რიგითობა 21
3. **ზიანის ანაზღაურების მოვალეობა**
ზიანის ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვის 34; 74
დაზარალებულის ბრალი ზიანის დადგომაში 84; 112
4. **მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებანი**
პირგასამტეხლოს შემცირება სასამართლოს მიერ 145; 160
5. **ვალდებულების შეწყვეტა**
ვალდებულებათა გაქვითვის შესაძლებლობა 174

1. ხელშეკრულებიდან გასვლა

ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგები

ბანკინება საქართველოს სახელით

№ას-287-2021

09 მარტი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქუური (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ა(ა)იპ „ს.მ.პ.მ.ს-ომ“ (ამჟამად – ა(ა)იპ „ს.გ.ს-ო“) (შემდგომში – „მო-სარჩელე“ ან „სააგენტო“) 26.02.2013 წელს დაამტკიცა „შელავათიანი აგროკრედიტის პროექტი“, რომლის მიზანს წარმოადგენდა სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის საწარმოო პროცესების გაუმჯობესების მიზნით, მენარმეთა უზრუნველყოფა იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით. პროექტის ფარგლებში ფერმერებს და აგრო-საწარმოებს საფინანსო ინსტიტუტებისგან უნდა მიეღოთ სამი სახის შელავათიანი კრედიტი: 1) უპროცენტო სასაქონლო კრედიტი (განვადება) მცირე ფერმერებისთვის; 2) შელავათიანი აგროკრედიტი საშუალო და მსხვილი ფერმერებისთვის (საბრუნავი საშუალებებისა და მარაგების შესყიდვის დაფინანსება მოკლე ვადით); 3) შელავათიანი აგროკრედიტი სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისთვის (ძირითადი საშუალებებისა და ტექნოლოგიების დაფინანსება ხანგრძლივი პერიოდით).

2. „შელავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ ფარგლებში მოსარჩელესა და სს „პ. ბ-ს“ (შემდგომში – „ბანკი“) შორის 2013 წლის 22 მარტს გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ბანკი გაცემს მენარმეზე შელავათიან აგროკრედიტს, ხოლო კრედიტის გაცემის შემთხვევაში, სააგენტო განახორციელებს გაცემულ შელავათიან აგროკრედიტზე განსაზღვრული წლიური საპროცენტო განაკვეთის მიზნობრივ თანადაფინანსებას.

3. ხელშეკრულების თანახმად, შელავათიანი აგროკრედიტის გაცემა დასაშვებია მხოლოდ დანართი №2-ში მითითებული სასოფლო-სამე-

ურნეო დანიშნულების ძირითადი საშუალებების დაფინანსების მიზნით, ხოლო გაუთვალისწინებელი საქმიანობისათვის აგროკრედიტის გაცემის უფლებამოსილება ბანკს გააჩნია სააგენტოსგან წინასწარი წერილობითი თანხმობის შემთხვევაში.

4. ხელშეკრულების თანახმად, სააგენტო უფლებამოსილია: ნებისმიერ დროს, ბანკთან ან მენარმესთან წინასწარი შეთანხმების გარეშე, განახორციელოს მენარმის მიერ მიღებული სესხის მიზნობრიობის მონიტორინგი; მიიღოს ინფორმაცია ბანკის მიერ გაცემული შეღავათიანი აგროკრედიტის პორტფელის შესახებ; მენარმის მიერ სესხის მიზნობრიობის დარღვევის შემთხვევაში, შეუწყვიტოს მას თანადაფინანსება. სააგენტოს ვალდებულებას წარმოადგენს თანადაფინანსების შეწყვეტის შემთხვევაში ბანკისთვის წერილობითი შეტყობინება.

5. „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ ფარგლებში მოსარჩელესა და შპს „თ-ას“ (შემდგომში – „მოპასუხე“, „აპელანტი“ ან „კასატორი“) შორის 2013 წლის 27 სექტემბერს შედგა შეთანხმება თანადაფინანსების შესახებ, რომლის თანახმად, სააგენტოს ვალდებულებას წარმოადგენდა „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ ფარგლებში განხორციელებინა საკრედიტო ხელშეკრულებით სესხზე განსაზღვრული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთის 12%-ის ოდენობით (შემდგომში „თანადაფინანსება“).

6. შეთანხმებით განისაზღვრა თანადაფინანსების მიზნობრიობა: ა) ღვინის ქარხნის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები; ბ) ვენახის სარემონტო სამუშაოები; გ) ძირითადი საშუალებების შეძენა ღვინის ქარხნისთვის. შეთანხმებაში გათვალისწინებულ იქნა შემდეგი ძირითადი პირობა: სააგენტო უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, წინასწარი შეტყობინების გარეშე განახორციელოს ბანკის მიერ გაცემული სესხის მიზნობრიობის მონიტორინგი. თუ მონიტორინგის შედეგად სააგენტო დაადგენს მიმღების მიერ მიზნობრიობის დარღვევას, შეწყვეტს მიმღების თანადაფინანსებას და აღნიშნულის შესახებ აცნობებს ბანკს. ასეთ შემთხვევაში სააგენტო უფლებამოსილია, მიმღებს მოსთხოვოს მიღებული თანხის უკან დაბრუნება.

7. მოპასუხესა და ბანკს შორის გაფორმდა გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც, 2013 წლის 27 სექტემბერს დაიდო შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულება, სადაც აღინიშნა, რომ საპროცენტო სარგებლის ნაწილის (მიზნობრივი თანადაფინანსება) გადახდას მსესხებელი უზრუნველყოფდა როგორც საკუთარი, ასევე „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ ფარგლებში მიღებული სახსრებით.

8. აღნიშნული ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ შემდეგ ძი-

რითად პირობებზე: კრედიტი გაიცა ეტაპობრივად; ამასთან, კრედიტის დამტკიცება არ წარმოშობდა სესხის გაცემის თაობაზე ბანკის უპირობო ვალდებულებას; პროექტის ფარგლებში დამტკიცებული კრედიტის მოცულობა განისაზღვრა 350 000 აშშ დოლარით, საიდანაც პირველი ტრანშის სახით გამავალი კრედიტის მოცულობა შეადგენდა 200 000 აშშ დოლარს; კრედიტის ვადა – 84 თვე; პროცენტის მოცულობა – წლიური 13%; კრედიტის მიზნობრიობა – ძირითადი საშუალებები/რემონტი. ხელშეკრულებით მხარეები ასევე შეთანხმდნენ საკომისიოსა და პირგასამტეხლოს დარიცხვის პირობებზე.

9. შეთანხმების პერიოდში მოსარჩელის მიერ განხორციელდა მოპასუხის მხრიდან აგროკრედიტის თანხის მიზნობრივი ხარჯვის მონიტორინგი. შედგა სავსელე მონიტორინგის სპეციალური ფორმები:

ა) 05.12.2013 წელს შედგენილ ფორმაში აღინიშნა, რომ მოპასუხის მიერ სხვა სამუშაოებთან ერთად, მოხდა სარების არმატურისა და ვენახის სარის ყალიბის შეძენა;

ბ) 06.05.2014 წელს შედგენილ ფორმაში აღინიშნა, რომ სხვა სამუშაოებთან ერთად, მოხდა ვენახის ბეტონის სარების საამქროს მოწყობა, ასევე ვენახის გასხვლა, გადახვევა, მოხვნა, ვენახის კულტივაცია, გაფურჩქვნა და წამლობა.

10. 05.12.2013წ. ფორმის შინაარსის სისწორე დაადასტურა მოპასუხის დირექტორმა გ. გ-მა, ხოლო 06.05.2014წ. შედგენილ ფორმას მოპასუხის სახელით ხელს აწერს საზოგადოების 60% წილის მფლობელი პარტნიორი, თ. გ-ი.

11. „შელავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ მიზნობრიობის დარღვევის მოტივით, პროექტის სავსელე მონიტორინგის საკითხების განმხილველმა კომისიამ 2014 წლის 06 ივნისს მიიღო გადაწყვეტილება მოპასუხისათვის თანადაფინანსების მოხსნის შესახებ. გადაწყვეტილების თანახმად, ბენეფიციარის მიერ მოხდა ბეტონის სარების ჩამოსახმელი მინი საამქროს დამზადება, ასევე, სესხის თანხის საბრუნავ საშუალებებზე გამოყენება, რაც თანადაფინანსების შესახებ შეთანხმების მიზნიდან გადახვევას წარმოადგენდა.

12. სააგენტომ თანადაფინანსება შეწყვიტა 2014 წლის 28 ივნისიდან, რის შესახებაც მოპასუხეს ეცნობა 2014 წლის 30 ივნისის წერილით. თანადაფინანსების შეწყვეტის შესახებ ეცნობა ასევე ბანკს, რომელსაც დაევალა, აღარ მოეხდინა სესხის პროცენტის საგრანტო თანადაფინანსებისთვის სააგენტოს ანგარიშიდან თანხის უაქცეპტო წესით ჩამოჭრა.

13. თანადაფინანსების შეწყვეტის შემდგომ მოპასუხეს ბანკთან გაფორმებული შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულების ფარგლებში მე-2 ტრანშით გათვალისწინებული კრედიტის თანხით – 150 000 აშშ

დოლარით აღარ უსარგებლია.

14. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხის მიმართ და მოითხოვა მისთვის გადახდილი თანადაფინანსების თანხის – 15 495,15 აშშ დოლარის დაბრუნება.

15. სარჩელი ეფუძნება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

15.1. მოსარჩელე 2013 წლიდან ახორციელებს „შელავათიანი აგროკრედიტის პროექტს“, რომლის ფარგლებშიც იგი უსასყიდლოდ ახდენს ბენეფიციარების საგრანტო დაფინანსებას. კერძოდ, ბენეფიციარების მიერ კომერციულ ბანკში შეღავათიანი აგროკრედიტის აღების შემთხვევაში, სააგენტო იხდის (თანადაფინანსება) აგროკრედიტის საპროცენტო განაკვეთის ნაწილს;

15.2. აღნიშნულ პროექტში მონაწილეობდა მოპასუხე, რომელთანაც 2013 წლის 27 სექტემბერს მოსარჩელემ გააფორმა შეღავათიანი აგროკრედიტის თანადაფინანსების შეთანხმება, რომლის თანახმად, აგროკრედიტის თანხა გახარჯული უნდა ყოფილიყო შემდეგი მიზნობრიობით: ღვინის ქარხნის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები; ვენახის სარემონტო სამუშაოები; ძირითადი საშუალებების შეძენა ღვინის ქარხნისთვის;

15.3. შეთანხმების მე-2 მუხლის მიხედვით, მოსარჩელეს უფლება ჰქონდა ნებისმიერ დროს, წინასწარი შეტყობინების გარეშე, განეხორციელებინა სესხის ხარჯვის მონიტორინგი. ხოლო, თუ მონიტორინგის შედეგად დადგინდებოდა სესხის მიზნობრიობის დარღვევა, იგი უფლებამოსილი იყო თანადაფინანსება შეეწყვიტა;

15.4. 05.12.2013 წელს ჩატარებული პირველი მონიტორინგის შედეგად, მოსარჩელემ გამოავლინა შეღავათიანი აგროკრედიტის თანხით სარის არმატურისა და ვენახის სარის ყალიბის შეძენის ფაქტი, რაც სცდება შეღავათიანი აგროკრედიტის მიზნობრიობას. აღნიშნული დირექტორმა ხელმოწერით დაადასტურა; ხოლო, 06.05.2014 წელს ჩატარებული მონიტორინგის შედეგად დაფიქსირდა, რომ შეღავათიანი აგროკრედიტის თანხით მოპასუხემ მოაწყო ბეტონის სარების (ვენახის სარები) საამქრო. მონიტორინგის ოქმში ასევე დაფიქსირდა, რომ შეღავათიანი აგროკრედიტის თანხის ნაწილი მოხმარდა ვენახის გასხვლა/გადახვევას, მიწის მოხვნას, ვენახის კულტივაციას, გაფურჩქვნას და ნამლობას. აღნიშნული აქტის სისწორე ხელმოწერით დაადასტურა მოპასუხის 70% წილის მესაკუთრემ;

15.5. ზემოაღნიშნული ხარჯები არ შეესაბამება თანადაფინანსების შეთანხმებით განსაზღვრულ მიზნობრიობას, რისი გათვალისწინებითაც მოსარჩელის მიერ შექმნილმა სავსე მონიტორინგის საკითხების განმხილველმა კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება მოპასუხისათვის დახმარების (თანადაფინანსების) შეწყვეტის შესახებ;

15.6. შეთანხმების მე-2 მუხლით მხარემ დაადასტურა, რომ მიზნობრიობის დარღვევის გამო თანადაფინანსების შეწყვეტის შემთხვევაში, სრულად დაუბრუნებს სააგენტოს მიღებული დახმარების თანხას. შესაბამისად, ვინაიდან დაირღვა პროექტის მიზნობრიობა, სააგენტო ითხოვს გადაცემული თანადაფინანსების თანხის დაბრუნებას.

16. მოპასუხემ წარადგინა მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი, რომლითაც სარჩელი არ ცნო. მისი განმარტებით, 27.09.2013წ. შეთანხმების შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენდა მხოლოდ ბეტონის სარების მინი საამქროს ვითომდა კრედიტის სახსრებით დამზადების ფაქტი; 2013 წლის 05 დეკემბერს და 2014 წლის 06 მაისს (აღნიშნულ დოკუმენტზე ხელს აწერს არაუფლებამოსილი პირი) შედგა საველე მონიტორინგის სპეციალური ფორმები, სადაც დაფიქსირდა ვენახის სარის ყალიბის, სარის არმატურის შეძენისა და ვენახის სარის მინი საამქროს დამზადების ფაქტები, თუმცა არსად ყოფილა მითითებული, რომ აღნიშნული მასალების შეძენა განხორციელდა თანადაფინანსების ხარჯებით. მოპასუხეს გააჩნდა საკუთარი ფულადი სახსრები; შეღავათიანი აგროკრედიტით გაცემული თანხა დაიხარჯა მიზნობრივად, ხოლო სადავო საამქრო დამზადდა მოპასუხის კუთვნილი პროდუქციის, ღვინომასალის რეალიზაციიდან მიღებული თანხით; მოპასუხემ ასევე მიუთითა, რომ საქართველოს საგადასახადო ომბუდსმენის 30.03.2015წ. №02-150/03 რეკომენდაციით მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული მოპასუხისათვის თანადაფინანსების აღდგენა, რაც მოსარჩელემ არ გაითვალისწინა.

17. მოპასუხემ შეგებებული სარჩელი აღძრა მოსარჩელის მიმართ და მოითხოვა მისთვის, ზიანის ანაზღაურების მიზნით, 53 760 აშშ დოლარისა და 7 540 ლარის, ასევე მიუღებელი შემოსავლის სახით, 558 544 აშშ დოლარის გადახდის დაკისრება.

18. შეგებებული სარჩელით მოსარჩელის განმარტებით, შეთანხმების შეწყვეტის შესახებ 2014 წლის 30 ივნისს ეცნობა ბანკს, რის გამოც ამ უკანასკნელმა აღარ გასცა სესხის მეორე ტრანში 150 000 აშშ დოლარის ოდენობით, რომელიც გამიზნული იყო ღვინის ჩამოსასხმელად. აღნიშნულის გამო, მოპასუხე იძულებული გახდა განეხორციელებინა არსებული სესხის რეფინანსირება და ღვინის ჩამოსხმის ნაცვლად შედარებით იაფად გაეყიდა მონეული ყურძენი, ასევე ესარგებლა აუდიტორისა და ადვოკატის დახმარებით, რის გამოც მას მიადგა ზიანი 612 304 აშშ დოლარისა და 7 540 ლარის ოდენობით.

19. შეგებებული სარჩელით მოპასუხემ/მოსარჩელემ წარდგენილი შესაგებელი შეგებებული სარჩელი არ ცნო.

20. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფი-

ფილდა; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა თანადაფინანსების თანხის დაბრუნების მიზნით, 15 495,75 აშშ დოლარის გადახდა; შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

21. მოპასუხემ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე წარადგინა სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მისი ნაწილობრივ გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

22. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 20 იანვრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

23. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-13 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები.

24. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის პოზიცია მისი 60% წილის მფლობელი პარტნიორის უფლებამოსილებასთან დაკავშირებით. სასამართლოს მითითებით, სამენარმეო რეესტრის 25.09.2013წ. ამონაწერში მოპასუხის დირექტორად მითითებულია გ. გ-ი, ხოლო თ. გ-ი არის 60% წილის მფლობელი პარტნიორი; 10.12.2014წ. და 25.12.2014წ. ამონაწერების მიხედვით, დირექტორი კვლავ გ. გ-ია, ხოლო თ. გ-ი არის საწარმოს 70% წილის მფლობელი პარტნიორი. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ 2010 წელს თ. გ-ი წარმოადგენდა როგორც მოპასუხის დირექტორს, ისე 60% წილის მფლობელ პარტნიორს და იგი 2017 წლის მდგომარეობითაც საწარმოს დირექტორი იყო. ამდენად, თ. გ-ი 2014 წლის 06 მაისს შედგენილ სავსელე მონიტორინგის სპეციალურ ფორმაზე ხელმოწერისას იყო არა მხოლოდ საზოგადოების პარტნიორი, არამედ აქტიურად მონაწილეობდა საწარმოს საქმიანობაში და მისი მხრიდან ფორმაზე ხელმოწერით საწარმოსთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო ამ დოკუმენტის შინაარსი. ამასთან, თავად მხარეთა შეთანხმება თანადაფინანსებაზე სააგენტოს ანიჭებდა უფლებას, რომ წინასწარი შეტყობინების გარეშე, ნებისმიერ დროს მოეხდინა სესხის მიზნობრიობის მონიტორინგი და დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში შეენწყვიტა თანადაფინანსება.

25. სააპელაციო პალატის მითითებით, მოცემულ შემთხვევაში მოთხოვნის დამფუძნებელ სამართლებრივ ნორმებს წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 352.1 და 405.1 მუხლები. ამასთან, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, უნდა დადგინდეს – მოპასუხის მხრიდან რამდენად მიზნობრივად განიკარგა „შელავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ ფარგლებში თანადაფინანსებით მიღებული თანხები.

26. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე მიზნიდან გადახვევას უკავშირებს: ერთ შემთხვევაში

სარის არმატურისა და ვენახის სარის ყალიბის შეძენას, ხოლო მეორე შემთხვევაში ბეტონის სარების (ვენახის სარების) საამქროს მოწყობას და საბრუნავი საშუალებების შეძენას. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ მოპასუხე განმარტავს, რომ სარის არმატურისა და ვენახის სარის ყალიბის შეძენა, ასევე, ბეტონის სარების საამქროს მოწყობა საკუთარი სახსრებით განახორციელა. ამასთან, ბეტონის სარების დამზადება უფრო მომგებიანი იყო, ვიდრე მიზნობრიობაში მითითებული ბეტონის სარების შეძენა. ამდენად, თანადაფინანსების თანხა ეფექტურად გამოიყენა და საბოლოო ჯამში ეს პროექტის მიზნებს არ სცილდებოდა.

27. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ისეთ ვითარებაში, როდესაც მოპასუხე სარის არმატურისა და ვენახის სარის ყალიბის საკუთარი სახსრებით შეძენაზე მიუთითებს, შესაბამისად, ადასტურებს, რომ მათი შეძენა აგროკრედიტის მიზნობრიობას სცილდება, იმ გარემოების მტკიცების ტვირთი, თუ რა სახსრებით მოხდა მათი შეძენა, ამ უკანასკნელს ეკისრებოდა, თუმცა მას ამ გარემოების დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულება არ წარუდგენია. სასამართლოს მოსაზრებით, აღნიშნულ მსჯელობას ის გარემოებაც ადასტურებს, რომ მოთხოვნის მიუხედავად, მოპასუხეს მტკიცებულებები არც სააგენტოსთვის წარუდგენია. 18.05.2015წ. წერილიდან ირკვევა, რომ სააგენტო მოპასუხეს სთხოვდა 01.09.2013 – 30.06.2014 წლის პერიოდზე საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების რეესტრისა და სასაქონლო ზედნადებების რეესტრის წარდგენას, სადაც ასახული იქნებოდა მოპასუხის მხრიდან კონკრეტულ პერიოდში შეძენილი პროდუქცია და დაფინანსების წყარო.

28. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საქმეში წარდგენილ სსიპ „ლევეან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ №004002718 დასკვნაზე, რომლითაც, მისი მოსაზრებით, არ დგინდება აპელანტის მიერ სესხის მიზნობრივად ხარჯვის ფაქტი. დასკვნის თანახმად, გამოსაკვლევ პერიოდში მოპასუხის მიერ შეძენილია როგორც სამშენებლო მასალები, ისე ელექტრო, სამეურნეო, ქიმიური საქონელი და ავტომანქანის ნაწილები, მაგრამ აღნიშნული საქონელი იყო თუ არა კონკრეტულად გამოყენებული 2013 წლის 27 სექტემბერს გაფორმებული შეთანხმებით განსაზღვრული მიზნებით, წარდგენილი მასალებით არ დგინდება. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ მტკიცებულება მოპასუხეს არ წარუდგენია. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა სესხის მიზნობრივად ხარჯვის დასადასტურებლად სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოება, რომ მოპასუხის მიერ მტკიცებულების სახით წარდგენილ იქნა შესაბამის პერიოდში მისი ანგარიშიდან პროექტის მომსახურე ანგარიშზე თანხების გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რამაც საერ-

თო ჯამში 119 942 ლარი შეადგინა და რაც რამდენჯერმე აღემატება როგორც არმატურისა და ყალიბის, ისე საამქროს მოწყობის ხარჯებს.

29. ბეტონის სარების (ვენახის სარების) საამქროს მოწყობასთან დაკავშირებით სააპელაციო პალატამ კვლავ მიუთითა პირდაპირი მტკიცებულების არარსებობაზე და დადგენილად მიიჩნია, რომ ადგილი ჰქონდა „შელავათიანი აგროკრედიტის პროექტით“ გათვალისწინებული მიზნობრიობის პირობების დარღვევას – მოპასუხის მხრიდან ბეტონის სარების ჩამოსასხმელი მინი საამქროს დამზადება თანადაფინანსების შეთანხმებით კონკრეტულად არ ყოფილა გათვალისწინებული. სასამართლოს განმარტებით, შესაძლოა, საამქროს დამზადებით მართლაც ჰქონოდა ადგილი თანხის ეფექტურად ხარჯვას (საწარმოს განმარტებით, საკუთარი სიმძლავრეებით ბეტონის სარების დამზადება უფრო მომგებიანი იყო ვიდრე ბეტონის სარების შეძენა), მაგრამ იმ პირობებში, როდესაც პროექტის მიზანი, როგორც ერთ-ერთი ძირითადი პირობა, მხარეთა შორის შეთანხმებული იყო, ასევე შეთანხმებული იყო თანადაფინანსებით მიღებული სახსრების მხოლოდ ამ მიზნით გამოყენება, მოპასუხის პოზიცია გაზიარებული ვერ იქნებოდა.

30. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხის მხრიდან ადგილი ჰქონდა თანხის არამიზნობრივი დანიშნულებით ხარჯვის ფაქტს, რაც სააგენტოს თანადაფინანსების შეწყვეტისა და ამავდროულად გადახდილი თანხის უკან დაბრუნების უფლებას ანიჭებდა.

31. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოპასუხემ წარადგინა საკასაციო საჩივარი, რომლითაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

32. კასატორმა საკასაციო საჩივარში მიუთითა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების შემდეგ საფუძვლებზე:

32.1. სასამართლომ არ დაადგინა საქმის გადანაცვებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები: გარიგების შინაარსი, სააგენტოსა და სესხის მიზნობრიობა, რის გამოც სასამართლოს მიერ გამოტანილი დასკვნა, რომ კასატორმა დაარღვია შეთანხმების პირობები (სესხის მიზნობრიობა) დაუსაბუთებელია;

32.2. სასამართლომ ასევე არ განმარტა, თუ რა წარმოადგენდა მხარეთა მიერ შეთანხმებულ არსებით პირობას – ვენახის სარემონტო სამუშაოებს. მხოლოდ სიტყვა-სიტყვითი განმარტებითაც (ცხადია, რომ აღნიშნული პირობა გულისხმობს ვენახის სარებისა და მისი სამაგრის (მავთულის) შეცვლას. არსებობს ვენახის სარის შეცვლის ორი გზა: შეძენა ან მეხუთედ ფასში დამზადება. თუ იმ ფაქტსაც გავითვალისწინებთ, რომ აპელანტის მიერ წარმოებული ვენახის სარი ხმარდებოდა

მხოლოდ მის ვენახს (არ ხდებოდა მისი რეალიზაცია, მითითებულია 06.05.2014წ. აქტში), ცხადია, რომ არ მომხდარა პროექტის მიზნების დარღვევა, მითუმეტეს, რომ აღნიშნული საამქრო (არმატურისა და ყალიბების ჩათვლით) მოეწყო აპელანტის ლეონომასალის რეალიზაციიდან ამონაგები თანხით და ვენახის რემონტი განხორციელდა უფრო ნაკლები დანახარჯებით, რაც წარმოადგენდა როგორც დაფინანსების ასევე სახელმწიფო პროექტის მიზანს;

32.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405.1 მუხლის შესაბამისად, მოპასუხის მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაშიც კი, ვალდებულების შესრულებისათვის დამატებითი ვადის მიცემის გარეშე, სააგენტოს არ შეეძლო ხელშეკრულების შეწყვეტა, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ მისივე მიზნებიდან გამომდინარე, სააგენტო ვერანაირად ვერ დაკარგავდა ინტერესს შესრულებისადმი. ამასთან, იმავე კოდექსის 405.3 მუხლით დადგენილია იმპერატიული მოთხოვნები ხელშეკრულებიდან გასვლის დაუშვებლობის შესახებ, რომლის თანახმად, სააგენტოს უარი ხელშეკრულებაზე დაუშვებელი იყო დარღვევის არარსებობისა და შესაგებლის დაუყოვნებლივ წარდგენის გამო;

32.4. სასამართლომ არასწორად გაანალიზა მტკიცების ტვირთი. კერძოდ, საქმის მასალებით უდავოდ დადგენილია, რომ კასატორის ანგარიშიდან პროექტის მომსახურე ანგარიშზე ჩარიცხულმა თანხებმა სადავო პერიოდში საერთო ჯამში შეადგინა 119 942 ლარი, რაც რამდენჯერმე აღემატება როგორც არმატურისა და ყალიბის, ასევე საამქროს მოწყობის ხარჯებს. სასამართლომ კასატორისგან მოითხოვა მტკიცებულების წარდგენა, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ კონკრეტულად მათ მიერ ჩარიცხული თანხებით მოხდა როგორც არმატურისა და ვენახის სარების ყალიბის, ისე სადავო საამქროს მოწყობა. მნიშვნელოვანია, რომ მხარეთა შორის შეთანხმების შეწყვეტის საფუძველი გახდა ბეტონის სარების მინი საამქროს მოწყობა და არა არმატურისა და ყალიბების შეძენა, რაც სასამართლომ შეფასების გარეშე დატოვა. აღნიშნული დასტურდება როგორც მოსარჩელის წერილით, ისე მონიტორინგის 05.12.2013წ. აქტითა და მასზე შესაბამისი რეაგირების განუხორციელებლობით;

32.5. პროექტის მიზნობრიობიდან გადახვევის შემთხვევაშიც კი, კასატორის მიერ მოხდა თანხის ეფექტური ხარჯვა, რაც აღიარებულია როგორც სააგენტოსა და ბიზნეს ომბუდსმენის, ასევე, ორივე ინსტანციის სასამართლოს მიერ (ხარჯის 5-ჯერ შემცირება). ამდენად, მოპასუხეს სამოქალაქო პასუხისმგებლობა დაეკისრა სამეწარმეო საქმიანობის ეფექტურად განხორციელების გამო, რაც უკანონო და არასამართლიანია;

32.6. სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება

06.05.2014წ. მონიტორინგის აქტზე ხელმოწერი პირის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შესახებ. იმ პერიოდში სამეწარმეო რეესტრში წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირად რეგისტრირებული იყო სხვა პირი, რის გამოც სასამართლოს აღნიშნული მსჯელობა ეწინააღმდეგება როგორც „მეწარმეთა შესახებ“ კანონის, ასევე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102.3 მუხლის დანაწესს;

32.7. გასაჩივრებული განჩინება შეიცავს ურთიერთსაწინააღმდეგო მითითებებს. კერძოდ, ერთ შემთხვევაში სასამართლო უთითებს შემდეგს: სარის არმატურისა და ვენახის სარის ყალიბის შეძენა რომ აგროკრედიტის მინზობრიობას სცილდებოდა, მოპასუხისთვის სადავო არ იყო, ხოლო, მეორე შემთხვევაში, განმარტავს, რომ აპელანტის პოზიციით, არ მომხდარა მიზნიდან გადახვევა და იგი ემსახურებოდა აგროკრედიტის საერთო მიზანს;

32.8. სასამართლომ ზემოაღნიშნული უსწორო ფაქტობრივი გარემოებების გასამყარებლად მოიშველია სააგენტოს 2015 წლის 18 მაისის წერილი, რომლითაც მოთხოვნილი იყო საგადასახადო და კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გადაცემა. თუმცა, სასამართლომ საერთოდ არ მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ 2014 წლის 28 ივნისიდან სააგენტოს შეწყვეტილი ჰქონდა გარიგება აპელანტთან და ამგვარი დოკუმენტაციის გამოთხოვის ფაქტობრივი ან/და სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა;

32.9. სასამართლომ ყურადღება არ გაამახვილა იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ კასატორს სააგენტოდან მიღებული თანხებიდან ერიცხებოდა ნაშთი, ანუ სრულად არ ჰქონდა აღნიშნული სახსრები გამოყენებული;

32.10. სასამართლომ ასევე შეფასების გარეშე დატოვა საგადასახადო (ბიზნეს) ომბუდსმენის რეკომენდაცია;

32.11. კასატორის მიერ სახსრების არამიზნობრივად გამოყენების ფაქტობრივი გარემოების დასადგენად სასამართლო ისე დაეყრდნო სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს №004002718 დასკვნას, რომ არც კი გამოიკვლია კასატორის მიერ წარდგენილი აუდიტის დასკვნა და ის გარემოება – სააგენტოს წარდგენილი რა დოკუმენტაციით ისარგებლა ექსპერტიზის ბიურომ (ანუ სრულად წარედგინა თუ არა ექსპერტს ფინანსური დოკუმენტაცია), რაც უკანონო და უსამართლოა.

33. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 14 დეკემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

34. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 20 იანვრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

35. განსახილველ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანია მოსარჩელის მხრიდან „შელავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ ფარგლებში განხორციელებული თანადაფინანსების შეწყვეტის მართლზომიერება.

36. დადგენილია, რომ მოსარჩელემ მოპასუხეს თანადაფინანსება შეწყვიტა ამ უკანასკნელის მიერ „შელავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ ფარგლებში მიღებული სესხის მიზნობრიობის დარღვევის მოტივით. შესაბამისად, თანადაფინანსების შეწყვეტის მართლზომიერების შესაფასებლად, უპირველეს ყოვლისა, უნდა დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსარჩელის მხრიდან პროექტის მიზნობრიობის დარღვევას.

37. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული „შელავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ სავსე მონიტორინგის საკითხების განმხილველი კომისიის 06.06.2014წ. გადაწყვეტილების თანახმად (რომლის საფუძველზეც მოხდა თანადაფინანსების შეწყვეტა), თანადაფინანსების შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენდა პროექტის მიზნობრიობის დარღვევა, რაც გამოიხატა ბენეფიციარის მიერ ბეტონის სარების ჩამოსასხმელი მინი საამქროს დამზადებასა და სესხის თანხის საბრუნავ საშუალებებზე გამოყენებაში; სააგენტოს 30.06.2014წ. წერილის შესაბამისად (რომლითაც მოპასუხეს ეცნობა თანადაფინანსების შეწყვეტის შესახებ), თანადაფინანსების შეწყვეტის საფუძველად ასევე მითითებულია ბეტონის სარების მინი საამქროს დამზადება. კომისიის გადაწყვეტილებიდან ჩანს, რომ იგი მიღებულ იქნა პროექტის სავსე მონიტორინგის სამსახურის მიერ 2014 წლის 06 მაისს განხორციელებული მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით.

38. აღნიშნულისგან განსხვავებით, სარჩელში თანადაფინანსების შეწყვეტის საფუძველად კომისიის გადაწყვეტილებაში მითითებულ გარემოებებთან ერთად მითითებულია დამატებით ისეთ გარემოებებზე, როგორიცაა მოპასუხის მიერ სარის არმატურისა და ვენახის სარის ყალიბის შექმნა. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ თანადაფინანსების შეწყვეტის მართლზომიერების შეფასებისას არასწორად იმსჯელა ამ უკანასკნელ გარემოებებზე, ვინაიდან, მიუხედავად სარჩელში მითითებისა, ისინი სავსე მონიტორინგის სამსახურის 06.06.2014წ. გადაწყვეტილებით თანადაფინანსების

შენწყვეტის საფუძველს არ წარმოადგენდა. ამავე დროს, სასამართლომ არ გამოიკვლია იმავე გადაწყვეტილებაში მითითებული თანადაფინანსების შეწყვეტის სხვა საფუძველი, რომელიც მოპასუხის მიერ სესხის თანხის საბრუნავ საშუალებებზე გამოყენებას შეეხება.

39. კასატორი დამატებით დავობს, რომ ბეტონის სარების ჩამოსასხმელი მინი საამქროს დამზადება არ შეიძლება სესხის მიზნობრიობის დარღვევად ჩაითვალოს, ვინაიდან მან განახორციელა სესხის თანხის ეფექტური ხარჯვა, კერძოდ, ბეტონის სარების დამზადება შესაძლებელი იყო ხუთჯერ ნაკლები დანახარჯით, ვიდრე მათი შეძენა. შესაბამისად, თანხის ეფექტური ხარჯვა არ შეიძლება მოპასუხეს მიზნობრიობის დარღვევად შეერაცხოს, რაც სააპელაციო სასამართლომ სათანადოდ არ გამოიკვლია.

40. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ყველა სამართლებრივ სისტემაში ვალდებულების შესრულება წარმოადგენს ვალდებულებითი სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს. ისევე როგორც კონტინენტური სამართლის სისტემის ქვეყნებში, საქართველოს შემთხვევაშიც, ვალდებულების შესრულების მომწესრიგებელ ნორმებს ძირითადად დისპოზიციური ხასიათი აქვთ. ქართული სამოქალაქო კოდექსის როგორც ზოგადი, ისე კერძო ნაწილი შესრულების მექანიზმებზეა აგებული. მთავარია შესრულება და არა პასუხისმგებლობა. ვალდებულების შესრულების ლეგიტიმური სახელშეკრულებო ინტერესი, სამართლებრივი დაცვის თვალსაზრისით, განსაკუთრებული სიკეთეა ნებისმიერ სამართლებრივ სისტემაში. სახელშეკრულებო ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ამ მოთხოვნების შეუსრულებლობა ვალდებულების დარღვევად მიიჩნევა (იხ. სუსგ საქმე №ას-1166-2019, 06 აპრილი 2020 წელი).

41. წინამდებარე საქმეში დადგენილია, რომ მხარეთა შორის 2013 წლის 27 სექტემბერს დაიდო შეთანხმება თანადაფინანსების შესახებ, რომლის თანახმად, სააგენტოს ვალდებულებას წარმოადგენდა „შელავათიანი აგროკრედიტის“ ფარგლებში განეხორციელებინა ბანკთან გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულებით სესხზე განსაზღვრული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება; თანადაფინანსების მიზნობრიობას წარმოადგენდა: ღვინის ქარხნის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები, ვენახის სარემონტო სამუშაოები და ძირითადი საშუალებების შეძენა ღვინის ქარხნისათვის; შეთანხმების თანახმად, სააგენტო უფლებამოსილი იყო ნებისმიერ დროს, წინასწარი შეტყობინების გარეშე, განეხორციელებინა ბანკის მიერ გაცემული სესხის მიზნობრიობის მონიტორინგი; ერთ-ერთი ასეთი მონიტორინგისას დადგინდა მოპასუხის მიერ ბეტონის სარების ჩამოსასხმელი მინი საამქროს

დამზადებისა და სესხის თანხის საბრუნავ საშუალებებზე გამოყენების ფაქტი, რაც, სააგენტოს შეფასებით, თანადაფინანსების მიზნობრიობის დარღვევას წარმოადგენდა; აღნიშნული საფუძვლით სააგენტომ შეწყვიტა მოპასუხის მიმართ თანადაფინანსება.

42. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე 405-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ (ნატურით დაბრუნება). იმავე კოდექსის 405-ე მუხლის მიხედვით, თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. თუ ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, არ გამოიყენება დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება. თუკი ვალდებულება მხოლოდ ნაწილობრივ დაირღვა, მაშინ კრედიტორს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების დარღვენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი.

43. ამდენად, აღნიშნული სამართლებრივი ნორმებით გათვალისწინებული ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობებია: ნამდვილი ორმხრივი ხელშეკრულების არსებობა; ხელშეკრულების დარღვევა (მნიშვნელოვანი დარღვევა); დამატებითი ვადის დაწესება (გაფრთხილება); ამ ვადის უშედეგოდ გასვლა.

44. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება კანონმდებლის მიერ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარისათვის მინიჭებული უფლებაა. ხელშეკრულებიდან გასვლა გამოიყენება მხოლოდ კანონით ან მხარეთა შეთანხმებით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში, ამიტომ კანონი ამომწურავად განსაზღვრავს ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძვლებსა და წესს, კერძოდ, იმას, თუ როდის შეუძლია ხელშეკრულების მხარეს, მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა (სსკ-ის 405-ე, 352-ე მუხლები). ხელშეკრულებიდან გასვლის – როგორც მეორეული მოთხოვნის უფლების, საფუძვლები შეიძლება დაიყოს მატერიალურ და ფორმალურ ნაწილებად. მატერიალური შეიძლება გულისხმობდეს სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობას, ხოლო ფორმალური – დამატებითი ვადის დაწესებასა და ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ შეტყობინებას (იხ. სუსგ საქმე №ას-294-2019, 30 სექტემბერი, 2019 წელი).

45. სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა თავისთავად არ აფუძნებს ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებას. ვალდებულების დარ-

ღვევა ობიექტური მასშტაბით უნდა გაიზომოს. ზოგადად, ორმხრივი ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება წარმოიშობა, მიუხედავად იმისა, თუ რა ტიპის ვალდებულება დაირღვა. ვალდებულება, რომლის დარღვევაც ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს, უნდა იყოს ნამდვილი, ვადამოსული და უპრეტენზიო.

46. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ მოსარჩელე მხარეთა შორის 2013 წლის 27 სექტემბერს დადებული ხელშეკრულებიდან (შეთანხმებიდან) გავიდა (მოსარჩელემ მოპასუხეს თანადაფინანსება შეუწყვიტა) სესხის მიზნობრიობის დარღვევის მოტივით, თუმცა კასატორი სადავოდ ხდის მიზნობრიობის დარღვევის ფაქტს და უთითებს, რომ ბეტონის ჩამოსასხმელი მინი საამქროს მოწყობით რეალურად მოხდა სესხის თანხის ეფექტური ხარჯვა, ვენახის რემონტი განხორციელდა უფრო ნაკლები დანახარჯებით, ვინაიდან ბეტონის სარეზის დამზადება უფრო ნაკლებ ხარჯს მოითხოვდა, ვიდრე მათი შეძენა. სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული გარემოებები სათანადოდ არ გამოუკვლევიან.

47. კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია ბეტონის სარეზის დამზადება ნამდვილად მოითხოვდა თუ არა ნაკლებ დანახარჯებს ბეტონის სარეზის შეძენასთან შედარებით, რამდენად ნაკლები იყო აღნიშნული დანახარჯი და ამ გზით რეალურად ხდებოდა თუ არა სესხის თანხის ეფექტური ხარჯვა. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ გარემოებების გამოკვლევის გარეშე შეუძლებელია იმის შეფასება, ბეტონის საამქროს მინი ქარხანის დამზადება წარმოადგენდა თუ არა თანადაფინანსების მიზნობრიობის დარღვევას.

48. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს საერთოდ არ გამოუკვლევიან რა მოიაზრებოდა საველე მონიტორინგის სამსახურის 06.06.2014წ. გადანყვეტილებაში მითითებულ „საბრუნავ საშუალებებში“, რეალურად ჰქონდა თუ არა ადგილი სესხის თანხის საბრუნავ საშუალებებზე გამოყენებას და სცდებოდა თუ არა აღნიშნული „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ ფარგლებში გაცემული სესხის მიზნობრიობას.

49. ერთ-ერთ მსგავს საქმეში საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა კასატორის პრეტენზია მხარეთა შორის დადებული შეთანხმების არსებითი პირობის – მიზნობრიობის დარღვევის შესახებ და განმარტა შემდეგი: „ხელშეკრულების მიზანი, მისი შინაარსიდან გამომდინარე, მიღწეულად უნდა ჩაითვალოს, კერძოდ, ღვინის მარანი მოწყობილია, მოსარჩელის მიერ მინის ბოთლებისა და კორპის ხის თავსახურების შეძენა და შემდგომში, დაგვიანებით დოკუმენტის წარდგენა, ხელშეკრულების მნიშვნელოვნად და მისი მიზნობრიობის დარღვევად, არ უნდა შეფასდეს“ (იხ. სუსგ საქმე №ას-1069-2021, 23 დეკემბერი, 2021 წელი). ამდენად, იმისათვის, რომ მოცემულ შემთხვევაში დადგინდეს ჰქონდა

თუ არა ადგილი სესხის მიზნობრიობის დარღვევას, ასევე უნდა დადგინდეს/შეფასდეს, არსებულ მდგომარეობაში, ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე, რამდენად მიღწეული ან მიღწევადია ხელშეკრულების საბოლოო მიზანი.

50. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს, აგრეთვე, სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ მოპასუხის მითითება სარის არმატურისა და ვენახის სარის ყალიბის საკუთარი სახსრებით შეძენის შესახებ, წარმოადგენს სესხის მიზნობრიობის დარღვევის აღიარებას. მოპასუხემ წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და აღნიშნული მითითებით არათუ დაადასტურა, არამედ სრულიად უარყო სესხის მიზნობრიობის დარღვევის ფაქტი.

51. აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესოა საქმეში არსებული საგადასახადო ომბუდსმენის 30.03.2015წ. №02-150/03 რეკომენდაცია, რომლის თანახმად, „იმ პირობებში, როდესაც კომპანიის ქმედებით არ შეფერხებულა გადამამუშავებელი საწარმოს შექმნის პროცესი (რაც წარმოადგენს შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის საერთო მიზანს) და ამავე დროს, მეტი ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით, მოხდა თანხის ეფექტურად და რაციონალურად გამოყენება, საფუძველს მოკლებულია სააგენტოს პოზიცია კრედიტის მიზნობრივად გამოყენების ვალდებულების დარღვევასთან დაკავშირებით და აღნიშნული საფუძველით ხელშეკრულებაზე უარის თქმა. ის ფაქტი, რომ კრედიტის თანხით კომპანიამ ბეტონის სარების საამქრო შეიძინა, საკითხის მხოლოდ ზედაპირული შეფასების შედეგად შეიძლება იქნეს მიჩნეული კრედიტის არამიზნობრივ გამოყენებად, თუმცა ამ გარემოებების კომპლექსურად (დადებითი ეფექტების გათვალისწინებით) შეფასებით, საკმარისი საფუძველი არსებობს, რომ საამქროს შეძენა ვენახის სარემონტოდ გათვალისწინებულ სამუშაოდ ჩაითვალოს... განსახილველ შემთხვევაში, ბეტონის სარების საამქროს შეძენა ფორმალური თვალსაზრისით რომც ჩაითვალოს დარღვევად, საქმის გარემოებების (სარების საამქროს შეძენის დანიშნულების) გათვალისწინებით, დარღვევის არაარსებითი ხასიათის გამო, სააგენტოს მაინც არ წარმოშობია ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველი“. სააპელაციო სასამართლომ ისე მიიჩნია სააგენტოს მხრიდან მოპასუხისათვის თანადაფინანსების შეწყვეტა მართლზომიერად, რომ აღნიშნული გარემოებებისთვის შეფასება არ მიუცია.

52. რაც შეეხება მოსარჩელის მიერ წარდგენილ სსიპ „ლევან სამხარაული სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 13.06.2018წ. №004002718 დასკვნას, აღნიშნული დასკვნის თანახმად: „გამოსაკვლევ პერიოდში მოპასუხის მიერ შეძენილია როგორც სამშენებლო მასალები, ასევე ელექტრო, სამეურნეო, ქიმიური საქონელი და ავტომანქანის ნაწილები, მაგრამ აღნიშნული საქონელი კონკრეტულად

გამოყენებული იყო თუ არა 2013 წლის 27 სექტემბერს გაფორმებული შეთანხმების თანახმად განსაზღვრული მონაცემებით, წარმოდგენილი მასალებით ვერ დგინდება“. ამდენად, სათანადო მასალების არარსებობის გამო, ექსპერტის მიერ ვერ დადგინდა მოპასუხის მიერ სესხის მიზნობრივად/არამიზნობრივად გამოყენების ფაქტი. შესაბამისად, საპელაციო სასამართლოს მითითება, რომ აღნიშნული დასკვნით არ დგინდება სესხის მიზნობრივად ხარჯვა, არ არის მართებული.

53. საველე მონიტორინგის 06.04.2014წ. სპეციალურ ფორმაზე ხელმომწერი პირის, მოპასუხის პარტნიორის უფლებამოსილებასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოპასუხეს სადავოდ არ გაუხდია აღნიშნულ ფორმაში მითითებული ინფორმაცია – მის მიერ ვენახის ბეტონის სარების შეძენის ნაცვლად ვენახის ბეტონის სარების ჩამოსასხმელი საამქროს მოწყობა, ასევე, სესხის თანხის საბრუნავ საშუალებებზე გამოყენება. გარდა ამისა, მხარეთა შორის დადებული შეთანხმებით თანადაფინანსების შესახებ განისაზღვრა სააგენტოს უფლებამოსილება, ნებისმიერ დროს, წინასწარი შეტყობინების გარეშე, განეხორციელებინა სესხის ხარჯვის მონიტორინგი, ხოლო, თუ მონიტორინგის შედეგად დადგინდებოდა სესხის მიზნობრიობის დარღვევა, შეენეცია თანადაფინანსება, რაც ბენეფიციარის მხრიდან თანხმობას ან დადასტურებას არ მოითხოვდა. შესაბამისად, კასატორის მითითება ზემოაღნიშნულ ფორმაზე ხელმომწერი პირის უფლებამოსილებასთან დაკავშირებით, მოცემულ შემთხვევაში, არ არის რელევანტური.

54. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს საპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. იმავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე1“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

55. მოცემული ნორმების ანალიზისა და წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას თავად მიიღოს გადაწყვეტილება დავაზე, ვიდრე საქმეზე არ დადგინდება დავის გადაწყვეტისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება, რაც საქმის იმავე სასამართლო-

სათვის დაბრუნების საფუძველია. კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოიკვლიოს და დაადგინოს წინამდებარე განჩინების 46-ე-48-ე პუნქტებში მითითებული გარემოებები, რომელთა საფუძველზეც უნდა შეაფასოს ჰქონდა თუ არა ადგილი სესხის მიზნობრიობის დარღვევას, ხოლო დარღვევის დადასტურების შემთხვევაში, ასევე შეაფასოს – რამდენად ჰქონდა ამ ტიპის დარღვევას არსებითი ხასიათი და რამდენად შეიძლება ყოფილიყო აღნიშნული დარღვევა ხელშეკრულების უპირობოდ შეწყვეტის საფუძველი.

56. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულება ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით.

57. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

58. ამასთან, კასატორს უნდა დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან – 2720 ლარიდან ზედმეტად გადახდილი – 147,86 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. შპს „თ-ას“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 20 იანვრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. შპს „თ-ას“ (ს.ნ. ...) დაუბრუნდეს მ. ყ-ის (პ.ნ. ...) მიერ 2021 წლის 25 თებერვალს №0 საგადასახადო დავალებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან – 2 720 (ორი ათას შვიდას ოცი) ლარიდან ზედმეტად გადახდილი – 147,86 (ას ორმოცდაშვიდი ლარი და ოთხმოცდაექვსი თეთრი) ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი 300773150;
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

2. ფულადი ვალდებულების შესრულება

ფულადი ვალდებულების დაფარვის რიგითობა

ბანკინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1042-2023

13 ნოემბერი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: გ. უბილავა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მიქაბერიძე,
ვ. კაკაბაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება, იპოთეკით დატვირთული უძრავი
ქონების რეალიზაცია

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „მ. ბ-მა“ (შემდგომში – „მოსარჩელე“) სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. ბ-ძისა (შემდგომში – „პირველი მოპასუხე“, „მსესხებელი“ ან „პირველი კასატორი“) და ა. ბ-ძის (შემდგომში – „მეორე მოპასუხე“ ან „მეორე კასატორი“) მიმართ და მოითხოვა პირველ მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისროს: სესხის ძირითადი თანხის – 8 651 აშშ დოლარის, 2017 წლის 04 დეკემბრამდე დარიცხული საპროცენტო სარგებლის – 4 196 აშშ დოლარისა და დარიცხული პირგასამტეხლოს – 333 აშშ დოლარის გადახდა; ყოველთვიურად სესხის ძირითადი თანხის – 8 651 აშშ დოლარის 3%-ის – 259,53 აშშ დოლარის გადახდა, 04.12.2017 წლიდან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე; პირგასამტეხლოს სახით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სესხის ძირითადი თანხის – 8 651 აშშ დოლარის 0,07%-ის, 06 აშშ დოლარის გადახდა, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე; თანხების ამოღება მოხდეს სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული, მოპასუხეთა თანასაკუთრებაში რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქ. ბათუმი, ..., ს.კ. №..., იძულებით აუქციონზე რეალიზაციის გზით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ რეალიზაციიდან ამონაგები თანხა არ იქნება საკმარისი დავალიანების სრულად დასაფარად, დარჩენილი დავალიანების ნაწილში აღსრულება გაგრძელდეს პირველი მოპასუხის საკუთრებაში არსებული სხვა ქონებიდან.

2. მოპასუხეებმა წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნეს.

3. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგი-

ის 2022 წლის 17 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; პირველ მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა: სესხის ძირითადი თანხის – 3 836 აშშ დოლარის, სესხის გატანიდან 04.12.2017 წლამდე პროგრამულად დარიცხული საპროცენტო სარგებლის – 4 196 აშშ დოლარისა და სესხის გატანიდან 04.12.2017 წლამდე პროგრამულად დარიცხული პირგასამტეხლოს – 514 აშშ დოლარის გადახდა; პირველ მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა საპროცენტო სარგებლის გადახდა 2017 წლის 04 დეკემბრიდან 2022 წლის 19 თებერვლამდე ყოველთვიურად სესხის ძირითადი თანხის – 8 651 აშშ დოლარის 3%-ის – 259,53 აშშ დოლარის ოდენობით, ხოლო 19.02.2022 წლიდან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე საპროცენტო სარგებლის გადახდა ყოველთვიურად სესხის დარჩენილი ძირითადი თანხის – 3 836 აშშ დოლარის 3%-ის, 115,08 აშშ დოლარის ოდენობით; პირველ მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სესხის ძირითადი თანხის – 8 651 აშშ დოლარის 0,007%-ის ოდენობით, რაც შეადგენს 0,6 აშშ დოლარს, 04.12.2017 წლიდან 2022 წლის 19 თებერვლამდე, ხოლო 19.02.2022 წლიდან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სესხის დარჩენილი ძირითადი თანხის – 3 836 აშშ დოლარის 0,007%-ის, 0,26 აშშ დოლარის ოდენობით; პირველ მოპასუხეზე დაკისრებული თანხის ნებაყოფილობით გადაუხდელობის შემთხვევაში, თანხის ამოღების მიზნით, დადგინდა მოპასუხეთა თანასაკუთრებაში რიცხული იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების, მდებარე: ქ. ბათუმი, ..., ს.კ. №..., იძულებითი რეალიზაცია, ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ რეალიზაციიდან ამონაგები თანხა არ იქნება საკმარისი დავალიანების სრულად დასაფარად, დარჩენილი დავალიანების ნაწილში ასევე დადგინდა აღსრულების პირველი მოპასუხის საკუთრებაში არსებული სხვა ქონებიდან გაგრძელება.

4. მოპასუხეებმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე წარადგინეს სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 31 მაისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

6. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

6.1. მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს შორის 2013 წლის 27 მაისსა და 24 ოქტომბერს გაფორმდა საკრედიტო ხაზის №1163-13 და

№1299-13 ხელშეკრულებები, რომელთა თანახმად, პირველ მოპასუხეს დაუმტკიცდა საკრედიტო ხაზი 9 000 აშშ დოლარზე.

6.2. აღნიშნული ხელშეკრულებების 4.1.2 პუნქტის თანახმად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ მსესხებელი სესხის ხელშეკრულებების პირობების დარღვევის გამო ვალდებულია, სასამართლოში სარჩელის შეტანის დღიდან სასამართლო გადაწყვეტილების სრულ აღსრულებამდე გადაიხადოს ყოველთვიურად საპროცენტო სარგებელი სესხის ძირითანხის 4% და პირგასამტეხლო – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სესხის ძირითანხის 0,1%-ის ოდენობით.

6.3. მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს შორის 2013 წლის 28 მაისსა და იმავე წლის 25 ოქტომბერს გაფორმდა №40829 და №42783 სესხის ხელშეკრულებები, რომელთა საფუძველზეც, პირველ მოპასუხეზე სესხის სახით გაიცა 9 000 აშშ დოლარი. სესხის სრულად დაფარვის თარიღად განისაზღვრა 2018 წლის 27 მაისი (2.5 პუნქტი); საპროცენტო სარგებელი – ყოველთვიურად სესხის დარჩენილი ძირითანხის 3% (2.8 პუნქტი), პირგასამტეხლო – სესხის ძირითანხის 0,07% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე (2.11 პუნქტი). ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ, რომ საპროცენტო სარგებლის დარიცხვა დაიწყებოდა სესხის აღების მომენტიდან და გაგრძელდებოდა სესხის ძირითანხის მსესხებლის მიერ ნებაყოფლობით სრულად დაფარვამდე ან მოსარჩელის მიერ სესხის იძულებით ამოღებამდე (აღსრულებამდე) (2.9 პუნქტი). სესხი უნდა დაფარულიყო შემდეგი თანმიმდევრობით: ა) პირგასამტეხლო; ბ) დარიცხული სარგებელი; გ) სესხის ძირითადი თანხა (2.22 პუნქტი).

6.4. პირველი მოპასუხის მიერ ნაკისრი ვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით, 2013 წლის 27 მაისსა და 24 ოქტომბერს მხარეთა შორის გაფორმდა №1163 და №1299 იპოთეკის ხელშეკრულებები, რომლებითაც იპოთეკით დაიტვირთა მოპასუხეთა თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე: ქ. ბათუმი, ..., ს.კ. №...

6.5. იპოთეკის ხელშეკრულების 4.2.2 პუნქტის თანახმად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ „თუ წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში იპოთეკის საგანი ვერ ფარავს გაცემულ სესხს ... [მოსარჩელე] უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს აღსრულების მიქცევა მოვალის კუთვნილ სხვა უძრავ-მოძრავ ქონებაზე დარჩენილი, უკვე არაუზრუნველყოფილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

6.6. საქმეში არსებული პირველი მოპასუხის გადახდების ისტორიით, სალაროს შემოსავლის ორდერებით (სადაც კონკრეტულად არის დაფიქსირებული ხელშეკრულების ნომერი, რომლის ფარგლებშიც ხდებოდა გადახდა) და კლიენტის სესხებიდან ამონაწერებით ირკვევა, რომ მსესხებლის, პირველი მოპასუხის მიერ 2013 წლის 25 ოქტომბრისა და

28 მაისის სესხის ხელშეკრულებების ფარგლებში განხორციელებული შენატანებით გამსესხებელმა მოახდინა მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის დაფარვა. ამასთან, ორივე სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, პირველ მოპასუხეს გადახდები ნაწარმოები აქვს 2016 წლის 08 ნოემბრამდე.

6.7. მოპასუხის მიერ წარდგენილი მტკიცებულებით – აუდიტორული გაანგარიშებით, სასამართლო სხდომაზე მისი შემდგენი აუდიტორის – ვ. ა-ძის გამოკითხვით, ასევე, თავად აპელანტის განმარტებითა და კლიენტის სესხებიდან ამონაწერით ირკვევა, რომ 2013 წლის 28 მაისის სესხად მიღებული 6 000 აშშ დოლარის დაფარვის მიზნით, პირველ მოპასუხეს მოსარჩელისათვის უნდა გადაეხადა სესხის ძირი თანხა – 6 000 აშშ დოლარი და პროცენტი – 7 007,87 აშშ დოლარი, სულ 13 007,87 აშშ დოლარი. მითითებული თანხიდან პირველ მოპასუხეს, 2016 წლის 08 ნოემბრის მდგომარეობით, შეტანილი აქვს მხოლოდ 6 270 აშშ დოლარი, საიდანაც სესხის ძირი თანხის სახით დაფარულია 272 აშშ დოლარი და პროცენტი – 5 998 აშშ დოლარი.

6.8. რაც შეეხება 2013 წლის 25 ოქტომბერს სესხად მიღებულ 3 000 აშშ დოლარს, პირველ მოპასუხეს მოსარჩელისათვის უნდა გადაეხადა სესხის ძირი თანხა – 3 000 აშშ დოლარი და პროცენტი – 3 503,94 აშშ დოლარი, სულ 6 503,94 აშშ დოლარი. აღნიშნული თანხიდან პირველი მოპასუხის მიერ შეტანილია მხოლოდ 3 304 აშშ დოლარი, საიდანაც სესხის ძირი თანხის სახით დაფარულია 77 აშშ დოლარი, ხოლო პროცენტი – 3 227 აშშ დოლარი.

6.9. ამდენად, სარჩელის წარდგენის დროისათვის მოსარჩელის მიერ ორივე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ძირი თანხის დავალიანება განსაზღვრულია – 8 651 აშშ დოლარით.

6.10. სესხის დაფარვის გრაფიკისა და გადახდების ისტორიის თანახმად, 2017 წლის 10 აპრილის მდგომარეობით, პირველი მოპასუხისათვის №40829 სესხის ხელშეკრულების ფარგლებში პროგრამულად დარიცხული და გადაუხდელი საპროცენტო სარგებელი შეადგენს 3 528,54 აშშ დოლარს, ხოლო №42783 სესხის ხელშეკრულების ფარგლებში 1 050,77 აშშ დოლარს. ამდენად, სარჩელის შეტანის დროისათვის მოსარჩელის მიერ ორივე ხელშეკრულებიდან გამომდინარე საპროცენტო სარგებლის დავალიანება განსაზღვრულია 4 196 აშშ დოლარით.

6.11. სარჩელის აღძვრის შემდეგ, 2022 წლის 19 თებერვალს პირველმა მოპასუხემ მოსარჩელის ანგარიშზე შეიტანა 4 815 აშშ დოლარი, თანხის გადახდის დანიშნულებაში კი მიუთითა სესხის ძირი თანხა.

7. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე აპელანტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ხელშეკრულებების 2.22 პუნქტის შესაბამისად გადახდების დაანგარი-

შების შემთხვევაში, სადავოდ არ ხდიდნენ სარჩელით მოთხოვნილი თანხების ოდენობას, თუმცა არ იზიარებდნენ ხელშეკრულებების 2.22 პუნქტის მიხედვით დადგენილ რიგითობას და მიიჩნევდნენ, რომ ასეთი წესი ეწინააღმდეგება სამოქალაქო კოდექსის 387-ე მუხლის მოთხოვნებს.

8. სააპელაციო პალატის განმარტებით, განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ მხარეთა შორის საბანკო კრედიტის ხელშეკრულებები დაიდო წერილობით, მსესხებელი გაეცნო და დაეთანხმა ხელშეკრულებების პირობებს (სესხისა და სარგებლის ოდენობას, გადახდის ვადას, პირგასამტეხლოს, სესხის დაფარვის რიგითობას და სხვა), რის შემდეგაც მიიღო სესხის თანხები. დადგენილია ასევე, რომ მსესხებელმა დაარღვია საბანკო კრედიტის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული თანხის ვადაში გადახდის ვალდებულება, რამაც წარმოშვა მოსარჩელის მოთხოვნის უფლება მსესხებლის მიმართ. ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სსკ-ის 316-ე-317-ე, 624-ე-625-ე და 361-ე მუხლებიდან გამომდინარე, მოსარჩელის მოთხოვნა სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე გადაუხდელი ძირი თანხისა და საპროცენტო სარგებლის გადახდევინების თაობაზე დასაბუთებულია.

9. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 387-ე მუხლით და განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში სესხის ხელშეკრულებებით დასტურდება ვალდებულების შესრულების რიგითობაზე მხარეთა შეთანხმების ფაქტი, ამასთან, სალაროს შემოსავლის ორდერებში, რომლითაც მოვალე (მოპასუხე) ახდენდა სესხის დაფარვის მიზნით თანხის გადახდას, დაფიქსირებულია კონკრეტული ხელშეკრულების ნომერი, რომლისთვისაც ხდებოდა გადახდა, ასევე, გადახდილი თანხის ოდენობა, ხოლო გადახდილი თანხის დანიშნულება არ შეიცავს დეტალურ ჩანაწერს მიზნობრიობის თაობაზე. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების 2.22 პუნქტიდან გამომდინარე, მოსარჩელემ პირველი მოპასუხის მიერ შეტანილი თანხებით კანონშესაბამისად განახორციელა ძირითადი თანხისა და საპროცენტო სარგებლის დაფარვა, რაც ამ საკითხზე აპელანტის მსჯელობის გაზიარების შესაძლებლობას გამოიწვევს.

10. ვინაიდან აპელანტს სადავოდ არ გაუხდია გაანგარიშება ისეთი შემთხვევისათვის, თუკი მოსარჩელე პირველი მოპასუხის მიერ შეტანილი თანხებით სესხის დაფარვას განახორციელებდა ხელშეკრულებების 2.22 პუნქტით დადგენილი წესით, ამასთან, სარჩელის წარდგენის შემდეგ მოპასუხის მიერ განხორციელებული შენატანი სასამართლომ ძირი თანხის ანგარიშში ჩათვალა, სააპელაციო პალატამ მიაჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მოპასუხისათვის, ორივე ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ძირითადი თანხის სახით – 3 836 აშშ

დოლარისა და საპროცენტო სარგებლის სახით – 4 196 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე დასაბუთებულია და არ არსებობს ამ ნაწილში მისი გაუქმების საფუძველი.

11. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საბანკო კრედიტის ხელშეკრულების 2.9 პუნქტზე და განმარტა, რომ საპროცენტო სარგებლის გადახდაზე ასეთი შეთანხმება სრულად გამომდინარეობს სსკ-ის 403.1 მუხლის მოთხოვნებიდან. შესაბამისად, დასაბუთებულად მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა პირველი მოპასუხისათვის 2017 წლის 04 დეკემბრიდან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველთვიურად სესხის დარჩენილი ძირითადი თანხის 3%-ის ოდენობით დაკისრების თაობაზე.

12. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 417-ე-418-ე მუხლებით და იმ უდავო ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, რომ მოვალემ ვალდებულება არ შეასრულა, არ გადაიხდა ძირითადი თანხა და მასზე დარიცხული პროცენტი, პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, რომლითაც პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე მოთხოვნა საფუძვლიანად ჩაითვალა, დასაბუთებულად მიიჩნია. ამასთან, სააპელაციო პალატის განმარტებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი პირგასამტეხლო შემცირდა 10-ჯერ, რაც, მისი მოსაზრებით, გონივრულ ოდენობას წარმოადგენს და ამ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების შესაძლებლობას გამორიცხავს.

13. სააპელაციო სასამართლომ ასევე იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 286.1, 301.1, 301'-ე მუხლებით და მხარეთა წინამდებარე განჩინების 6.5 პუნქტში აღნიშნული შეთანხმებიდან გამომდინარე, მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე იყო იპოთეკით უზრუნველყოფილი უძრავი ქონების სარეალიზაციოდ მიქცევის, ხოლო ამონაგები თანხით დავალიანების სრულად ვერდაფარვის შემთხვევაში, მოვალის საკუთრებაში არსებულ სხვა ქონებაზე აღსრულების მიქცევის საფუძველი.

14. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტების შედაგება სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში მხარეთა შორის დადებული სესხის ხელშეკრულების შესაბამისად, მსესხებელს სესხის დაფარვა უნდა ეწარმოებინა სესხზე თანდართული გრაფიკის შესაბამისად, 2018 წლის 24 ოქტომბრამდე. მსესხებელმა დაარღვია საბანკო კრედიტის ხელშეკრულება და 2016 წლის 08 ნოემბრის შემდეგ არ გადაიხდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა. ამდენად, მოსარჩელეს სწორედ ამ დროიდან წარმოეშვა მოთხოვნის უფლება. ამასთან, დადგენილია, რომ მოსარჩელემ სასამართლოს სარჩელით მიმართა 10.01.2018 წელს, რაც

მიუთითებს იმაზე, რომ გასული არ არის სსკ-ის 129-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული პერიოდულად შესასრულებელი სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადა. შესაბამისად, არ არსებობს ხანდაზმულობის მოტივით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი.

15. მოპასუხეებმა სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე წარადგინეს საკასაციო საჩივარი, რომლითაც მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

16. კასატორებმა საკასაციო საჩივარში მიუთითეს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ საფუძვლებზე:

16.1. სესხის ხელშეკრულების თანახმად, ძირი თანხის რაოდენობიდან განისაზღვრება როგორც სარგებლის (3%), ისე, ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს ოდენობაც (ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე წარჩენი ძირითადი თანხის 0,07%). ასეთ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სესხის ძირითადი თანხის სწორად ჩათვლის საკითხს, კერძოდ, რაც მეტია ძირითადი თანხა, მით მეტია პირგასამტეხლოც. შესაბამისად, სესხის ძირითადი თანხა უფრო მძიმე გადასახდელია მოვალისათვის ვიდრე სარგებელი და პირგასამტეხლო, რის გამოც, სესხის ძირითადი თანხის სწორად ჩათვლა იწვევს შემდგომი გადახდების სწორად განვითარებას;

16.2. მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს შორის 28.05.2013წ. და 25.10.2013წ. დადებული ხელშეკრულებების 2.19 პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში თუკი მსესხებელი გადაიხდის გრაფიკით დადგენილ გადასახადზე მეტს, თანხის ნამეტით დაიფარება სესხის ძირითადი თანხის შესაბამისი ნაწილი. მოცემულ შემთხვევაში პირველ მოპასუხეს რამდენიმე თვის განმავლობაში გადახდილი აქვს გრაფიკით გათვალისწინებულ თანხაზე მეტი, თუმცა ნამეტის შეტანით ძირითადი თანხის შესაბამისი ნაწილი არ დაფარულა. მაგალითად, მოვალეს №40829 სესხზე 2014 წლის 27 აგვისტოს 180 აშშ დოლარის ნაცვლად, გადახდილი აქვს 203 აშშ დოლარი; 30 დეკემბერს ნაცვლად 180 აშშ დოლარისა, 358 აშშ დოლარი; 2015 წლის 26 ნოემბერს 180 აშშ დოლარის ნაცვლად 1 000 აშშ დოლარი; 2016 წლის 08 ნოემბერს 180 აშშ დოლარის ნაცვლად 700 აშშ დოლარი. ხოლო, №42783 სესხზე 2014 წლის 30 დეკემბერს 90 აშშ დოლარის ნაცვლად გადახდილი აქვს 182 დოლარი; 2015 წლის 25 დეკემბერს 300 აშშ დოლარი; 2016 წლის 08 ნოემბერს 1 300 აშშ დოლარი და 2017 წლის 10 აპრილს 1 050 აშშ დოლარი. ნამეტი თანხებით მოსარჩელის მიერ სესხის ძირი თანხა არ დაფარულა, მოვალის მიერ გადახდილი 1 574 აშშ დოლარიდან სესხის ძირ თანხაში ჩაითვალა მხოლოდ 341 დო-

ლარი (ორივე სესხზე);

16.3. მოსარჩელე კლიენტის მიერ შეტანილი თანხების ჩათვლისას არღვევდა საქართველოს სსკ-ის 387-ე მუხლის მოთხოვნას, რომელიც აწესრიგებს ფულადი ვალდებულების დაფარვის რიგითობას. მითითებული სამართლებრივი ნორმა არ ითვალისწინებს კანონის სხვაგვარ გამოყენებას, იმ თვალსაზრისით, რომ კანონის ეს ნორმა გამოიყენება მხოლოდ მხარეთა დათქმის პირობებში. პირიქით, უკანონოა ის, რომ საბანკო სისტემაში გაბატონებულია სახელშეკრულებო ფორმა, რომლის თანახმად, კანონის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ მოვალემ ჯერ უნდა გადაიხადოს პირგასამტეხლო (ჯარიმა), შემდეგ სარგებელი (პროცენტი) და შემდეგ ძირი თანხა;

16.4. აღნიშნული სამართლებრივი ნორმიდან გამომდინარე, საკრედიტო დანესებულება ვალდებული იყო, შეტანილი თანხებით დაეფარა ადრე დამდგარი, გასული თვეების ვალდებულებები და თანაც ის ვალდებულებები, რომლებიც მოვალისათვის ყველაზე მძიმეა, ე.ი. ძირი თანხები;

16.5. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული მოთხოვნა არ გაითვალისწინა და მიუთითა, რომ დასახელებული ნორმა ვალდებულებათა დაფარვის რიგითობის ალტერნატიულ მოწესრიგებასაც შეიცავს, რაც მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენება, როცა მოვალე კანონით მინიჭებულ უფლებას შესასრულებელ ვალდებულებათა რიგითობის დადგენის თაობაზე არ გამოიყენებს და აღნიშნულთან დაკავშირებით არც მხარეები შეთანხმებულან. სასამართლოს ამ განმარტებით მთლიანად იცვლება სსკ-ის 387-ე მუხლის არსი და კანონის ასეთი გაგებით ეს მუხლი კარგავს თავის შინაარსს – თანაბრად დაიცვას მოვალისა და კრედიტორის უფლებები;

16.6. კასატორის აზრით, კანონი აწესებს, რომ: თუ მოვალე არ ამოირჩევს დაფარვის რიგითობას, მაშინ დაიფარება ის ვალი, როლის გადახდის ვადაც პირველად დადგა. ე.ი. კანონი მიუთითებს, რომ საკრედიტო დანესებულება ვალდებული იყო, მოვალის მიერ შეტანილი თანხებით პირველად დაეფარა წინა, გასული თვეების ვალდებულებები;

16.7. სესხის ხელშეკრულების 2.22 პუნქტის თანახმად, სესხის დაფარვის თანმიმდევრობაა შემდეგი: ა) პირგასამტეხლო; ბ) დარიცხული სარგებელი; გ) სესხის ძირითადი თანხა. მითითებული შეთანხმება გათვალისწინებულია (ისიც კანონსაწინააღმდეგოდ) მიმდინარე, ახლად ვადადამდგარი დავალიანების დროისათვის, კონკრეტული თვისათვის და არა ძველი, დარჩენილი დავალიანების დაფარვისათვის და ლოგიკურადაც ასეა – პირველად უნდა დაიფაროს ძველი, ადრე დამდგარი დავალიანება, რასაც კანონი გულისხმობს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სესხის ხელშეკრულება კანონთან შეუსაბამო და ბათილია, რაც არავითარ

ვალდებულებას არ წარმოშობს (სსკ 54-ე მუხლი);

16.8. კასატორმა მიუთითა სსკ-ის 873-ე, 624-ე, 415-ზე მუხლებზე და განმარტა, რომ საკრედიტო დაწესებულებას შეეძლო თავიდან აეცილებინა ზიანი და მოპასუხის მიერ ვალდებულების ზედიზედ ორჯერ შეუსრულებლობის გამო, შეენწყვიტა ხელშეკრულება და მოეთხოვა დავალიანებისა და ზიანის ანაზღაურება, აღარ გაეცა მეორე კრედიტი, თუმცა მან ეს არ გააკეთა და წლების განმავლობაში მოპასუხეს არიცხავდა პირგასამტეხლოსა და პროცენტს. კრედიტორის მხრიდან მოვალისადმი ასეთი მიდგომა ეწინააღმდეგება სამოქალაქო ბრუნვაში მხარეთა ურთიერთობის მთავარ – კეთილსინდისიერების პრინციპს, რაც სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა საკითხის გადაწყვეტისას.

17. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

18. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

19. განსახილველ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანია ფულადი ვალდებულების დაფარვის რიგითობა. კერძოდ, კასატორის პრეტენზია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 387-ე მუხლის არასწორ განმარტებაში მდგომარეობს. მისი მტკიცებით, აღნიშნულ სამართლებრივ ნორმას ეწინააღმდეგება მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს შორის დადებულ სესხის ხელშეკრულებებში არსებული დათქმა სესხის დაფარვის რიგითობის შესახებ, კრედიტორი/მოსარჩელე ვალდებული იყო მსესხებლის მიერ გადახდილი თანხებით უპირველესად სესხის ძირითადი თანხა დაეფარა.

20. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის ზემოაღნიშნულ პრეტენზიას და განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 387-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მოვალეს ეკისრება კრედიტორისათვის სხვადასხვა ვალდებულებებიდან გამომდინარე ერთმანეთის მსგავსი რამდენიმე შესრულება და ის, რაც შესრულდა, არ არის საკმარისი ყველა ვალის დასაფარავად, მაშინ დაიფარება ის ვალდებულება, რომელსაც მოვალე შესრულების დროს ამოირჩევს; ხოლო, თუ მოვალე არ ამოირჩევს, მაშინ დაიფარება ის ვალი, რომლის გადახდის ვადაც პირველად დადგა; იმავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების მიხედვით, თუ მოთხოვნათა შესრულების ვადა ერთდროულად

დადგა, მაშინ თავდაპირველად უნდა შესრულდეს ის მოთხოვნა, რომელიც მოვალისათვის შესასრულებლად ყველაზე მძიმეა; ხოლო, თუ მოთხოვნები თანაბრად მძიმეა, თავდაპირველად უნდა შესრულდეს ის, რომელიც ყველაზე ნაკლებად არის უზრუნველყოფილი.

21. ზემოაღნიშნული სამართლებრივი ნორმა მოვალის უფლებების დაცვას ემსახურება და ითვალისწინებს ფულადი ვალდებულებების დაფარვის რიგითობის წესს ისეთ შემთხვევებში, როდესაც მოვალეს კრედიტორის მიმართ რამდენიმე დამოუკიდებელი ვალდებულება აკისრია (იხ. სუსგ საქმე №ას-1232-1155-2015, 27 იანვარი, 2016 წელი). კერძოდ, სსკ-ის 387-ე მუხლი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა შემდეგი წინაპირობები: 1. მოვალეს კრედიტორის მიმართ რამდენიმე ვალდებულება აქვს; 2. ვალდებულებათა შესრულების საგანი იდენტურია; 3. ვალდებულებების წარმოშობის წყარო ერთი ან ერთზე მეტი ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობაა; 4. მოვალის მიერ განხორციელებული შესრულება ყველა ვალდებულების დასაფარად საკმარისი არ არის. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ აღნიშნული სამართლებრივი ნორმა დისპოზიციურია და ვალდებულებათა დაფარვის რიგითობის განსხვავებულ წესზე მხარეთა შეთანხმებას უშვებს. შესაბამისად, ვალდებულებათა სიმრავლის პირობებში შესრულების არასაკმარისობის დროს მხარეები ვადამოსულ ვალდებულებებს ურთიერთშეთანხმებით დადგენილი რიგითობით ფარავენ (იხ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2019, 387-ე მუხლის კომენტარი, გვ. 540-541).

22. განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხეთა მიერ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის შინაარსიდან გამომდინარე, სადავო საკითხი შეეხება არა რამდენიმე დამოუკიდებელი ვალდებულების შესრულებას, არამედ ერთი ძირითადი ვალდებულების არაჯეროვნად შესრულებიდან გამომდინარე, ძირითადი და დამატებითი ვალდებულებების შესრულებას. კერძოდ, მსესხებლის მიერ 28.05.2013წ. და 25.10.2013წ. სესხის ხელშეკრულებების ფარგლებში გადახდილი თანხებიდან როგორი თანმიმდევრობით უნდა მომხდარიყო თითოეულ მათგანზე ძირითადი და დამატებითი ვალდებულებების დაფარვა. თუმცა, აღნიშნული გავლენას არ ახდენს წინამდებარე დავის სამართლებრივ შედეგზე.

23. კერძოდ, ძირითადი და დამატებითი ვალდებულებების შესრულების რიგითობის საკითხი რეგლამენტირებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 388-ე მუხლით, რომლის თანახმად, მოვალის იმ გადასახდელიდან, რომელიც არ არის საკმარისი მთელი ვადამოსული ვალის დასაფარავად, თავდაპირველად იფარება სასამართლოს ხარჯები, შემდეგ – ძირითადი შესრულება (ვალი) და ბოლოს – პროცენტები.

24. დასახელებული სამართლებრივი ნორმის გამოყენების წინაპი-

რობები: ვადამოსული ვალდებულების არსებობა, შესასრულებელ ვალდებულებათა არაერთგვაროვნება – სხვადასხვა „რანგი“ და შესასრულებელ ვალდებულებათა რიგითობის თაობაზე მხარეთა შეთანხმების არარსებობა. შესაბამისად, ნორმა ანესრიგებს არა მხოლოდ ვალდებულების დარღვევამდე შესასრულებელ ვალდებულებათა რიგითობას, ასევე, დარღვევის შემდგომ განხორციელებულ შესრულებათა რიგითობასაც. მთავარია, რომ შესასრულებელი ვალდებულებები ვადამოსული იყოს და არ არსებობდეს მხარეთა შეთანხმება ვადამოსულ ვალდებულებათა შესრულების რიგითობის შესახებ. სასამართლოს ხარჯებში იგულისხმება როგორც სასამართლოს ხარჯები, ასევე, საალსრულებო ხარჯები, ძირითადი ვალი ნიშნავს ძირითადი ფულადი ვალდებულების მთელ თანხას, ხოლო პროცენტებში იგულისხმება როგორც ძირითად ვალზე ვალდებულების შესრულების დასარიცხი პროცენტები, ისე მისი ვადის გადაცილების გამო წარმოშობილი პროცენტები (პირგასამტეხლო) (იხ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი III, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2019, 388-ე მუხლის კომენტარი, გვ. 545-546).

25. აღნიშნული სამართლებრივი ნორმით გათვალისწინებული მონესრიგება დისპოზიციურია, რაც იმას ნიშნავს, რომ მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია ძირითადი და დამატებითი ვალდებულებების შესრულების რიგითობისათვის კანონით გათვალისწინებული მონესრიგებისაგან განსხვავებული წესის დადგენა. ამასთან, მხარეთა უფლება, შეთანხმდნენ ვალდებულებათა შესრულების რიგითობაზე, ვრცელდება მხოლოდ საალსრულებო წარმოების დაწყებამდე. ამ წარმოების დაწყების შემდეგ საალსრულებო წარმოების ფარგლებში შესასრულებელ ვალდებულებათა რიგითობის შეცვლა დაუშვებელია (იხ. სუსგ საქმე №ას-984-2018, 01 აპრილი, 2020 წელი; ასევე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი III, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2019, 388-ე მუხლის კომენტარი, გვ. 547).

26. წინამდებარე საქმეში დადგენილია, რომ მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს შორის 28.05.2013წ. და 25.10.2013წ. დადებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებების 2.22 პუნქტით განისაზღვრა ძირითად და დამატებით ვალდებულებათა შესრულების რიგითობა. კერძოდ, აღნიშნული პუნქტის თანახმად, სესხი უნდა დაფარულიყო შემდეგი თანმიმდევრობით: ა) პირგასამტეხლო; ბ) დარიცხული სარგებელი; გ) სესხის ძირითადი თანხა.

27. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში სახეზეა მხარეთა წერილობითი შეთანხმება ფულადი ვალდებულებების დაფარვის რიგითობის შესახებ, უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია კასატორის პრეტენზია მსესხებლის მიერ მოსარჩელისათ-

ვის გადახდილი თანხებით უპირველესად სესხის ძირითადი თანხის დაფარვის თაობაზე.

28. კასატორი აგრეთვე დავობს, რომ 28.05.2013წ. და 25.10.2013წ. სესხის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, სხვადასხვა დროს მის მიერ გადახდილია გრაფიკით დადგენილ გადასახადზე მეტი თანხა, რომლებითაც აღნიშნული ხელშეკრულებების 2.19 პუნქტის საწინააღმდეგოდ, სესხის ძირითადი თანხა არ დაფარულა.

29. კასატორის ზემოაღნიშნულ პრეტენზიასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დასახელებული ხელშეკრულებების 2.19 პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუკი მსესხებელი გადაიხდის გრაფიკით დადგენილ გადასახადზე მეტს, თანხის ნამეტით დაიფარება სესხის ძირითადი თანხის შესაბამისი ნაწილი. ამასთან, როგორც ზემოთ აღინიშნა, სესხის ხელშეკრულებების 2.22 პუნქტით მხარეები შეთანხმდნენ სესხის დაფარვის თანმიმდევრობაზე, კერძოდ, მსესხებლის მიერ გადახდილი თანხებიდან უპირველესად უნდა დაფარულიყო სესხზე დარიცხული პირგასამტეხლო, შემდგომ დარიცხული სარგებელი და ბოლოს სესხის ძირითადი თანხა. ამდენად, სესხის ხელშეკრულებების დასახელებული პუნქტების ანალიზის შედეგად, საკასაციო სასამართლო ასკვნის, რომ 2.19 პუნქტი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როდესაც მსესხებელს არ ერიცხება დავალიანება და მის მიერ სრულად და ჯეროვნად არის გადახდილი გრაფიკით გათვალისწინებული გადასახდელი, რასაც მოცემულ შემთხვევაში, სადავო არ არის, რომ ადგილი არ ჰქონია. დადგენილია, რომ მსესხებელმა დაარღვია სესხის ხელშეკრულებებით ნაკისრი თანხის დადგენილ ვადაში გადახდის ვალდებულება. საქმეში წარდგენილი მსესხებლის გადახდის ისტორიიდან ირკვევა, რომ კასატორის მიერ მითითებულ პერიოდში (დეტ. იხ. წინამდებარე განჩინების 16.2 პუნქტი) მსესხებელს ორივე სესხზე ერიცხებოდა დავალიანება. შესაბამისად, დაუსაბუთებელია კასატორის პრეტენზია, რომ მის მიერ გადახდილი ნამეტი თანხით გამსესხებელს სესხის ძირითადი თანხის დაფარვა უნდა მოეხდინა.

30. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ხელშეკრულების შეწყვეტასთან და მხარეთა კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით კასატორის პრეტენზია ზოგადი და დაუსაბუთებელია, რის გამოც საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას იმჯელოს მის მართებულობაზე.

31. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტი-

ლება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

32. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება სწორია, რაც მისი ძალაში დატოვებისა და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

33. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადანყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამასთან, იმავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას.

34. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს 2023 წლის 12 სექტემბრის განჩინებით კასატორებს გადაუვადდათ საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის გადახდა. შესაბამისად, ვინაიდან მათი საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, კასატორებს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროთ საკასაციო საჩივარზე გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის – 927,3 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა ღ ბ ი ნ ა :

1. მ. ბ-ძისა და ა. ბ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 31 მაისის განჩინება დარჩეს უცვლელი;
3. მ. ბ-ძესა (პ.ნ. ...) და ა. ბ-ძეს (პ.ნ. ...) სახელმწიფო ბიუჯეტის (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) სასარგებლოდ დაეკისროთ საკასაციო სასამართლოს 2023 წლის 12 სექტემბრის განჩინებით გადავადებული სახელმწიფო ბაჟის – 927,3 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

3. ზიანის ანაზღაურების მოვალეობა

ზიანის ანაზღაურება არაქმონებრივი ზიანისთვის

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-970-2022

16 ნოემბერი 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ლ. ქოჩიაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ა. ძაბუნაძე,
თ. ძიმისტარაშვილი

დავის საგანი: მორალური ზიანის დაკისრება, საექიმო საქმიანობის
უფლების (ლიცენზიის) შეჩერება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ი. თ.-ქმ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამარ-
თლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების: ს.ს. „ე. ჰ-
ბის“ და მ. გ.-ძის მიმართ და მოითხოვა:

1.1. მორალური ზიანის, 10 000 ლარის, მოპასუხეთათვის სოლიდა-
რულად დაკისრება.

1.2. მ. გ.-ძისათვის დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების
დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედების 3 წლის
ვადით შეჩერება.

2. მოპასუხეებმა მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლით სარჩე-
ლი არ ცნეს.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლე-
გიის 2021 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმა-
ყოფილდა.

4. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასა-
ჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გა-
უქმება და ახალი გადაწყვეტილებით – სარჩელის დაკმაყოფილება.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პა-
ლატის 2022 წლის 25 მაისის გადაწყვეტილებით, სააპელაციო საჩივარი
ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამარ-
თლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 27 დეკემბრის გა-
დაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. სარჩელი
ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხეებს მოსარჩელის სასარგებლოდ

მორალური ზიანის ანაზღაურების სახით სოლიდარულად დაეკისრათ 1000 ლარის გადახდა, მ. ტ-ძისთვის დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედების 3 წლით შეჩერების შესახებ სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. სხვა ნაწილში სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება დაეფუძნა შემდეგ ფაქტობრივ-სამართლებრივ დასაბუთებას:

5.1. 2018 წლის 16 ოქტომბერს ქ. ბორჯომში, ავტოსაგზაო შემთხვევისას მოსარჩელეს დაეჯახა ავტომობილი. შეჯახების შედეგად, მოსარჩელემ მიიღო ტრავმები და დაკარგა გონება. იგი დაუყოვნებლივ გადაყვანილი იქნა ბორჯომის „ჯ. ჰ-ის“ კლინიკაში (შეყვანის დრო – 12:18 სთ), ხოლო იმავე დღეს, მოგვიანებით, კატასტროფის ბრიგადამ თბილისში ს.ს. „ს.კ.ე.ტ.ჰ-სი“ მიიყვანა (შეყვანის დრო – 19:50 სთ), ამ დროს პაციენტი კვლავ უგონოდ იყო. მოსარჩელეს დაესვა შემდეგი დიაგნოზი: პოლიტრავმა, ეპიდორული სისხლჩაქცევა, ტრავმული სუბარაქნოიდული ჰემატომა, თავის სხვა ნაწილების ღია ჭრილობა, დიდი წვივის დიაფიზის მოტეხილობა, კომა, სუნთქვის მწვავე უკმარისობა, ტრავმული შოკი.

5.2. ანამნეზითა და პაციენტის სამედიცინო დოკუმენტაციის თანახმად, პაციენტი მიიყვანეს ქ. ბორჯომში „ჯ. ჰ-ის“ კლინიკაში 2018 წლის 16 ოქტომბერს 12:18 საათზე ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მიღებული ტრავმით (ქვეითს დაეჯახა მსუბუქი ავტომობილი). შეყვანისას კომა „GCS5“ ქულა, გადაყვანილი იქნა მართვით სუნთქვაზე, კვლევების საფუძველზე დაესვა დიაგნოზი, გაენია გადაუდებელი სამედიცინო დახმარება, შემდგომი კვლევებისა და მკურნალობის მიზნით, გადაიყვანეს თბილისში სამედიცინო კლინიკაში, სადაც – შესვლისას ნევროლოგიურად სრულყოფილად ვერ შეფასდა მიმდინარე სედაციის გამო, გუგები იყო მიოზური, თანაბარი, ფოტორეაქცია ღუნე. ინტუბირებული იყო ოროტრაქეალურად, ფილტვის ხელოვნურ ვენტილაციაზე პორტატული აპარატით, ვენტილაცია გაგრძელდა „SIMV/PC“ რეჟიმში, სასტარტო პარამეტრებით. კანი იყო მშრალი, ხორბლისფერი, სხეულზე აღენიშნებოდა მრავლობითი ექსკორიაციები, შუბლის არეში გაკერილი ნახეთქი ჭრილობა, კათეტერიზებული იყო მარჯვენა ლავინქვეშა ვენა. „Pulmo“ – ტარდებოდა ორმხრივ, თანაბრად, ქვემო წილებში შესუსტებული, „SpO2“- 100%, „HR“- 105“, „NIBP“- 68/38მმHg, მუცელი შებერილი, ნ/პ არ მოისმინებოდა. შარდვა კათეტერით, შარდი შემღვრეული, ჩალისფერი. არასტაბილური ჰემოდინამიკის გამო, დაწყებული იყო ჰემოდინამიკური მხარდაჭერა ნორადრენალინით. ჩაუტარდა კლინიკო-ლაბორატორიული და რადიოლოგიური კვლევები, პოლიტრავმის რეჟიმში ჩატარებული „CT“ კვლევით დგინდებოდა შუბლის ძვლის მოტეხი-

ლობა, ორმხრივ შუბლის წილში კონტუზიის და სუბარაქნოიდული ჰემორაგიის მცირე უბნები, სუბარაქნოიდული ჰემორაგიის მცირე უბნები ორმხრივ თხემის წილებში და მარჯვნივ საფეთქლის წილშიც. ორმხრივ პლევრებში ვლინდებოდა მცირე რაოდენობით თავისუფალი სითხე, კეროვან ინფილტრაციული ცვლილებები ფილტვებში არ ისახებოდა. მარცხნივ მე-4, მე-5 ნეკნებზე მოტორული არტეფაქტების ფონზე არამკაფიოდ დიფერენცირდებოდა მოტეხილობები აქსილარულ ხაზზე. ლვიდლის ირგვლივ ვლინდებოდა მცირე ოდენობის გამონაჟონი, მარჯვნივ თედოს ძვალზე, ბოქვენის ძვალზე, საჯდომის ძვალსა და გავის ძვალზე გავა-თედოს შესახსრებასთან ისახებოდა მრავლობითი მოტეხილობა ფრაგმენტების ცდომილებით. მცირე მენჯსა და რეტროპერიტონეალურ სივრცეში, აგრეთვე რბილ ქსოვილებში ისახებოდა მომატებული სიმკვრივის გამონაჟონი. რენტგენოლოგიური კვლევით გამოვლინდა მარჯვენა ბოქვენისა და საჯდომის ძვლის მოტეხილობა ცდომით, მარჯვენა თედოს ფრთის მოტეხილობა ცდომით, მარცხენა ბოქვენის ძვლის მოტეხილობა, დამაკმაყოფილებელი დგომით.

„FAST“ კვლევით ორმხრივ პლევრაში გამონაჟონი არ ფიქსირდებოდა, მცირე მენჯის ღრუში აღინიშნებოდა მცირე რაოდენობით თავისუფალი სითხე, ლაბორატორიულად ანემია, HGB-78გ/L, ლეიკოციტოზი, WBC-17 10 9/L. ზოგადი ქირურგის, ნეიროქირურგის, ტრავმატოლოგის კონსულტაციით დაესვა დიაგნოზი: პოლიტრავმა, მუცლის ღრუს დახურული ტრავმა, ჰემოპერიტონეუმი, ქალა-ტვინის ტრავმა, ქალა-სარქვლის ძვლების ხაზოვანი მოტეხილობა, თავის ტვინის კეროვანი ტრავმა-დაჟეჟილობა, ტრავმული სუბარაქნოიდული სისხლჩაქცევა, კანქვეშა ჰემატომა და ნახეთქი ჭრილობა შუბლის არეში, მარცხენა წვივის ძვლების მრავლობითი ფრაგმენტოვანი მოტეხილობა, ბოქვენისა და საჯდომი ძვლების მოტეხილობა, მარცხენა მტევნის დაჟეჟილობა. საჭიროებდა გადაუდებელ ოპერაციულ მკურნალობას – ჰემოპერიტონეუმის ლიკვიდაციას, დაზიანებული სტრუქტურების აღდგენას ან ამოკვეთას, ზოგადი მდგომარეობის დასტაბილურების შემდგომ – წვივის ძვლების მოტეხილობის ფიქსაციას.

5.3. პაციენტს, სასიცოცხლო ჩვენებით, მუცლის ღრუს ორგანოთა ტრავმული დაზიანებისა და ჰემოპერიტონეუმის არსებობის გამო, 2018 წლის 16 ოქტომბერს 22:45 საათზე და 2018 წლის 17 ოქტომბერს 01:50 საათზე გაუკეთდა ოპერაცია: ლაპაროტომია, ნვრილი ნაწლავის ჯორჯლის გაკერვა მსხვილი ნაწლავის დესოროზებული უბნების გაკერვა, პერიტონეალური სივრცის დრენირება, მუცლის ღრუს სანაცია დრენირება – ზოგადი ანესთეზიით. ოპერაციის მსვლელობის დროს, სელსეივერის (სპეციალური აპარატურა საკუთარი სისხლის რეინფუზიისთვის) დახმარებით, მოხდა მუცლის ღრუში ჩალვრილი სისხლის (დაახლოე-

ბით 1200 მლ-მდე რაოდენობით) რეინფუზია, ვინაიდან ტექნიკურად შესაძლებელი იყო აღნიშნული სისხლის შეგროვება და პაციენტისათვის გადასხმა.

პოსტოპერაციული პერიოდი მიმდინარეობდა მძიმედ, სიმძიმეს განაპირობებდა შოკი, გამონეწეული მრავლობითი ტრავმით და სისხლის მასიური დანაკარგით, რასაც ადასტურებდა კლინიკური და ლაბორატორიული მონაცემები და რის გამოც საჭირო გახდა სასიცოცხლო ჩვენებებით ჰემოტრანსფუზია. კერძოდ, ოპერაციის დასრულების შემდეგომ სისხლის საერთო ანალიზის თანახმად, არტერიულ სისხლში ჰემოგლობინის მაჩვენებელი იყო 4.6 გ/დლ, მომატებული იყო ლაქტატის მაჩვენებელი (>5), რაც არასტაბილურ ჰემოდინამიკურ მაჩვენებელთან ერთად ადასტურებდა შოკს. ვინაიდან მოცემულ ეტაპზე პაციენტის წარმომადგენლის (შვილის) მიერ გაცხადებული იყო წერილობითი უარი სისხლის გადასხმაზე, შესაბამისად, აღნიშნული ჩარევისაგან იმ ეტაპზე თავი იქნა შეკავებული.

5.4. 2018 წლის 17 ოქტომბერს 03:10 საათზე განმეორებითი ლაბორატორიული კვლევის თანახმად, ვენურ სისხლში ჰემოგლობინი იყო 70 გ/ლ, არტერიულ სისხლში იყო 5.6 გ/დლ ჰემოგლობინის მაჩვენებელი.

5.5. 2018 წლის 17 ოქტომბერს 07:00 საათზე ჩატარებული კვლევის თანახმად – ჰემოგლობინი ვენურ სისხლში იყო 70 გ/ლ, არტერიულ სისხლში – 5.2 გ/დლ. ასევე, გაღრმავდა შოკი, რაზეც მეტყველებდა მომატებული ლაქტატის მაჩვენებელი.

5.6. 2018 წლის 17 ოქტომბერს, 13:16 საათზე ვენურ სისხლში ჰემოგლობინის მაჩვენებელმა დაიკლო 70 გ/ლ-იდან 5.9 გ/ლ-მდე. ვინაიდან აღნიშნული მაჩვენებელი იყო კრიტიკულად დაბალი, გაიმართა კონსილიუმი, მულტიპროფილურ ექიმთა მონაწილეობით. „კონსილიუმის გადაწყვეტილების საფუძველზე, სასიცოცხლო ჩვენებით (HGB-60 გ/ლ), გაკეთდა თანამოსახელე ერთი მასის ტრანსფუზია. მკურნალობა გაგრძელდა კრიტიკული მედიცინის განყოფილებაში. გაგრძელდა მონიტორინგი, რესპირატორული და ჰემოდინამიკური მხარდაჭერა, ანტიმიკრობული, გასტროპროტექციული სიმპტომური მკურნალობა, „ABGEL“ კორექცია, მდგომარეობა რჩებოდა მძიმე, განპირობებული მრავლობითი ტრავმით, ტრავმულ-ჰემორაგიული შოკით, რჩებოდა ანემია, ჰემოგლობინის მაჩვენებლის კლებადი დინამიკით, ჰემოდინამიკის სტაბილიზაციისთვის საჭიროებდა ადრენომიმეტიურ მხარდაჭერას.

პაციენტის მეუღლემ, რელიგიური მოსაზრებით უარი განაცხადა სისხლის პრეპარატების გადასხმაზე, თუმცა პაციენტის დისგან მიღებული იქნა წერილობითი თანხმობა. კონსილიუმის გადაწყვეტილების საფუძველზე, სასიცოცხლო ჩვენებით (HGB-60 გ/ლ) გაკეთდა თანამოსახელე ერთროციტული მასის ტრანსფუზია, თორაკოპერიურგისა და

კარდიოლოგის კონსულტაციისას, დაესვა დიაგნოზი: გულმკერდის და-
ხურული ტრავმა, ნეკნების მრავლობითი მოტეხილობა, გიდ. არტ. ჰი-
პერტენზია, გულის უკმარისობა II (NYAHA), გამონაჟონი პერიკარდი-
უმში, ქვემო კიდურების დუპლექსკანირებით სისხლძარღვები გამა-
ვალი, მაგისტრალური ტიპის ნაკადი ფიქსირდებოდა ტერფის დორსა-
ლურ არტერიაზე.

2018 წლის 18 ოქტომბრის თავის ტვინის საკონტროლო „CT“ კვლე-
ვით ორივე ჰემისფეროს შუბლის წილში ვლინდებოდა მცირე ზომის,
ნაწილობრივ ლიზირებული ჰემორაგიული კონტუზიური უბნები, რჩე-
ბოდა მცირე სუბარაქნოიდული სისხლჩაქცევა, ვრცელი დისჰემიური
უბანი მარჯვნივ პარაკოლოზურად და პარასაგიტალურად, თხემის წილ-
ში გავრცელებით, შუბლის ძვლის ხაზოვანი მოტეხილობა. ნევროლო-
გის და ნეოროქირურგის კონსულტაციის მიხედვით, ოპერაციულ ჩარე-
ვას ამ ეტაპზე არ საჭიროებდა, დაესვა დიაგნოზი: თავის ტვინის ინ-
ფარქტი.

მდგომარეობა რჩებოდა მძიმე, განპირობებული პოლიტრავმით და
ტრავმულ-ჰემორაგიული შოკით, იმყოფებოდა მართვით სუნთქვაზე,
ჰემოდინამიკურ მხარდაჭერაზე ნორადრენალინით, ლაბორატორიუ-
ლად რჩებოდა ანემია, (HGB-72გ/L), რის გამოც, შოკის გათვალისწინე-
ბით, წინასაოპერაციო მომზადების მიზნით 2018 წლის 20 ოქტომბერს
კვლავ გაუკეთდა ჰემოტრანსფუზია, აღნიშნულზე კვლავ იქნა მიღე-
ბული წერილობითი თანხმობა პაციენტის დისგან.

2018 წლის 21 ოქტომბერს, 15:30-17:30 საათზე პაციენტს გაუკეთდა
ოპერაცია: მარცხენა წვივის მოტეხილობის გარეგანი ფიქსაცია. მკურ-
ნალობის ფონზე მდგომარეობა დასტაბილურდა, რესპირატორული პა-
რამეტრების გამართვების შემდგომ 2018 წლის 14 ნოემბერს, 16:00
საათზე პაციენტი მოიხსნა მართვითი სუნთქვიდან, წვივის წინა ზედა-
პირზე აღენიშნებოდა კანისა და რბილი ქსოვილების დეფექტი, რის გა-
მოც, 2019 წლის 10 იანვარს, 15:40-19:40 საათზე გაუკეთდა ოპერაცია –
მარცხენა გასტროკნემიუსის მედიალური ფეხის ტრანსპოზიცია, ზო-
გადი ანესთეზიით. 2019 წლის 15 იანვარს პაციენტს აღენიშნა გენერა-
ლიზებული გულყრა, რომელიც აღმოიფხვრა რელანიუმით, ნევროლოგ-
თან შეთანხმებით დაწყებული იქნა ავტიკონვულსიური თერაპია – კარ-
ბამაზეპონი 600 მგ, კონვულსის ეპიზოდი აღარ განმეორებულა. მდგო-
მარეობა რჩებოდა სტაბილური, კონტაქტური იყო, არ შეცვლილა აფა-
ზია, დისფაგია, იოლი მარცხენა ჰემიპარეზი, სუნთქვა სპონტანური,
ტრაქეოსტომული მილით, ჟანგბადის ჰლ“ მიწოდების ფონზე კომპენ-
სირებული, ტრაქეის დეკანულაცია მოცემულ ეტაპზე ვერ ხერხდებო-
და ასპირაციის მაღალი რისკის გათვალისწინებით, RR-18, Pulmo – ქვე-
მო ველები შესუსტებული, SpO2-100%, HR-90, T/A-110/60მმHg. მუცე-

ლი რბილი, კვება ზონდით, დიურეზი ადეკვატური, ტ-36.8C, ლაბორატორიული მონაცემები ნორმის ფარგლებში. 2019 წლის 24 იანვარს 16:00 საათზე პაციენტი პატრონების მოთხოვნით და მათივე ხელმოწერის საფუძველზე, გაენერა კლინიკიდან.

5.7. სააპელაციო სასამართლომ უდავოდ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე 1995 წლიდან იეჰოვას მოწმეების მიმდევარი ქრისტიანია. ამ რელიგიით იეჰოვას მოწმეთა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დანაწესია, რომ ისინი უნდა მოერიდონ სხვისი სისხლის მიღებას, მათ შორის – სისხლის გადასხმას, რასაც მოსარჩელე იზიარებდა და იზიარებს.

5.8. 2016 წლის 20 ივლისს მოსარჩელის მიერ ხელმოწერილი იქნა ე.წ. „ნების გამოვლენა და მინდობილობა სამედიცინო მომსახურების აღმოჩენის შესახებ“, აღნიშნული წერილობითი ბარათის მიხედვით, დოკუმენტის ხელმოწერი დოკუმენტის შევსებით გამოხატავს ნებას სამედიცინო მომსახურების და უგონო მდგომარეობაში აღმოჩენის შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლებას ანდობს თავის წარმომადგენელს. ბარათის მე-2 პუნქტში მითითებულია შემდეგი: „მე ვარ იეჰოვას მოწმე და მოვითხოვ, რომ არავითარ შემთხვევაში, არ გადამისხან მთლიანი სისხლი ერთროციტები, ლეიკოციტები, თრომბოციტები ან სისხლის პლაზმა. ეს მოთხოვნა ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, როდესაც სამედიცინო მომსახურების გამწვევი თვლის, რომ საფრთხეშია ჩემი სიცოცხლე. უარს ვამბობ საკუთარი სისხლის წინასწარ შეგროვებასა და შენახვაზე მოგვიანებით გადასხმის მიზნით“. მე-4 პუნქტში აღნიშნულია, რომ: „არავის (მათ შორის ჩემს წარმომადგენელს) არა აქვს უფლება, უგულბელყოფს ამ დოკუმენტში გამოხატული ჩემი ნება ან მის საპირისპიროდ იმოქმედოს. ოჯახის წევრებს, ნათესავებს ან მეგობრებს შეიძლება განსხვავებული აზრი ჰქონდეთ, მაგრამ ეს არ ახდენს გავლენას ჩემს მტკიცე პოზიციაზე, რომელიც ეხება სისხლის გადასხმას და მკურნალობასთან დაკავშირებულ სხვა მითითებებს“. მე-5 პუნქტში აღნიშნულია, რომ: „გარდა ზემოხსენებულისა, ამ დოკუმენტით პირს, რომლის მონაცემებიც ქვემოთ არის მოყვანილი, ვანდობ ჩემს წარმომადგენლად ყოფნის უფლებას, რათა მიიღოს გადაწყვეტილებები ჩემთვის სამედიცინო მომსახურების აღმოჩენის შესახებ, მას აქვს სრული უფლებამოსილება, ჩემ მაგივრად თანხმობა განაცხადოს ან უარი თქვას მკურნალობის ამა თუ იმ მეთოდზე (მათ შორის – ხელოვნური გზით მინოდებულ საკვებ ნივთიერებებზე და სითხეებზე), გაესაუბროს ჩემს ექიმებს, მოითხოვოს სამედიცინო ჩანაწერების ასლები და მიმართოს სამართლებრივ ზომებს ჩემი უფლებების დასაცავად. იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება ჩემს პირველ წარმომადგენელთან დაკავშირება ან მას არ შეუძლია ან არ სურს ჩემი ინტერესების შესაბამისად მოქმედება, ზემოხსენებულ უფლებამოსილებას ვანიჭებ ქვემოთ მითითებულ

მეორე წარმომადგენელს“.

5.9. ბარათი ორგვერდიანი ოთხად მოსაკეცი ბლანკია, სადაც ტექსტი დაბეჭდილია. ბლანკში მოცემულია ცარიელი ადგილები რომელიც ბლანკის ხელმომწერის მიერ ან უნდა შეივსოს ხელით, ან – არა. ბლანკის 1-5 პუნქტები უკვე დაბეჭდილი სახით არის ბლანკში, მის შემვსებას მოეთხოვება მიუთითოს საკუთარი სახელი, გვარი, შეიტანოს ინფორმაცია მიღებული მედიკამენტების და იმჟამად არსებული ჯანმრთელობის მდგომარეობის (პრობლემების) და სასურველი მკურნალობის მეთოდის შესახებ, მიუთითოს საკუთარი მისამართი და ხელი მოაწეროს ბლანკს. ბლანკი მოიცავს დაბეჭდილი სახით შემდეგ ტექსტსაც „მონმეთა განცხადება: ვადასტურებ, რომ პირმა, რომელმაც ხელი მოაწერა ამ დოკუმენტს, ეს გააკეთა ჩემი თანდასწრებით, გაცნობიერებულად, იძულების, მოტყუების ან სხვა სახის ზეგავლენის გარეშე. ვარ სრულწლოვანი, მე არ ვარ წარმომადგენელი, რომელიც ნდობით არის აღჭურვილი ამ დოკუმენტის მიხედვით“, შემდეგ ხელით ჩანერილია ორი პიროვნების სახელი, გვარი და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები.

5.10. პირველი გადაუდებელი ოპერაცია მოსარჩელეს 2018 წლის 17 ოქტომბერს გაუკეთდა მოსარჩელის ნათესავების მიერ კლინიკისათვის პაციენტის აღმსარებლობისა და მკურნალობის კონკრეტული მეთოდის (არა სისხლი) აკრძალვის შესახებ მიწოდებული ზეპირი ინფორმაციისა და ბარათის გათვალისწინებით, რასაც მოსარჩელე მხარე სადავოდ არ ხდიდა და მიიჩნევდა, რომ სამედიცინო მომსახურება გაენია აღმსარებლობის პაციენტის ცემით.

5.11. მოგვიანებით, 2018 წლის 17 ოქტომბერს, 13:16 საათზე, ვენურ სისხლში ჰემოგლობინის მაჩვენებელმა დაიკლო 70 გ/ლ-იდან 59 გ/ლ-მდე. ვინაიდან ეს მაჩვენებელი იყო კრიტიკულად დაბალი, გაიმართა კონსილიუმი, მულტიპროფილურ ექიმთა მონაწილეობით. კონსილიუმის გადანყევითლების საფუძველზე, სასიცოცხლო ჩვენებით (HGB-60 გ/ლ), გაკეთდა თანამოსახელე ერთროციტული მასის ტრანსფუზია. დადგენილი იყო, რომ ერთრომასის პაციენტისათვის გადასხმაზე წერილობითი ფორმით თანხმობა გაცხადებული იქნა პაციენტის ნათესავის – ი. ა-ის მიერ. მოსარჩელე მხარის განმარტებით და მოსარჩელის ინტერვიუდან გამომდინარე, მან სტაციონარიდან განერის შემდეგ, მოგვიანებით შეიტყო სისხლის კომპონენტების მკურნალობის პროცესში გამოყენების შესახებ, რამაც სულიერი ტრავმა მიაყენა.

5.12. პაციენტისათვის თანამოსახელე ერთროციტული მასის ტრანსფუზია წარმოადგენდა სასიცოცხლო ჩვენებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ანემიის და ქსოვილების ჟანგბადით მომარაგების მწვავე დეფიციტის გამო, განვითარებულ შეუქცევად ცვლილებებს შესაძლებელია გამოენვია ავადმყოფის სიკვდილი. მოპასუხე მხარე მიუთითებდა, რომ

სისხლის გადაუხსმელობა პაციენტისათვის იქნებოდა ფატალური. მოსარჩელის განმარტებით, პაციენტს სისხლის გადასხმით მკურნალობის მიმართ წინასწარ ჰქონდა ნება გამოვლენილი და წინააღმდეგი იყო, სამედიცინო მანიპულაციის შესაბამისად, მიუხედავად შედეგისა, მოსარჩელისთვის სისხლი არ უნდა გადაესხათ.

5.13. სააპელაციო პალატის განმარტებით, დავა შეეხება სამედიცინო დანესებულების მიერ პაციენტისთვის სისხლის გადასხმის მართებულობას იმ პირობებში, როდესაც ეს უკანასკნელი ამგვარ სამედიცინო ჩარევაზე საკუთარი რწმენიდან გამომდინარე აცხადებს უარს. მოსარჩელემ სამედიცინო დანესებულებისა და ექიმის მიმართ აღძრული სარჩელით მოითხოვა სამედიცინო ქმედების შედეგად მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება მკურნალობის პროცესში მისი უფლებების დარღვევისათვის, კერძოდ, მისი აღმსარებლობისა და მის მიერ წინასწარ წერილობით განსაზღვრული მკურნალობის არასასურველი მეთოდის გამოყენებისათვის, რამაც მორალური ზიანი და სულიერი ტანჯვა მიაყენა.

5.14. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ პაციენტი სამედიცინო დანესებულებაში უგონოდ შეიყვანეს. პალატამ მიუთითა „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლზე, რომლის თანახმად, მცირეწლოვანი ან გაცნობიერებული გადანაცვლებების მიღების უნარის არმქონე პაციენტისათვის სამედიცინო ჩარევა სამედიცინო განათლებისა და სამეცნიერო კვლევის პროცესში მისი ჩართვა დასაშვებია, მხოლოდ პაციენტის მიერ წარსულში (როცა მას ჰქონდა გაცნობიერებული გადანაცვლებების მიღების უნარი) განცხადებული ნების გათვალისწინებით, ხოლო ასეთი ნების არარსებობისას – პაციენტის ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებული თანხმობით. დასახელებული მუხლის მიხედვით, ასეთი ნების გამოვლენა წარმოადგენს ცალმხრივ გარიგებას, თანახმად საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 50-ე მუხლისა (გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ). შესაბამისად, ნების გამოვლენა უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობას, იყოს ნამდვილი და არ არსებობდეს მისი ბათილობის საფუძველი.

5.15. მოცემულ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილია 2016 წლის 20 ივლისის ხელწერილი, სადაც მოსარჩელემ წინასწარ დააფიქსირა ნება სისხლის გადასხმის წინააღმდეგობასთან დაკავშირებით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის თანახმად, ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან. დად-

გენილი იყო, რომ მოსარჩელის მიერ შედგენილი ზემოხსენებული დოკუმენტი თარიღდება 2016 წლის 20 ივლისით, როდესაც მოსარჩელეს სამედიცინო მომსახურება არ მიუღია. აღნიშნული ხელწერილი – ნების გამოვლენა განპირობებული იყო მისი მრწამსით, ხოლო რელიგიის უფლება პირისთვის კონსტიტუციით დაცული უფლებაა. განსახილველ შემთხვევაში, უდავო იყო, რომ სამედიცინო დაწესებულება ინფორმირებული იყო მოსარჩელის მიერ გამოვლენილი ნების შესახებ, ვინაიდან თავდაპირველად კლინიკაში შეყვანისას უარის გამო, სისხლის გადასხმისგან თავი შეიკავეს ექიმებმა.

5.16. სააპელაციო სასამართლოს განსჯით, 2016 წლის 20 ივლისის ხელწერილში ნათლად და გარკვევით იკითხება პაციენტის ნება, რომ წინააღმდეგია სისხლის გადასხმაზე და ეს მოთხოვნა ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, როდესაც სამედიცინო მომსახურების გამწვევ მიიჩნევს, რომ საფრთხეშია მისი სიცოცხლე. ამასთან, პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ უარი მოსარჩელეს იმდენად ცალსახად ჰქონდა გამოხატული, რომ არავის არ აძლევდა უფლებას, უფულებელყო მისი ნების საწინააღმდეგო თანხმობის გაცემა. პაციენტს მითითებული აქვს, რომ ოჯახის წევრებს, ნათესავებს შეიძლება განსხვავებული აზრი ჰქონდეთ, მაგრამ ეს მის გადაწყვეტილებაზე გავლენას ვერ მოახდენს. აღნიშნული ხელწერილი შედგენილია მარტივი წერილობითი ფორმით, ნების გამოვლენა დაადასტურა თავად მოსარჩელემ. შესაბამისად, სხვა რაიმე სახით მისი ნამდვილობის დადასტურება, მათ შორის – სანოტარო ფორმა, არ შეიძლება სამედიცინო დაწესებულების მიერ მოთხოვნილიყო. პალატის მოსაზრებით, ასევე არ დასტურდებოდა ისეთი გარემოებები, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა მოსარჩელის მიერ გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების შეუძლებლობას. აღნიშნულ გარემოებას არ ადასტურებდა არც მოპასუხეების მიერ წარმოდგენილი და საქმეში არსებული მტკიცებულებები.

5.17. სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, ვინაიდან კონკრეტულ შემთხვევაში, სახეზე იყო პაციენტის (მოსარჩელის) ინფორმირებული თანხმობა და მისი ფარგლები სამედიცინო მომსახურების მიღების კონკრეტული მეთოდების მიმართ, სისხლის გადასხმა კი, ცალსახად სცდება აღნიშნულ ფარგლებს, არღვევს პირის რელიგიურ უფლებებს და ღირსებას, ვლინდებოდა მორალური ზიანის მოთხოვნის ნაწილში სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების საფუძველი. პალატამ ასანაზღაურებელი მორალური ზიანის გონივრულ ოდენობად კონკრეტულ შემთხვევაში 1000 ლარი მიიჩნია.

5.18. სააპელაციო საჩივრით დავის საგანი იყო ასევე მოპასუხე მ. ტ. ძისთვის დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედების შეჩერება 3 წლის ვადით. სააპელაციო

პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილების დასკვნა და მიიჩნია, რომ ამ ნაწილში სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი არ ვლინდებოდა. პალატის განმარტებით, „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 76-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედების შეჩერება არის სახელმწიფო სერტიფიკატით ნებადართული დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის დროებითი აკრძალვა. ამავე კანონის 77-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედების შეჩერების საფუძველია: ა) მისი მფლობელის მიერ სახელმწიფო სერტიფიკატით განსაზღვრული პირობების ან სახელმწიფო სერტიფიკატით ნებადართული დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა; ბ) სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელის მიერ ერთი წლის განმავლობაში სულ ცოტა 3-ჯერ მიღებული წერილობითი გაფრთხილება. განსახილველ შემთხვევაში, არ იკვეთებოდა სახელმწიფო სერტიფიკატის მოსარჩელის მიერ მითითებული ვადით შეჩერების არცერთი საფუძველი. სასამართლომ დამატებით განმარტა, რომ სასამართლოს კომპეტენციას არ განეკუთვნება საქმიანობის სერტიფიკატის მოქმედების შეჩერება, ვინაიდან არსებობს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – რეგულირების სააგენტო, რომელიც იხილავს საკითხს, სწავლობს სამედიცინო ისტორიას და დებს დასკვნას, ხოლო დასკვნის შედგენამდე ხდება აღნიშნული საკითხის სპეციალისტების მიერ შესწავლა, რომელიც უფრო ღრმა კვლევას მოიცავს და ამასთან ექიმსაც აძლევს შესაძლებლობას ამ პროცესში მოახდინოს თავისი უფლებების დაცვა, რომელიც შემდგომში საჩივრდება ადმინისტრაციული წესით. შესაბამისად სამოქალაქო წესით აღნიშნული საკითხი ვერ განიხილებოდა.

6. სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მოპასუხეებმა, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით – სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

6.1. პაციენტის ნების გამოვლენის ნამდვილობა მცირე ეჭვსაც კი არ უნდა იწვევდეს, უნდა იყოს მკაფიოდ გამოხატული და არაორაზროვანი, უნდა დგინდებოდეს, რომ ადამიანს, რომელმაც ამგვარი ნება გამოხატა, გადაწყვეტილების მიღების მომენტში გონივრული განსჯა შეეძლო შესაბამისი ექიმის მხრიდან ინფორმაციის მიწოდების შემდეგ. ამასთან, ეს გადაწყვეტილება უნდა იყოს ისეთ პერიოდში მიღებული, რომ არ იყოს მოსალოდნელი გამოვლენილი ნების შეცვლა, თუნდაც გარკვეული გარემოებებისა და ადამიანის მსოფლმხედველობის შეცვლის გამო. სხვა შემთხვევაში, შესაძლოა, ექიმი და სამედიცინო დაწესებულება ისეთი შედეგის წინაშე აღმოჩნდეს, რომლის გამოსწორებაც შე-

უძლებელია, რადგან გარდაცვლილი ადამიანისათვის სიცოცხლის დაბრუნებას ვერც ექიმი და ვერც სამედიცინო დაწესებულება ვერ შეძლებს. სისხლის გადასხმისას, შესაძლოა პაციენტი გარკვეული ინფექციით დაინფიცირდეს, რომლის მკურნალობაც შესაძლებელია, ხოლო გადაუსხმელობისას სიკვდილის თავიდან აცილება – შეუძლებელი.

6.2. მესამე პირი, მათ შორის – პაციენტის ნათესავი არ არის უფლებამოსილი, გამოხატოს ნება უგონო/კომატოზურ მდგომარეობაში მყოფი პირის მკურნალობის ისეთი მეთოდის არჩევასთან დაკავშირებით, მათ შორის მკურნალობაზე უარის თქმის შესახებ, რაც უგონო/კომატოზურ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის სიკვდილს გამოიწვევს ან სიკვდილის საფრთხეს შექმნის.

6.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის მიზანია, დავის შემთხვევაში, გაირკვეს, რა განზრახვა ჰქონდა მხარეს ნების გამოვლენის მომენტისათვის. ამიტომაც, კანონით გადამწყვეტია „ნების გონივრული განსჯა“, რაც ნიშნავს კანონში მითითებული სადავო გამონათქვამის იმ მნიშვნელობის დადგენას, რომელსაც გონიერი ადამიანი ანალოგიურ პირობებში მიანიჭებდა. გონივრულობა მოცემული ურთიერთობის სრულად აღქმა და განსჯაა და არა – გამოყენებული გამონათქვამის ვიწრო გაგება. ყურადსაღებია, რომ მოსარჩელემ ბარათზე ხელმოწერით ნება გამოავლინა 2016 წელს, როდესაც ბლანკზე მოაწერა ხელი, რომლის დაბეჭდილი დებულებების შეცვლა მას არ შეეძლო მკაცრი ინსტრუქციიდან გამომდინარე. მოსარჩელის სამედიცინო დაწესებულებაში შეყვანის დროს, 2018 წელს, იგი უგონოდ იყო, მისი ნების გამოვლენიდან გასული იყო თითქმის 2 წელი და ამასთან, ჯანმრთელობიდან გამომდინარე, ნების გამოხატვა მას არ შეეძლო.

6.4. სამედიცინო დაწესებულებისათვის წარდგენილი ბარათით პაციენტის გაცნობიერებული ნების გამოვლენის დადგენა შეუძლებელი იყო. საგულისხმოა ის გარემოება, რომ ადამიანმა, რომელიც სიკვდილსიცოცხლის ზღვარზეა, თვითონ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება გააგრძელოს სიცოცხლე თუ არა, თუნდაც სიცოცხლის გაგრძელებაზე უარის თქმის შესახებ მანამდე ჰქონდეს გამოვლენილი ნება.

6.5. ყურადსაღებია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, სიცოცხლის უფლება სიკვდილის უფლებას არ მოიცავს, ანუ პაციენტს უფლება არ აქვს, სხვა პირი, მათ შორის – ექიმი სიცოცხლის მოსასპობად გამოიყენოს.

6.6. სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა პაციენტის უფლებების შესახებ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტით, რომლის თანახმად, საქართველოს მოქალაქეს უფლება აქვს, წინასწარ წერილობით გამოხატოს ნება (თანხმობა ან უარი) უგონო მდგომარეობაში აღმოჩენისას ან გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის

დაკარგვისას მისთვის სარეანიმაციო, სიცოცხლის შემანარჩუნებელი ან პალიატიური მკურნალობის ან/და მის მიმართ პალიატიური ან ჰოსპისური მზრუნველობის შესახებ, თუ მითითებული გარემოება გამოწვეულია: ა) განუკურნებელი დაავადების ტერმინალური სტადიით; ბ) დაავადებით, რომელიც აუცილებლად გამოიწვევს მძიმე ინვალიდობას. აღნიშნული ნორმის შინაარსი მოიცავს ისეთ შემთხვევას, როდესაც პაციენტი სისხლის გადასხმაზე ან სხვა სამედიცინო მანიპულაციაზე უარს აცხადებს უშუალოდ ექიმის, ან სპეციალისტის წინაშე წერილობითი ფორმით, ანუ, როდესაც, პაციენტის მხრიდან ხდება პირდაპირი ფორმით ნების გამოვლენის დაფიქსირება და თან ამგვარი ნების გამოვლენას წინ უსწრებს სპეციალისტის/ექიმის მიერ შესაბამისი კონსულტაციის გაწევა ამ უარის სავარაუდო შედეგების შესახებ.

6.7. გაუთვინცობიერებული გადაწყვეტილების მიღების მდგომარეობაში მყოფი პაციენტის მკურნალობასთან დაკავშირებით პაციენტის უფლებების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, მკურნალობის პროცესში ერთვება ნათესავი. ამ კანონის მე-4 მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად, პაციენტის ნათესავი არის – პირი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი რიგითობის მიხედვით აქვს უპირატესი უფლება მონაწილეობა მიიღოს პაციენტისათვის სამედიცინო მომსახურების აღმოჩენასთან ან მის სიკვდილთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში. პაციენტის უფლებების შესახებ საქართველოს კანონში საუბარია რიგითობაზე, რომელიც სპეციალური კანონით უნდა განსაზღვრულიყო, თუმცა ჯერჯერობით არ განსაზღვრულა. კონკრეტულ შემთხვევაში, უდავოა, რომ მოსარჩელეს არ ჰქონდა შესაძლებლობა და უნარი მიეღო გაცნობიერებული გადაწყვეტილება. ასევე, საეჭვო იყო, მკურნალობის ჩამტარებლისათვის ნამდვილად გამოავლინა თუ არა პაციენტმა ამგვარი ნება. პაციენტის უფლებების შესახებ კანონი პირდაპირ არ მიუთითებს როდესაც პაციენტს არ შესწევს გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარი, აქვს თუ არა კონკრეტულად რომელიმე ნათესავს უპირატესი უფლება მიიღოს პაციენტის ნაცვლად გადაწყვეტილება მკურნალობის მეთოდის შერჩევასთან დაკავშირებით, მაშინ, როდესაც, ასეთი გადაწყვეტილებით წყდება პაციენტის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი. კანონში მითითებაა ნათესავზე, რომელიც შეიძლება იყოს როგორც მეუღლე, ისე შვილი, და ან ძმა და ა.შ.

6.8. სამედიცინო დანესებულებამ, მანამ შესაძლებლობა ჰქონდა, სავარაუდო რელიგიური მრწამსის გათვალისწინებით, პაციენტს სამედიცინო მომსახურება გაუწია ალტერნატიული მეთოდით, რათა არ დარღვეულიყო მისი შესაძლო აღმსარებლობის უფლება, რაც სადავო არ გამხდარა. კლინიკამ გამოიყენა მკურნალობის ალტერნატიული მეთო-

დები, თუმცა პირველი ოპერაციის შემდგომ ისეთი მოცემულობა შეიქმნა, რომ პაციენტის ჰემოგლობინის მაჩვენებელი, დინამიკაში დავარდა იმ ნიშნულამდე, როდესაც უკვე საფრთხე დაემუქრა მის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას. პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე დაკითხული სპეციალისტის ჩვენებით გამოირკვა, რომ ერთროპოეტივით მკურნალობა ვერ იქნებოდა ეფექტური, ვინაიდან სისხლის ალდგენას ხანგრძლივი დრო სჭირდებოდა, ხოლო ადამიანის სისხლში ჟანგბადის სიმცირის გამო, შესაძლოა განვითარებულიყო სხვადასხვა დაზიანება, კერძოდ, გამონეწულიყო თავის ტვინის ტრავმა ან სიკვდილი.

6.9. პაციენტის უფლებების შესახებ საქართველოს კანონის 25.1, 25.2 და 25.3 მუხლების ანალიზი ცხადყოფს, რომ როდესაც აშკარაა, პაციენტის გარდაუვალი სიკვდილი ან პაციენტის სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობა, რის გამოც აუცილებელია მისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევა, სამედიცინო დაწესებულება ვალდებულია, იმოქმედოს პაციენტის ინტერესების შესაბამისად, თუ უგონო მდგომარეობამდე პაციენტი თვითონ არ გამოხატავს ნებას მკურნალობასთან დაკავშირებით. განსახილველ შემთხვევაში, უდავოდ დადგენილია, რომ მოსარჩელის მდგომარეობა იყო უკიდურესად მძიმე. ნიშანდობლივია, რომ ჰოსპიტალიზაციის ყველა ეტაპზე პაციენტი შეფასდა სწორად, კლინიკური მართვისას, დაცული იქნა შესაბამისი პროტოკოლები და გაიდლაინები. პაციენტისათვის თანამოსახელე ერთროპოეტიული მასის ტრანსფუზია წარმოადგენდა სასიცოცხლო ჩვენებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ანემიისა და ქსოვილების ჟანგბადით მომარაგების მწვავე დეფიციტის გამო, განვითარებულ შეუქცევად ცვლილებებს შესაძლებელია გამოეწვია ავადმყოფის სიკვდილი. ამდენად, ვინაიდან მოსარჩელისათვის სისხლის გადასხმა წარმოადგენდა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხს, სამედიცინო დაწესებულება ვალდებული იყო, ემოქმედა პაციენტის ინტერესების შესაბამისად და გადაერჩინა მისი სიცოცხლე.

6.10. შესაძლებელია ითქვას, რომ წამებად და არაადამიანურ მოპყრობად შეიძლება შეფასებულიყო კლინიკის ექიმის ისეთი სცენარიო მოქმედება, როგორსაც მოსარჩელე მხარე სთავაზობდა სასამართლოს, კერძოდ, მეორე ოპერაციამდე ერთროპოეტიული მასის გადასხმის სანაცვლოდ, ექიმი დალოდებოდა პაციენტის მიერ ბუნებრივად სისხლის მოცულობის აღდგენას ალტერნატიული მედიკამენტის – ერთროპოეტიონის გამოყენებით, მაშინ, როდესაც, მოტეხილი წვივი სპეციალისტის ჩვენებით ასევე იწვევს სისხლის დანაკარგს, ერთროპოეტიონის ეფექტური შედეგი მცირე დროში არ მიიღწევა და, ამასთან, პაციენტი გონზე რომ ყოფილიყო, განიცდიდა ხანგრძლივ და ძლიერ ტკივილს.

6.11. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა, რომ წინამ-

დებარე დავაში მნიშვნელოვანი იყო მოსარჩელის ინფორმირებული თანხმობის სამართლებრივი შედეგები და სისხლის გადასხმაზე გამოვლენილი ნების მართებულობა. სადავო საკითხის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტის დადგენას, მოსარჩელისათვის სისხლის გადაუსხმელობა გამოიწვევდა თუ არა მისი ჯანმრთელობის მნიშვნელოვნად დაზიანებას ან/და სიკვდილს. პაციენტის უფლებების შესახებ საქართველოს კანონის 25.3 მუხლი და საექიმო საქმიანობის შესახებ კანონის 45.3 მუხლი პირდაპირ ითვალისწინებს სამედიცინო მომსახურების გამწვევის ვალდებულებას, იმოქმედოს პაციენტის ჯანმრთელობის ინტერესების გათვალისწინებით, მაშინ, როდესაც პაციენტი საჭიროებს გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების გაწევას.

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ საკასაციო საჩივარი ცნობილი იქნა დასაშვებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმეში არსებული მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

8. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

9. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის ფარგლებში, საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანია სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსებული უგონოდ მყოფი პაციენტისათვის სისხლის გადასხმის შესახებ მოპასუხეთა მიერ მიღებული სამედიცინო გადაწყვეტილების მართლობიერება.

10. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამას-

თან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემონმბაც სასამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა, რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი წანამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა, გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას.

11. საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება სასამართლოს კომპეტენციაა, თუმცა საქმეზე გადანყვეტილება მიღებული უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში. სადავო ურთიერთობის სამართლებრივი შეფასება სასამართლოს ვალდებულებაა, მიუხედავად იმისა, ედავეებიან თუ არა ამ შეფასებას მხარეები. ეს იმას ნიშნავს, რომ სარჩელში, სააპელაციო და საკასაციო საჩივრებში მოცემული სამართლებრივი შეფასებები მხოჭავი არ არის სასამართლოსთვის და მას ყოველთვის შეუძლია, განსხვავებულად შეაფასოს სადავო სამართალურთიერთობა.

12. განსახილველ შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნა დაეფუძნა შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

მოსარჩელე (პაციენტი) 1995 წლიდან არის იეჭოვას მოწმეთა მიმდევარი და თავისი აღმსარებლობის გათვალისწინებით, სისხლის ან/და მისი კომპონენტების გადასხმის წინააღმდეგია. აღნიშნულის თაობაზე 2016 წლის 20 ივლისს ხელმოწერილი აქვს ე.წ. „სამედიცინო დირექტივა/მითითება“ (სათაურით – „არავითარი სისხლი“), სადაც ასახულია ჰემოტრანსფუზიის წინააღმდეგობის თაობაზე მოსარჩელის პოზიცია და განკუთვნილია სწორედ ისეთი შემთხვევებისთვის, თუკი პაციენტი აღმოჩნდება უგონო მდგომარეობაში და ვერ შეძლებს თავისი გადანყვეტილებისა და ნების შესახებ პირადად, სიტყვიერად აცნობოს ექიმს.

2018 წლის 16 ოქტომბერს, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, მოსარჩელემ მიიღო რა მძიმე დაზიანებები, იმყოფებოდა უგონო მდგომარეობაში. სამედიცინო დაწესებულებაში განთავსებისთანავე, მეუღლემ და შვილებმა სამედიცინო პერსონალს აცნობეს უგონოდ მყოფი პაციენტის აღმსარებლობა და ჰემოტრანსფუზიის შესახებ პოზიცია, ამავდროულად, თავადაც განაცხადეს უარი პაციენტისათვის სისხლის გადასხმაზე, როგორც ზეპირსიტყვიერად, ისე წერილობით.

მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხეებმა იცოდნენ პაციენტის რელიგიური მიმდევრობა და ჰემოტრანსფუზიის წინააღმდეგობასთან დაკავშირებით მისი წინასწარ წერილობით გამოვლენილი ნება, მათ ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად მოსარჩელის დას ხელი მოაწერინეს სისხლის გადასხმის თანხმობის დოკუმენტს და, პაციენტის ნების უგულვებელყოფით, მაინც გადაუსხეს ამ უკანასკნელს სისხლი, რამაც მოსარჩელეს ძლიერი სულიერი ტრავმა მიაყენა და მნიშვნელოვნად შეულახა როგორც ღირსება, ისე – რელიგიური მრწამსი.

მოსარჩელის მტკიცებით, იმ პირობებში, როდესაც, წინასწარ, წერილობით ჰქონდა ნება გამოვლენილი სისხლის გადასხმასთან დაკავშირებით, აღნიშნულის შესახებ ინფორმირებული იყო სამედიცინო დაწესებულება და ექიმები, ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ ოჯახის წევრებმა: მეუღლემ და შვილებმა, უარი განაცხადეს პაციენტისათვის სისხლის გადასხმაზე, ხოლო წერილობითი თანხმობა ჰემოტრანსფუზიაზე მოპოვებული იქნა ფსიქოლოგიური ზეწოლით პაციენტის დისგან (რომელიც არ იყო უფლებამოსილი მსგავსი თანხმობის გაცემაზე), ამასთან, რადგანაც რელიგიური მრწამსიდან გამომდინარე, სისხლის გადასხმამ სულიერად მძიმე ტკივილი მიაყენა, იკვეთება მოპასუხეთათვის მორალური ზიანის დაკისრების საფუძველი.

13. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურს, კერძოდ, მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ სასარჩელო მოთხოვნა შესაძლოა დაეფუძნოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 და მე-6 ნაწილებს (პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან; ამ მუხლით გათვალისწინებული სიკეთის დაცვა ხორციელდება, მიუხედავად ხელმყოფის ბრალისა. ხოლო, თუ დარღვევა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით, პირს შეუძლია მოითხოვოს ზიანის (ზარალის) ანაზღაურებაც. ზიანის ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს იმ მოგების სახით, რომელიც წარმოექმნა ხელმყოფს. ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს უფლება აქვს მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღა-

ურებაც. მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად) და 413-ე მუხლის პირველ ნაწილს (არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით); ასევე, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტს (ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის პრინციპებია ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა, პაციენტის პატივის, ღირსებისა და მისი ავტონომიის აღიარება), მე-8 მუხლის პირველ პუნქტს (სამკურნალო, დიაგნოსტიკურ, სარეაბილიტაციო, პროფილაქტიკურ და პალიატიური მზრუნველობის პროცესებში პაციენტის მონაწილეობის აუცილებელი პირობაა ზეპირი ან წერილობითი ინფორმირებული თანხმობა), მე-9 მუხლს (პაციენტს უფლება აქვს უარი თქვას ნებისმიერ სამედიცინო ჩარევაზე, გარდა საქართველოს კანონმდებლობით და ამ კანონის 76-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.) მე-11 მუხლს (მცირეწლოვანი ან გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის არმქონე პაციენტისათვის სამედიცინო ჩარევის ჩატარება დასაშვებია მხოლოდ პაციენტის მიერ წარსულში (როცა მას ჰქონდა გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარი) განცხადებული ნების გათვალისწინებით, ხოლო ასეთი ნების არარსებობისას – პაციენტის ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებული თანხმობით); „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველ პუნქტს (კანონის მიზანია მოქალაქის უფლებების დაცვა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, აგრეთვე მისი პატივისა და ღირსების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა) მე-10 მუხლის „ა.ა“ ქვეპუნქტს (პაციენტს ან მის კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს კომპენსაცია ქონებრივი და არაქონებრივი ზიანისა, რომლებიც გამოწვეულია პაციენტის უფლებების დარღვევით) და მე-15 მუხლს (პაციენტს უფლება აქვს სამედიცინო მომსახურების გამწვეისაგან მოითხოვოს მისი ღირსების, ტრადიციების, აღმსარებლობისა და პიროვნული ფასეულობების პატივისცემა).

14. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სარჩელისაგან მოპასუხის თავდაცვის ისეთ ეფექტურ საშუალებას, როგორიცაა შესაგებელი. შესაგებელი, როგორც მოპასუხის საპროცესო თავდაცვის საშუალება მნიშვნელოვანი ინსტიტუტია სამოქალაქო სამართალწარმოებაში, მასში ვლინდება წერილობითი შეჯიბრებითობის პრინციპი. სარჩელის წარმატება იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად კვალიფიციურად დაიცავს თავს მოპასუხე სარჩელისაგან.

15. მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხეებმა სარჩელის წინააღმდეგ წარმოდგენილი შესაგებლით მოსარჩელის მოთხოვნა შემდეგი არგუმენტაციით გამოიციხეს: როდესაც აშკარაა, პაციენტის გარდაუვალი სიკვდილი ან პაციენტის სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობა და, შესაბამისად, აუცილებელია მისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევა, სამედიცინო დაწესებულება ვალდებულია, იმოქმედოს პაციენტის ინტერესების შესაბამისად. ვინაიდან, უგონოდ მყოფი მოსარჩელისათვის, რომელსაც არ ძალუძდა გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარი, სისხლის გადასხმა წარმოადგენდა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხს, სამედიცინო დაწესებულება ვალდებული იყო, ემოქმედა პაციენტის ინტერესის შესაბამისად და გადაერჩინა მისი სიცოცხლე.

მოპასუხეთა განმარტებით, მოსარჩელის ოჯახის წევრების მიერ კლინიკაში წარმოდგენილი იქნა სისხლის გადასხმის წინააღმდეგობასთან დაკავშირებით ხელით შევსებული ბარათი, რომელიც არ იყო დამონებული ნოტარიულად. აღნიშნული დოკუმენტით ვერ ხერხდებოდა იდენტიფიცირება მასზე ხელმოწერი პირი ნამდვილად იყო თუ არა მოსარჩელე, ასევე, მასში ასახული ინფორმაცია სისხლის გადასხმაზე უარის თქმის შესახებ იყო თუ არა პაციენტის რეალური ნება, შესაბამისად, ეს დოკუმენტი ვერ იქნებოდა გათვალისწინებული, მითუმეტეს, რომ პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა იყო უკიდურესად მძიმე და კრიტიკული ანემიის, არასტაბილური ჰემოდინამიკის გათვალისწინებით, სასიცოცხლო ჩვენებით გადაუდებლად საჭიროებდა თანამოსახელე ერთირობითი მასის ტრანსფუზიას.

ამასთან, მოპასუხეთა მითითებით, საგულისხმო იყო ის გარემოება, რომ მართალია, მოსარჩელის მეუღლემ და შვილებმა უარი განაცხადეს პაციენტისათვის სისხლის გადასხმაზე, თუმცა ჰემოტრანსფუზია ჩატარდა კონსილიუმის გადაწყვეტილების საფუძველზე პაციენტის დისგან მიღებული წერილობითი თანხმობის შედეგად. მოპასუხეებს მიაჩნიათ, რომ აღნიშნული გარემოებები კონკრეტულ შემთხვევაში გამოიციხავს მათ პასუხისმგებლობას.

16. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, წინამდებარე დავის სწორად გადაწყვეტისათვის, პირველ რიგში, შესაფასებელია საკითხი, დაირღვა თუ არა მედპერსონალის მხრიდან პაციენტისათვის სისხლის გადასხმით ამ უკანასკნელის პირადი ცხოვრების, თვითგამორკვევისა და ავტონომიის უფლება, რისთვისაც აუცილებელია, დადგინდეს ზღვარი პაციენტის ნების ავტონომიასა და ექიმის/სამედიცინო დაწესებულების მხრიდან პაციენტის სიცოცხლის გადარჩენის ვალდებულებას შორის.

პალატა განმარტავს, რომ ასეთ შემთხვევაში, სასამართლოსთვის

ამოსავალი წერტილია, პაციენტის ავტონომიურ უფლებასა და გადაუდებელ სამედიცინო შემთხვევაში, სამედიცინო სფეროს წარმომადგენელთა ვალდებულებას შორის ბალანსის დაცვა. საგულისხმოა, თუ რას უნდა მიენიჭოს უპირატესობა მსგავსად კრიტიკულად მძიმე და გადაუდებელ შემთხვევაში, უგონოდ მყოფი პაციენტის წინასწარ, ავტოსაგზაო შემთხვევამდე რამდენიმე წლით ადრე გაცხადებულ ნებას (სისხლის გადასხმის წინააღმდეგობის თაობაზე), თუ – პაციენტის მკურნალი ექიმების დასკვნასა და მათ ერთობლივ რეკომენდაციას მისი სიცოცხლის გადარჩენის მოტივით ჰემოტრანსფუზიის აუცილებლობაზე. საკითხის დელიკატური და სენსიტიური ბუნებიდან გამომდინარე, მხედველობაშია მისაღები, როგორც სამართლებრივი, ისე – სამედიცინო და ეთიკური ასპექტები.

17. განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია და არც საკასაციო საჩივრითაა შედავებული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

17.1. მოსარჩელე 1995 წლიდან იეჰოვას მოწმეა. 2016 წლის 20 ივლისს მას ხელმოწერილი აქვს იეჰოვას მოწმეთათვის განკუთვნილი წერილობითი დოკუმენტი, სისხლის გადასხმის წინააღმდეგობასთან დაკავშირებით. ბარათის მე-2 პუნქტში მითითებულია შემდეგი: „მე ვარ იეჰოვას მოწმე და მოვითხოვ, რომ არავითარ შემთხვევაში არ გადამისხან მთლიანი სისხლი ერთროციტები, ლეიკოციტები, თრომბოციტები ან სისხლის პლაზმა. ეს მოთხოვნა ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, როდესაც სამედიცინო მომსახურების გამწევი თვლის, რომ საფრთხეშია ჩემი სიცოცხლე. უარს ვამბობ საკუთარი სისხლის წინასწარ შეგროვებასა და შენახვაზე მოგვიანებით გადასხმის მიზნით“. მე-4 პუნქტში აღნიშნულია, რომ: „არავის (მათ შორის – ჩემს წარმომადგენელს) არ აქვს უფლება, უფლებელყოს ამ დოკუმენტში გამოხატული ჩემი ნება ამ მის საპირისპიროდ იმოქმედოს. ოჯახის წევრებს, ნათესავებს ან მეგობრებს შეიძლება განსხვავებული აზრი ჰქონდეთ, მაგრამ ეს არ ახდენს გავლენას ჩემს მტკიცე პოზიციაზე, რომელიც ეხება სისხლის გადასხმას და მკურნალობასთან დაკავშირებულ სხვა მითითებებს“. მე-5 პუნქტში აღნიშნულია: „გარდა ზემოხსენებულისა, ამ დოკუმენტით პირს, რომლის მონაცემებიც ქვემოთ არის მოყვანილი, ვანდობ ჩემს წარმომადგენლად ყოფნის უფლებას, რათა მიიღოს გადაწყვეტილებები ჩემთვის სამედიცინო მომსახურების აღმოჩენის შესახებ, მას აქვს სრული უფლებამოსილება, ჩემ მაგივრად თანხმობა განაცხადოს ან უარი თქვას მკურნალობის ამა თუ იმ მეთოდზე (მათ შორის – ხელოვნური გზით მიწოდებულ საკვებ ნივთიერებებზე და სითხეებზე), გაესაუბროს ჩემს ექიმებს, მოითხოვოს სამედიცინო ჩანაწერების ასლები და მიმართოს სამართლებრივ ზომებს ჩემი უფლებების დასაცავად. იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება ჩემს პირველ წარმომადგენელთან და-

კავშირება ან მას არ შეუძლია ან არ სურს ჩემი ინტერესების შესაბამისად მოქმედება, ზემოხსენებულ უფლებამოსილებას ვანიჭებ ქვემოთ მითითებულ მეორე წარმომადგენელს“.

17.2. 2018 წლის 16 ოქტომბერს ქ. ბორჯომში, მოსარჩელეს დაეჯახა ავტომობილი. შეჯახების შედეგად, მოსარჩელემ მიიღო მძიმე ტრავმები, დაკარგა გონება და დაუყოვნებლივ იქნა გადაყვანილი ადგილობრივ საავადმყოფოში (შეყვანის დრო – 12:18 სთ). იმავე დღეს, კატასტროფის ბრიგადამ იგი თბილისში, მოპასუხე სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანა (შეყვანის დრო – 19:50 სთ), ამ დროს პაციენტი კვლავ უგონოდ იყო. მოსარჩელეს დაესვა შემდეგი დიაგნოზი: პოლიტრავმა, ეპიდორული სისხლჩაქცევა, ტრავმული სუბარაქნოიდული ჰემატომა, თავის სხვა ნაწილების ღია ჭრილობა, დიდი წვივის დიაფიზის მოტეხილობა, კომა, სუნთქვის მწვავე უკმარისობა, ტრავმული შოკი. პაციენტის მდგომარეობა იყო კრიტიკულად მძიმე, მას გაენია გადაუდებელი დახმარება და ჩაუტარდა ოპერაცია, თუმცა პოსტოპერაციული პერიოდი მიმდინარეობდა მძიმედ, რაც განპირობებული იყო მრავლობითი ტრავმით გამოწვეული შოკითა და სისხლის დიდი დანაკარგით (იხ. წინამდებარე განჩინების 5.1-5.6 პუნქტები).

17.3. პაციენტის კრიტიკულად მძიმე მდგომარეობის გამო, ექიმთა კონსილიუმმა სასიცოცხლოდ აუცილებლად მიიჩნია ჰემოტრანსფუზია. პაციენტის მეუღლემ და შვილებმა რელიგიური მრწამსიდან გამომდინარე უარი განაცხადეს სისხლის გადასხმაზე, პაციენტის დამ კი, რომელიც ასევე იეჰოვას მოწმეა, წერილობით ინფორმირებული თანხმობა განაცხადა ჰემოტრანსფუზიაზე.

17.4 პაციენტის დისგან გაცხადებული წერილობითი თანხმობის შემდეგ მოსარჩელეს ჰემოტრანსფუზია რამდენჯერმე ჩაუტარდა.

17.5 ჩატარებული მკურნალობის შედეგად, მოსარჩელის მდგომარეობა გაუმჯობესდა, დასტაბილურდა და იგი 2019 წლის 24 იანვარს, 16:00 საათზე გაენერა კლინიკიდან.

17.6 მოსარჩელე სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობის მთელი პერიოდის განმავლობაში იმყოფებოდა უგონო მდგომარეობაში. მას არც კლინიკიდან განერის დროს არ შეეძლო გაცნობიერებული გადანყვეტილების მიღება.

17.7 ჰოსპიტალიზაციის ყველა ეტაპზე ექიმების მხრიდან პაციენტი შეფასებული იქნა სწორად. კლინიკური მართვისას დაცული იყო შესაბამისი პროტოკოლები და გაიდლაინები. პაციენტისათვის თანამოსახელე ერითროციტული მასის ტრანსფუზია წარმოადგენდა სასიცოცხლო ჩვენებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ანემიისა და ქსოვილების ჟანგბადით მომარაგების მწვავე დეფიციტის გამო განვითარებულ შეუქცევად ცვლილებებს შესაძლებელია გამოენვია ავადმყოფის სიკვდი-

ლი.

18. „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 24.1 მუხლის თანახმად, საქართველოს მოქალაქეს უფლება აქვს, წინასწარ წერილობით გამოხატოს ნება (თანხმობა ან უარი) უგონო მდგომარეობაში აღმოჩენისას ან გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის დაკარგვისას მისთვის სარეანიმაციო, სიცოცხლის შემანარჩუნებელი ან პალიატიური მკურნალობის ჩატარების ან/და მის მიმართ პალიატიური მზრუნველობის ან ჰოსპისური მზრუნველობის განხორციელების შესახებ, თუ მითითებული გარემოება გამომწვეულია: ა) განუკურნებელი დაავადების ტერმინალური სტადიით; ბ) დაავადებით, რომელიც აუცილებლად გამოიწვევს მძიმე ინვალიდობას.

„პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 25.3 მუხლის მიხედვით, თუ მცირეწლოვანი ან გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის არმქონე პაციენტი საჭიროებს გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების განევას, რის გარეშეც გარდაუვალია მისი სიკვდილი, მაგრამ პაციენტის ნათესავი ან კანონიერი წარმომადგენელი სამედიცინო მომსახურების განევის წინააღმდეგია, სამედიცინო მომსახურების გამწვევი გადაწყვეტილებას იღებს პაციენტის ჯანმრთელობის ინტერესების გათვალისწინებით. ამავე კანონის 25.1 მუხლის თანახმად, თუ მცირეწლოვანი ან გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის არმქონე პაციენტის ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლის გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება პაციენტის ჯანმრთელობის ინტერესებს, სამედიცინო მომსახურების გამწვევს უფლება აქვს, ეს გადაწყვეტილება სასამართლოში გაასაჩივროს.

„პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 22.1 მუხლის შესაბამისად, სამედიცინო მომსახურების განევის აუცილებელი პირობაა პაციენტის, ხოლო მისი მცირეწლოვანების ან მის მიერ გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების შეუძლებლობის შემთხვევაში - პაციენტის ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებული თანხმობის მიღება. ინფორმირებული თანხმობის მიღება წინ უძღვის სამედიცინო მომსახურების განევას.

19. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის და „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, პაციენტს უფლება აქვს უარი თქვას ნებისმიერი სახის სამედიცინო ჩარევაზე, გამონაკლისია განსაკუთრებით საშიში გადამდები დაავადებების განვითარების მაღალი რისკის მქონე მოქალაქეებისათვის სამკურნალო, საპროფილაქტიკო და საკარანტინო ღონისძიებების განხორციელება. სხვა შემთხვევებში ავადმყოფმა თავად, საკუთარი შინაგანი (რელიგიური თუ არარელიგიური) რწმენის შესაბამისად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება სამედიცინო მომსახურების მიზანშეწონილობის შე-

სახეზე. თვით ტერმინალურ (სიკვდილისწინა) სტადიაში მყოფ ქმედუნარიან, გაცნობიერებული გადანაცვეტილების მიღების უნარის მქონე ავადმყოფს უფლება აქვს უარი განაცხადოს სარეანიმაციო, სიცოცხლის შემანარჩუნებელ ან პალიატიურ მკურნალობაზე. უგონო მდგომარეობაში ყოფნის შემთხვევაში, თუ ავადმყოფს წინასწარ, როცა მას ჰქონდა გაცნობიერებული გადანაცვეტილების მიღების უნარი, არ ჰქონია გაცხადებული თანხმობა ან უარი მკურნალობაზე, მის ნათესავს ან კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს მომაკვდავი ადამიანის ღირსების დაცვის მიზნით და პაციენტის პიროვნული შეხედულებების გათვალისწინებით თანხმობა ან უარი განაცხადოს მკურნალობაზე. იმავედროულად პაციენტს უფლება აქვს სამედიცინო მომსახურების გამწევისგან მოითხოვოს მისი ღირსების, ტრადიციების, აღმსარებლობის და პიროვნული ფასეულობების პატივისცემა (იხ. „ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები“ კონსტანტინე კუბლაშვილი, მეხუთე გამოცემა, „იურისტების სამყარო“ 2020 წ. გვ. 163)

20. „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 38.1 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტი პროფესიული მოვალეობის აღსრულებისას უნდა ხელმძღვანელობდეს მხოლოდ პროფესიული სტანდარტებით, ჰუმანიზმის პრინციპებით, საქართველოს კანონმდებლობით, პატივს სცემდეს პაციენტის ღირსებას, აღმსარებლობასა და ტრადიციებს. ამავე კანონის 45.3. მუხლის მიხედვით, თუ არსებობს მცირეწლოვანი ან გაცნობიერებული გადანაცვეტილების მიღების უნარის არმქონე პაციენტის სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობა, რის გამოც აუცილებელია მისთვის გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების განევა, მაგრამ პაციენტის ნათესავი ან კანონიერი წარმომადგენელი სამედიცინო მომსახურების განევის წინააღმდეგია, დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტი სამედიცინო მომსახურების განევის შესახებ გადანაცვეტილებას იღებს პაციენტის ჯანმრთელობის ინტერესების გათვალისწინებით.

21. „ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ“ კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად, თუ გადაუდებელი სამედიცინო დახმარების დროს შეუძლებელია სათანადო თანხმობის მიღება, ნებისმიერი სამედიცინო ჩარევა უნდა დაუყოვნებლივ ჩატარდეს პირის ჯანმრთელობის ინტერესების შესაბამისად. ამავე კონვენციის მე-9 მუხლის მიხედვით, იმ შემთხვევაში, როცა სამედიცინო ჩარევისას პაციენტს არა აქვს უნარი გამოხატოს თავისი სურვილი, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მის მიერ ადრე გამოხატული ნება. თუმცა, საგულისხმოა, რომ დასახელებული კონვენციის განმარტებითი ბარათის მიხედვით, ნების მხედველობაში მიღება არ ნიშნავს, რომ იგი სავალდებულოა აღსასრულებლად (ი. გელაშვილი, გვ. 101, შედარებითი სამართლის ქართულ-გერ-

მანუალი ჟურნალი, 6/2023, „ადამიანის უფლებების და ბიომედიცინის შესახებ“ კონვენციის განმარტებითი ბარათი, ხელმისაწვდომია <https://rm.coe.int/1680a8e4d0>).

22. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-8 მუხლის პირველი და მეორე პუნქტების თანახმად, ყველას აქვს უფლება, რომ დაცული იყოს მისი პირადი და ოჯახური ცხოვრება, საცხოვრისი და მიმოწერა. დაუშვებელია, ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც, ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია, დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უნესრიგობისა თუ დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობისა ან მორალის, ანდა სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. ამავე კონვენციის მე-9 მუხლის პირველი და მეორე პუნქტები ადგენს, რომ ყველას აქვს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს რელიგიის ან რწმენის შეცვლის თავისუფლებას, აგრეთვე, თავისუფლებას იმისა, რომ ცალკე ან სხვებთან ერთად, საქვეყნოდ ან განკერძოებით, გაამჟღავნოს თავისი რელიგია თუ რწმენა აღმსარებლობით, ქადაგებით, წესებისა და რიტუალების აღსრულებით. რელიგიის ან რწმენის გამჟღავნების თავისუფლება მხოლოდ იმ პირობით შეიზღუდება, თუ ასეთი შეზღუდვა გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია, დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობისა ან მორალის, ანდა სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-8 მუხლის დაცულ სფეროში ექცევა ადამიანის პირადი ცხოვრების ასპექტი, რაც თავის მხრივ წარმოადგენს ფართო სფეროს, რომელიც, მათ შორის, მოიცავს პირის პერსონალურ ავტონომიას, რომლის ფარგლებშიც მას შეუძლია თავისუფლად წარმართოს თავისი პიროვნების განვითარება, დაამყაროს და განავითაროს ურთიერთობები სხვა ადამიანებთან და გარესამყაროსთან (იხ. *Evans v. the United Kingdom* [GC], no. 6339/05, § 71, ECHR 2007-IV; *Sidabras and Džiautas v. Lithuania*, nos. 55480/00 და 59330/00, §§ 42-50, ECHR 2004-VIII; და *Niemietz v. Germany*, 16 დეკემბერი 1992, § 29, seria A no. 251-B).

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მრავალი რელიგიის საერთო მახასიათებელია, რომ ისინი განსაზღვრავენ ქცევის დოქტრინალურ სტანდარტებს, რომლებიც მათმა მიმდევრებმა უნდა დაიცვან პირად ცხოვრებაში. რელიგიური წესები, რომლებიც არეგულირებს მიმდევრების ქცევას პირად ცხოვრებაში, მოიცავს, მაგალითად, საეკლეს-

სიო მსახურებებზე რეგულარულ დასწრებას, გარკვეული რიტუალების შესრულებას, როგორიცაა ზიარება ან აღსარება, რელიგიური დღესასწაულების დაცვა ან სამუშაოსგან თავის შეკავება კვირის კონკრეტულ დღეებში (იხ. *Casimiro and Ferreira v. Luxembourg* (განჩინება), no. 44888/98, 27 აპრილი 1999, და *Konttinen v. Finland*, no. 24949/94, კომისიის 1996 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილება), სპეციალური ტანსამოსის ტარებას (იხ. *Leyla Şahin v. Turkey* [დიდი პალატა], no. 44774/98, § 78, ECHR 2005-XI, და *Phull v. France* (განჩინება), no. 35753/03, 11 იანვარი 2005), კვებით შეზღუდვებს (იხ. *Cha'are Shalom Ve Tsedek v. France* [დიდი პალატა], no. 27417/95, § 73, ECHR 2000-VII), და მრავალი სხვა.

იეჰოვას მოწმეებისთვის სისხლის გადასხმა წარმოადგენს რა, მათი რწმენისთვის მიუღებელ სამედიცინო პროცედურას, არის ზემოხსენებული ქცევის დოქტრინალური სტანდარტი, რასაც ისინი იცავენ პირად ცხოვრებაში, შესაბამისად, იგი ექცევა ევროკონვენციის მე-8 მუხლით დაცულ სფეროში.

23. პაციენტის (მოსარჩელის) პერსონალურ ავტონომიაში ჩარევის ლეგიტიმურობის შესამოწმებლად საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს შემდეგ საკითხებს: 1. საკითხის მაღალი ეთიკური და სენსიტიური სამართლებრივი კონტექსტიდან გამომდინარე, რამდენად შეიძლება დროის ფაქტორმა წარმოშვას ეჭვი ნების ვალიდურობასთან დაკავშირებით და, ასევე, რა როლი შეიძლება ჰქონდეს ნების გამოვლენის ფორმას; 2. როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი უგონოდ მყოფი პაციენტის ნათესავების ან/და წარმომადგენელთა შორის აზრთა სხვადასხვაობის დროს.

24. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, იკვეთებოდა მოსარჩელის მიერ გამოვლენილი ნების ვალიდურობაში სამედიცინო დაწესებულებისა და ექიმის მხრიდან ექვის შეტანის საფუძველი.

24.1. ამ თვალსაზრისით, საკასაციო სასამართლო პირველ რიგში, ყურადღებას მიაპყრობს იმ გარემოებას, რომ საქმეში წარმოდგენილი ჰემოტრანსფუზიის წინააღმდეგობის შესახებ ე.წ. „სამედიცინო დირექტივა“ ხელმოწერილია ავტოსაგზაო შემთხვევამდე (2018 წლის 16 ოქტომბრამდე) დაახლოებით 2 წლით ადრე – 2016 წლის 20 ივლისს, რა დროსაც, მოსარჩელე დაავადებული არ ყოფილა რაიმე განუკურნებელი, ან/და ისეთი დაავადებით, რომელიც აუცილებლად იწვევს მძიმე ინვალიდობას, ე.წ. „სამედიცინო დირექტივაზე“ ხელმოწერისას, მოსარჩელეს არ შეეძლო ევარაუდა, რომ ორი წლის შემდეგ ის სიცოცხლისათვის უკიდურესად საშიშ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა, რა დროსაც, სისხლის გადასხმაზე უარის თქმა მაღალი რისკის ქვეშ დააყენებდა მის სიცოცხლეს. როდესაც, ჯანმრთელობის კრიტიკული მდგომარეობის

გათვალისწინებით წყდება სიცოცხლის შენარჩუნების საკითხი, ალბათობა იმისა, რომ შემთხვევამდე რამდენიმე წლით ადრე მეტი ვადით ადრე გამოვლენილი პაციენტის ნება იყოს განსხვავებული/შეცვლილი, მაღალია. ის გარემოება, რომ მოსარჩელემ გამოჯანმრთელების და შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ სადავო გახადა სამედიცინო დაწესებულების მიერ განხორციელებული ჰემოტრანსფუზია, არ მიუთითებს ვარაუდზე, რომ გადაწყვეტილების მიღების უნარის არსებობის და მოსალოდნელი შედეგების სათანადო განმარტების შემთხვევაშიც, კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი მოსარჩელე გადაწყვეტილებას მიიღებდა სიცოცხლის შენარჩუნების საწინააღმდეგოდ.

საკასაციო პალატა აქვე აღნიშნავს, რომ პირის რელიგიური შეხედულება ან/და აღმსარებლობიდან გამომდინარე წესები, რიტუალები თუ შეზღუდვები, შესაძლოა დროთა განმავლობაში შეიცვალოს (საქმეში არსებული მასალების მიხედვით თავად მოსარჩელეც 1995 წლიდან არის არის იეჰოვას მოწმეთა მიმდევარი), შესაბამისად, შემთხვევამდე რამდენიმე წლით ადრე გამოვლენილი ნება ბუნებრივია, ვერ მიიჩნევა უპირობოდ ვალიდურად და საჭიროებს საქმის სხვა არსებით ფაქტორებთან შეჯერებასა და გულდასმით შემოწმებას.

ამ კუთხით, ყურადსაღებია, სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მყოფი პაციენტის მკურნალობასთან დაკავშირებული სამედიცინო გადაწყვეტილების მიღების პროცესის შესახებ ევროპის საბჭოს ბიოეთიკის კომიტეტის მიერ შემუშავებული გზამკვლევი, რომლის მიხედვით, იმ ქვეყნებშიც კი სადაც წინასწარი ნების გამოვლენას სამართლებრივად სავალდებულო ძალა გააჩნია, არსებობს ფართო თანხმობა იმ კონკრეტული მიზეზების შესახებ, რომელიც ექიმს უფლებას აძლევს არ დაემორჩილოს, არ გაითვალისწინოს პაციენტის სურვილები. მაგალითად, როდესაც ასეთი ნება, სურვილი გამოხატულია ქმედუწარმობის დადგომამდე რამდენიმე წლით ადრე ან როდესაც ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან სამედიცინო პროგრესს წინასწარი დირექტივების შედგენის შემდეგ, რასაც პირდაპირი გავლენა აქვს მათ შინაარსზე (Guide on the decision-making process regarding medical treatment in end-of-life situations, p. 20, COE).

24.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის მიხედვით, ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად, და არა მართოოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან. აღნიშნული მუხლი ადგენს გონივრული განსჯის შედეგად ნების დადგენის პრინციპს და გამორიცხავს ნების სიტყვასიტყვითი გაგების პრინციპის გამოყენებას, რომელსაც ბევრი მართლწესრიგი განამტკიცებს. გონივრული განსჯის შედეგად ნების დადგენა მოითხოვს იმის გარკვევას, თუ რა იგულისხმეს გარიგების მონაწილეებმა გამოხა-

ტულ ნებაში. ეს კი, იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ უპირატესობა მიენიჭოს მათ ნებას და არა გარიგებაში სიტყვიერად გამოხატულს (*falsa demonstratio non nocet*), (სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, გვ. 305).

ამ კონკრეტულ შემთხვევაში, შესაფასებელია, თუ რა პირობებში მოხდა მოსარჩელის მიერ ნების გამოვლენა. ყურადსაღებია, რომ მოსარჩელის მიერ ნება გამოვლენილი იქნა ორი იეჰოვას მოწმის თანდასწრებით (რომლებიც არ იყვნენ ექიმები და შესაბამისად სათანადო განმარტებაც არ ჰქონდა მიღებული გამოვლენილი ნების შედეგებთან დაკავშირებით) და თანაც, ავტოსაგზაო შემთხვევამდე ორი წლით ადრე. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დგინდება, რომ ნების გამოვლენამდე მოსარჩელეს ექიმთან გავლილი ჰქონდა კონსულტაცია და სათანადოდ ინფორმირებული იყო კრიტიკულ, გადაუდებელ და საჭიროების შემთხვევაში სისხლის გადაუსხმელობის შედეგებთან დაკავშირებით. ამასთან, არანაირი წინაპირობა არ არსებობდა ევარაუდა მოსარჩელეს, რომ წლების შემდეგ იგი სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა და მისი გადარჩენისთვის აუცილებელი გახდებოდა სისხლის გადასხმა.

24.3. გარდა ზემოაღნიშნულისა, ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ ნება გამოვლენილია მარტივი წერილობითი ფორმით და, ამასთან, წინასწარ შედგენილ ნაბეჭდ ბლანკზე ხელმოწერით. ამ უდავო ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ პაციენტის უფონო მდგომარეობაში ყოფნის გამო, ექიმს კრიტიკულ მომენტში არ ძალუძდა იმის გამოორკვევა, ნამდვილად იყო თუ არა ხსენებული ბარათი ხელმოწერილი პაციენტის მხრიდან, დადებით შემთხვევაში, კვლავ გააჩნდა თუ არა მას ბარათში გამოვლენილი ნება და ნების გამოვლენის დროს სათანადოდ განმარტებული ჰქონდა თუ არა მოსალოდნელი შედეგები. იმ დროს, როდესაც საფრთხე ემუქრება ადამიანის სიცოცხლეს და გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ყოველ წუთს, მნიშვნელოვანია გამოირიცხოს ყოველგვარი ეჭვი პაციენტის სავარაუდო ნებასთან დაკავშირებით, თუ მისი გამოირიცხვა სრულად ვერ ხერხდება, მცირედი ეჭვიც უნდა გადაწყდეს პაციენტის სიცოცხლის შესანარჩუნებლად. კრიტიკულ მომენტში, როდესაც ჰემოტრანსფუზიის გარეშე გარდაუვლად დადგებოდა პაციენტის გარდაცვალება, მაღალი ალბათობა არსებობს იმისა, რომ ექიმს ნაკლები ნდობა ჰქონდა მარტივი წერილობითი ფორმით, წლების წინ შედგენილი დოკუმენტისადმი, რომლის შესაბამისად მოქმედების პირობებში პაციენტის გარდაცვალება დადგებოდა. გარდა იმისა, რომ უფონოდ მყოფი პაციენტისგან შეუძლებელია მისი ნამდვილი ნების გარკვევა, შეუძლებელია იმის დადგენაც, ნების გამოვლენისას იყო თუ არა მოსარჩელე ექიმისგან ინფორმირებული თანამდევი შედეგების შესახებ და რამდენად გააზრე-

ბულად და თავისუფლად იქნა სისხლის გადასხმაზე წინასწარ უარი გაცხადებული.

24.4. საკასაციო სასამართლოსთვის საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ პაციენტის დამ, რომელიც ასევე იეჰოვას მოწმეთა მიმდევარია, კრიტიკულ მომენტში თანხმობა განაცხადა მოსარჩელისათვის ჰემოტრანსფუზიის ჩატარებაზე, შესაბამისად, დასაბუთებული ვარაუდი არსებობს იმისა, რომ აღნიშნული ფაქტი კიდევ უფრო მეტ ეჭვს გაუჩენდა სამედიცინო დანესებულებას, რომ რელიგიური აღმსარებლობის მიუხედავად, მაშინ, როდესაც, პაციენტის სიცოცხლეს რეალური საფრთხე ემუქრებოდა, გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების პირობებში მოსარჩელეც მსგავს ნებას გამოავლენდა.

24.5. საკასაციო პალატა აქვე განმარტავს, რომ სასამართლო იზიარებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტს პირის მიერ წინასწარი ნების გამოვლენის შესახებ და აღნიშნავს, რომ როდესაც პირს ნება სამედიცინო მანიპულაციების შესახებ და ზოგადად სამედიცინო ჩარევასთან დაკავშირებით წინასწარ აქვს გამოხატული, რომლითაც იგი უარს აცხადებს მის მიმართ კონკრეტული ზომების განხორციელების შესახებ, თუ ეს ნება გამოხატულია სათანადო ფორმით, გონივრული დროის ფარგლებში, ყოველგვარი ზეწოლის ან ზეგავლენის გარეშე და, პირს სათანადოდ განმარტებული აქვს და აცნობიერებს იმ შედეგებს, რაც შეიძლება მის არჩევანს მოჰყვეს, ასეთ შემთხვევაში, ნების ადრესატი უნდა დაემორჩილოს მას, ხელისუფლებამ კი უნდა უზრუნველყოს, რომ პირის ნება იყოს დაცული. ხოლო, თუ არსებობს გარემოებები რომელთა დეტალური და ფრთხილი შემოწმების შედეგად ჩნდება ობიექტური ეჭვი, რომ შესაძლოა პირის მიერ გამოხატული ნება არ იყოს ნამდვილი, ასეთ შემთხვევაში, სასამართლოს მიაჩნია, რომ ექიმმა უნდა იმოქმედოს პაციენტის (ჯანმრთელობის) ინტერესების სასარგებლოდ (ისევე და ისევე პაციენტის ავტონომიის დაცვის პრინციპიდან გამომდინარე, მაშინ, როდესაც უცნობია, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებდა პაციენტი ავტონომიის ფარგლებში საღ აზრზე რომ ყოფილიყო).

თითქმის ორი წლით ადრე გამოხატული ნების ფაქტორი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სასამართლოსათვის, იმ მკვეთრად ეთიკური და კომპლექსური სამართლებრივი პრობლემატიკისა და შინაარსის გათვალისწინებით, რაც საქმეშია წარმოდგენილი. ამ შემთხვევაში, სასამართლოს მიერ განსაკუთრებული სიფრთხილით მოწმდება არამხოლოდ პირის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლება და მასთან დაკავშირებული მაღალი სტანდარტები, ასევე, პირის პირადი ავტონომიისა და ნების პატივისცემის უფლება, რამდენადაც სასამართლოს მიერ პირის ნების ნამდვილობასთან დაკავშირებულმა მცდარმა დასკვნებმა

შესაძლოა შელახოს როგორც პირის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლება, ასევე – მისი პირადი ავტონომიისა და წინასწარი ნების გამოვლენის უფლებები. შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ რამდენიმე წლით ადრე გამოხატული ნება შესაძლოა იყოს გონივრული ექვის წარმოქმნის საფუძველი პირის მიერ გამოხატული ნების ნამდვილობასთან დაკავშირებით. გარდა აღნიშნულისა, საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს ნების გამოვლენის ფორმასა და მისი დადასტურების საჭიროებაზე და აღნიშნავს, რომ როდესაც პირი წინასწარ ავლენს ნებას, რაც სავარაუდოა გახდება სახელმძღვანელო დოკუმენტი საგანგებო სიტუაციის დროს და თავის მხრივ შესაძლოა წარმოშობდეს მორალურ-ეთიკურ დილემებს, რომლითაც ისეთი მაღალი სამართლებრივი სიკეთის ბედის გადაწყვეტა უნდა მოხდეს, როგორიც არის პირის სიცოცხლე და ჯანმრთელობა ან თუნდაც პირის ღირსება და პირადი ავტონომია, სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსალოდნელი შედეგების სათანადო განმარტებების მიღების შედეგად ასეთი ნების ნამდვილობის დადასტურება თანმხლები რეკვიზიტების უზრუნველყოფით წარმოადგენს აუცილებელ საჭიროებას დემოკრატიულ საზოგადოებაში პირის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2, მე-8 და რიგ შემთხვევებში მე-9 მუხლით დაცული უფლებების ეფექტიანი სარგებლობისთვის.

25. წინამდებარე დავის გადაწყვეტისათვის ერთ-ერთი საკვანძო საკითხია ასევე პაციენტის ახლო ნათესავებს შორის სისხლის გადასხმასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობის არსებობა. სახელდობრ, უდავო გარემოებაა, რომ მოსარჩელის მეუღლე და შვილები კონკრეტულ შემთხვევაში, ეწინააღმდეგებოდნენ სისხლის გადასხმას, ხოლო დამ, რომელიც ასევე იეპოვას მონმეა, კრიტიკულ მომენტში, ექიმთა კონსილიუმის დასკვნის გათვალისწინებით, წერილობითი თანხმობა განაცხადა ჰემოტრანსფუზიაზე, მითითებით „და გადამირჩინეთ და ღმერთი ყველაფერს გვაპატიებს“.

25.1. საკასაციო სასამართლო პირველ რიგში განმარტავს, რომ როდესაც წყდება ისეთი მაღალი ინტერესის დაცვის საკითხი, როგორიც არის ადამიანის სიცოცხლე, შესაბამისი ნების გამოვლენის საეჭვოობისას და ოჯახის წევრთა მოსაზრებების კოლიზიისას, სამედიცინო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს უგონოდ მყოფი პაციენტის სიცოცხლის გადარჩენის სასარგებლოდ.

გადაუდებელ შემთხვევაში, მაშინ, როდესაც, ჰემოტრანსფუზია უალტერნატივოა პაციენტის სიცოცხლის შესანარჩუნებლად, ამის შესახებ არსებობს ექიმთა კონსილიუმის დასკვნა და არსებულ ვითარებაში შეუძლებელია პაციენტის ნების გამოვლენა, მრავალ მონინალმდეგეთა შორის, თუნდაც ერთი ნათესავი აცხადებდეს თანხმობას პა-

ციენტისათვის სისხლის გადასხმაზე, იგი უნდა განხორციელდეს, ანუ, საკითხი უნდა გადაწყდეს პაციენტის ჯანმრთელობის საუკეთესო ინტერესების სასარგებლოდ.

25.2. საკასაციო პალატა აქვე მიუთითებს „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მეორე წინადადებაზე, რომლის მიხედვით, სამედიცინო საქმიანობის მიზანია ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა, შენარჩუნება და აღდგენა, მისთვის ტანჯვის შემსუბუქება. ამასთან, პაციენტის ან/და ოჯახის წევრების სამედიცინო დაწესებულებისათვის მიმართვის მიზანი და მოლოდინიც ხომ სამედიცინო დაწესებულებისა და მდებარე სახლისაგან აპრობირებული სამედიცინო მანიპულაციებისა და მეთოდების გამოყენებით პაციენტისათვის სიცოცხლის შენარჩუნება და ჯანმრთელობის აღდგენა არის.

პალატა განმარტავს, რომ მედიცინის მუშაკის, ექიმის უპირველესი მიზანი, რომელიც ემყარება სამედიცინო ეთიკას და ჰიპოკრატეს ფიცს, არის პაციენტების სიცოცხლისა და კეთილდღეობის შენარჩუნება. მათი უმთავრესი პირობა და მოტივია, რომ ღირსეულად გამოიყენონ სამედიცინო ცოდნა და იმოქმედებენ ყოველთვის პაციენტების ჯანმრთელობის სასარგებლოდ, რაც გულისხმობს ინფორმირებული და ეთიკური გადაწყვეტილებების მიღებას, რომლებიც მიზნად ისახავს დაავადებების განკურნებას, ტკივილის შემსუბუქებას და სიცოცხლის მაქსიმალურად გახანგრძლივებას, ბუნებრივია, თითოეული პაციენტის არჩევანისა და ღირებულებების პატივისცემით. როგორც ჯანდაცვის პროფესიონალები, ექიმები, ვალდებული არიან გამოავლინონ თანაგრძნობა, კომპეტენცია და ერთგულება თავიანთი პაციენტების მიმართ, უზრუნველყონ ხარისხიანი სამედიცინო დახმარება და იმოქმედონ მათი საუკეთესო ინტერესების შესაბამისად. ასეთი ვალდებულებების აღება ხაზს უსვამს იმ მორალური პრინციპების აუცილებლობას, რომლებიც საფუძვლად უდევს ზოგადად ექიმის პროფესიას. გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისას, მდებარე სახლისათვის რთულია იურიდიული საკითხების განჭვრეტაც, ხოლო იმგვარი კრიტიკული სამედიცინო შემთხვევისას, სადაც ყოველი წუთი გადამწყვეტია სიცოცხლის შესანარჩუნებლად, ხშირად შეუძლებელია სამედიცინო მომსახურების გამწვანება მიმართოს სასამართლოს („პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 25.1. მუხლი) იმის გამოსარკვევად, თუ როგორ მოიქცეს.

24.3 მოცემულ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ მდებარე სახლმა განუმარტა მოსარჩელის ოჯახის წევრებს პაციენტის სიცოცხლის შესანარჩუნებლად ჰემოტრანსფუზიის აუცილებლობის შესახებ, რომლის გარეშეც მკურნალობის გაგრძელება შეუძლებელი და ყოველგვარ აზრს მოკლებული იქნებოდა, მათ არ მოუთხოვიათ პაციენტისათ-

ვის შემდგომი მკურნალობის შეწყვეტა და საავადმყოფოდან გაწერა. აღნიშნული პალატის მოსაზრებით, მათი მხრიდან ერთგვარად მედპერსონალისათვის მორალური პასუხისმგებლობის გადაკისრებაზე მიუთითებს და, ამასთან, ცხადყოფს, რომ იმ გარემოების მიუხედავად, რომ პაციენტის ოჯახის ზოგიერთი წევრი რელიგიური მოტივით ეწინააღმდეგებოდა სისხლის გადასხმას, მათი იმპლიციტური მოთხოვნა მედპერსონალის მიმართ, რჩებოდა პაციენტის სიცოცხლის გადარჩენა.

ამასთან, იმ პირობებში, როდესაც, პაციენტის დას თანხმობა ჰქონდა გაცხადებული სისხლის გადასხმაზე და ექიმთა კონსილიუმის დასკვნის თანახმად, ჰემოტრანსფუზია უალტერნატივო იყო მოსარჩელის სიცოცხლის შესანარჩუნებლად, მედპერსონალს არ ჰქონდა სხვა არჩევანი, გარდა იმისა, რომ ემოქმედა თავისი საქმიანობის ძირითადი ვალდებულების შესატყვისად და ყველა ღონე ეხმარა, პაციენტის გადასარჩენად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, მოპასუხეთა მიერ პაციენტის სამედიცინო მდგომარეობის შესაბამისი/ ადეკვატური მკურნალობის შედეგად, პაციენტის სიცოცხლის გადარჩენის მთავარი მიზანი მიღწეული იქნა.

25. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ მკურნალობის თავდაპირველ ეტაპზე, მედპერსონალის მხრიდან თავი იქნა შეკავებული მოსარჩელისთვის სისხლის გადასხმაზე მიუხედავად საჭიროებისა, პაციენტის ნათესავების მიერ კლინიკისათვის მოსარჩელის აღმსარებლობისა და მკურნალობის კონკრეტული მეთოდის (არა სისხლი) აკრძალვის შესახებ მიწოდებული ზეპირი ინფორმაციისა და ბარათის საფუძველზე. მოსარჩელეს სისხლი გადაესხა მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ჰემოტრანსფუზია გახდა კრიტიკულად აუცილებელი, რომლის განუხორციელებლობა მაღალი ალბათობით პაციენტის სიკვდილს გამოიწვევდა.

26. წინასწარ გამოხატული ნება რელიგიური მოტივით სისხლის გადასხმის აკრძალვაზე წარმოდგენილია რამდენიმე როგორც საერთაშორისო, ისე – უცხო ქვეყნების პრაქტიკაში, რომელიც თავისი ბუნებით და შინაარსით ჰგავს განსახილველ სამოქალაქო საქმეს.

27. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველო რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემის ქვეყანას მიეკუთვნება, საკასაციო სასამართლოსათვის ყურადსაღებია სადავო საკითხზე საფრანგეთის, დანიისა და ესპანეთის საკანონმდებლო და პრაქტიკული მიდგომა.

27.1. საფრანგეთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კოდექსის 111¹-ე მუხლის ნორმატიული შინაარსის მიხედვით, თითოეული ინდივიდი ჯანდაცვის პროფესიონალებთან კონსულტაციის, მიწოდებული ინფორმა-

ციისა და რეკომენდაციების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საკუთარ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით; თითოეულ პირს უფლება აქვს უარი თქვას მკურნალობაზე. ექიმი ვალდებულია, პაციენტი სცეს ინდივიდის ნებას მას შემდეგ რაც აცნობებს მათ არჩევანის შედეგებსა და სიმძიმეს; თუ მკურნალობაზე უარის თქმით ან შეწყვეტით ინდივიდი საფრთხეში აყენებს საკუთარ სიცოცხლეს, მან გონივრულ ვადაში ხელმეორედ უნდა დაადასტუროს თავისი გადაწყვეტილება (უარის თქმის შესახებ); არანაირი სამედიცინო პროცედურა ან მკურნალობა არ შეიძლება განხორციელდეს ინდივიდუალური თავისუფალი და ინფორმირებული თანხმობის გარეშე, რომელიც შეიძლება ნებისმიერ დროს გაუქმდეს.

ნებისმიერ სრულწლოვან პირს შეუძლია წერილობით შეადგინოს წინასწარი დირექტივა ისეთი სამედიცინო შემთხვევისთვის თუკი იგი აღმოჩნდება ისეთ მდგომარეობაში, რომ ვერ შეძლებს საკუთარი სურვილის გამოხატვას. წინასწარი დირექტივები გამოხატავს პირის ნებას სიცოცხლის დასრულებასთან დაკავშირებით, რომელიც მოიცავს სამედიცინო მკურნალობის ან პროცედურების გაგრძელების, შეზღუდვის, შეწყვეტის ან უარის თქმის პირობებს. სამედიცინო მკურნალობაზე ან პროცედურაზე უარის თქმა ნებისმიერ დროს და ნებისმიერი საშუალებით შეიძლება გადაისინჯოს და გაუქმდეს. პაციენტის დირექტივები სავალდებულოა ექიმისთვის ნებისმიერი გამოკვლევის, ჩარევის ან მკურნალობის გადაწყვეტილების მისაღებად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გადაუდებელ შემთხვევაში წინასწარი დირექტივები აშკარად შეუსაბამოა ან არ შეესაბამება პაციენტის სამედიცინო მდგომარეობას. წინა დირექტივებით ხელმძღვანელობაზე უარის გადაწყვეტილება მიიღება მაშინ, თუკი ექიმი მიიჩნევს, რომ პაციენტის წინასწარ გამოვლენილი ნების შესრულება არამიზანშეწონილია და არ შეესაბამება პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობას (<https://www.legifrance.gouv.fr, Art. 1111, Code de la santé publique>).

27.2. საფრანგეთის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ კანონში 2016 წელს განხორციელებული ცვლილებებით, ექიმი პაციენტის მიერ წინასწარ გამოხატული ნებით შებოჭილია ნებისმიერი სამედიცინო გამოკვლევის, ჩარევის ან მკურნალობის თობაზე გადაწყვეტილების მიღებისას, გარდა გადაუდებელი შემთხვევისა, სადაც პაციენტის წინასწარ გამოხატული ნება აშკარად არ შეესაბამება არსებულ სამედიცინო მდგომარეობას. შესაბამისად, ექიმი უფლებამოსილია, არ გაითვალისწინოს პაციენტის წინასწარი მითითებები, როდესაც ნება აშკარად არ შეესატყვისება პაციენტის სამედიცინო კონდიციას. ექიმი ამგვარ გადაწყვეტილებას იღებს კოლეგიური განხილვის/მსჯელობის შემდგომ, რის თაობაზეც ეცნობება პაციენტის მიერ განსაზღვრულ

პირს/რწმუნებულს, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში, ოჯახის წევრს ან სხვა ნათესავს (ი. გელაშვილი, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 6/2023, გვ. 107).

27.3. საკასაციო სასამართლო მოიხმობს ბორდოს ადმინისტრაციული სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილებას, რომელიც შინაარსობრივად თანხვედრაშია წინამდებარე საქმის გარემოებებთან, სახელდობრ:

ბორდოს საუნივერსიტეტო კლინიკაში ნაღვლის ბუშტის ამოღების მიზნით ჰოსპიტალიზებულმა პაციენტმა სამედიცინო პერსონალს აცნობა, რომ რელიგიური მრწამსიდან გამომდინარე, წინააღმდეგი იყო სისხლის კომპონენტების გადასხმის. ვინაიდან სამედიცინო ჩარევა (ოპერაცია) გართულდა მასიური სისხლდენით, რომელიც საფრთხეს უქმნიდა მის სიცოცხლეს, ექიმებმა უგონოდ მყოფ პაციენტს ჰემოტრანსფუზია ორჯერ ჩაუტარეს. პაციენტს სისხლი მომდევნო დღეს კვლავ (მესამედ) გადაესხა, თუმცა ამ დროს იგი უკვე გონზე იყო მოსული და გადასხმამდე ხელმეორედ ჰქონდა უარი გაცხადებული ჰემოტრანსფუზიაზე.

სასამართლოს განმარტებით, სამედიცინო დაწესებულების მხრიდან სისხლის გადასხმა პაციენტის ნების საწინააღმდეგოდ ჩაითვლება არალეგიტიმურად იმ შემთხვევაში, თუკი პაციენტმა, რომელსაც შეუძლია გამოხატოს თავისი ნება (გამოხატოს/მიიღოს გათვინცობიერებული გადაწყვეტილება), გონივრულ ვადაში ხელმეორედ აქვს გაცხადებული უარი სისხლის გადასხმაზე (საფრანგეთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კოდექსის 111¹-4 მუხლი).

სასამართლომ მიიჩნია, რომ სამედიცინო დაწესებულების მიერ პირველი ორი გადასხმის ჩატარება მართლზომიერი იყო, რადგან პაციენტი ამ დროს იმყოფებოდა უგონო მდგომარეობაში და გადაუდებლად საჭიროებდა ჰემოტრანსფუზიას, ხოლო წინასწარ გამოხატული ნება საფრთხეს უქმნიდა მის სიცოცხლეს, ამასთან, უგონოდ მყოფ პაციენტს არ შეეძლო გონივრულ ვადაში ხელმეორედ განეცხადებინა უარი სისხლის გადასხმაზე. სასამართლომ არამართლზომიერად მხოლოდ სამედიცინო დაწესებულების მიერ პაციენტისათვის მესამე გადასხმა მიიჩნია, რადგან ეს გადასხმა ჩატარდა პაციენტის დაუთანხმებელი სედაციის შედეგად, მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი პირველი ორი გადასხმის შემდგომ გონზე მოვიდა და სამედიცინო დაწესებულების მხრიდან სისხლის გადაუსხმელობის თანმდევი შედეგების განმარტების მიუხედავად, კვლავ, ხელმეორედ განაცხადა უარი ჰემოტრანსფუზიაზე (Arrêt 20BX03081-20 octobre 2022, https://jurisite-caa-bordeaux.fr/index.php?post/Une-transfusion-sanguine-r%C3%A9alis%C3%A9e-contre-la-volont%C3%A9d%E2%80%99un-patient-engage-la-responsabilit%C3%A9-de-l%E2%80%99h%

C3%B4pital-si-le-patient-a-r%C3%A9it%C3%A9r%C3%A9-son-refus-de-cette-pratique-en-pleine-conscience-des cons%C3%A9quences-potentielles-sur-son-%C3%A9tat-de-sant%C3%A9).

ამრიგად, აღნიშნული გადაწყვეტილებით, მედპერსონალის მიერ უგონოდ მყოფი პაციენტისათვის ჩატარებული სისხლის პირველი ორი გადასხმა, მიუხედავად პაციენტის მიერ წინასწარ გაცხადებული უარისა ვალიდურად იქნა მიჩნეული, ვინაიდან პაციენტის მდგომარეობა იმდენად იყო გართულებული, რომ გადაუდებლად საჭიროებდა ჰემოტრანსფუზიას და ამასთან, უგონო მდგომარეობაში აღმოჩენის შედეგად მას არ ძალუძდა ხელმეორედ დაედგასტურებინა უარი, ხოლო არაკანონიერად მიჩნეული იქნა მხოლოდ მესამე გადასხმა, გამომდინარე იქიდან, რომ იგი ჩატარდა პაციენტის სედაციის შედეგად, მას შემდგომ რაც მან გონზე მოსვლისას ხელმეორედ, კვლავ განაცხადა სისხლის აღმინისტრირებაზე უარი კრიტიკული მდგომარეობის მიუხედავად.

27.4. მნიშვნელოვანია აგრეთვე საფრანგეთის სახელმწიფო საბჭოს 2022 წლის 20 მაისის გადაწყვეტილებაც, რომლითაც სახელმწიფო საბჭომ ვალიდურად ცნო სამედიცინო დაწესებულების გადაწყვეტილება იეჰოვას მოწმე პაციენტისათვის ჰემოტრანსფუზიის ჩატარების შესახებ, მიუხედავად ამ უკანასკნელის მიერ წინასწარ გაცხადებული უარისა (Conseil d'État – Juge des référés, N°463713, ECLI:FR:CEORD:2022:463713.20220520, Inédit au recueil Lebon, Lecture du vendredi 20 mai 2022; <https://www.legifrance.gouv.fr/ceta/id/CETATEXT000045830611>).

დასახელებულ გადაწყვეტილებაშიც განმარტებულია, რომ სამედიცინო დაწესებულების მხრიდან სისხლის გადასხმა პაციენტის ნების სანინალმდეგოდ მიიჩნევა არალეგიტიმურად იმ შემთხვევაში, თუკი პაციენტმა, რომელსაც შეუძლია გამოხატოს თავისი ნება (მიიღოს გათვითცნობიერებული გადაწყვეტილება), გონივრულ ვადაში ხელმეორედ განაცხადა უარი სისხლის გადასხმაზე (საზოგადოებრივი ჯანდაცვის კოდექსის 111¹-4 მუხლი). საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად: საგზაო შემთხვევის შედეგად 2022 წლის 19 აპრილს პირმა მიიღო მძიმე დაზიანებები და გადაყვანილი იქნა ტულონის სამხედრო სასწავლო ჰოსპიტლის სენტ-ანას გადაუდებელ განყოფილებაში. პაციენტს აღენიშნებოდა მძიმე ჰემორაგიული შოკი და მნიშვნელოვანი ჰემოდინამიკური არასტაბილურობა. პაციენტს ჩაუტარდა ინტუბაცია და ხელოვნური ვენტილაცია და გაუკეთდა ხანმოკლე ოპერაცია, რის შედეგადაც დაენჭო ძლიერი სისხლდენა. მას გადაესხა 5 ერთეული შეფუთული სისხლის წითელი უჯრედები და 6 ერთეული პლაზმა. მოგვიანებით (27 აპრილს) ჩატარდა ნეიროქირურგიული ოპერაცია (საშვილოსნოს ყელის ხერხემლის თავის ქალასთან სტაბილიზაციის მიზნით). საჭირო იყო მუცლის არეში რამდენიმე ქირურგიული ჩარევაც (21, 23 და

29 აპრილს, ასევე 2, 6, 9, 13 და 16 მაისს). ოპერაციების მსვლელობის დროს (23 აპრილს და 2 მაისს) ჩატარდა 2 და 3 ერთეული შეფუთული სისხლის წითელი უჯრედების გადასხმა. ჩატარებული სამედიცინო პროცედურების შედეგად (16 მაისიდან), პაციენტის დინამიკა გაუმჯობესდა, რაც გამოიხატა სისხლის წითელი უჯრედების რეგენერაციით.

ავარიის დროს პირს თან ჰქონდა ხელმონერილი დოკუმენტი, რომელშიც, უარი ჰქონდა გაცხადებული სისხლის გადასხმაზე, იმ შემთხვევებშიც კი, თუ სამედიცინო პერსონალი მიიჩნევდა, რომ სისხლის გადასხმა აუცილებელი იქნებოდა მისი სიცოცხლის გადასარჩენად. ამავ დოკუმენტში წარმომადგენლად მითითებული იყო პაციენტის ძმა, რომელმაც სამედიცინო დაწესებულებას რამდენჯერმე განუმარტა/შეახსენა, რომ პაციენტი იყო იეჰოვას მოწმე და ენინააღმდეგებოდა სისხლის გადასხმას.

საავადმყოფოს მთავარი ანესთეზიოლოგის სხდომაზე გაკეთებული განცხადებების თანახმად, პაციენტის წერილობითი სამედიცინო ინსტრუქციების გათვალისწინების მიზნით, გადასხმები ჩატარდა მხოლოდ ძალზედ აუცილებელ დროს, რათა შენარჩუნებულიყო მისი სიცოცხლე. თუმცა წესისამებრ, ასეთ კონდიციაში მყოფ პაციენტს არა მკაცრად განსაზღვრული დოზით, წესით და დროს უტარდება ჰემოტრანსფუზია, არამედ – უფრო ინტენსიურად და მაღალი დოზით.

სახელმწიფო საბჭოს განმარტებით, ზრდასრული პაციენტის უფლება, თანხმობა განაცხადოს მკურნალობაზე, განიხილება მის ფუნდამენტურ თავისუფლებად. ამ უფლების შესაბამისად, და გამომდინარე იქიდან, რომ პაციენტი იყო უგონოდ, ამ უკანასკნელს ჩაუტარდა მხოლოდ სიცოცხლის გადარჩენისათვის აუცილებელი და მისი მდგომარეობის პროპორციული სამედიცინო მანიპულაციები მხოლოდ მაშინ როდესაც ეს გარდაუვლად საჭირო იყო. აღნიშნულიდან გამომდინარე, საბჭომ მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, პაციენტის უფლებები არ დარღვეულა სამედიცინო დაწესებულების/ექიმების მხრიდან და აღნიშნა, რომ ტულონის ადმინისტრაციული ტრიბუნალის მიერ მომჩივნის მოთხოვნა მართებულად იქნა უარყოფილი.

27.5. ერთ-ერთ საქმეში, პაციენტმა, რომელსაც გადაუდებელი საჭიროებიდან გამომდინარე, მისი წინასწარი ნების საწინააღმდეგოდ გადაუსხეს სისხლი და დამატებით საჭიროებდა სისხლის გადასხმას, მოითხოვა ზიანის ანაზღაურება და სამედიცინო დაწესებულებისათვის აკრძალვის დადგენა, შეენეციტათ მისთვის იძულებითი ტრანსფუზია. საფრანგეთის ადმინისტრაციულმა სასამართლომ უარი უთხრა მოსარჩელეს ზიანის ანაზღაურებაზე, თუმცა საყოველთაო ჯანდაცვის შესახებ კანონსა და პაციენტის ავტონომიაზე მითითებით დაავალა სამედიცინო დაწესებულებას, შეენეციტა მისთვის სისხლის გადასხმის ად-

მინისტრირება (ი. გელაშვილი, იეჰოვას მოწმე პაციენტთა უარი სისხლის გადასხმაზე და ექიმის ჩარევის ფარგლები, გვ. 73, სამედიცინო სამართლისა და მენეჯმენტის ჟურნალი).

27.6. საკასაციო სასამართლო მიმოიხილავს დანიის უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 01 თებერვლის გადაწყვეტილებასაც, რომლის გარემოებებიც ასევე მსგავსია წინამდებარე დავის მოცემულობასთან, კერძოდ: პირი რომელიც იყო იეჰოვას მოწმე, დაცემის შემდგომ გადაიყვანეს სასწრაფო დახმარების ჯგუფში. სამედიცინო დაწესებულებაში 2-3 დღის ყოფნის შემდეგ მას უგონო მდგომარეობაში გადასხმა სისხლი. მედპერსონალმა იცოდა, რომ პაციენტს, როგორც იეჰოვას მოწმეს, უარი ჰქონდა გაცხადებული სისხლის გადასხმაზე, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს მისი სიცოცხლის გადასარჩენად იქნებოდა აუცილებელი. პაციენტი გონზე მოუსვლელად ერთი თვის შემდგომ გარდაიცვალა, თუმცა გარდაცვალების მიზეზი სისხლის გადასხმას არ უკავშირდებოდა.

უზენაესი სასამართლოს შესაფასებელ მთავარ საკითხს წარმოადგენდა, ჩატარდა თუ არა სისხლის გადასხმა დანიის ჯანმრთელობის კანონის ან ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის უგულებელყოფით.

უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ჯანდაცვის აქტიდან გამომდინარე არსებობდა იურიდიული საფუძველი იმისა, რომ უგონოდ მყოფ პაციენტს ჩატარებოდა ჰემოტრანსფუზია. სასამართლომ ყურადსაღებად მიიჩნია ფაქტი, რომ შემთხვევის შემდეგ პაციენტს არ ჰქონდა შესაძლებლობა გამოეხატა თავისი სურვილები კონკრეტულ სამედიცინო ვითარებაში ჩასატარებელ სამედიცინო მკურნალობასთან დაკავშირებით.

სასამართლოს განმარტებით, საავადმყოფოში მოთავსებისას პაციენტის მიერ ბარათის თან ქონა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ იგი ეწინააღმდეგებოდა სისხლის გადასხმას, არ შეესაბამება დანიის ჯანმრთელობის აქტის 24(2) მუხლის მოთხოვნებს, რომლის მიხედვითაც, ამგვარი უარი გაცხადებული უნდა იყოს მხოლოდ მედიცინის მუშაკთა მიერ პაციენტის ინფორმირებისა და მისი სამედიცინო მდგომარეობის გაცნობიერების საფუძველზე.

სასამართლომ ასევე ხაზი გაუსვა იმ ფაქტსაც, რომ პაციენტისათვის სისხლის კონკრეტულ მომენტში გადასხმა აუცილებელი იყო ამ უკანასკნელის სიცოცხლის გადასარჩენად.

უზენაესმა სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ არ არსებობდა საფუძველი იმის დასადგენად, რომ ჩატარებული სამედიცინო პროცედურა (ჰემოტრანსფუზია) ეწინააღმდეგებოდა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპულ კონვენციას. მისი განმარტე-

ბით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა არ იძლევა საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ეროვნულ კანონმდებელს როგორც ინტერესების დამაბალანსებელს ეკრძალება დაანესოს დამატებითი პირობები თუ როდის წარმოადგენს იეჰოვას მოწმეთა სურვილი სისხლის მიღებაზე უარის თქმის შესახებ სავალდებულოს მედიცინის მუშაკებისთვის. სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ ფაქტსაც, რომ ჰემოტოპოეტიკური პრეპარატები პაციენტს მიეწოდებოდა საავადმყოფოში მოთავსების პირველ დღეებში იმის გათვალისწინებით, რომ მას წინასწარ ჰქონდა უარი გაცხადებული სისხლის გადასხმაზე (Case no. BS-49811/2020-HJR, Judgment delivered on 1 February 2022, <https://domstol.dk/hoejesteret/decided-cases-human-rights/2022/2/blood-transfusion-to-member-of-jehovahs-witnesses-was-legal/>).

27.7. საკასაციო პალატას მიზანშეწონილად მიაჩნია მიუთითოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის განხილვაში არსებულ საქმეზეც – *Pindo Mulla v. Spain* (საჩივარი No. 15541/20), რომელიც ევროსასამართლოში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 და მე-9 მუხლების დარღვევაზე მითითებით გასაჩივრდა მას შემდგომ, რაც ესპანეთის ეროვნული სასამართლოების მიერ იეჰოვას მოწმე პაციენტისათვის სისხლის ადმინისტრირება მართლზომიერად იქნა მიჩნეული, მიუხედავად იმისა, რომ პაციენტს ჰემოტრანსფუზიაზე რელიგიური მოტივით წინასწარ ჰქონდა უარი გაცხადებული.

ხსენებული საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, პაციენტს (მომჩივანს) წინასწარ შედგენილ რამდენიმე წერილობით დოკუმენტში (წინასწარი დირექტივა; მუდმივი მინდობილობა; ინფორმირებული თანხმობა) ჰქონდა ნება გამოვლენილი ჰემოტრანსფუზიის წინააღმდეგობასთან დაკავშირებით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ სისხლის გადაუსხმელობით, მის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრებოდა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, როდესაც პაციენტი გადაუდებელი სამედიცინო შემთხვევის (ძლიერი სისხლდენის) გამო სასწრაფო დახმარების მეშვეობით მოთავსებული იქნა სამედიცინო დანესებულებაში, მედპერსონალმა იცოდა რა, მისი რელიგიური მრწამსი, შესაბამისი მითითებების მისაღებად მიმართა მორიგე მოსამართლეს, რომელმაც გამოსცა ნებართვა პაციენტისათვის ყველა იმ სამედიცინო თუ ქირურგიული პროცედურის ჩატარების შესახებ, რომელიც საჭირო იყო მისი სიცოცხლის გადასარჩენად. აღნიშნულის საფუძველზე, პაციენტს (რომელიც საოპერაციო ოთახში შეყვანისას ჯერ კიდევ გონზე იყო, თუმცა არ იყო ინფორმირებული მოსამართლის მიერ გაცემული ნებართვის შესახებ) ჰემოტრანსფუზია და ოპერაცია იმავე დღეს ჩაუტარდა.

28. რაც შეეხება საერთო სამართლის ქვეყნებში დადგენილ პრაქტიკას, სისხლის გადასხმაზე უარის თქმისას, ერთი მხრივ, უნდა შემოწ-

მდეს პირის ფსიქიკური მდგომარეობა გადანყვეტილების მიღებისას, ნების თავისუფლება და, ასევე, რამდენად ჰქონდა სისხლის გადასხმაზე უარის შედეგები განმარტებული და გაგებული ნების გამომვლენს.

მაგალითად, ინგლისური სამართლის მიხედვით, წინასწარი უარი სისხლის გადასხმაზე მოითხოვს ნების ნამდვილობის ზედმიწევნით ფრთხილ შემოწმებას და მაღალ სტანდარტს, ინგლისისა და უელსის უმაღლესმა სასამართლომ პირისათვის სისხლის გადასხმა, პაციენტის მიერ წინასწარი გამოხატული უარის მიუხედავად, მიიჩნია გამართლებულად, რამდენადაც სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა ვარაუდის საფუძველი, რომ ნება არ იყო გამოვლენილი თავისუფლად, არამედ – დედის გავლენით, რომელიც იყო იეჰოვას მოწმე. სასამართლოს განმარტებით, ზრდასრული პირების შემთხვევაში, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ მათ აქვთ სრული უნარი და შესაძლებლობა (ქმედუნარიანობა) უარი განაცხადონ მკურნალობაზე, თუმცა ეს პრეზუმფცია შეიძლება უგულვებელყოფილი იქნას მაშინ, როდესაც, დგინდება ისეთი ფაქტორები, როგორიცაა დაბნეულობა, დაღლილობა, გაუცნობიერებელი თუ შოკის მდგომარეობის არსებობა, რომელიც გავლენას ახდენს პაციენტის გადანყვეტილებაზე. ამასთან, როდესაც პაციენტი უარს ამბობს ისეთ მკურნალობაზე, რაც მის სიკვდილს გამოიწვევს, გაცნობიერებული გადანყვეტილების მიღების უნარის შემოწმება უნდა მოხდეს უმაღლესი სტანდარტით, მოცემულ საქმეში პაციენტს ხელი ჰქონდა მოწერილი სისხლის გადასხმაზე უარის შესახებ სტანდარტულ ბლანკზე და არ ჩანდა, რომ ის დაჟინებით ამბობდა უარს სისხლის გადასხმაზე სიცოცხლისათვის რისკის არსებობისას. შესაბამისად, სასამართლომ ექიმის ქმედებით სიცოცხლის გადარჩენა არ შეაფასა პაციენტის უფლებების დარღვევად (ი. გელაშვილი, გვ. 73-74, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 6/2023).

29. წინასწარი ნების გამოვლენის ინსტიტუტი აღიარებულია როგორც საერთაშორისო სამართლის ინსტრუმენტებით ასევე სასამართლო პრაქტიკით. კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით პაციენტის წინასწარი ნების პატივისცემა და მასთან დაკავშირებული სტანდარტები დადგენილია სხვადასხვა საქმეებში მათ შორის ყველაზე ავტორიტეტულია: *Pretty v. the United Kingdom*, no. 2346/02, § 61-67 et seq., ECHR 2002-III; *JEHOVAH'S WITNESSES OF MOSCOW AND OTHERS v. RUSSIA*, საჩივარი no. 302/02), § 135-136, 10 ივლისი 2010; ასევე იხ. კონვენცია ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ, მუხლი 9, ადრე გამოხატული ნება.

30. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სახელმძღვანელო პრინციპს წარმოადგენს, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელია ურთიერთსაპირისპირო ინტერესებს შორის სამართლიანი

ბალანსის დაცვა. წინამდებარე საქმეში ერთი მხრივ წარმოდგენილია სახელმწიფოს ვალდებულება დაიცვას და პატივი სცეს პირის პირადი ავტონომიის უფლებას, ხოლო მეორე მხრივ უზრუნველყოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხები და მიიღოს შესაბამისი ზომები პირთა სიცოცხლის გადასარჩენად და მათი ჯანმრთელობის დასაცავად. პაციენტის უარი პოტენციურად სიცოცხლის შემანარჩუნებელ სამედიცინო მკურნალობაზე რელიგიური საფუძვლით თავისთავად რთულ სამართლებრივ პრობლემას წარმოადგენს (იხ. *Jehovah's Witnesses of Moscow and Others v. Russia*, no. 302/02, 2010, § 134). ასეთ შემთხვევაში, ეროვნულ ხელისუფლებას და მითუმეტეს სასამართლოს ბენჯის ხიდზე უნევს გავლა, რამდენადაც საქმე ეხება საკითხს, რომელიც თავისი სამართლებრივი და ფაქტობრივი შინაარსით უკავშირდება მაღალ ეთიკურ და სენსიტიურ სამართლებრივ პრობლემას, ხოლო ასეთ დროს დემოკრატიული საზოგადოების პირდაპირი მოთხოვნაა, რომ სასამართლოებმა ქიურგული სიზუსტით გაავლონ ზღვარი და დაამყარონ ბალანსი ურთიერთსაპირისპირო ინტერესებს შორის.

31. ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ეკისრებათ პოზიტიური ვალდებულება, კონვენციის შესაბამისი დებულებების, განსაკუთრებით მე-2 და მე-8 მუხლების მიხედვით, მიიღონ შესაბამისი ზომები მათი იურისდიქციის ფარგლებში მყოფთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად (იხ. *VAVRICKA AND OTHERS v. THE CZECH REPUBLIC*, nos. 47621/13 and 5 others, 08/04/2021, § 281; *L.C.B. v. the United Kingdom*, 9 ივნისი 1998, § 36, *Reports of Judgments and Decisions 1998-III*; *Budayeva and Others v. Russia*, nos. 15339/02 and 4 others, §§ 128-30, ECHR 2008 (ამონარიდები); *Furdík v. Slovakia* (dec.), no. 42994/05, 2 დეკემბერი 2008, დამატებითი მითითებებით; *Hristozov and Others*, §§ 106 და 116; *Ybrahim Keskin v. Turkey*, no. 10491/12, § 62, 27 marti 2018; და *Kotilainen and Others v. Finland*, no. 62439/12, §§ 78 et seq., 17 სექტემბერი 2020).

32. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მე-8 მუხლით დაცულ სფეროში ჩარევა მიიჩნევა დარღვევად, თუ იგი არ არის კანონით განსაზღვრული, არ ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს და არ არის აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.

რათა შეფასდეს იყო თუ არა ჩარევა „აუცილებელი“, სასამართლო ითვალისწინებს შეფასების ზღვარს, რომელიც რჩება სახელმწიფო ხელისუფლებას, თუმცა სახელმწიფოს მოვალეობაა აჩვენოს ჩარევის მიღმა არსებული მწვავე სოციალური საჭიროება (იხ. *Paradiso and Campanelli v. Italy* [დიდი პალატა], § 179; *Parrillo v. Italy* [დიდი პალატა], no. 46470/11, § 168, ECHR 2015; *S.H. and Others v. Austria*, § 91; და *K. and T. v. Finland*, § 154). შეფასების გარკვეული ზღვარი ეძლევა ეროვნულ ხელისუფლებას. მისი ზომა დამოკიდებულია კონკრეტული შემთხვევის მი-

ერ ნაკარნახევ რიგ ფაქტორებზე. ზღვარი იქნება შედარებით ვიწრო, როდესაც სასწორზე დადებული უფლება გადამწყვეტია ინდივიდის ინტიმური ან ძირითადი უფლებებით ეფექტური სარგებლობისთვის. როდესაც საქმე ეხება ინდივიდის არსებობას ან იდენტობის განსაკუთრებით მნიშვნელოვან ასპექტს, სახელმწიფოსთვის დაშვებული ზღვარი ასევე შეზღუდულია. როდესაც კონვენციის ხელშემკვრელ მხარეებს შორის არ არის კონსენსუსი, როგორც სასწორზე არსებულ შედარებითი ინტერესების მნიშვნელობასთან, ასევე, მისი დაცვის საუკეთესო საშუალებების შესახებ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება მგრძნობიარე მორალურ ან ეთიკურ საკითხებს, ზღვარი უფრო ფართო იქნება (იხ. *Vavříčka and Others v. the Czech Republic* [დიდი პალატა], § 273). ჯანდაცვის პოლიტიკის საკითხები, პრინციპში, ექვემდებარება ეროვნული ხელისუფლების თავისუფალი შეფასების ფარგლებს, რომლებიც საუკეთესო პოზიციაში იმყოფებიან პრიორიტეტების, რესურსების გამოყენებისა და სოციალური საჭიროებების შესაფასებლად (იხ. *Vavříčka and Others v. the Czech Republic* [დიდი პალატა], § 274; *Hristozov and Others v. Bulgaria*, nos. 47039/11 and 358/12, § 119, ECHR 2012 (ამონარიდები)).

მოპასუხე სახელმწიფოს შეფასების ზღვარი, როგორც წესი, ფართო იქნება, თუ მას მოეთხოვება ბალანსის დამყარება კონკურენტ კერძო და საჯარო ინტერესებს ან კონვენციურ უფლებებს შორის (იხ. *Evans v. the United Kingdom* [დიდი პალატა], no. 6339/05, § 77, ECHR 2007-I; *Vavříčka and Others v. the Czech Republic* [დიდი პალატა], § 275).

ჩარევა ჩაითვლება „აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში“ ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, თუ ის პასუხობს „მწვავე სოციალურ საჭიროებას“ და, კერძოდ, თუ ეროვნული ხელისუფლების მიერ მის გასამართლებლად მოყვანილი მიზეზები არის „რელევანტური და საკმარისი“, ასევე, თუ იგი პროპორციულია დასახული კანონიერი მიზნისა (იხ. *Paradiso and Campanelli v. Italy* [დიდი პალატა], § 184; *Parrillo v. Italy* [დიდი პალატა], no. 46470/11, § 168, ECHR 2015; *S.H. and Others v. Austria*, § 91; and *K. and T. v. Finland*, § 154). კონვენციის სისტემას ფუნდამენტურად სუბსიდიარული როლი აქვს. ეროვნულ ხელისუფლებას აქვს პირდაპირი დემოკრატიული ლეგიტიმაცია, რამდენადაც ეს ეხება ადამიანის უფლებათა დაცვას და, მათი ქვეყნების სასიცოცხლო ძალებთან პირდაპირი და მუდმივი კავშირის გამო, ისინი, პრინციპში, უკეთეს მდგომარეობაში არიან, ვიდრე საერთაშორისო სასამართლო ადგილობრივი საჭიროებებისა და პირობების შესაფასებლად (იხ. *Vavříčka and Others v. the Czech Republic* [დიდი პალატა], § 273).

საკასაციო პალატის განსჯით, მოცემულ შემთხვევაში, კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული პაციენტის პირადი ავტონომიის უფ-

ლებაში ჩარევა ამავე მუხლის მე-2 პარაგრაფის საფუძველზე ემსახურებოდა სიცოცხლის, პირადი ავტონომიისა და საზოგადოებრივი ინტერესის დაცვას, რაც ლეგიტიმური მიზანია.

33. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში, ჩარევა იყო პროპორციული და მოპასუხეთა მხრიდან მოსარჩელის პირადი ავტონომიის ბრალეულ ხელყოფას ადგილი არ ჰქონია, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ არ ვლინდება მოპასუხეთათვის მოსარჩელის სასარგებლოდ მორალური ზიანის დაკისრების საფუძველი.

34. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო საქმეზე გადაწყვეტილებას თვითონ მიიღებს, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოში დაბრუნების საფუძველები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე. შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით – სარჩელი უარყოფილი იქნეს.

35. ვინაიდან, საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი (იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან), მე-2 (ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას) და მე-3 (თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც) ნაწილების თანახმად, მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო

ლავო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა ლ ა ნ ე ჯ ი ტ ა :

1. ს.ს. „ე. ჰ-ბი“-ს და მ. ტ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 25 მაისის №28/691-22 გადაწყვეტილება და მიღებული იქნას ახალი გადაწყვეტილება.
3. ი. თ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.
4. ი. თ-ძეს (პ/ნ...) ს.ს. „ე. ჰ-ბი“-ს (ს/ნ...) და მ. ტ-ძის (პ/ნ...) სასარგებლოდ დაეკისროს 300 (სამასი) ლარის გადახდა, საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის სანაცვლოდ.
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ზიანის ანაზღაურება არაქმონებრივი ზიანისთვის

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1572-2023

19 ივნისი, 2024 წ., ქ, თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: მ. ერემაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მიქაბერიძე,
ვ. კაკაბაძე**

დავის საგანი: მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2004 წლიდან მ. ბ-ძე (შემდგომში მოსარჩელი) რეგისტრირებულ ქორწინებაში იყო კ. ო-თან (შემდგომში მოსარჩელის მეუღლე ან მოსარჩელის ყოფილი მეუღლე). მეუღლეებს ერთად ცხოვრების პერიოდში შეეძინათ 5 შვილი.

2. 2018 წლის 19 აპრილს მოსარჩელის მეუღლეს ტელეფონით დაუკავშირდა ნ. ს-ი (შემდგომში მოპასუხე, კასატორი ან საკასაციო საჩივრის ავტორი) და მიანოდა მოსარჩელესთან დაკავშირებული პირადი ხასიათის, პატივის/ღირსების შემლახველი ინფორმაცია.

3. სატელეფონო კომუნიკაციის შემდგომ მეუღლეებს შორის ფაქტობრივად შეწყდა საქორწინო/ოჯახური ურთიერთობა.

4. მოსარჩელემ განცხადებით მიმართა შს სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის კასპის რაიონულ სამმართველოს. განცხადების საფუძველზე წარმოებული მოკვლევის დროს გამოიკითხა როგორც თავად განმცხადებელი, ასევე მოსარჩელის ყოფილი მეუღლე, მოპასუხე და სხვა პირები (მათ შორის ოჯახის წევრები, ნათესავები და ა.შ).

5. გამოკითხვისას მოსარჩელის ყოფილმა მეუღლემ განმარტა, რომ 2018 წლის 19 აპრილს 11:46 საათზე მას ფარული ნომრით დაურეკა ქალბატონმა, 40 წამის განმავლობაში ესაუბრა და უთხრა, რომ მისი მეუღლე ღალატობდა. 11:51 საათზე ისევ დაურეკა და იგივე გაუმეორა. გაირკვა, რომ დაფარული ნომერი ეკუთვნოდა ვინმე ნ. ხ-ს, რომელმაც მასთან საუბრისას უარყო ზარის განხორციელების ფაქტი და განაცხადა, რომ მისი ტელეფონიდან დარეკა მეგობარმა, ნ. ს-მა (მოპასუხემ). მოსარჩელის ყოფილი მეუღლე დაუკავშირდა მოპასუხეს, რომელმაც საუბრისას დაიწყო ტირილი და განაცხადა, რომ შეეშალა ნომერი, მასთან არ რეკავდა და უბრალოდ დაემთხვა სახელები. მოსარჩელის ყოფილმა მეუღლემ ასევე მიუთითა, რომ მასთან კასპში მივიდნენ მოპასუხის ძმა, დედა და ბიძა და სთხოვეს ნ. ს-სათვის აღნიშნული შემთხვევის პატიება.

6. კასპის რაიონულ სამმართველოში გამოკითხვისას, ნ. ხ-მა დაადასტურა მოპასუხის მიერ მისი ტელეფონის გამოყენება და განმარტა, რომ ზარის ადრესატის შესახებ მისთვის ცნობილი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოსარჩელის მეუღლემ დაურეკა და განუცხადა, რომ მითითებული ნომრიდან დაურეკეს და აცნობეს მეუღლის ღალატის შესახებ.

7. გამოკითხვისას მოპასუხემ განმარტა, რომ 2018 წლის 19 აპრილს ნ. ხ-ის კუთვნილი მობილური ტელეფონით (...) ორჯერ დარეკა ნომერზე ... პირადი საკითხის გასარკვევად, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ნომერი არ ეკუთვნოდა იმ პიროვნებას, რომელთანაც რეკავდა. პირადი პრობლემების გამო თავად იყო აღელვებული და ზუსტად არ ახსოვს საუბრის შინაარსი, „... რადგანაც იყო აღელვებულ მდგომარეობაში, შესაძლოა, მას მართლაც უთხრა მსგავსი რამ, ამის გამო იყო შეწუხებული, და ნაწილობრივ გაუაზრებელ საქციელს. მას არანაირი ფაქტი და მტკიცებულება არა აქვს, ვინმეს ოჯახის ღალატთან დაკავშირებით...“.

8. სასარჩელო მოთხოვნა:

8.1. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხის მიმართ და მოითხოვა მორალური ზიანის საკომპენსაციოდ მოპასუხისთვის 5000 ლარის გადახდის დაკისრება.

8.2. მოსარჩელის განცხადებით, მოპასუხემ მისი სახელის გატეხვი-

სა და ოჯახის დანგრევის მიზნით გაავრცელა ცილისმნამებლური განცხადებები, მოსარჩელეს გაუტეხა სახელი, რის გამოც, მან ოჯახის შენარჩუნება ვერ შეძლო – მეუღლემ მიატოვა ხუთ შვილთან ერთად. სახელისგამტეხი ინფორმაცია გავრცელდა ნათესავებსა და მეზობლებში, ამასთან, აღნიშნულმა საკმაოდ უარყოფითი გავლენა მოახდინა შვილებზეც. მოსარჩელე დღემდე აუტანელ ნეგატიურ ემოციებს განიცდის და ფიქრობს სიცოცხლის თვითმკვლელობით დასრულებაზე

9. მოპასუხის შესაგებელი:

9.1. მოპასუხემ წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მას არანაირი ცილისმნამებლური ცნობები მოსარჩელის მიმართ არ გაუვრცელებია და სარჩელში მითითებული ინფორმაცია სიცრუეა. მოსარჩელე ცდილობს ხელოვნურად შექმნას აბსურდული სიტუაცია და მიიღოს თანხა მოპასუხისგან.

10. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების საარეზოლუციო ნაწილი:

10.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა: მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა მორალური ზიანის, 5000 ლარის ანაზღაურება.

11. მოპასუხის სააპელაციო საჩივარი:

11.1. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

12. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

12.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების საარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტი და ამ ნაწილში მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა მორალური ზიანის, 3000 ლარის ანაზღაურება.

12.2. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-7 პუნქტებში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის მე-18, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლებით და გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოცემულ შემთხვევაში მოპასუხემ დაარღვია მოსარჩელის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება – მოსარჩელის მეუღლეს სატელეფონო კომუნიკაციის მეშვეობით მიანოდა პირადი ხასიათის, მოსარჩელის პატივის შემლახავი ინფორმაცია – ლა-

ლატის შესახებ და ეს ინფორმაცია გავრცელდა როგორც ნათესავებსა და მეზობლებში, ასევე აღნიშნულის შესახებ შეიტყვეს მოსარჩელის არასრულწლოვანმა შვილებმა. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხემ ქმედება ჩაიდინა გააზრებულად და მიზანმიმართულად, რამაც მოსარჩელესა და მის მეუღლეს შორის საქორწინო ურთიერთობის შეწყვეტა გამოიწვია, აღნიშნული კი, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, ქმნიდა სამოქალაქო კოდექსის 18.2 და 18.6 მუხლებით გათვალისწინებული წესით მოსარჩელის დარღვეული უფლების აღდგენის წინაპირობებს. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლით და გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ დამრღვევი პირისათვის დასაკისრებელი მორალური ზიანის სამართლიანი ოდენობის დადგენის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენდა მისი ანაზღაურებით სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების პრევენციული დანიშნულება, რადგან პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევით გამოწვეულ მორალურ ზიანს მატერიალური ეკვივალენტი არ გააჩნია, შესაბამისად, ობიექტურად შეუძლებელია პატივისა და ღირსების შელახვასთან დაკავშირებული პირის მიერ გაცდილი სულიერი ტკივილის ხარისხის შეფასება და მისი ნებისმიერი ოდენობის ფულადი თანხით კომპენსირება.

12.3. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ, ერთი მხრივ, მორალური ზიანის საკომპენსაციოდ და, მეორე მხრივ, სანქციის პრევენციული დატვირთვისთვის, ნაცვლად საქალაქო სასამართლოს მიერ მიკუთვნებული 5000 ლარისა, გონივრულ ოდენობად უნდა მიჩნეულიყო 3000 ლარი.

13. კასატორის მოთხოვნა და საკასაციო საჩივრის საფუძვლები:

13.1. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი წარადგინა მოპასუხემ, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

13.2. კასატორის განცხადებით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება იურიდიულად საკმარისად დასაბუთებული არ არის. საქმეში წარდგენილ მასალებში არსად ფიქსირდება ის ფაქტი, რომ მოსარჩელის მეუღლეს მოპასუხემ მიაწოდა მოსარჩელის პატივის შემლახავი ინფორმაცია. როდესაც სასამართლო მორალური ზიანის სახით მხარეს აკისრებს კომპენსაციას, უტყუარად, შესაბამისი მტკიცებულებებით უნდა დასტურდებოდეს ზიანის მიყენების ფაქტი, რაც მოცემულ შემთხვევაში არ იკვეთება.

14. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

14.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024 წლის 15 იანვრის განჩინებით, საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კო-

დექსის, 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო ამავე პალატის 2024 წლის 22 მაისის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლოს საქმის მასალების გაცნობის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერების, საკასაციო საჩივრის იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად, მიაჩნია, რომ მოპასუხის საკასაციო განაცხადი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

15. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებსა და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). საკასაციო სასამართლოს შეფასებით კასატორს ასეთი დასაბუთებული საკასაციო შედავება არ აქვს წარმოდგენილი.

16. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. *ჟლარკავა საქართველოს წინააღმდეგ*, № 7932/03; *Van de Hurk v. Netherlands*, par.61, *Garcia Ruiz v. Spain [GC]* par.26; *Jahnke and Lenoble v France* (dec.); *Perez v France [GC]*, პარ. 81). საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობასა და დასკვნებს, რაც საკასაციო პრეტენზიის არსებითად განხილვის ეტაპზე, საკასაციო საჩივრის უარყოფისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების საფუძველია.

17. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და სწორედ ამ ფარგლებში არსებითად განიხილავს და ამოწმებს საკასაციო პრეტენზიის დასაბუთებულობას (სსსკ-ის 407-ე მუხლი), ამასთან, მიაჩნია, რომ არ ვლინდება სააპელაციო სასამართლოსათვის საქმის ხელახლა განსახილველად

დაბრუნების საფუძველი (სსსკ-ის 412-ე მუხლი).

18. საკასაციო სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში/განჩინებაში უთითებს, რომ ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადანაცვება სასამართლოში, დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი, როგორც ეს ცნობილია, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. სწორედ მტკიცების ტვირთსა და მის სწორ განაწილებაზე დამოკიდებული დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილების მიღება.

19. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება უმეტესწილად დამოკიდებულია და გულისხმობს სასამართლოს მიერ დასაბუთებული, მტკიცებულებათა ურთიერთშეჯერებისა და გაანალიზების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების მიღებას. მტკიცების ტვირთის როლი განსაკუთრებით ვლინდება სამოქალაქო სამართალწარმოებაში, სადაც მხარეთა ნების ავტონომიას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. შესაძლებელია მხარის მოთხოვნა საფუძვლიანი იყოს, მაგრამ შეუძლებელია მხარემ მიიღოს თავისი სასარგებლო გადაწყვეტილება, თუ ვერ დაამტკიცებს თავის სასარგებლო გარემოებებს საპროცესო სამართლით დადგენილი წესით. ამიტომაც, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მტკიცების ტვირთის მართებული განაწილება მოდავე მხარეებს შორის.

20. სსსკ-ის მე-3 მუხლის მიხედვით, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი. ამავე კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული შესაგებლები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

21. მტკიცების ტვირთს აწესრიგებს სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი

ნაწილი, რომლის მიხედვითაც თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზედაც დაფუძნებულია სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო მოპასუხემ გარემოებები, რომლებსაც მისი შესაგებელი ემყარება. მტკიცების ტვირთი არის სამოქალაქო სამართალწარმოებაში საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების მოვალეობის დაკისრება მხარეებზე, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანით იმ მხარის მიმართ, რომელმაც ეს მოვალეობა სათანადოდ არ (ვერ) შეასრულა. მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი – ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. სასამართლოს დაურწმუნებლობა კი, მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს. მტკიცების ტვირთი დამოკიდებულია არა მხარის როლზე პროცესში, არამედ მოთხოვნის საფუძველზე. ის ვინც ითხოვს ვალდებულების შესრულებას, უნდა დაამტკიცოს მოთხოვნის საფუძვლის არსებობა არა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ითხოვს თავისი მოთხოვნის შესრულებას, ან აღიარებას, არამედ მაშინაც, როდესაც იგი თავს იცავს მოწინააღმდეგე მხარის ნეგატიური აღიარებითი სარჩელისაგან (მოთხოვნისაგან). მტკიცების ტვირთისაგან უნდა გაიმიჯნოს ფაქტების მითითების ტვირთი, როგორც მხარის ფაქტუალური მოვალეობა. მხარეები სსკ-ის მე-4 მუხლის თანახმად სრულიად თავისუფალი არიან მითითონ ნებისმიერ ფაქტზე. ეს მათი უფლებაა, მაგრამ მათ მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება, ე.ი. იმის დადგენა და გარკვევა, თუ რამდენად ასაბუთებენ ეს ფაქტები იურიდიულად მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს – ეს უკვე სასამართლოს პრეროგატივაა. ამასთან, საკმარისი არ არის, რომ მხარემ ზოგადად გამოთქვას მოსაზრება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებაზე, მაგალითად, განაცხადოს, რომ იგი მთლიანად უარყოფს მეორე მხარის მიერ მოხსენებულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. მხარის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები კონკრეტულად და დეტალურად უნდა ჩამოყალიბდეს და ეხებოდეს საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას. მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები უნდა იყოს დასაბუთებული და ეხებოდეს იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს დავასთან. მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხემ კი – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს (იხ. ჰაინ ბიოლინგი, ლადო ჭანტურია,

სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდика, თბ., 2003, გვ.64) – იხ. შეად. სუსგ-ებს №ას-1298-2018; 22.03.2019წ; №ას-1329-2018, 22.02.2019წ; №ას-1610-2019, 07.02.2020წ.

22. მოცემულ შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს მორალური ზიანის ანაზღაურება, რომელსაც მოსარჩელე ითხოვს პატივისა და ღირსების, ასევე რეპუტაციის შელახვის გამო, რაც იმაში გამოიხატა, რომ მოპასუხემ მასზე გაავრცელა ლალატის შესახებ მცდარი ინფორმაცია, რის გამოც, მეუღლემ იგი მიატოვა. ეს ინფორმაცია გავრცელდა ნათესავებსა და ახლობლებში, შეიტყვეს არასრულწლოვანმა შვილებმაც, რის გამოც მოსარჩელე განიცდის ძლიერ სულიერ ტანჯვას

23. ამრიგად, მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სამოქალაქო კოდექსის მე-18 (პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან (მე-2 ნაწილი). ამ მუხლით გათვალისწინებული სიკეთის დაცვა ხორციელდება, მიუხედავად ხელმყოფის ბრალისა, ხოლო თუ დარღვევა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით, პირს შეუძლია მოითხოვოს ზიანის (ზარალის) ანაზღაურებაც. ზიანის ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს იმ მოგების სახით, რომელიც წარმოექმნა ხელმყოფს. ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს უფლება აქვს მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებაც. მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისგან დამოუკიდებლად (მე-6 ნაწილი)), 413-ე (არაქონებრივი ზიანისთვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით) მუხლები. აღსანიშნავია, რომ ადამიანის პატივი და ღირსება პირადი ცხოვრების უფლებით დაცული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიკეთეა – საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს და იცავს პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებებს (კონსტიტუციის მე-15 მუხლი).

24. სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მეორე ნაწილის მიზანი, უპირველესად გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში დარღვეული პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვაა. ამ მიზნით შესაბამისი სასარჩელო მოთხოვნის დაყენების უფლება გააჩნია პირს, რომლის შესახებაც გავრცელდა ინფორმაცია. პირადი არაქონებრივი უფლებების ხელყოფად ჩაითვლება, თუ არსებობს რაიმე ცნობის (ფაქტის) გავრცელება და ეს ცნობა შეიცავს ამ ნორმით დაცულ ერთ ან რამდენიმე სიკეთის (პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის ან სხვ.) ხელყოფას. ამდენად, არაქონებრივი უფლებების დარღვევის იურიდიული კვალიფიკაციისათვის საკმარისია ამ ნორმით დაცული ერთ-ერთი სიკეთის ხელ-

ყოფაც, რომელიც კანონის ან მორალის ნორმების დარღვევას, უღირსი საქციელის ჩადენის შესახებ მტკიცებას შეიცავს. არაქონებრივ უფლებათა დაცვის ფორმებია: არაქონებრივ უფლებათა აღიარება, ხელმყოფი მოქმედების შეწყვეტა ან მათზე უარის თქმა (უარყოფა) და ასევე – არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება. თითოეულის არსებობისათვის საჭიროა ჩამოთვლილი ერთი ან რამდენიმე სიკეთე მაინც შეილახოს (იხ. სუსგ საქმე №ას-810-2019, 5 მარტი, 2021 წელი).

25. განსახილველ შემთხვევაში, ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგენილია, რომ მოპასუხის მიერ ჩადენილი მიზანმიმართული ქმედებით – მოსარჩელის მეუღლესთან სატელეფონო კომუნიკაციითა და მოსარჩელის შესახებ შეურაცხმყოფელი ინფორმაციის გავრცელებით – დაირღვა მოსარჩელის პირადი არაქონებრივი უფლება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, რაც მორალური ზიანის ანაზღაურების წინაპირობებს ქმნიდა.

26. საკასაციო სასამართლო დასაბუთებულ საკასაციო პრეტენზიად ვერ მიიჩნევს კასატორის განცხადებას იმის შესახებ, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებები არ ადასტურებენ მოსარჩელის მიმართ შეურაცხმყოფელი ინფორმაციის გავრცელების ფაქტს. აღნიშნული პრეტენზიის პასუხად, სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში წარდგენილ, შსს კასპის რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებლის მიერ შედგენილ ოქმზე, სადაც თავად მოპასუხე ადასტურებს, რომ მან სატელეფონო საუბრისას მოსარჩელის მეუღლეს, მართლაც მიაწოდა ინფორმაცია მეუღლის ღალატის შესახებ, რის გამოც, ნანობს კიდეც თავის საქციელს. ოქმში მითითებულია შემდეგი: „... მე დამიკავშირდა ნ. ხ-ი და მითხრა, რომ მას დაუკავშირდა კ. ო-ი, რომლის ნომერზე მე დავრეკე და უთხრა, რომ მისი ნომრიდან დაურეკა. ნ. ხ-ის გადმოცემით, მე კ. ო-ისთვის მითქვამს, რომ მისი მეუღლე მ. ღალატობდა მას. არ მახსოვს კონკრეტული სახელი ვუთხარი თუ არა მას. მე ვრეკავდი სხვასთან სრულიად სხვა საკითხზე. რადგანაც ვიყავი ალელვებულ მდგომარეობაში, შესაძლოა მე მართლაც ვუთხარი მსგავსი რამ. ამის გამო ვარ შეწუხებული და ვნანობ ჩემს გაუაზრებელ საქციელს. მე არანაირი ფაქტი და მტკიცებულება არ მაქვს არავის მიმართ, რომ ვინმე საკუთარ ოჯახს ღალატობს...“. უდავოდ დადგენილია ისიც, რომ ამ ფაქტის (მოპასუხისა და მოსარჩელის მეუღლის სატელეფონო საუბრის) შემდეგ, მოსარჩელის მეუღლემ მიატოვა ოჯახი და მოსარჩელე მარტო დარჩა თავის 5 შვილთან ერთად.

27. საკასაციო სასამართლოს არაერთ განჩინებაშია განმარტებული, რომ ტერმინი „მორალური ზიანი“ სულიერი გრძნობებისა და ურთიერთობების სფეროში მიყენებულ ზიანს გულისხმობს. ადამიანის ფსიქიკაში ნეგატიური ცვლილებების არსებობას, რაც გამოიხატება ფიზიკურ

და სულიერ ტანჯვაში, გარეგნული გამოხატულება არ გააჩნია და შესაბამისად, არამატერიალიზებული ზიანია. არამატერიალურ ფასეულობათა ხელყოფა კი, ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას იწვევს (იხ. სუსგ საქმე №ას-1477-1489-2011, 23 აპრილი, 2012 წელი; სუსგ საქმე №ას-1149-1169-2011, 25 თებერვალი, 2013 წელი). მორალური ზიანის ანაზღაურების უმთავრესი მიზანია ხელყოფილი უფლებების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია და შეუძლებელია მისი სრული კომპენსაცია. ძალიან ხშირად, მიღებული შედეგების გამოსწორება შეუქცევადი მოვლენაა და როგორც არ უნდა იყოს კომპენსაცია, იგი მაინც ვერ აღუდგენს დაზარალებულს ხელყოფამდე არსებულ სულიერ მდგომარეობას. კომპენსაციის მიზანი არის მოსარჩელის გამართლება საზოგადოების თვალში და მორალური ზიანიტ გამონწვეული ტკივილების შემსუბუქება

28. ზემოაღნიშნული განმარტებებისა და საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთშეჯერებით, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას იმის შესახებ, რომ მოპასუხის მიერ მოსარჩელის მეუღლისთვის მოსარჩელის ღალატის თაობაზე ინფორმაციის მიწოდებამ (რამაც მეუღლეთა შორის კონფლიქტი და, საბოლოოდ, ოჯახის დანგრევა გამოიწვია) ხელყო მოსარჩელის პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება, რაც სამოქალაქო კოდექსის მე-18, 413-ე მუხლების მიხედვით, პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევისთვის მორალური ზიანის სახით, მოპასუხისთვის კომპენსაციის დაკისრების ფაქტობრივ-სამართლებრივ წინაპირობას ქმნიდა. მოპასუხეს (კასატორს) კი არ წარუდგენია იმგვარი დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, რაც ზემოაღნიშნული გარემოებების გაბათილებისა და სარჩელის უარყოფის შესაძლებლობას მისცემდა სასამართლოს.

29. რაც შეეხება დაკისრებული კომპენსაციის ოდენობას, ვინაიდან კასატორი მითითებულ საკითხს საკასაციო საჩივრით არ შედავებია, საკასაციო პალატა დამატებით აღარ იმსჯელებს მასზე.

30. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

31. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება არსებითად სწორია, რაც მისი ძალაში დატოვებისა და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უა-

რის თქმის ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველია.

32. ვინაიდან საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, არ არსებობს კასატორის (მოპასუხის) მიერ გაღებული ხარჯის მხარეთა შორის განაწილების სსსკ-ის 53-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები და აღნიშნული ხარჯი უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 399-ე, 372-ე, 410-ე, 264.3 მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ს-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 03 ოქტომბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დაზარალებულის გრალი ზიანის დადგომაში

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-767-2023

16 ოქტომბერი, 2024 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ნ. ბაქაძური**

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებით ვ. ხ-ძის (შემდეგში: მოსარჩელე, სტუდენტი, აპელანტი ან მოპასუხე) სარჩელი მოპასუხეებისთვის: შპს „ს. ს.უ-ტისა“ (შემდეგში: უნივერსიტეტი ან პირველი მოპასუხე) და შპს „ა.მ.პ-კის“ (შემდეგში: პოლიკლინიკა ან მეორე მოპასუხე) წინააღმდეგ 32 300 ლარის გადახდის დაკისრების მოთხოვნით ნაწი-

ლობრივ დაკმაყოფილდა. მოპასუხეთაგან ს. უნივერსიტეტს, მოსარჩელის სასარგებლოდ, 4 950,00 (ოთხი ათას ცხრაას ორმოცდაათი) ლარის გადახდა დაეკისრა.

1.1. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილება იმ გარემოებას ემყარება, რომ მოსარჩელემ წინსწრებით გადაიხდა განუხორციელებელი ფრენის თანხა – 4950 ლარი. ამ ნაწილში მოსარჩელემ ვერ მიიღო მომსახურება მოპასუხე უნივერსიტეტისაგან, მას არც ხელშეკრულება შეუწყვეტია. სტუდენტმა მის მიერ გადახდილი თანხიდან მოპასუხე უნივერსიტეტისაგან მიიღო 26 250 ლარის შესაბამისი მომსახურება, ხოლო წინსწრებით გადახდილი 4 950 ლარის მომსახურება არ მიუღია, რაც სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გადახდილად იქნა მიჩნეული და სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების გზით დაუბრუნდა მოსარჩელეს.

2. მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნა და ფაქტობრივი საფუძვლები

2.1. მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნა ეფუძნება იმას, რომ: იგი 29.09.2011 წელს №01-6 ბრძანებით ჩაირიცხა მოპასუხე უნივერსიტეტში. უნივერსიტეტსა და მოსარჩელეს შორის გაფორმდა ხელშეკრულება №11/08001036699, რომლის თანახმად უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ იკისრა ვალდებულება, გაენია სტუდენტისათვის საჰაერო ტრანსპორტის ბიზნესის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამაზე სასაწავლო მომსახურება;

2.2. სტუდენტს (მოსარჩელეს) 03.04.2012 წელს შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი;

2.3. მოსარჩელესა და უნივერსიტეტს შორის ასევე გაფორმდა ხელშეკრულება №12/08001036699, რომლის თანახმად უნივერსიტეტის ადმინისტრაცია იღებდა ვალდებულებას, გაენია სტუდენტისათვის საჰაერო ტრანსპორტის საფრენოსნო ექსპლუატაციის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამაზე სასაწავლო მომსახურება;

2.4. მოსარჩელემ 2011 წლის 5 დეკემბრიდან 2015 წლის 24 დეკემბრის ჩათვლით უნივერსიტეტის სასარგებლოდ გადაიხადა 32 300 ლარი;

2.5. საჰაერო ტრანსპორტის საფრენოსნო ექსპლუატაციის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლისათვის და წარმატებით დასრულებისათვის საჭირო იყო პირველი კლასის სამედიცინო სერტიფიკატი, რომელსაც გასცემდა საავიაციო სამედიცინო საექსპერტო კომისია, არსებული შპს „ა.მ.პ.-კის“ (მერე მოპასუხის) ბაზაზე და რომელიც ერთადერთი იყო საქართველოში ამ პროფილით;

2.6. მოსარჩელეს 15.02.2012 წლის ელექტროკარდიოლოგიური გამოკვლევით დაუდგინდა: რითმი სწორი, სინუსური ბრადიკარდია, ეკგ პათოლოგიური ცვლილებების გარეშე, რაც იმას გულისხმობდა, რომ

გულის შეკუმშვის სიხშირე იყო 48, თუმცა, ამასთან დაკავშირებით მას დამატებითი კვლევა არ ჩატარებია, რომლითაც დადგინდებოდა აღნიშნული დიაგნოზის თანხვედრა მის მიერ ფრენების განხორციელების შესაძლებლობასთან;

2.7. მოსარჩელეს 18.03.2015 წლის ელექტროკარდიოლოგიური გამოკვლევით დაუსვეს დიაგნოზი, კერძოდ, სტუდენტს დაუდგინდა რითმი არასწორი, სინუსური ბრადი-არიტმია, ეკგ ნორმის ფარგლებში, რაც იმას გულისხმობს, რომ გულის შეკუმშვის სიხშირე იყო 60-49;

2.8. ბოლო შემონმების დროს, 2016 წელს, მოსარჩელის გულის შეკუმშვის სიხშირე იყო 42, სინუსური ბრადიკარდია;

2.9. კომისიამ მოითხოვა დამატებითი სამედიცინო შემონმება, რის შემდეგაც დადგინდა, რომ მოსარჩელე ვერ მიიღებდა პირველი კლასის სამედიცინო სერტიფიკატს და შესაბამისად ვერც დიპლომს;

2.10. უნივერსიტეტმა და პოლიკლინიკის ბაზაზე არსებულმა კომისიამ უგულებელყო სტუდენტის (მოსარჩელის) უფლებები, დაარღვია კეთილსინდისიერებისა და გულისხმიერების პრინციპები, როდესაც 2012 წელს არ მიაქცია სათანადო ყურადღება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობას, არ დაუნიშნა დამატებითი კვლევები იმის გასარკვევად, თუ რით იყო გამოწვეული სინუსური ბრადიკარდია. მოსარჩელემ ისწავლა 4 წელი, გადაიხადა 32 300 ლარი, თუმცა, ვერ მიიღო შესაბამისი მომსახურება და ვერ დაეუფლა პროფესიას;

2.11. მოსარჩელის მტკიცებით, თუ კომისია და უნივერსიტეტი თავის დროზე, ანუ 2012 წელს მიაქცევდა სტუდენტს სათანადო ყურადღებას და მას ჩაუტარებოდა დამატებითი გამოკვლევები (რომლებიც ჩატარდა 2016 წელს), იმავე დასკვნის არსებობის შემთხვევაში, სტუდენტი 2012 წელსვე შეწყვეტდა ხელშეკრულებას და მას არ მიაღებოდა ზიანი 32 300 ლარის ოდენობით და არც დროს დაკარგავდა;

2.12. მოსარჩელემ 2018 წლის 5 სექტემბერს მიმართა შპს „ა.მ.პ-ას“ (მეორე მოპასუხეს) შემდეგი ჩივილებით: ფრენის დროს მუდმივად ჰქონდა თავბრუს ხვევა და თავს ცუდად გრძნობდა, ინფორმაცია დადასტურდა საავიაციო უნივერსიტეტის მფრინავ-ინსტრუქტორის, კ. კ.-ძის მიერ, ვინც იყო მოსარჩელის უშუალო ინსტრუქტორი (პროფესიით ექიმი) და რომელმაც განაცხადა, რომ ფრენისას აღინიშნა ასეთი შემთხვევა, რის შედეგადაც საჰაერო ხომალდის დასმა განახორციელა ინსტრუქტორმა;

2.13. მოპასუხე პოლიკლინიკის გადაწყვეტილებით, მოსარჩელის/სტუდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მასზე პირველი კლასის სამედიცინო სერტიფიკატი არ გაიცა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან მოსარჩელემ ვერ მიაღწია დიპლომის აღების მიზანს, სარჩელით მოითხოვა მოპასუხეებისათვის უნივერსიტეტისათვის სწავლის საფასურის სახით გადახდილი თანხის დაბრუნება.

3. მოპასუხეების შესაგებელი

3.1. სარჩელის პასუხად მოპასუხე უნივერსიტეტის წარმომადგენელმა წერილობით წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და მიუთითა სასარჩელო მოთხოვნის უსაფუძვლობაზე. პირველი მოპასუხის შესაგებელში განმარტებულია, რომ მოსარჩელემ სწავლის საფასურის სახით გადაიხადა 31 200 და არა 32 300 ლარი. აღნიშნულ თანხებს შორის სხვაობა წარმოადგენს მოსარჩელის/სტუდენტის მიერ ეტაპობრივად, მისი აკადემიური დაუსწრებლობის გამო, გამოწვეული გამოცდების გადაბარებისთვის გადახდილ საფასურს;

3.2. პირველმა მოპასუხემ ასევე მიუთითა, რომ საავიაციო სამედიცინო საექსპერტო კომისიის შემონმება მოსარჩელემ უნივერსიტეტის მიმართვის საფუძველზე გაიარა მეორე მოპასუხის – პოლიკლინიკის ბაზაზე და არა უნივერსიტეტში. მოსარჩელის განმარტებით, მან შემონმება გაიარა დამოუკიდებლად, შესაბამისად, უნივერსიტეტისათვის უცნობია შემონმების დროს პულის რა მონაცემი დაუფიქსირდა სტუდენტს;

3.3. სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 11 ოქტომბრის №202 ბრძანებით დამტკიცებული „ავიასპეციალისტთა სამედიცინო სერტიფიცირების წესების“ თანახმად, სამედიცინო სერტიფიკატის გამცემ ლეგიტიმურ ორგანოდ ითვლება მხოლოდ სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ აღიარებული კომისია, საქართველოში ასეთ ორგანოს წარმოადგენს მეორე მოპასუხის-პოლიკლინიკის ბაზაზე არსებული „საავიაციო სამედიცინო საექსპერტო კომისია“;

3.4. მოსარჩელეს, 2012 წლის 29 მარტის პირადი განცხადების საფუძველზე, შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი, ხოლო 2012 წლის 12 სექტემბრის განცხადების საფუძველზე მას აღუდგა სტუდენტის სტატუსი და აღდგენილი იქნა უკვე „საჰაერო ტრანსპორტის საფრენოსნო ექსპლუატაციის“ საბაკალავრო პროგრამაზე;

3.5. მოსარჩელის სახელზე 2016 წლის 11 მარტს გაიცა პილოტ-კურსანტის მოწმობა. 2016 წლის სექტემბრიდან მოსარჩელის პირადი განცხადებისა და უნივერსიტეტის რექტორის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე, მოსარჩელემ შიდა მობილობის წესით სწავლა განაგრძო „საინჟინრო ფაკულტეტის საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის საბაკალავრო პროგრამაზე“, სწავლების მე-7 სემესტრიდან. მოსარჩელეს არ წარმოუდგენია მტკიცებულება, რითიც დასტურდება, რომ მას უარი ეთქვა დიპლომის გაცემაზე;

3.6. მოსარჩელემ დამალა საკუთარი ჯანმრთელობის რეალური მდგომარეობა (როგორც თავად აღნიშნავს პრაქტიკული სწავლების დროს რამდენჯერმე იგრძნო თავი ცუდად) და დამოუკიდებლად გაიარა სამედიცინო შემონმება, ნაცვლად იმისა, რომ მიემართა მეორე მოპასუხის –

პოლიკლინიკის ბაზაზე არსებული „საავიაციო სამედიცინო საექსპერტო კომისიის“ ექიმისათვის. ამ ქმედებით მან შეცდომაში შეიყვანა უნივერსიტეტის პერსონალი და საფრთხე შეუქმნა ფრენის უსაფრთხოებას;

3.7. მოპასუხე უნივერსიტეტი უთითებს მოსარჩელის განმარტებაზე, რომ მან კლინიკას ჩივილებით მიმართა 2018 წლის 5 სექტემბერს, რაც არ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ 2015-2016 წლებში მას გააჩნდა რაიმე სახის ჩივილები. იმ შემთხვევაში კი, თუ მოსარჩელეს ჰქონდა ჩივილები, მას უნდა მიემართა კლინიკისათვის 2015-2016 წლებში. 2012, 2015 და 2016 წლების სამედიცინო კითხვარებში მოსარჩელეს რაიმე სახის ჩივილები არ აღუნიშნავს.

3.8. სარჩელის პასუხად მეორე მოპასუხემ – პოლიკლინიკამ ასევე არ ცნო სარჩელი წერილობით წარდგენილი შესაგებლით და მიუთითა, რომ 2012 წლის 15 თებერვალს მოსარჩელემ მიმართა მოპასუხე პოლიკლინიკის ბაზაზე არსებულ საავიაციო სამედიცინო საექსპერტო კომისიას სამედიცინო შემოწმებისათვის;

3.9. სტუდენტის სახელზე გაიხსნა საავიაციო პერსონალის სამედიცინო წიგნაკი და დაშვებული იქნა გამოკვლევებზე;

3.10. ვინაიდან მოსარჩელეს ობიექტური დარღვევები და ასევე ჩივილები არ აღუნიშნებოდა, მის სასარგებლოდ 2012 წლის 15 მარტს გაიცა სამედიცინო სერტიფიკატი ერთი წლის ვადით, თუმცა, სერტიფიკატის ვადის გასვლის შემდეგ, მოსარჩელეს 2015 წლის 18 მარტამდე პოლიკლინიკისათვის არ მიუმართავს;

3.11. განმეორებითი სამედიცინო სერტიფიკატის მისაღებად მოსარჩელემ პოლიკლინიკას მიმართა 2015 წლის 18 მარტს. მას ჩაუტარდა პირველი კლასის სამედიცინო სერტიფიკატის მისაღებად საჭირო კვლევები „ავიასპეციალისტთა სამედიცინო სერტიფიცირების წესების დამტკიცების შესახებ“ სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 10.11.2013 წლის №202 ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად. მოსარჩელე არ აღნიშნავდა რაიმე სუბიექტურ ჩივილებს. მდგომარეობა შეფასდა როგორც „ჯანმრთელი“. მონაცემები შესაბამისი იყო პირველი კლასის სამედიცინო სერტიფიკატის მიმართ დადგენილ მოთხოვნებთან. სამედიცინო სერტიფიკატის მოქმედების ვადა განისაზღვრა ერთი წლით;

3.12. სამედიცინო სერტიფიკატის ვადის მოქმედების გაგრძელების მიზნით, საჭირო კვლევების ჩასატარებლად, მოსარჩელემ/სტუდენტმა პოლიკლინიკას მიმართა 2016 წლის 15 მარტს. განაცხადის ფორმის შევსების დროს სტუდენტი რაიმე ტიპის სუბიექტურ ჩივილებს არ აღნიშნავდა, შემოწმებისას ელექტროკარდიოგრაფიაზე დაფიქსირდა სინუსური ბრადიკარდია;

3.13. 2015 წლის მონაცემების გათვალისწინებით შესაძლებელი გახ-

და მონაცემების დინამიკის შედარება/შეფასება. კანონის შესაბამისად, მოსარჩელე/სტუდენტი გააგზავნეს სპეციალიზებულ სამედიცინო და-ნესებულებაში ექოკარდიოგრაფიაზე, 24 საათიან ეკგ ჰოლტერ მონი-ტორინგზე და კარდიოლოგის კონსულტაციაზე;

3.14. მოსარჩელემ 2016 წლის 17 მარტს გაიარა შემონმება შპს „აკად. გ. ჩხ. გ. კ. ც-ში“, რომლის მონაცემების შესაბამისად გამოვლინდა სინუ-სური ბრადიკარდია, ეჭვი იქნა მიტანილი სინუსის კვანძის სისუსტეზე და პაციენტს ურჩიეს რითმოლოგიის კონსულტაცია. ვინაიდან მოსარჩე-ლის მიერ პოლიკლინიკისათვის წარდგენილი გამოკვლევის შედეგები ვერ ასახავდა არსებულ მდგომარეობას, მოსარჩელეს დამატებით დაენიშნა ელექტროფიზიოლოგიური გამოკვლევა. გამოკვლევაზე გაგზავნის გა-დაწყვეტილება მიღებული იქნა ერთობლივად – თერაპევტის, კომისიის თავმჯდომარის და სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს წარმომადგენლის მიერ, ასევე გავლილი იქნა სატელეფონო კონსულტაცია მოლდოვის რეს-პუბლიკის საავიაციო შემფასებელთან მედიცინაში საუკეთესო პრაქტი-კის მქონე კარდიოლოგთან, კარდიოქირურგთან – ე. კ-თან;

3.15. მოსარჩელეს განემარტა, რომ ელექტროფიზიოლოგიური გამოკ-ვლევის პასუხის წარმოდგენის შემდეგ გადაწყდებოდა სამედიცინო კო-მისიის მიერ მისი სერტიფიცირების საკითხი, თუმცა, მოსარჩელეს არ წარუდგენია პოლიკლინიკისათვის მოთხოვნილი დამატებითი გამოკვლე-ვის შედეგები საავიაციო სამედიცინო საექსპერტო კომისიაზე;

3.16. მოსარჩელეს 2016 წლის 8 ივნისს მიეცა მიმართვა ელექტრო-ფიზიოლოგიური გამოკვლევის ჩატარების შესახებ;

3.17. მოსარჩელემ 2018 წლის 5 სექტემბერს შეავსო განაცხადი და დაიწყო გამოკვლევები, რისი შედეგებიც წარადგინა პოლიკლინიკაში. კვლევის შედეგების თანახმად, გულის ელექტროფიზიოლოგიური კვლე-ვით სინუსური ბრადიკარდიის მიზეზი არ დადგინდა. ელექტროკარდი-ოგრაფიით დატვირთვის დროს მოსარჩელეს აღენიშნა სწრაფი ჰიპო-თენზია, თავბრუსხვევა და ლებინების შეგრძენა. აღნიშნული ჩივილე-ბი ალაგდა პაციენტის ჰორიზონტალურ მდგომარეობაში გადაყვანის შემდეგ. ყველა შედეგი განხილული იქნა საავიაციო ექსპერტების მიერ ჩეხეთში, ევროპის კოსმოსური მედიცინის საზოგადოების მე-6 კონ-გრესზე დამსწრე კარდიოლოგების მიერ. მათი რეკომენდაციის მიხედ-ვით, შესაძლებელი იყო მხოლოდ მეორე კლასის საფრენოსნო-სამედი-ცინო სერტიფიკატის გაცემა.

4. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, მოსარჩელის (სტუ-დენტის) სასარჩელო მოთხოვნის უარყოფის შესახებ, წარდგენილი სა-აპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, შესაბამისად, უცვლელად დარ-ჩა ნაწილობრივ დაკმაყოფილებული სასარჩელო მოთხოვნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის

16 თებერვლის განჩინებით.

5. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, მოცემულ შემთხვევაში სარჩელზე დავის საგანს წარმოადგენს თანხის დაკისრება. აღნიშნული მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 629-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური. ამავე კოდექსის 636-ე მუხლის თანახმად, შემკვეთს უფლება აქვს სამუშაოს დასრულებამდე ნებისმიერ დროს თქვას უარი ხელშეკრულებაზე, მაგრამ მან უნდა აუნაზღაუროს მენარდეს შესრულებული სამუშაო და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი. სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ: ა. ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში; ბ. ვალდებულების სანააღმდეგოდ ისეთი შესაგებელი იქნა წარდგენილი, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამორიცხულია მოთხოვნის წარდგენა;

5.1. ნარდობის ხელშეკრულების შინაარსს შეადგენს მისი პირობების ერთობლიობა. ნარდობის ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც მასზეა დამოკიდებული ხელშეკრულების მხარეთა უფლებამოვალეობების წარმოშობის თავისებურებები, ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება და სხვა. ნარდობის ხელშეკრულება ანესრიგებს უშუალოდ წარმოების პროცესში წარმოშობილ ურთიერთობებს, რადგან იგი დაკავშირებულია მენარდის ვალდებულებასთან – შეასრულოს ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო და გადასცეს შემკვეთს შეთანხმებული საზღაურის მიღების პირობით შესრულებული სამუშაოს შედეგი. ნარდობის ხელშეკრულებით მენარდის ძირითად ვალდებულებას წარმოადგენს, შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო სსკ-ის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით. ნარდობის ხელშეკრულებით, შემკვეთის ერთ-ერთ ძირითად ვალდებულებას წარმოადგენს, მიიღოს შესრულებული სამუშაო და გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური (იხ. სუსგ №ას-344-2019, 12.02.2021წ.);

5.2. სამოქალაქო კოდექსი აღიარებს და ეფუძნება „pacta sunt servanda-ს“ (ხელშეკრულება უნდა შესრულდეს) პრინციპს, რომლის თანახმად, ხელშეკრულების მხარემ, რომელმაც იკისრა ვალდებულება, უნდა შეასრულოს ხელშეკრულებით მისივე ნებით შეთანხმებული უფლება-მოვალეობები. შესრულების ვალდებულება, პირველ რიგში, ხელ-

შეკრულებით გათვალისწინებული შედეგის დადგომას გულისხმობს. სსკ-ის 361-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ამ მოთხოვნათა შეუსრულებლობა ვალდებულების დარღვევაა და იწვევს მოთხოვნის უფლებას იმ მხარისათვის, რომლის მიმართაც და ინტერესთა საზიანოდ შეთანხმების პირობები დაირღვა (სუსგ №ას-696-696-2018, 06.07.2018წ.).

6. სააკლავო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

6.1. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას – ს.ს.უ-ტსა და მოსარჩელეს/სტუდენტს შორის, 2011 წლის 1 ოქტომბერს, გაფორმდა ხელშეკრულება №11/08001036699, რომლის თანახმად უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ იკისრა ვალდებულება, გაეწია სტუდენტისათვის საჰაერო ტრანსპორტის ბიზნესის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამაზე სასწავლო მომსახურება, მას შემდეგ, რაც სტუდენტი გადაიხდიდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ სწავლის საფასურს (სწავლების წლიური საფასური: 60 კრედიტი განისაზღვრა 3000,00 ლარის ოდენობით);

6.2. მოსარჩელე 2011 წლის 29 სექტემბრის ბრძანებით ჩაირიცხა საჰაერო ტრანსპორტის ბიზნესის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამაზე;

6.3. მოსარჩელის 2012 წლის 29 მარტის განცხადების საფუძველზე, 2012 წლის 3 აპრილის ბრძანებით (№01-03-3/17), სტუდენტს აკადემიურ შვებულებასთან დაკავშირებით შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი;

6.4. სტუდენტსა და მოპასუხე უნივერსიტეტს შორის, 2012 წლის 14 სექტემბერს, გაფორმდა ხელშეკრულება №12/08001036699, რომლის თანახმად უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ იკისრა ვალდებულება, გაეწია სტუდენტისათვის საჰაერო ტრანსპორტის საფრენოსნო ექსპლუატაციის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამაზე სასწავლო მომსახურება, მას შემდეგ, რაც სტუდენტი გადაიხდიდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ სწავლის საფასურს (სწავლების წლიური საფასური: 60 კრედიტი განისაზღვრა 8750,00 ლარის ოდენობით);

6.5. მოსარჩელის 2012 წლის 12 სექტემბრის განცხადების საფუძველზე, 2012 წლის 19 სექტემბრის ბრძანებით (№01-03-4/12), სტუდენტი აღდგენილ იქნა (აღდგენის წესით ჩარიცხვის შესახებ) საჰაერო ტრანსპორტის საფრენოსნო ექსპლუატაციის ფაკულტეტის „პილოტ-ინჟინერის“ საბაკალავრო პროგრამაზე;

6.6. სტუდენტის სასწავლო ბარათის თანახმად, მოსარჩელე საჰაერო ტრანსპორტის საფრენოსნო ექსპლუატაციის ფაკულტეტზე (კომერციული პილოტი) გადაყვანილი იქნა სწავლების მესამე წელზე 2014/

2015 სასწავლო წლის მე-5 სემესტრში, სასწავლო კურსის ოთხი სემესტრის სწავლების შემდეგ;

6.7. 2015 წლის 4 სექტემბრის №01-01-2/03 ბრძანების თანახმად, ს.ს.უ-ტის საჰაერო ტრანსპორტის საფრენოსნო ექსპლუატაციის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტი (მოსარჩელე). რომელმაც დაასრულა 2014-2015 სასწავლო წელი, გადაყვანილი იქნა სწავლების მომდევნო – მეოთხე წელზე;

6.8. №15/14 განკარგულების თანახმად, სტუდენტი, რომელმაც საჰაერო ტრანსპორტის საფრენოსნო ექსპლუატაციის ფაკულტეტზე წარმატებით გაიარა მომზადების თეორიული კურსი, 2015 წლის 21 სექტემბრიდან დაშვებული იქნა სსუ-ს საფრენოსნო მეთოდურ ცენტრში, საფრენოსნო პრაქტიკის გასავლელად, შესაბამის საჰაერო ხომალდებზე, „პილოტთა პირველადი მომზადების პროგრამის“ მიხედვით.

6.9. სტუდენტმა (მოსარჩელემ/აპელანტმა) 2011 წლის 5 დეკემბრიდან 2015 წლის 24 დეკემბრის ჩათვლით უნივერსიტეტის სასარგებლოდ გადაიხადა 32 300 ლარი; სტუდენტის მიერ გადახდილი 32,300.00 ლარიდან – 1,100.00 ლარი, წარმოადგენს მოსარჩელის მიერ ეტაპობრივად მისი აკადემიური დაუსწრებლობის გამო გამოწვეული გამოცდების გადაბარების საფასურს;

6.10. სტუდენტმა (მოსარჩელემ) 2016 წლის 2 სექტემბრის განცხადებით მიმართა მოპასუხე უნივერსიტეტის რექტორს და მოითხოვა, შიდა მობილობის წესით, საინჟინრო ფაკულტეტის საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელება;

6.11. სტუდენტმა (მოსარჩელემ) 2016 წლის 5 სექტემბრის განცხადებით მიმართა მოპასუხე უნივერსიტეტის რექტორს და მოითხოვა საფრენოსნო ფაკულტეტიდან საინჟინრო ფაკულტეტის მე-4 კურსზე გადასვლის გამო, გადახდილი სწავლის საფასურის 31 200 ლარის საინჟინრო ფაკულტეტის სწავლების გადასახადში ჩათვლა;

6.12. მოპასუხე უნივერსიტეტის 2016 წლის 9 სექტემბრის №01-08 ბრძანებით უნივერსიტეტში, შიდა მობილობის წესით, მოსარჩელე ჩაირიცხა საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის ფაკულტეტზე. სტუდენტის განცხადება დაკმაყოფილდა და მის მიერ გადახდილი სწავლის საფასური – 31 200,00 ლარი საინჟინრო ფაკულტეტის სწავლების გადასახადში ჩაითვალა;

6.13. მოპასუხე უნივერსიტეტის 2018 წლის 13 აპრილის №01-02-3/28 ბრძანების თანახმად, საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის სტუდენტს (მოსარჩელეს) შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობის გამო. სტატუსის შეჩერების შემდეგ სტუდენტის სასარგებლოდ უნივერსი-

ტეტს მომსახურება არ გაუწევია.

7. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელე/აპელანტი მოთხოვნას ამყარებს იმ გარემოებებზე, რომ უნივერსიტეტმა და პოლიკლინიკის ბაზაზე არსებულმა კომისიამ უგულვებელყო მისი უფლებები. საჭაერო ტრანსპორტის საფრენოსნო ექსპლუატაციის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამაზე დიპლომის ასაღებად საჭირო იყო პირველი კლასის სერტიფიკატი. მოპასუხეებმა კი დაარღვიეს კეთილსინდისიერებისა და გულისხმიერების პრინციპები, როდესაც 2012 წელს არ მიაქციეს სათანადო ყურადღება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობას, არ დაუნიშნეს დამატებითი კვლევები, იმის გასარკვევად, თუ რით იყო გამოწვეული სინუსური ბრადიკარდია; მოპასუხე პოლიკლინიკის გადაწყვეტილებით, მოსარჩელის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მასზე პირველი კლასის სამედიცინო სერტიფიკატი არ გაიცა, რაც დიპლომის გაცემის წინაპირობას წარმოადგენდა;

7.1. დადგენილია, რომ 2012 წლის 14 სექტემბერს უნივერსიტეტსა და მოსარჩელე/აპელანტს შორის გაფორმდა ხელშეკრულება სტუდენტისათვის საჭაერო ტრანსპორტის საფრენოსნო ექსპლუატაციის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამაზე სასწავლო მომსახურების გაწევის შესახებ და სტუდენტი, აღდგენის წესით, ჩაირიცხა საჭაერო ტრანსპორტის საფრენოსნო ექსპლუატაციის ფაკულტეტის „პილოტ-ინჟინერის“ საბაკალავრო პროგრამაზე;

7.2. 2014-2015 სასწავლო წლის დასრულების შემდეგ მოსარჩელე გადავიდა სწავლების მომდევნო – მეოთხე წელზე; სტუდენტი საჭაერო ტრანსპორტის საფრენოსნო ექსპლუატაციის ფაკულტეტის მომზადების თეორიული კურსის წარმატებით გავლის შემდეგ, 2015 წლის 21 სექტემბრიდან დაშვებული იქნა საფრენოსნო პრაქტიკის გასავლელად, შესაბამის საჭაერო ხომალდებზე. ამდენად, სასამართლომ უდავოდ მიიჩნია, რომ მოპასუხე უნივერსიტეტმა სტუდენტს გაუწია საჭაერო ტრანსპორტის საფრენოსნო ექსპლუატაციის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამაზე თეორიული კურსის სასწავლო მომსახურება სრულად; ამასთან, დადგენილია, რომ მოსარჩელის მიერ გადახდილი 32 300 ლარიდან 1 100 ლარი წარმოადგენს მოსარჩელის მიერ ეტაპობრივად მისი აკადემიური დაუსრულებლობის გამო გამოწვეული გამოცდების გადაბარების საფასურს (2011 წლის 5 დეკემბრიდან 2015 წლის 24 დეკემბრის ჩათვლით).

8. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სადავო სამართლებრივი ურთიერთობის დროს მოქმედ სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 11 ოქტომბრის №202 ბრძანებით დამტკიცებულ „ავიასპეციალისტთა სამედიცინო სერტიფიცირების წესების“ მე-4 მუხლზე, რომლის თანახმად, სამედიცინო სერტიფიკატი გაიცემა ავიასპეციალისტის მოწმობის მფლობელზე და მის კანდიდატზე (შემდგომში –

ავიასპეციალისტი), მისი სპეციალობის მიხედვით; კომერციულ პილოტზე გაცივმა I კლასის სამედიცინო სერტიფიკატი; ამავე წესების მე-3 მუხლის თანახმად, სამედიცინო სერტიფიკატი უნდა შეიცავდეს გაცივმის თარიღსა და მოქმედების ვადას; მე-6 მუხლის თანახმად, სამედიცინო სერტიფიკატის მოქმედების ვადაა 12 თვე კომერციული პილოტის სერტიფიკატისთვის (თვითმფრინავი, დირიჟაბლი, ვერტმფრენი, ამწე ძალის სამატით აღჭურვილი საჰაერო ხომალდი). მე-9 მუხლის თანახმად, ავიასპეციალისტების ჯანმრთელობის მდგომარეობის სამედიცინო გამოკვლევას ატარებს საავიაციო სამედიცინო საექსპერტო კომისია (სსსკ); 35-ე მუხლის შესაბამისად, სსსკ-ში გამოკვლეულ იმ პირზე, რომელიც ვარგისად ჩაითვლება, სსსკ გაცემს ავიასპეციალისტის სამედიცინო სერტიფიკატს; ბრძანების მე-10 თავით დადგენილია პირველი კლასის სამედიცინო სერტიფიკატის მოთხოვნები და ის სამედიცინო ჩვენებები, რაც უნდა გამოირიცხოს პირველი კლასის სერტიფიკატის გაცივმისას, სამედიცინო კვლევების ჩვენებების საფუძველზე; სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 11 ოქტომბრის №202 ბრძანებით დამტკიცებული „ავიასპეციალისტთა სამედიცინო სერტიფიკატების წესების“ თანახმად, სამედიცინო სერტიფიკატის გამცემ ლეგიტიმურ ორგანოდ ითვლებოდა მხოლოდ სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ აღიარებული კომისია; საქართველოში ასეთ ორგანოს წარმოადგენს შპს „ა.მ.პ.-კის“ ბაზაზე არსებული „საავიაციო სამედიცინო საექსპერტო კომისია“;

9. უნივერსიტეტსა და მოსარჩელეს/აპელანტს შორის 2012 წლის 14 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულებით (საჰაერო ტრანსპორტის საფრენოსნო ექსპლუატაციის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამაზე სასწავლო მომსახურების განევის შესახებ) არ იყო შეთანხმებული უნივერსიტეტის ვალდებულება თეორიული კურსის გავლის შემდეგ ყოველწლიურად სწავლების შემდგომ საფეხურზე გადასვლის წინაპირობად უნივერსიტეტის მიერ სტუდენტის ჯანმრთელობის შემოწმება.

10. დადგენილია, რომ საჰაერო ტრანსპორტის საფრენოსნო ექსპლუატაციის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში მოსარჩელეს/აპელანტს გაენია თეორიული მომსახურება და სტუდენტი გადაყვანილი იქნა სწავლების მეოთხე წელზე, ხოლო სტუდენტის სასწავლო ბარათის თანახმად, იგი საჰაერო ტრანსპორტის საფრენოსნო ექსპლუატაციის ფაკულტეტზე გადაყვანილი იქნა სწავლების მესამე წელზე 2014/2015 სასწავლო წლის მე-5 სემესტრში, სასწავლო კურსის 4 (ოთხი) სემესტრის სწავლების შემდეგ. 2015 წლის 4 სექტემბრის 01-01-2/03 ბრძანების თანახმად, ს.ს.უ-ის საჰაერო ტრანსპორტის საფრენოსნო ექსპლუატაციის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტი – მოსარჩელე, რომელმაც დაასრულა 2014-2015 სასწავლო წელი, გადაყვა-

ნილი იქნა სწავლების მომდევნო – მეოთხე წელზე;

11. სტუდენტი 2015 წლის 21 სექტემბრიდან დაშვებული იქნა სსუ-ს საფრენოსნო მეთოდურ ცენტრში, საფრენოსნო პრაქტიკის გასავლელად, შესაბამის საჰაერო ხომალდებზე, „პილოტთა პირველადი მომზადების პროგრამის“ მიხედვით. აღსანიშნავია, რომ 2016 წლის 9 სექტემბრის ბრძანებით მოპასუხე უნივერსიტეტში, შიდა მობილობის წესით, სტუდენტი (განცხადების საფუძველზე) ჩაირიცხა საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის ფაკულტეტზე (მე-4 კურსზე). შესაბამისად, უნივერსიტეტმა იკისრა აღნიშნული მომსახურების განევის ვალდებულება და ამასთან, მოსარჩელის მიერ საფრენოსნო ფაკულტეტზე გადახდილი სწავლის საფასური საინჟინრო ფაკულტეტის სწავლების გადასახადში ჩაითვალა. აღნიშნულის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტება, რომ დიპლომის მიღების, შესაბამისად სამედიცინო ჩვენებების კონტროლისა და სერტიფიკატის მიღების ინტერესი, სახელშეკრულებო მიზნიდან გამომდინარე, მხარეთა შორის უფლება-ვალდებულებების გადანაწილების მიხედვით, წარმოადგენდა თავად მოსარჩელის/აპელანტის სახელშეკრულებო ინტერესსა და ერთგვარად დასახული მიზნის მიღწევის საშუალებას. შესაბამისად, ყოველწლიურად, თუნდაც თეორიული კურსის გავლისას, სწავლების შემდგომ საფეხურზე გადასასვლელად მოსარჩელის (სტუდენტის) ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმება არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს უნივერსიტეტის ვალდებულებად (იმის გათვალისწინებით, რომ ამგვარი ვალდებულება სახელდებით უნივერსიტეტს არ უკისრია);

12. ამასთან, უდავოა, რომ თეორიული კურსის დასაწყისში – 2012 წელს სტუდენტმა გაიარა სამედიცინო შემოწმება და კომისიამ გასცა პირველი კლასის სერტიფიკატი (რომლის მოქმედების ვადა იყო ერთი წელი), რითაც დადასტურდა მის მიერ ფრენების განხორციელების შესაძლებლობა. 2015 წლის 18 მარტს მოსარჩელეს ელექტროკარდიოლოგიური გამოკვლევით დაუდგინდა რითმი არასწორი, სინუსური ბრადი-არითმია, ეკგ ნორმის ფარგლებში, რაც იმას გულისხმობს, რომ გულის შეკუმშვის სიხშირე იყო 60-49; 2016 წლის 15 მარტს მოსარჩელემ დაიწყო სამედიცინო შემოწმება, მაგრამ გამოკვლევებისას დადგენილი სინუსური ბრადიკარდიის გამო დაშვებული არ იქნა შემოწმების შემდგომ ეტაპზე სრული კარდიოლოგიური გამოკვლევის გარეშე; კომისიამ მოითხოვა დამატებითი სამედიცინო შემოწმება, რის შემდეგაც დადგინდა, რომ მოსარჩელე ვერ მიიღებდა პირველი კლასის სამედიცინო სერტიფიკატს და შესაბამისად – ვერც დიპლომს. აღსანიშნავია, რომ 2012 წლიდან 2015 წლამდე სტუდენტს (აპელანტს) არ მიუმართავს კომისიისათვის.

13. როგორც საქმის მასალებით დგინდება, მხარეთა შორის გაფორ-

მებული ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა პირობას, რომ თეორიული კურსის გავლისას გამოვლენილი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, რაც პირველი კლასის სერტიფიკატის გაცემას გამორიცხავდა, უნივერსიტეტი ვალდებული იყო, შეეწყვიტა მოსარჩელისათვის მომსახურების გაწევა. შესაბამისად, სწორედ სტუდენტის ინტერესს წარმოადგენდა მისი სახელშეკრულებო მიზნის მიღწევის დამაბრკოლებელი გარემოების გამორიცხვაზე ზრუნვა და კომერციული მფრინავის დიპლომისა და პირველი კლასის სერტიფიკატის გაცემის დაბრკოლების აღმოჩენის შემთხვევაში ნებისმიერ დროს ხელშეკრულების შეწყვეტა. თუმცა, მიუხედავად აღნიშნულისა, ასეთ შემთხვევაშიც კი, მოსარჩელე ვერ დაიბრუნებდა გაწეული მომსახურებისთვის გადახდილ საფასურს სსკ-ის 636-ე მუხლის შესაბამისად. ამასთან, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების 4.4 პუნქტის თანახმად ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში სტუდენტს გადახდილი სწავლების საფასური არ დაუბრუნდებოდა.

14. სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია აპელანტის/მოსარჩელის მტკიცება, რომ მის მიერ გადახდილი თანხის დაბრუნების ვალდებულება ეკისრება ორივე მოპასუხეს, რადგან, როგორც საქმის მასალებით დგინდება, 2012 წელს მოსარჩელემ გაიარა სამედიცინო შემოწმება და კომისიამ გასცა პირველი კლასის სერტიფიკატი (რომლის მოქმედების ვადა იყო ერთი წელი), რითაც დადასტურდა მის მიერ ფრენების განხორციელების შესაძლებლობა; სერტიფიკატის მოქმედების ვადის გასვლიდან წლების შემდგომ, კერძოდ, 2016 წელს გამოვლინდა მოსარჩელის ჯანმრთელობის მდგომარეობის ცვლილება/გაუარესება; სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტება, რომ ასეთ პირობებში, შეუძლებელი იყო, კომისიას ევარაუდა შესაძლო ცვლილებები და აესახა იგი 2012 წლის დასკვნაში. ამდენად, სასამართლომ მოპასუხე კლინიკის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება არ მიიჩნია დადასტურებულად. შესაბამისად, არ იქნა გაზიარებული აპელანტის/მოსარჩელის მტკიცება, რომ მოპასუხეებს პირველივე წელს, პირველივე გამოკვლევის ეტაპზე უნდა ეთქვათ მოსარჩელისთვის, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა არ აკმაყოფილებდა საფრენოსნო პროფესიისთვის სავალდებულო წინაპირობებს, რის გამოც მას არც ქონებრივი ზიანი მიადგებოდა და არც წლებს დაკარგავდა იმ საკითხების სწავლაში, რომლის რეალიზებასაც ვერასდროს მოახდენდა, რადგან, სასამართლოს შეფასებით, მოპასუხე უნივერსიტეტის მიერ კეთილსინდისიერებისა და გულისხმიერების ვალდებულებებების, ასევე სახელშეკრულებო პირობების დარღვევა არ დასტურდება.

15. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მხარეთა შორის არსებობდა ნარდობის ხელშეკრულება. ნარდობის ხელშეკრულება მიეკუთ-

ენება მომსახურების ტიპის ხელშეკრულებათა რიცხვს (ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური. სსკ-ის 629-ე მუხლის პირველი ნაწილი). ნარდობა, თავისი ბუნებით, ორმხრივ მავალდებული (სინალაგმატური „სინალაგმა“), სასყიდლიანი და კონსენსუალური ხელშეკრულებაა. იგი ძირითადად მოწესრიგებულია სსკ-ის 629-ე-656-ე მუხლებით. სსკ 636-ე მუხლის მიხედვით „შემკვეთს უფლება აქვს სამუშაოს დასრულებამდე ნებისმიერ დროს თქვას უარი ხელშეკრულებაზე, მაგრამ მან უნდა აუნაზღაუროს მენარდეს შესრულებული სამუშაო და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი“. ეს ნორმა შემკვეთს ანიჭებს ხელშეკრულების შეწყვეტის თავისუფალ უფლებას. რაც იმას ნიშნავს, რომ კანონი მას არ ავალდებულებს იმოქმედოს ზოგადი წესების მიხედვით, რომლის მიხედვითაც, უმეტეს შემთხვევაში, შეწყვეტის მნიშვნელოვანი საფუძველი უნდა არსებობდეს (მაგ. სსკ-ის 399-ე მუხლი), რადგანაც ნარდობა არ არის გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობა, ან კიდევ დაიცვას შეწყვეტის ვადები ან წინასწარ გააფრთხილოს მენარდე (სსკ-ის 405-ე მუხლის პირველი ნაწილი). თუმცა, შემკვეთი ვალდებულია მენარდეს აუნაზღაუროს ხელშეკრულების შესრულებული ნაწილი.

16. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელეს/აპელანტს (შემკვეთს) ხელშეკრულება არ შეუწყვეტია; თუმცა, იმ შემთხვევაშიც, კი თუ მოსარჩელე საჰაერო ტრანსპორტის საფრენოსნო ექსპლუატაციის ფაკულტეტის პროგრამაზე სასწავლო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებას შეწყვეტდა შიდა მობილობით საინჟინრო ფაკულტეტის საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის პროგრამაზე გადასვლამდე, სსკ-ის 636-ე მუხლის დანაწესის თანახმად, მას მაინც მოუწევდა უნივერსიტეტის მიერ განეული მომსახურების საფასურის ანაზღაურება. ამასთან, საკანონმდებლო რეგულირებისაგან განსხვავებულ დანაწესს მხარეთა შეთანხმება არ ითვალისწინებდა. ამდენად, საქმის მასალებით არ დგინდება მომსახურების გამწევის – მოპასუხე უნივერსიტეტის მიერ სახელშეკრულებო პირობებისა და კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევის ფაქტები. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელემ/აპელანტმა მის მიერ გადახდილი თანხის შესაბამისი მომსახურება მიიღო, რაც გამორიცხავს წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის (შესაბამისად – სარჩელის) დაკმაყოფილების საფუძველს.

17. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

17.1. სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მო-

ითხოვა.

17.2. კასატორი უთითებს, რომ გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, რომ სტუდენტი დაშვებულიყო სწავლების მეოთხე საფეხურზე და დაენყო საფრენოსნო პრაქტიკა, მოპასუხეებმა ერთობლივად მიიღეს. მეორე მოპასუხემ – პოლიკლინიკამ გასცა პირველი ხარისხის სერტიფიკატი, რომლის საფუძველზედაც პირველმა მოპასუხემ – უნივერსიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, სტუდენტი დაეშვათ საფრენოსნო სწავლების ეტაპზე;

17.3. მოპასუხე პოლიკლინიკის დასკვნებიდან გამომდინარე, რომლებიც გაიცა 2012 და 2015 წლებში, 2018 წელს მოსარჩელის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან შედარებით, სტუდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა 2012 წლიდან მოყოლებული არ შეცვლილა. 2012 და 2015 წლებში მეორე მოპასუხის – პოლიკლინიკის მიერ გაცემულ იქნა პირველი ხარისხის სერტიფიკატი, რომლის მეშვეობითაც მოსარჩელე/კასატორი დაშვებულ იქნა სწავლების შემდეგ საფეხურებზე და იგივე დიაგნოზის ფონზე, სწავლების საბოლოო ეტაპზე, მოპასუხეებმა სტუდენტს შეუქმნეს პრობლემა. 15.02.2012 წლის ელექტროკარდიოლოგიური გამოკვლევით მოსარჩელეს/აპელანტს დაუდგინდა რითმი სწორი, სინუსური ბრადიკარდია, ეკგ პათოლოგიური ცვლილებების გარეშე, რაც იმას გულისხმობდა, რომ გულის შეკუმშვის სიხშირე იყო 48 თუმცა, ამასთან დაკავშირებით მას დამატებითი კვლევა არ ჩატარებია, რომლითაც დადგინდებოდა აღნიშნული დიაგნოზის თანხვედრა მის მიერ ფრენების განხორციელების შესაძლებლობასთან; 2015 წლის 18 მარტს კასატორს დაუსვეს დიაგნოზი: ელექტროკარდიოლოგიური გამოკვლევით სტუდენტს დაუდგინდა რითმი არასწორი, სინუსური ბრადი-არითმია, ეკგ ნორმის ფარგლებში, რაც იმას გულისხმობს, რომ გულის შეკუმშვის სიხშირე იყო 60-49; ბოლო შემონმების დროს, 2016 წელს, მოსარჩელეს/აპელანტს გულის შეკუმშვის სიხშირე იყო 42, სინუსური ბრადიკარდია; კომისიამ მოითხოვა დამატებითი სამედიცინო შემონმება, რის შემდეგაც დადგინდა, რომ მოსარჩელე ვერ მიიღებდა პირველი კლასის სამედიცინო სერტიფიკატს და შესაბამისად – ვერც დიპლომს;

17.4. მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხეთათვის სწავლების პირველივე წლიდან ცნობილი იყო ფაქტი იმის, შესახებ რომ სტუდენტს (მოსარჩელეს) ჰქონდა სინუსური ბრადიკარდია, მათ პრობლემა ამაში ვერ დაინახეს და დამატებითი გამოკვლევაც კი არ დაუნიშნეს, რაც პირდაპირ მათ მოვალეობაში შედიოდა. აღნიშნულის გამო მოსარჩელე სადავოდ ხდის სტუდენტის კურსიდან კურსზე გადაყვანის მართლზომიერებას, ვინაიდან თუ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა არ აკმაყოფილებდა საფრენოსნო პროფესიისთვის სავალდებულო წინაპირობებს, აღნიშნული ბოლო ეტაპზე არ უნდა მომხდარიყო. მოპასუხეებს პირვე-

ლივე წელს, პირველივე გამოკვლევის ეტაპზე უნდა ეთქვათ მოსარჩელისთვის, რათა მას, ჯერ ერთი, არ მისდგომოდა ქონებრივი ზიანი და მეორე – არ დაეკარგა წლები იმ საკითხების სწავლაში, რომელის რეალიზებასაც თურმე ვერასდროს ვერ მოახდენდა. კასატორის მტკიცებით, მოპასუხეებს მეტი გულისხმიერება უნდა გამოეჩინათ და 2012 წელსვე მეორე მოპასუხეს – პოლიკლინიკას არ უნდა გაეცა სტუდენტზე პირველი კლასის სერტიფიკატი, რის საფუძველზედაც არც პირველი მოპასუხე – უნივერსიტეტი მიიღებდა გადაწყვეტილებას, სტუდენტის ფაკულტეტზე ჩარიცხვის შესახებ. ამის საფუძველზე მოსარჩელე/კასატორი ითხოვს ხელშეკრულებიდან გასვლას, რაც ნიშნავს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას. კერძოდ, მოპასუხეებმა უნდა დააბრუნონ ის სარგებელი, რაც მოსარჩელისაგან მიიღეს და ეს უკანასკნელიც, კანონისმიერი განმარტებით, ვალდებულია დააბრუნოს სარგებელი, რაც მიიღო, თუმცა მოსარჩელის სარგებელი არის ცოდნა, რომელსაც ვერასდროს ვერ გამოიყენებს და, გონივრულობიდან გამომდინარე, მისი დაბრუნება შეუძლებელია;

17.5. კასატორის განმარტებით, მისი სასარჩელო მოთხოვნაა მოპასუხეთათვის სოლიდარულად 32 300 ლარის დაკისრება. რომელიც შედგება როგორც სწავლის საფასურის – 31 200 ლარის, ასევე 1 100 ლარისგან, რომელიც სტუდენტმა (მოსარჩელემ) უნივერსიტეტს გადაუხადა გადაბარებისთვის. 1 100 ლარი წარმოადგენს მოსარჩელის მიერ ეტაპობრივად, მისი აკადემიური დაუსწრებლობის გამო გამონეწეული გამოცდების გადაბარების საფასურს, რაც არ მოხდებოდა მოპასუხეებს დროულად რომ შეესრულებინათ მათი წილი ვალდებულება და გამოეწვლინათ მოსარჩელის ჯანმრთელობის შეუთავსებელი მდგომარეობა საფრენოსნო პროფესიასთან, შესაბამისად სტუდენტს არც გამოცდების გადაბარებისთვის მოუწევდა ქონებრივი დანაკლისის გაწევა და მას არ მიადგებოდა აღნიშნული ზიანიც;

17.6. კასატორის მტკიცებით, მის მიერ მოპასუხეებად დასახელებულ პირებს შორის სწორედ იმიტომ იყო დადებული ხელშეკრულება, რომ, მართალია, უნივერსიტეტს არ ჰყავს შესაბამისი კადრები, რომლებიც სტუდენტს სამედიცინო გამოკვლევას ჩაუტარებენ, მაგრამ ეს ვალდებულება სწორედ მეორე მოპასუხეს – პოლიკლინიკას უნდა შეესრულებინა;

17.7. მხარეთა შორის სადავო არ არის, რომ თეორიული კურსის დასაწყისში, 2012 წელს, სტუდენტმა (მოსარჩელემ/კასატორმა) გაიარა სამედიცინო შემოწმება და კომისიამ გასცა პირველი კლასის სერტიფიკატი (რომლის მოქმედების ვადა იყო ერთი წელი), რითიც დადასტურდა მის მიერ ფრენების განხორციელების შესაძლებლობა. საქმეში არსებულ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს არ ემყარება მოსარჩელის

ვალდებულება, რომ მას ევალეზოდ საკუთარი პასუხისმგებლობით ეკონტროლებინა ჯანმრთელობის მდგომარეობა. ამას ის გარემოებაც მონმობს, რომ პირველმა მოპასუხემ – უნივერსიტეტმა მოსარჩელე გაატარა სავალდებულო შემონმებაზე 2011, 2012, 2015 წლებში, ხოლო სერტიფიკატს 1 წლიანი მოქმედების ვადა იმიტომ ჰქონდა, რომ ვადის დასრულებისთანავე, მაშინ როდესაც უნივერსიტეტს უნდა მიელო გა-დანყვეტილება, სტუდენტი დაეშვა თუ არა სწავლების შემდეგ საფე-ხურზე, მას ჰქონდა სამედიცინო დასკვნა, რომლის საფუძველზე სტუ-დენტს დაუდგინდებოდა ჯანმრთელობის მდგომარეობა – ჯანმრთე-ლი და ამის საფუძველზე მიელო უნივერსიტეტს სტუდენტის კურსი-დან კურსზე გადასვლის ბრძანება. უდავოა მოპასუხეთა ვალდებულე-ბა სტუდენტის პროფესიასთან შესაბამისობის დადგენის თვალსაზრი-სით, რაც, უპირველესად, საფრენოსნო პროფესიაში გულისხმობს სწო-რედ ჯანმრთელობის მდგომარეობის მუდმივ კონტროლს, რაც ასევე გამოიხატება სამედიცინო შემონმების გავლის სერტიფიკატის ვადაში, რომელიც არის მხოლოდ 1 წლიანი, რაც უდავოდ მეტყველებს და უნი-ვერსიტეტს აკისრებს ვალდებულებას, რომ ყოველ 1 წელიწადში დაა-ვალოს სტუდენტს ჩაიტაროს გამოკვლევა. მან არ უნდა დაუშვას სტუ-დენტი, რომელსაც არ აქვს შესაბამისი გამოკვლევა ჩატარებული. იმ შემთხვევაშიც კი, რომ მოსარჩელეს გამოევილინა ნება და შეემონმები-ნა ჯანმრთელობის მდგომარეობა 2012 წლიდან 2015 წლამდე, სანამ ის თეორიულ ცოდნას იღებდა, შედეგი და დასკვნა იგივე გაციემოდა, სი-ნუსური ბრადიკარდია, რასაც უნივერსიტეტი პრობლემად არ თვლიდა და ის მაინც დაუშვებდა მოსარჩელეს სწავლების მორიგ ეტაპებზე. შე-დეგი კი იგივე იქნებოდა – მოსარჩელის სწავლა არარეალიზებული დარ-ჩებოდა, ვინაიდან სინუსური ბრადიკარდია შეუთავსებელი ყოფილა მფრინავის პროფესიასთან, რაც უპირობოდ და უდავოდ პირველივე გა-მოკვლევის დროს უნდა გამოევილინა მოპასუხე პოლიკლინიკას და მო-პასუხე უნივერსიტეტს სტუდენტი არ უნდა დაეშვა სტუდენტის სტა-ტუსით აღნიშნულ პროფესიაზე სასწავლებლად;

17.8. მოსარჩელესა და მოპასუხე უნივერსიტეტს შორის გაფორმე-ბული მომსახურების ხელშეკრულების საბოლოო მიზანი იყო, რომ სტუ-დენტს მიელო როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ცოდნა და მას პრაქტიკაში გამოეყენებინა საკუთარი პროფესია.

17.9. სასამართლომ საკითხს იმგვარი განმარტება მისცა, რომ თუნ-დაც პოლიკლინიკას მოსარჩელისათვის უარყოფითი დასკვნა მიეცა და მასზე არ გაციემულიყო პირველი კლასის სერტიფიკატი, ვინაიდან ხელ-შეკრულებაში კონკრეტული მუხლი არ ყოფილა განერილი, სადაც ენე-რებოდა, რომ უნივერსიტეტი ასეთ სტუდენტს კურსზე არ მიიღებდა, გამოდის, რომ თითქოს ის შესაძლებლობას მისცემდა ადამიანს ესწავ-

ლა ფრენა თეორიულად, დაუფლებოდა პროფესიას, რომლის რეალიზებასაც ვერადროს ვერ მოახდენდა და ამაში გადაეხადა 32 300 ლარი. ერთდერით სინუსური ბრადიკარდიის მქონე ადამიანი საჭიერო სიცრვით ისარგებლებდა მხოლოდ როგორც მგზავრი და გამოვლინდა, რომ მგზავრობაც კი სახიფათოა ასეთი სიმპტომის მქონე ადამიანისთვის, რაც ვერ აღმოაჩინა შესაბამისმა სპეციალიზებულმა კლინიკამ, რომელსაც პირდაპირი ეკისრებოდა ვალდებულება, აღმოეჩინა მოსარჩელის აღნიშნულ პროფესიასთან შეუთავსებლობა. ამასთან გაურკვეველია, თუ რატომ მიიჩნია პირველი ინსტანციის მოსამართლემ, რომ გ. ხ-ძის ჯანმრთელობის მდგომარეობა შეიცვალა სწავლის დაწყებიდან დასრულებამდე, მაშინ როცა 2012 (პირველი დასკვნა) წელს და 2016 წელს (ბოლო დასკვნა) დასკვნების დიაგნოზებში წერია მოსარჩელესთან მიმართებით – სინუსური ბრადიკარდია. ორივე შემთხვევაში საბოლოო დიაგნოზია სინუსური ბრადიკარდია.

17. 10. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით მოსარჩელის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი არსებითად განხილვის მიზნით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის “ა” ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეინაწვლა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთებულობა და დაასკვნა, რომ მოსარჩელის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დასაბუთებულია, შესაბამისად, გასაჩივრებული განჩინება ნაწილობრივ უნდა გაუქმდეს და, ამ ნაწილში მიღებული ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

18. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა წარმოადგინა ნაწილობრივ დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

19. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ქვემდგომი ინსტან-

ციის სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სავსებით საკმარისია შემაჯამებელი გადაწყვეტილების მისაღებად და ასევე მართებულად არის განსაზღვრული სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, რომელიც წარდგინდა ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს და სსკ-ის 629.1 (წარდგინდა ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია, გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური) მუხლით წესრიგდება. საკასაციო სასამართლო საქმეზე დადგენილ გარემოებებს და მხარეთა შორის სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში შეთანხმებულ პირობებს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა იმთავითვე ნაგულისხმევი კეთილსინდისიერების ფარგლებში შეაფასებს.

20. საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 6.1-6.13 ქვეპუნქტები) მიუთითებს და განმარტავს, რომ არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას იმის თაობაზე, რომ უნივერსიტეტსა და მოსარჩელეს/კასატორს შორის 2012 წლის 14 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულებით (საჰაერო ტრანსპორტის საფრენოსნო ექსპლუატაციის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამაზე სასწავლო მომსახურების გაწევის შესახებ) არ იყო შეთანხმებული უნივერსიტეტის ვალდებულება თეორიული კურსის გავლის შემდეგ ყოველწლიურად სწავლების შემდგომ საფეხურზე გადასვლის წინაპირობად უნივერსიტეტის მიერ სტუდენტის ჯანმრთელობის შემოწმება. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს შეფასებას, რომ მხოლოდ სტუდენტის ინტერესს წარმოადგენდა მისი სახელშეკრულებო მიზნის მიღწევის დამაბრკოლებელი გარემოების გამორიცხვაზე ზრუნვა და კომერციული მფრინავის დიპლომისა და პირველი კლასის სერტიფიკატის გაცემის დაბრკოლების აღმოჩენის შემთხვევაში ნებისმიერ დროს ხელშეკრულების შეწყვეტა.

21. მოცემულ საქმეზე დადგენილია, რომ სტუდენტის სასწავლო ბარათის თანახმად, მოსარჩელე საჰაერო ტრანსპორტის საფრენოსნო ექსპლუატაციის ფაკულტეტზე (კომერციული პილოტი) გადაყვანილი იქნა სწავლების მესამე წელზე 2014/2015 სასწავლო წლის მე-5 სემესტრში, სასწავლო კურსის ოთხი სემესტრის სწავლების შემდეგ. №15/14 განკარგულების თანახმად, სტუდენტი, რომელმაც საჰაერო ტრანსპორტის საფრენოსნო ექსპლუატაციის ფაკულტეტზე წარმატებით გაიარა მომზადების თეორიული კურსი, 2015 წლის 21 სექტემბრიდან დაშვებული იქნა სსუ-ს საფრენოსნო მეთოდურ ცენტრში, საფრენოსნო პრაქტიკის გასავლელად, შესაბამის საჰაერო ხომალდებზე, „პილოტთა პირველადი მომზადების პროგრამის“ მიხედვით. სააპელაციო სასამარ-

თლომ მიუთითა სადავო პერიოდში მოქმედ, სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 11 ოქტომბრის №202 ბრძანებით დამტკიცებულ, „ავიასპეციალისტთა სამედიცინო სერტიფიცირების წესების“ მე-4 მუხლზე, რომლის თანახმად, სამედიცინო სერტიფიკატი გაცივმა ავიასპეციალისტის მონმობის მფლობელზე და მის კანდიდატზე (შემდგომში – ავიასპეციალისტი), მისი სპეციალობის მიხედვით; კომერციულ პილოტზე გაცივმა I კლასის სამედიცინო სერტიფიკატი; ამავე წესების მე-3 მუხლის თანახმად, სამედიცინო სერტიფიკატი უნდა შეიცავდეს გაცივმის თარიღსა და მოქმედების ვადას; მე-6 მუხლის თანახმად, სამედიცინო სერტიფიკატის მოქმედების ვადაა 12 თვე კომერციული პილოტის სერტიფიკატისთვის (თვითმფრინავი, დირიჟაბლი, ვერტმფრენი, ამწე ძალის სამატით აღჭურვილი საჰაერო ხომალდი). მე-9 მუხლის თანახმად, ავიასპეციალისტების ჯანმრთელობის მდგომარეობის სამედიცინო გამოკვლევას ატარებს საავიაციო სამედიცინო საექსპერტო კომისია (სსსკ); 35-ე მუხლის შესაბამისად, სსსკ-ში გამოკვლეულ იმ პირზე, რომელიც ვარგისად ჩაითვლება, სსსკ გაცემს ავიასპეციალისტის სამედიცინო სერტიფიკატს; ბრძანების მე-10 თავით დადგენილია პირველი კლასის სამედიცინო სერტიფიკატის მოთხოვნები და ის სამედიცინო ჩვენებები, რაც უნდა გამოირიცხოს პირველი კლასის სერტიფიკატის გაცივმისას, სამედიცინო კვლევების ჩვენებების საფუძველზე; სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 11 ოქტომბრის №202 ბრძანებით დამტკიცებული „ავიასპეციალისტთა სამედიცინო სერტიფიცირების წესების“ თანახმად, სამედიცინო სერტიფიკატის გამცემ ლეგიტიმურ ორგანოდ ითვლებოდა მხოლოდ სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ აღიარებული კომისია; საქართველოში ასეთ ორგანოს წარმოადგენს შპს „ა.მ.პ-კის“ ბაზაზე არსებული „საავიაციო სამედიცინო საექსპერტო კომისია“.

22. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „ავიასპეციალისტთა სამედიცინო სერტიფიცირების წესები“, თავის მხრივ, ეფუძნება ჩიკაგოს 1944 წლის კონვენციას საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ, რომელსაც საქართველო შეუერთდა 1993 წლის 7 დეკემბერს (იხ. რეგისტრაციის კოდი: 480.140.010.09.001.000.016; <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/37096?publication=0>) და ეს კონვენცია საქართველოსთვის ძალაშია 1994 წლის 20 მაისიდან (იხ. <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1279517?publication=0>), ასევე, საქართველოს საჰაერო კოდექსს და „ტრანსპორტის სფეროს მართვისა და რეგულირების შესახებ“ საქართველოს კანონს. საჰაერო კოდექსის 56.1 მუხლი ადგენს სერტიფიცირებას სამოქალაქო ავიაციაში: „საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტი, რომელიც კომერციულ საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვას ახორციელებს, საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსა-

ხურების სანარმო, აეროდრომი, ვერტოდრომი, სააერნაოსნო მომსახურების (გარდა საძებნ-სამაშველო მომსახურებისა) სანარმო, სამოქალაქო საავიაციო საგანმანათლებლო დაწესებულება, ავიასამედიცინო ცენტრი, ავიასამედიცინო ექსპერტი, საჰაერო ხომალდის სანავაგასამართი სანარმო და მისი ტექნიკური პერსონალი, შესაბამისი სახმელეთო და საავიაციო მოწყობილობები, საავიაციო პერსონალი, ბორტკვების სანარმო, ის იურიდიული და ფიზიკური პირები, რომელთა საქმიანობაც უშუალოდ არის დაკავშირებული ფრენის უსაფრთხოებისა და საავიაციო უშიშროების უზრუნველყოფასთან, საჰაერო ხომალდი და მისი ძრავა ექვემდებარებიან სერტიფიცირებას. აღნიშნული სერტიფიკატი ადასტურებს ფრენის უსაფრთხოებისა და საავიაციო უშიშროების მოთხოვნებთან შესაბამისობას“. საქართველოს კონსტიტუციით უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გემგებლობას განეკუთვნება ავიაცია (მუხლი 7.1 „ვ“), ამასთან, განვითარებული საავიაციო სფერო სახელმწიფოს ეკონომიკური სიძლიერის ერთ-ერთი ინდიკატორია და ზოგადად საავიაციო საქმე საჯარო მონესრიგების სფეროს განეკუთვნება, სადაც გარკვეული უფლებამოსილებები შესაძლოა დელეგირებული იყოს, თუმცა, შესაბამისი კონტროლის შენარჩუნებით. საავიაციო-საგანმანათლებლო, ისევე როგორც სხვა უმაღლესი აკადემიური სასწავლო, პროგრამების მიზანია თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მქონე სპეციალისტების მომზადება. განსახილველი დავის მიხედვით და მის ფარგლებში კომერციულ პილოტს უმნიშვნელოვანესი ფუნქცია ეკისრება საჰაერო სატრანსპორტო სფეროში (სატრანსპორტო სფერო სატრანსპორტო სისტემისა და სატრანსპორტო პროცესის ერთობლიობას ნიშნავს „ტრანსპორტის სფეროს მართვისა და რეგულირების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველის მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით). „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით უზრუნველყოფილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტონომია, დამოუკიდებლად განსაზღვრონ და განახორციელონ აკადემიური საქმიანობა, ასევე, აკადემიური თავისუფლების ფარგლებში დამოუკიდებლად განახორციელონ აკადემიური სწავლება, სამეცნიერო კვლევა და სწავლა. ამის შედეგი კი არის პირისათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხი, რომლის მიხედვითაც პირს შესაბამისი სწავლების საფეხურის მიხედვით ენიჭება კვალიფიკაცია. მითითებული კანონი საქართველოში უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს განსაზღვრავს: ა) ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებების ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტაცია, რომლებიც აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის; ბ) პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი განათლების მი-

ლების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება; გ) პიროვნული პოტენციალის რეალიზება, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პირების მომზადება, შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე უმაღლესი განათლების მქონე პირთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, სტუდენტთა და ფართო საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისი მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლების შეთავაზება დაინტერესებული პირებისათვის; დ) სახელმწიფოს განვითარებისა და საკუთრივ უმაღლესი განათლების სისტემის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად ახალი სამეცნიერო პერსონალის მომზადება და გადამზადება, სამეცნიერო კვლევის პირობების შექმნა, უზრუნველყოფა და განვითარება; ე) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის ნახალისება.

23. სადავო პერიოდში მოქმედი სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 11 ოქტომბრის №202 ბრძანებით დამტკიცებული „ავიასპეციალისტთა სამედიცინო სერტიფიცირების წესების“ მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კლასის სამედიცინო სერტიფიკატი გაიცემა: ბ) კომერციულ პილოტზე; ხოლო მე-6 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამედიცინო სერტიფიკატის ვადაა: ბ) 12 თვე კომერციული პილოტის სერტიფიკატისთვის (თვითმფრინავი, დირიჟაბლი, ვერტმფრენი, ამავე ძალის სამაგით აღჭურვილი საჰაერო ხომალდი); ამავე წესების მე-7 მუხლი განსაზღვრავს, რომ 1. სამედიცინო სერტიფიკატის მოქმედების ვადა: ა) განმცხადებლის ასაკიდან გამომდინარე, დადგინდეს სამედიცინო გამოკვლევის დღე და გადათვლა მოხდეს სამედიცინო გამოკვლევის თარიღიდან, პირველადი გაცემისა და განახლების შემთხვევაში. გახანგრძლივების შემთხვევაში, წინა სამედიცინო სერტიფიკატის მოქმედების ვადის ამოწურვის თარიღიდან; ბ) სამედიცინო სერტიფიკატის გახანგრძლივება შესაძლებელია ჩატარდეს სამედიცინო სერტიფიკატის მოქმედების ვადის გასვლამდე 45 დღით ადრე; გ) სამედიცინო სერტიფიკატის განახლება: გ.ა) თუკი მფრინავი არ აკმაყოფილებს „ბ“ ქვეპუნქტს, მოთხოვნილი უნდა იქნეს, განახლების შემთხვევა/ან შეფასება; გ.ბ) „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები მოეთხოვება მხოლოდ პირველი და მეორე კლასის სამედიცინო სერტიფიკატის მფლობელებს. იმხანად მოქმედი წესების მიხედვით მე-7 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები მოეთხოვება სწორედ იმ კლასის პილოტს, რომელ სასწავლო პროგრამასაც მოცემული დავის მოსარჩელე/კასატორი ეუფლებოდა. საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს ზემოხსენებული წესების მე-8 მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის მიხედვითაც სამედიცინო სერტიფიკატი არის ავიასპეციალისტის მოწმობის განუყოფელი ნაწილი. ავიასპეციალისტი, სამე-

დიცინო სერტიფიკატის გარეშე ან ვადაგასული სამედიცინო სერტიფიკატით, პროფესიული მოვალეობების შესასრულებლად არ დაიშვება. ამ დანაწესში მკაფიოდ არის მითითებული ავიასპეციალისტზე, ანუ იმ პირზე, რომელმაც შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის თეორიული და პრაქტიკული კურსი წარმატებით ჩააბარა, თუმცა, სწორედ იმისთვის, რომ პირი გახდეს ავიასპეციალისტი, მან უნდა მიიღოს შესატყვისი განათლება და, საქმიანობის სფეროს სპეციფიკურობის გათვალისწინებით, როდესაც განათლების უფლების ფარგლებში მოპოვებული ცოდნის პრაქტიკული რეალიზებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ჯანმრთელობის მდგომარეობა საპეირო ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და უსაფრთხოების სტანდარტების დასაცავად, გამოიყენება საავიაციო სფეროში მოქმედი წესები და სადავო პერიოდში არსებული მონესრიგება, რომლის მე-14 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ავიასპეციალისტი საავიაციო-სამედიცინო-საექსპერტო გამოკვლევას გადის ამ წესების მე-9 მუხლის შესაბამისად შექმნილ სსსკ-ში. აღნიშნული წესების 22-ე მუხლის მიხედვით 1. სამედიცინო გამოკვლევების დასრულების შემდეგ სამედიცინო ექსპერტმა უნდა მოახდინოს გამოკვლევების შედეგების კოორდინირება და სააგენტოს წარუდგინოს ხელმოწერილი მოხსენება ან ეკვივალენტური დოკუმენტი, სადაც აღწერილი იქნება გამოკვლევების დეტალური შედეგები და ის ნაკლოვანებები, რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობასთან არის დაკავშირებული. 2. სსსკ-ის დასკვნას ხელს აწერს კომისიის ის წევრი, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა ავიასპეციალისტის ჯანმრთელობის მდგომარეობის დადგენაში. სადავო პერიოდში მოქმედი წესების 36-ე მუხლის მიხედვით დადგენილია, რომ: 1. სამედიცინო სტანდარტებთან შეუსაბამობის დროს, კონკრეტულ მოწმობასთან მიმართებაში, სამედიცინო სერტიფიკატი არ უნდა იქნეს გაცემული ან განახლებული, თუ არაა დაცული შემდეგი პირობები: ა) აკრედიტებული სამედიცინო დასკვნა აჩვენებს, რომ სპეციალურ პირობებში ავიასპეციალისტი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს რაიმე მოთხოვნებს, რაოდენობრივად ან რაიმე სხვა სახით, მისი მოწმობით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელებისას, საფრთხეს არ შეუქმნის ფრენის უსაფრთხოებას; ბ) სათანადო წესით გათვალისწინებულია ავიასპეციალისტის შესაძლებლობები, კვალიფიკაცია და გამოცდილება, ასევე მისი საშუალო პირობები; გ) სამედიცინო სერტიფიკატი არის გაცემული რაიმე სპეციალური შეზღუდვით ან შეზღუდვებით და მოწმობის მატარებლის მოვალეობის უსაფრთხო განხორციელება დამოკიდებულია ასეთი შეზღუდვის ან შეზღუდვების დაცვაზე.

24. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში მისი კვლევისა და შეფასების საგანი არ არის, თუ რა სახის ხელშეკრულება იყო გაფორმებული პირველ მოპასუხესა – უნივერსიტეტსა და მე-

ორე მოპასუხეს - პოლიკლინიკას შორის, ანუ შეუძლებელია იმ გარემოებაზე მსჯელობა, უნივერსიტეტს სტუდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შემონმების შემდეგ გამოვლენილი სამედიცინო ჩვენების მიხედვით, რა ვალდებულება ჰქონდა პოლიკლინიკას უნივერსიტეტის წინაშე, თუმცა, ამის გარეშეც, თვალსაჩინოა, რომ მოპასუხე უნივერსიტეტში კონკრეტულ სასწავლო პროგრამაზე მხოლოდ წარმატებული სწავლის შედეგები არ იქნებოდა საკმარისი იმ მიზნის მისაღწევად, რაც სტუდენტს ჰქონდა დასახული და ამ თვალსაზრისით არა მხოლოდ სტუდენტს (მოცემული დავის მოსარჩელე მხარეს), არამედ პირველ მოპასუხეს – უნივერსიტეტსაც ეკისრება პასუხისმგებლობა, რადგან სახელმწიფოებო მიზნის მიღწევაში ორივე მხარეს თანასწორად და თანაბარი კეთილსინდისიერებით ევალეზოდა ყველა ქმედების განხორციელება.

25. საკასაციო სასამართლო სსკ-ის 415-ე მუხლის დანაწესს მოიხმობს, რომლის თანახმად, თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამოწვეული. ეს წესი გამოიყენება მაშინაც, როცა დაზარალებულის ბრალი გამოიხატება მის უმოქმედობაში – თავიდან აეცილებინა ან შეემცირებინა ზიანი. საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასებით, გამოვლენილია შერეული ბრალის ფაქტობრივი გარემოებები, სადაც ორივე მხარეს – შემკვეთსაც (მოსარჩელესაც/სტუდენტსაც) და მენარდესაც (პირველ მოპასუხესაც/უნივერსიტეტსაც) თანაბრად მოეთხოვებათ პასუხისმგებლობა იმ საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებიდან და მისაღწევი შედეგიდან გამომდინარე, რაც უკავშირდება კომერციული პილოტის პროფესიის შესწავლას და ამ სტატუსით საჰაერო ტრანსპორტის მართვას. სადავო პერიოდში მოქმედი რეგულაციის მიხედვით, სამედიცინო სერტიფიცირების 1-წლიანი ვადა და მისი გადამოწმების სტანდარტები სწორედ იმ მომეტებული რისკების დაზღვევას ემსახურება, რაც საჯარო ინტერესების უსაფრთხოდ განხორციელებას უკავშირდება, ამასთან, საერთაშორისო და ეროვნული მარეგლამენტირებელი აქტებითაა განსაზღვრული. „შერეული ბრალის არსებობისას დამდგარი ზიანის სრული ოდენობით ანაზღაურება არ დაეკისრება ზიანის მიმყენებელს, პირიქით, მისი პასუხისმგებლობა მცირდება იმ ნაწილში, რითაც დაზარალებულმა ხელი შეუწყო ზიანის წარმოშობას. ამდენად, თუ დამდგარი ზიანი ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა ერთობლივი ბრალეული ქმედების შედეგია, მაშინ პასუხისმგებლობა ორივე მხარეზე გადანაწილდება თითოეულის ბრალეულობის ხარისხის გათვალისწინებით (იხ: ლადო ჭანტურია (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი III, თბილისი, 2001, 482.).

26. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ თუ რაიმე სპეციალური კანონი განსხვავებულ წესს არ ითვალისწინებს, სსკ-ის 415-ე მუხლი მოქმედებს ყველა სახელშეკრულებო და კანონისმიერი თუ დელიქტური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შემთხვევაში, მაშინაც კი, როდესაც ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას ეხება საქმე (Oetker, in MüKo BGB, 7. Aufl., 2016, § 254, Rn 7 ff) (იხ: გ. რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი 2019 წ., მუხლი 415, ველი 9). დელიქტურ ვალდებულებებთან მიმართებაში სსკ-ის 415-ე მუხლის გამოყენება ეფუძნება ამავე კოდექსის 326-ე მუხლს, რომლის თანახმადაც წესები სახელშეკრულებო ვალდებულების შესახებ გამოიყენება ასევე სხვა არასახელშეკრულებო ვალდებულებათა მიმართ, თუკი ვალდებულების ხასიათიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს (შეად. სუსგ-ებს: №ას-504-481-2016, 30.09.2016წ. №ას-786-735-2017, 03.11.2017წ.; №ას-150-150-2018, 16.03.2018წ.; №ას-351-2024, 26.06.2024წ.).

27. საკასაციო სასამართლო სსკ-ის 318-ე მუხლის პირველ წინადადებას მოიხმობს, რომლის მიხედვით „ვალდებულებიდან შეიძლება გამომდინარეობდეს ამა თუ იმ ინფორმაციის მიღების უფლება.“ საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ეს დანაწესი კეთილსინდისიერების პრინციპის კონკრეტული გამოვლინებაა (იხ. სსკ-ის 8.3 მუხლი) და, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ტიპის სახელშეკრულებო ვალდებულებაზე ვრცელდება და ასეთი ბუნებრივი ვალდებულება წარმოიშობა იმ შემთხვევაშიც კი, როცა მხარეებს ის არ შეუთანხმებიათ, თუკი ეს განპირობებულია ვალდებულების ხასიათით და კეთილსინდისიერი ქცევის სტანდარტით, თუმცა, მაინც არ ნიშნავს იმას, რომ ინფორმაციის გამცემი ყოველთვის არის ვალდებული, გასცეს ინფორმაცია საკუთარი ინიციატივით. კანონის ტექსტში საუბარია „ინფორმაციის მიღების უფლებაზე“ და ამ ინფორმაციის „გამცემის უზრუნველყოფაზე“ ... კითხვაზე არის თუ არა ინფორმაციის გამცემი ვალდებული, გასცეს ინფორმაცია საკუთარი ინიციატივით, ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არსებობს და ინფორმაციის გამცემის ვალდებულების ინტენსივობა უნდა შეფასდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე (იხ. გიორგი ვაშაყიძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია (რედ.), 2019, მუხლი 218, ველი 1,5) – შეად. სუსგ-ებს: №ას-717-670-2017, 26.04.2018წ.; №ას-1585-2022, 12.06.2023წ.; №ას-610-2022, 15.02.2023წ.; №ას-1588-2022, 12.06.2023წ.; №ას-829-2023, 9.02.2024წ.).

28. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მთელ რიგ შემთხვევებში კონკრეტული ზიანის დადგომაში არა მხოლოდ დამზიანებელს, არამედ ასევე დაზარალებულსაც შეაქვს თავისი „წვლილი“. სსკ-ის 415-

ემუხლი აწესრიგებს იმ წინაპირობებს, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც უნდა მოხდეს დაზარალებულის ამ „წვლილის“ გათვალისწინება, და მისგან გამომდინარე სამართლებრივ შედეგებს (იხ: გ. რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი 2019 წ., მუხლი 405, ველი 1). შერეული ბრალის არსებობისას სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრა გულისხმობს არა ზიანის ანაზღაურებას დაზარალებულის მიერ, არამედ ზიანის მიმცენებლის პასუხისმგებლობის შემცირებას და ზიანის შესაბამისი ნაწილის დაზარალებულზე (კრედიტორი) დაკისრებას. ამ ვითარებაში არსებული ზიანი მოვალისა და დაზარალებულის ერთობლივი მოქმედების განუყოფელი შედეგია. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ანაზღაურების მოცულობა განისაზღვრება მხარეთა ბრალეულობის ხარისხით – უფრო მეტად თუ რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამომწვეული (სსკ-ის 415-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევის ანალოგიურ დებულებებს ითვალისწინებს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 254-ე პარაგრაფი – „თანაბრალეულობა“ (იხ: Münch Komm BGB/Oetker §254. Bd 2a. Rn. 10. Palandt/Heinrichs, §254. Rn.15. Staudinger/Schiemann. §254. Rn.67. Bamberger/Roth., Grüneberg §254. Bd. 1. Rn.11. 19.) (იხ: სუსგ №ას-992-2020, 29 სექტემბერი, 2021წ.).

29. სამოქალაქო კოდექსით აღიარებული ფუძემდებლური „pacta sunt servanda“ – (ხელშეკრულება უნდა შესრულდეს) პრინციპი, ორივე მხარეს აკისრებს კეთილსინდისიერად მოქმედების ვალდებულებას. განსახილველ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებას ხელშეკრულებით არ უკისრია კონკრეტული ვალდებულება, რომ საჭიერო ტრანსპორტის საფრენოსნო ექსპლუატაციის ფაქულტეტის „პილოტ-ინჟინერის“ საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა შეემოწმებინა, საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასებით, აღნიშნული არ ათავისუფლებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას პასუხისმგებლობისაგან სრულად, რადგან, მის მიერ გაწეული მომსახურების – სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული კურსის სტუდენტისთვის ჩატარება, თავისთავად მხოლოდ თეორიული ცოდნის გადაცემას არ ისახავდა მიზნად. მოპასუხე უნივერსიტეტის მიერ გაწეული მომსახურება, ფორმალურად ჯეროვნად განხორციელებულად არ შეიძლება იქნეს მიჩნეული, რადგან არ არის მიღწეული სასწავლო კურსის საბოლოო შედეგი შესაბამისი თანრიგის მოწმობის/სერტიფიკატის მიღება. ასეთი სერტიფიკატის გაცემა, გარდა იმისა, რომ კერძო პირის მიერ მიღებული განათლებისა და პროფესიული თვითრეალიზაციის შესაძლებლობას წარმოადგენს, იმავდროულად საჯარო ინტერესსაც ემსახურება საჭიერო სატრანსპორტო მომსახურების სფეროში შესაბამისი კვალიფი-

კაციის მქონე სპეციალისტების მომზადებისა და დასაქმების შესატყვის სფეროში გაშვების კუთხით.

30. დადგენილია და უდავოა, რომ თეორიული კურსის დასაწყისში – 2012 წელს სტუდენტმა გაიარა სამედიცინო შემოწმება და კომისიამ გასცა პირველი კლასის სერტიფიკატი (რომლის მოქმედების ვადა იყო ერთი წელი), რითაც დადასტურდა მის მიერ ფრენების განხორციელების შესაძლებლობა. დადგენილია, რომ 2012 წლიდან 2015 წლამდე სტუდენტს (კასატორს) არ მიუმართავს კომისიისათვის. საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასებით, თეორიული კურსის დასაწყისში სამედიცინო შემოწმების გავლით დადასტურდა მხოლოდ ის, რომ მოსარჩელეზე გაიცა პირველი კლასის სერტიფიკატი (რომლის მოქმედების ვადა იყო ერთი წელი), რითაც დადასტურდა მის მიერ ფრენების განხორციელების შესაძლებლობა, შესაბამისად, 2015 წლამდე არც სტუდენტს მიუმართავს და არც საგანმანათლებლო დაწესებულებას მოუთხოვია მისთვის სამედიცინო შემოწმების გავლა, რათა დადასტურებულიყო ერთწლიანი სერტიფიცირების ვადის ამოწურვის შემდეგ ფრენების განხორციელების შესაძლებლობა, რაც ორივე ხელშემკერელი მხარის პასუხისმგებლობას წარმოადგენდა. კვალიფიციური კომერციული პილოტის, როგორც სპეციალისტის, სასწავლო კურსის დამთავრება, თეორიულ ცოდნასთან ერთად, ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგს მოითხოვს, სხვაგვარად შეუძლებელია პირველი კლასის სერტიფიკატის ვადის შეფასება. შესაბამისად, სახელშეკრულებო ინტერესისა და შედეგის მიღწევის ინტერესი ფორმალური სახელშეკრულებო პირობის ვიწრო განმარტებას არ ნიშნავს, რეალურად, საკასაციო სასამართლოს განმარტება არის გონივრული შეფასება იმ საჯარო ინტერესის გათვალისწინებით, რომელიც, ერთი მხრივ, კერძო პირის მიერ კონკრეტული პროფესიის, ამ შემთხვევაში კომერციული პილოტის, დაუფლებას სჭირდება, მეორე მხრივ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კონკრეტული სასწავლო კურსის წარმატებით დასრულებას ნიშნავს.

31. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ მოსარჩელის/კასატორის მიერ გადახდილი 32 300 ლარიდან 1 100 ლარი წარმოადგენს მოსარჩელის მიერ ეტაპობრივად მისი აკადემიური დაუსწრებლობის გამო გამოწვეული გამოცდების გადაბარების საფასურს (2011 წლის 5 დეკემბრიდან 2015 წლის 24 დეკემბრის ჩათვლით), შესაბამისად, მოსარჩელის საკასაციო პრეტენზია ამ მიმართებით დაუსაბუთებლად მიაჩნია და ამ ნაწილში უცვლელად უნდა დარჩეს გასაჩივრებული განჩინება. იმის გათვალისწინებით, რომ საკასაციო სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეფასებით, გამოვლენილია შერეული ბრალეული პასუხისმგებლობა, მოსარჩელის მიერ გა-

დახდილი 31 200 ლარიდან ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა დააკმაყოფილეს 4950 ლარის ნაწილში სარჩელი, საკასაციო სასამართლოს მსჯელობისა და შეფასების საგანია 26 250 ლარის მოპასუხეთათვის დაკისრების მართლზომიერება, რაც მოსარჩელის (შემკვეთისა) და პირველი მოპასუხის (უნივერსიტეტის/მენარდის) თანაბარი „ბრალეულობის“ გათვალისწინებით უნდა შეფასდეს. საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასებით მოსარჩელის/კასატორის მოქმედებაზე შეუწყო ხელი იმ შედეგის დადგომას, რომ მან ვერ მიიღო სწავლის შედეგად ის აკადემიური ხარისხი და კვალიფიკაცია, რაც ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, ამასთან, მოპასუხეთაგან მხოლოდ პირველს – უნივერსიტეტს უნდა დაეკისროს მოსარჩელის სასარგებლოდ 13 125 (ცამეტი ათას ას ოცდახუთი) ლარის ანაზღაურება. რაც შეეხება მეორე მოპასუხეს, გარდა იმისა, რომ მოსარჩელეს ამ მიმართებით დასაბუთებული სასარჩელო მოთხოვნა (შესაბამისად – სააპელაციო/საკასაციო შედავება) არ ჰქონია, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების კვლევის საგანი არ ყოფილა და, აქედან გამომდინარე, ვერც საკასაციო სასამართლო იმსჯელებს, თუ სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში რა იყო მოპასუხეებს (უნივერსიტეტსა და პოლიკლინიკას) შორის შეთანხმებული (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 24-ე პუნქტი). საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა მოსარჩელესა და მოპასუხე უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით და საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებით, რომელთა საფუძველზე, ნაწილობრივ დააკმაყოფილა საკასაციო საჩივარი (შესაბამისად – სარჩელი), სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში კი უცვლელად უნდა დარჩეს გასაჩივრებული განჩინება.

32. სსსკ-ის 53.3 მუხლის საფუძველზე მხარეთა შორის სახელმწიფო ბაჟის გადანაწილების თაობაზე იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების საჩივროლუციო ნაწილის მე-6 პუნქტი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. ვ. ხ-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. ნაწილობრივ გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 16 თებერვლის განჩინება და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ვ. ხ-ძის სარჩელი მოპასუხე შპს „ს.ს.უ-ტის“ მიმართ, დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

4. შპს „ს.ს.უ-ტის“ ვ. ხ-ძის სასარგებლოდ დაეკისროს 13 125 (ცამეტი ათას ას ოცდახუთი) ლარის გადახდა;

5. დანარჩენ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 16 თებერვლის განჩინება დარჩეს უცვლელად;

6. შპს „ს.ს.უ-ტის“ ვ. ხ-ძის სასარგებლოდ დაეკისროს სამივე ინსტანციის სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან 1 575 (ათას ხუთას სამოცდათხუთმეტი) ლარის ანაზღაურება;

7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დაჯარალეხულის გრალი ზიანის დადგომაში

გადანყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-313-2024

8 ნოემბერი, 2024 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა**

**შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
თ. ძიმისტარაშვილი,
მ. ერემაძე**

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის (შემდეგში მოსარჩელე, ფონდი, შემკვეთი ან კასატორი) სარჩელი დაკმაყოფილდა;

2. მოსარჩელე ფონდის სასარგებლოდ შპს „ი-ის“ (შემდეგში: მოპასუხე, მენარდე ან აპელანტი) 207 163.69 (ორას შვიდი ათას ას სამოცდასამი ათასი ლარი და სამოცდაცხრა თეთრი) ლარის გადახდა დაეკისრა.

3. ფონდის სარჩელი ეფუძნება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

3.1. იძულებით გადაადგილებულ პირთა სახლების რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში 2013 წლის 15 მარტს შემკვეთ ფონდსა და მე-

ნარდე/მოპასუხე კომპანიას შორის გაფორმდა ხელშეკრულება (USAID/ITQ/01-2012), იძულებით გადაადგილებულ პირთათვის 8 ყოფილი საავადმყოფოს შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების დეტალური პროექტის, სატენდერო დოკუმენტაციის მომზადების და საავტორო ზედამხედველობის თაობაზე; აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში შპს „ჯ-ის“ (შემდეგში: პროექტანტი) მიერ მომზადებულ იქნა საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაცია;

3.2. ხსენებული პროექტის და სატენდერო დოკუმენტების შესაბამისად, 2013 წლის 27 დეკემბერს, შემკვეთმა ფონდმა მენარდე კომპანიასთან გააფორმა ხელშეკრულება, ხონი-ბაღდათის რეგიონში საავადმყოფოების შენობების მრავალბინიან საცხოვრებელ სახლად რეაბილიტაციის თაობაზე. მენარდე კომპანია (მოპასუხე) მობილიზაციის სამუშაოების შემდეგ შეუდგა სადემონტაჟო სამუშაოებს: ღიობებიდან ხის ფანჯრების და კარების დაშლა, არსებული აგურის ტიხრების დანგრევა, კედლებიდან ძველი ნალესის ჩამოყრა და სხვა;

3.3. კედლებიდან ძველი ნალესის ჩამოყრის შემდეგ თვალსაჩინო გახდა სილიკატური აგურით აშენებულ მზიდ კედლებზე ვერტიკალური ბზარები. ამის თაობაზე ეცნობა ფონდს და პროექტანტს (შპს „ჯ-ს“);

3.4. 2014 წლის 31 იანვარს ხონის ობიექტის „ა“ ბლოკის 7-7 და 8-8 ღერძებს შორის ოთხივე სართულის დონეზე ჩამოინგრა არსებული კონსტრუქცია;

3.5. შპს „ჯ-ის“ მიერ მომზადებული შენობის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ დასკვნის შესაბამისად, სწორედ „ა“ ბლოკის შენობის კედლების მდგომარეობა შეფასებული იყო, როგორც ნორმალური და ასევე ძირითადში კარგ მდგომარეობაში მყოფი;

3.6. მენარდე კომპანიის მიერ სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოებისას არ იქნა გათვალისწინებული პროექტანტის მიერ შენობის რეაბილიტაციის დროს სავალდებულოდ გასათვალისწინებელი ნორმები; უფრო მეტიც, გაჩენილი დაზიანებების მიუხედავად, მენარდეს (მოპასუხეს) არ შეუჩერებია სარეაბილიტაციო სამუშაოები ახლად წარმოქმნილი გარემოებების გარკვევამდე. შესაბამისად, მოპასუხემ მოახდინა არა შენობის რეაბილიტაცია და პროექტით გათვალისწინებული ნორმების დაცვა, არამედ უხეშად დაარღვია და არ გაითვალისწინა პროექტანტის მითითებები შენობის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, რამაც ხელი შეუწყო შენობის ჩამონგრევას ისე, რომ მისი შემდგომი გამოყენება და რეაბილიტაცია შეუძლებელია;

3.7. ქ. ხონის ყოფილი საავადმყოფოს მთავარ კორპუსში ფიქსირებულია ნგრევის ორი ზონა. ზიანი მასშტაბური ხასიათისაა და, მისი გათვალისწინებით, შენობის ფაქტიურად არსებული მდგომარეობიდან პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენა ტექნიკურად შეუძლებელია. შე-

ნობა დაექვემდებარა დემონტაჟს;

3.8. შემკვეთ ფონდს (მოსარჩელე მხარეს) ქ. ხონის საავადმყოფოს შენობის რეაბილიტაციის პროექტის და მენარდე კომპანიის (მოპასუხის) მიერ ამ შენობაზე განხორციელებული სამუშაოების საფასური მთლიანად – 207 163.69 ლარი აქვს გადახდილი, რაც რეალურად მოსარჩელის ზიანს წარმოადგენს და, ვინაიდან ექსპერტიზის მიხედვით შენობა აღარ ექვემდებარება აღდგენას და მთლიანად სადემონტაჟოა, მენარდეს/მოპასუხეს უნდა დაეკისროს ფონდისათვის/მოსარჩელისათვის აღნიშნული ოდენობით ზიანის ანაზღაურება.

4. მოპასუხე/მენარდე საწარმოს შესაგებლის შესახებ

4.1. მოპასუხე მხარეს (მენარდეს) სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებელი არ წარუდგენია, ხოლო სასამართლო სხდომაზე მიუთითა, რომ სარჩელს არ ცნობს.

4.2. საქმის მასალების მიხედვით, თბილისის საქალაქო სასამართლოს, 2021 წლის 16 აპრილს შუამდგომლობით მიმართა მოპასუხე კომპანიის წარმომადგენელმა (დირექტორმა) ზ. თ-ძემ, რომელმაც მოითხოვა შესაგებლის წარსადგენად გაშვებული ვადის აღდგენა.

4.3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 16 ივნისის განჩინებით, მოპასუხის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, რაზედაც მხარემ წარადგინა კერძო საჩივარი.

4.4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 29 დეკემბრის განჩინებით, მოპასუხის (მენარდის) კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 16 ივნისის განჩინება დარჩა უცვლელად.

5. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებები

5.1. მოსარჩელე ფონდსა (შემკვეთსა) და მოპასუხე კომპანიას (მენარდეს) შორის 27.12.2013წ. გაფორმდა ხელშეკრულება, ხონი – ბაღდათის რეგიონში საავადმყოფოების შენობების მრავალბინიან საცხოვრებელ სახლად რეაბილიტაციის თაობაზე.

5.2. კედლებიდან ძველი ნალესის ჩამოყრის შემდეგ თვალსაჩინო გახდა სილიკატური აგურით აშენებულ მზიდ კედლებზე ვერტიკალური ბზარები. აღნიშნულის თაობაზე ეცნობა ფონდს და პროექტანტს.

5.3. 2014 წლის 31 იანვარს ხონის ობიექტის „ა“ ბლოკის 7-7 და 8-8 ლერძებს შორის ოთხივე სართულის დონეზე ჩამოინგრა არსებული კონსტრუქცია.

5.4. შპს „ჯ-ის“ (პროექტანტის) მიერ მომზადებული შენობის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ დასკვნის შესაბამისად, სწორედ „ა“ ბლოკის შენობის კედლების მდგომარეობა შეფასებული იყო, როგორც ნორმალური და ასევე ძირითადად კარგ მდგომარეობაში მყოფი.

5.5. ქ. ხონის ყოფილი საავადმყოფოს მთავარ კორპუსში ფიქსირებულია ნგრევის ორი ზონა. ზიანი მასშტაბური ხასიათისაა და, მისი გათვალისწინებით, შენობის ფაქტიურად არსებული მდგომარეობიდან პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენა ტექნიკურად შეუძლებელია; შენობა დაექვემდებარა დემონტაჟს.

5.6. მენარდე კომპანიას სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოების დროს, გაჩენილი დაზიანებების მიუხედავად, არ შეუჩერებია სარეაბილიტაციო სამუშაოები ახლად წარმოქმნილი გარემოებების გარკვევამდე.

5.7. მოსარჩელე ფონდს (შემკვეთს) ქ. ხონის საავადმყოფოს შენობის რეაბილიტაციის პროექტის და მენარდე კომპანიის მიერ ამ შენობაზე განხორციელებული სამუშაოების საფასური მთლიანად აქვს გადახდილი, რაც რეალურად შემკვეთის მიერ გაცდილ ზიანს წარმოადგენს, ვინაიდან ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, შენობა აღარ ექვემდებარება აღდგენას და მთლიანად სადემონტაჟოა.

5.8. საქალაქო სასამართლოს სხდომაზე მოპასუხე მხარის (მენარდე კომპანიის) წარმომადგენელმა, მიუთითა სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობაზე, რასთან დაკავშირებითაც იმსჯელა სასამართლომ და განმარტა, რომ მოთხოვნის ხანდაზმულობა, მყარად დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, განიხილება, როგორც ფაქტის საკითხი და შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნის შემაფერხებელ გარემოებად ვერც ხანდაზმულობა ვერ იქნებოდა განხილული, რადგან მოპასუხემ არ წარადგინა შესაგებელი, რითაც დაკარგა ფაქტებზე შედავების საპროცესო საშუალება.

5.9. შემკვეთის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებისა და საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებათა შეფასება, საქალაქო სასამართლომ დაამყარა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 316-ე, 355-ე, 405-ე, 629-ე, 639-ე, 641-ე და 644-ე მუხლებს. საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ შემკვეთის სარჩელით მოთხოვნილია მოპასუხისათვის (მენარდისათვის), მოსარჩელის სასარგებლოდ, თანხის დაკისრება ზიანის სახით, თუმცა, სარჩელის ფაქტობრივი გარემოებების და მოთხოვნის შინაარსიდან გამომდინარე, სახეზეა არა ზიანის ანაზღაურების, არამედ შემკვეთის მიერ მენარდისთვის გადახდილი თანხის უკან დაბრუნების შემთხვევა. შესაბამისად, განსახილველი დავის ფარგლებში, სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენდა, არსებობდა თუ არა განეული ხარჯების ანაზღაურების წინაპირობები.

5.10. საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, საქალაქო სასამართლომ დაასკვნა, რომ იმ პირობებში, როდესაც შემკვეთს შენობა-ნაგებობის რეაბილიტაციის საფასური სრულად აქვს

გადახდილი, ხოლო მენარდემ ვერ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი პირობების მიხედვით, შენობის გადაცემის ვალდებულება, ანუ შემკვეთისათვის უნაკლო ნივთის ჩაბარება, ამ უკანასკნელს წარმოეშვა ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება, რომლის განხორციელებაც, მენარდესთვის/მოპასუხისათვის, ახალი ვალდებულების წარმოშობის საფუძველია, კერძოდ, ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების. საქალაქო სასამართლომ დაასკვნა, რომ მოსარჩელის/შემკვეთის მოთხოვნა მენარდისათვის თანხის დაკისრების თაობაზე საფუძვლიანი იყო და სრულად უნდა დაკმაყოფილებულიყო (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 1-2 პუნქტები).

6. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

6.1. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებისა და სარჩელის უარყოფის მოთხოვნით მოპასუხის (მენარდე კომპანიის) მიერ წარდგენილი სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის ივლისის გადაწყვეტილებით გაუქმდა ქვედგომი სასამართლოს გადაწყვეტილება და ფონდს (შემკვეთს) უარი ეთქვა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით აღძრული სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

6.2. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მისი შეფასების საგანია თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილების კანონიერება, რომლითაც სრულად დაკმაყოფილდა შემკვეთის სარჩელი და, მის სასარგებლოდ, მოპასუხეს/აპელანტს 207 163.69 ლარის გადახდა დაეკისრა.

6.3. სააპელაციო სასამართლომ მოპასუხის სააპელაციო საჩივრის ფარგლებში, უპირველეს ყოვლისა, მიზანშეწონილად მიიჩნია ემსჯელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) 232¹-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე იმ საკანონმდებლო მოწესრიგებაზე, რომელიც უკავშირდება შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მხარეთა თანასწორობისა და შეფიქრებულობის პრინციპებიდან გამომდინარე, მხარეები სამოქალაქო პროცესში სარგებლობენ თანასწორი საპროცესო უფლებებით, კერძოდ, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს სარჩელით დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების დასაცავად, ხოლო იმ პირს კი, რომლის წინააღმდეგაც აღძრულია სარჩელი, შეუძლია თავი დაიცვას ამ სარჩელისაგან. ამასთან ერთად, სარჩელის აღძვრა და ამ სარჩელისაგან თავის დაცვა მიმდინარეობს კანონით განსაზღვრული წესითა და საშუალებების გამოყენებით. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სარჩელისაგან მოპასუხის თავდაცვის ისეთ საშუალებას, როგორიცაა შესაგებელი. მოპასუხის შე-

საგებელი წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილობითი ფორმით. მატერი-
ალურ-სამართლებრივი შესაგებელი – ესაა სარჩელისაგან მოპასუხის
თავდაცვის საშუალება ისეთ ფაქტებზე მითითებით, რომლებსაც მა-
ტერიალური სამართალი უკავშირებს სასარჩელო მოთხოვნის დაკმა-
ყოფილებაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმას. სსსკ-ის მე-4 და
102-ე მუხლები ითვალისწინებს სამართალწარმოების განხორციელე-
ბას მხოლოდ მხარეთა პროცესუალური აქტიურობის საფუძველზე. ამ
პრინციპის კონკრეტული გამოვლენაა მოპასუხის მიერ შესაგებლის წარ-
მოდგენის სავალდებულობა. ამ პროცესუალური ვალდებულების შე-
უსრულებლობისათვის, სანქცია კი მდგომარეობს მოპასუხე მხარის წი-
ნაღმდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაში.

6.4. განსახილველი საქმის მასალებით დასტურდება, მოპასუხეს (მე-
წარდე კომპანია) სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგე-
ბელი არ წარმოუდგენია. 2021 წლის 16 აპრილს მოპასუხის წარმომად-
გენელმა, თბილისის საქალაქო სასამართლოს შუამდგომლობით მიმარ-
თა შესაგებლის წარსადგენად გაშვებული ვადის აღდგენის თაობაზე,
თუმცა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 16 ივნისის განჩინე-
ბით, მოპასუხის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა; თბილისის სააპელაციო
სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 29 დეკემბრის
განჩინებით, მოპასუხის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და საქა-
ლაქო სასამართლოს 2021 წლის 16 ივნისის განჩინება დარჩა უცვლე-
ლად.

6.5. სსსკ-ის 232¹-ე მუხლის თანახმად, მოპასუხის მიერ ამ კოდექსის
201-ე მუხლით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლო-
ბისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზე-
პირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამას-
თანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითი-
თებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვ-
ნას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსამართლე ნიშნავს სხდომას, რის შე-
სახებაც ეცნობებთ მხარეებს ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დად-
გენილი წესით. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მოპასუხისგან მტკი-
ცებულებათა მიღება არ ხდება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის
მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნასთან და-
კავშირებით, ანუ, მითითებული ნორმის საკანონმდებლო მიზნებიდან
გამომდინარე, შესაგებლის შეუტანლობის მოტივით დაუსწრებელი გა-
დაწყვეტილების გამოტანისათვის შემდეგი წინაპირობები უნდა არსე-
ბობდეს: ა) მოპასუხეს სსსკ-ის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაც-
ვით უნდა ჩაჰპარდეს სარჩელი და თანდართული მასალები. მასვე უნ-
და განემარტოს სსსკ-ის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად
დანიშნული საპროცესო ვადის (შესაგებლის წარდგენის ვადის) არასა-

პატიოდ დარღვევის ნეგატიური შედეგების თაობაზე; ბ) მოპასუხემ ბრალეულად უნდა დაარღვიოს შესაგებლის შეტანისათვის განსაზღვრული ვადა; გ) სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად უნდა ამართლებდეს მოთხოვნას.

6.6. შესაგებლის შეუტანლობის მოტივით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისათვის უნდა არსებობდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წინაპირობები. მათგან თუნდაც ერთ-ერთის არარსებობა იწვევს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე უარის თქმას და მხარეთა დაბარებას სასამართლო სხდომაზე. ასეთ შემთხვევაში, განსხვავებულია მოპასუხის უფლებრივი მდგომარეობა. კერძოდ, მოპასუხისაგან მტკიცებულებები არ მიიღება და სამართლებრივი ბალანსი იმგვარია, რომ მას უფლება მხოლოდ სამართლებრივი შესაგებლის წარდგენაზე აქვს, ანუ თავდაცვის საპროცესო საშუალება მხოლოდ მოთხოვნასთან მიმართებით მისი სამართლებრივი მოსაზრებით შემოიფარგლება (იხ. სუსგ №ას-1250-1172-2015, 5.02.2016 წ.).

6.7. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არაერთ დავაზე განმარტა რომ სსსკ-ის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით მოსარჩელის მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს იმ შემთხვევაში, თუ სარჩელში გადმოცემული მოსარჩელის განმარტებები მოთხოვნას იურიდიულად ამართლებს (ანუ მოსარჩელე მიუთითებს მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის მატერიალური ნორმის შემადგენელ ელემენტებზე). ასეთ შემთხვევაში მტკიცებულებათა გამოკვლევა-შეფასება არ ხდება და მოქმედებს პრეზუმფცია, რომლის თანახმად, ივარაუდება, რომ მოპასუხემ ვერ დაადასტურა საპირისპირო (შეად. სუსგ-ებს: №ას-970-2021, 29.11.2021წ.; №ას-620-2021, 13.10.2021წ.; №ას-662-2019, 11.12.2020წ.; №ას-330-2019, 19.11.2019წ.; №ას-656-626-2016, 27.03.2017წ.).

6.8. წინამდებარე საქმის მასალებით დასტურდება, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ, მოპასუხის მიერ შესაგებლის ვადაში წარუდგენლობის მიუხედავად, მიიჩნია, აუცილებელი იყო საქმის ზეპირი მოსმენით განხილვა, იმის დასადგენად თუ რამდენად ამართლებდა იურიდიულად სარჩელში მითითებული გარემოებები სასარჩელო მოთხოვნას და ჩაინიშნა სასამართლო სხდომა. სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, მართალია, მოცემულ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა არა დაუსწრებელი, არამედ არსებითი გადაწყვეტილება, თუმცა საქმის მასალების და გადაწყვეტილების დასაბუთების მიხედვით დგინდება რომ სასამართლომ გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ მიიღო არა სსსკ-ის 102-ე-105-ე მუხლების საფუძველზე, მტკიცებულებათა გამოკვლევა-შეფასების შედეგად, არამედ, მოპასუხის მხრიდან შესაგებლის წარმოუდგენლო-

ბის გამო, სწორედ სსკ-ის 232¹-ე მუხლის დანაწესის შესაბამისად – მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებული გარემოებები დადასტურებულად ჩათვალა, მოპასუხისაგან მხოლოდ სამართლებრივი მოსაზრების მოსმენით შემოიფარგლა და მიიჩნია, რომ სარჩელის საფუძვლად მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებდა მოთხოვნას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტი მხარის პრეტენზია პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეში არსებული მტკიცებულებების არასათანადო შეფასება-გამოკვლევის თაობაზე და განმარტა, რომ, სააპელაციო საჩივრის ფარგლებში, სააპელაციო სასამართლო ასევე არ არის უფლებამოსილი, სასარჩელო მოთხოვნის მართებულობა მოპასუხის მიერ შედავებული გარემოებების ფარგლებში იკვლიოს და შეაფასოს და სააპელაციო საჩივრის განხილვის ეტაპზეც, მოპასუხე (აპელანტი) უფლებამოსილია სასამართლოს წარუდგინოს მხოლოდ სამართლებრივი მოსაზრებები სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით.

6.9. სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოპასუხის სააპელაციო პრეტენზია ხანდაზმულობის თაობაზე, ამ მიმართებით დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებას და განმარტა: ხანდაზმულობა, როგორც საქმის ფაქტობრივი გარემოება, წარმოადგენს არსებითი განხილვის საგანს. მოცემულ შემთხვევაში კი, მოპასუხის მიერ შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის გამო, საქმის არსებითი განხილვა არ მომხდარა, რაც აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივრის ფარგლებში მითითებულ გარემოებაზე – სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობაზე – მსჯელობის პროცესუალურ შესაძლებლობას გამორიცხავს. მყარად დადგენილი სასამართლო პრაქტიკის თანახმად, მოთხოვნის ხანდაზმულობა ფაქტის საკითხია და, განსხვავებით სამართლის საკითხისგან, რადროსაც მითითებული ფაქტობრივი გარემოებების ფარგლებში სასამართლო თვითონ მოიძიებს მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმას და შეუფარდებს საქმეში არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს, ამ შემთხვევაში, მოპასუხე მხარე თვითონ არის ვალდებული, უფლების სასამართლო წესით განხორციელებისგან ასეთი მითითებით დაიცვას თავი, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო მოთხოვნის ნამდვილობისა და განხორციელებადობის დადგენის შემთხვევაში, მიუხედავად მისი ხანდაზმულობისა, მოვალეს დააკისრებს ვალდებულების შესრულებას (იხ. სუსგ №ას-498-2020, 25.11.2020წ.; პ.38). ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა კასატორის მოსაზრება, რომ ხანდაზმულობა განეკუთვნებოდა სამართლის საკითხს და განმარტა, რომ ხანდაზმულობა ფაქტის საკითხია. ამასთან, ეს ფაქტი მოპასუხის შესაგებელში ან მოსამზადებელ სხდომაზე უნდა იყოს წამოყენებული, რაც მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხემ

თავისი საპროცესო უფლების ფარგლებში არ გამოიყენა (იხ. სუსგ №ას-262-2019, 2.12.2020 წ.; პ.24).

6.10. სარჩელის ინდივიდუალიზაცია სარჩელის ელემენტების მეშვეობითაა შესაძლებელი. სსსკ-ის მე-3, მე-4, 83-ე და 178-ე მუხლების ანალიზით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სარჩელი შედგება ორი ელემენტისგან: სარჩელის საგნისა და სარჩელის საფუძვლისგან. სარჩელის საგანია მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისადმი (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი), ხოლო სარჩელის საფუძველი – კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). საქმის გარემოებათა ანალიზის საფუძველზე მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის დადგენა და მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის მოძიება კი სასამართლოს ვალდებულებაა. სადავო ურთიერთობის შეფასებისას, ზემდგომი ინსტანციის სასამართლო არაა შებოჭილი ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი შეფასებებით, შესაბამისად, თუ ზემდგომი ინსტანციის სასამართლო გამოარკვევს, რომ ქვემდგომი სასამართლოს სამართლებრივი შეფასება არ გამომდინარეობს საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან, იგი ვალდებულია, ეს გარემოებები თავად შეაფასოს სამართლებრივად სწორად და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

6.11. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სარჩელის საგანი არის განმცხადებლის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა მონინალ-მდეგე მხარისადმი, რომელიც უნდა განიხილოს სასამართლომ და რომლის ფარგლებშიც უნდა გამოიტანოს შესაბამისი გადაწყვეტილება (განჩინება), უფრო კონკრეტულად კი დავის საგანი არის მოთხოვნის შინაარსი და არა მისი მატერიალური ობიექტი; რაც შეეხება სარჩელის ფაქტობრივ საფუძველს, ეს არის გარემოებები, რომელზეც მოსარჩელე მხარე ამყარებს საკუთარ მოთხოვნებს და რომელთა დადასტურებაც სწორედ მისი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას ემსახურება მიზნად. სარჩელის საგნისა და ფაქტობრივი საფუძვლის შეცვლა მხოლოდ მხარის უფლებას წარმოადგენს და სასამართლო, დისკოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, არ არის უფლებამოსილი, ჩაერიოს მასში.

6.12. მოცემულ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებით, მართალია, წინამდებარე სარჩელით მოთხოვნილი იყო მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ თანხის დაკისრება ზიანის სახით, თუმცა, სარჩელის ფაქტობრივი გარემოებების და მოთხოვნის შინაარსიდან გამომდინარე, სახეზე იყო არა ზიანის ანაზღაურების, არამედ შემკვეთის მიერ მენარდესთვის გადაცემული თანხის უკან დაბრუნების შემთხვევა. შესაბამისად, განსახილველი დავის ფარგლებში, სასა-

მართლოს შეფასების საგანს წარმოადგენდა, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები რამდენად ქმნიდა ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძვლით თანხის დაკისრების შემადგენლობას. სააპელაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეს ხელშეკრულებიდან გასვლა არ მოუთხოვია, მეტიც, სარჩელით მოთხოვნილი ზიანი, მოსარჩელის განმარტებით, გამომდინარეობს სწორედ მოპასუხე კომპანიის მიერ ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებიდან. შესაბამისად, სასამართლო ვერ გასცდება მოთხოვნის ფარგლებს და სხვაგვარ სამართლებრივ შეფასებას ვერ მისცემს მხარის მიერ მითითებულ გარემოებებს. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა გასაჩივრებულ გადანყვეტილებამ განვითარებული მსჯელობა სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლების თაობაზე. მოსარჩელის (შემკვეთის) მიერ წარმოდგენილი სასარჩელო მოთხოვნისა და მოთხოვნის საფუძვლად მითითებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, მენარდის მიერ ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება გამოიხატა უნაკლო ნაკეთობის წარდგენის ვალდებულების დარღვევაში, კერძოდ, დაინგრა შენობა, რომელიც აღდგენას არ ექვემდებარება, ხოლო მენარდისთვის გადახდილი თანხა წარმოადგენს შემკვეთის მიერ გაცდილ ზიანს. სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ სახეზეა სარჩელი სახელშეკრულებო ზიანის ანაზღაურების თაობაზე, რომლის წარმატებულობაც უნდა შემომწდეს მოთხოვნის მატერიალური ნორმის წინაპირობებთან მიმართებით, ანუ წინამდებარე დავა უნდა დარეგულირდეს სახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მომწესრიგებელი ნორმებით. იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს/შემკვეთს სურს, კერძოდ, წარდობის ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმებია: სსკ-ის 629-ე „წარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო, შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური“, 394.1 „მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება“, 408.1 „იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ზიანის ანაზღაურებელი მავალდებულებელი გარემოება“, 409-ე „თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისთვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი ხარჯი, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება“, 412-ე „ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და

წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს“ მუხლები.

6.13. ნარდობა ორმხრივი და სასყიდლიანი ხელშეკრულებაა (სსკ-ის 629-ე მუხლი). ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური. ნარდობა დაკავშირებულია მენარდის ვალდებულებასთან – შეასრულოს ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო და გადასცეს შემკვეთს შეთანხმებული საზღაურის მიღების პირობით შესრულებული სამუშაოს შედეგი. შემკვეთი მოვალეა გადაუხადოს მენარდეს საზღაური როგორც წესი, სამუშაოს შესრულების შემდეგ.

6.14. შემკვეთის სარჩელის თანახმად, იძულებით გადაადგილებულ პირთა სახლების რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში, 2013 წლის 15 მარტს, დაიდო ხელშეკრულება, მოსარჩელე ფონდსა და შპს „ჯ-ს“ (პროექტანტი) შორის, იძულებით გადაადგილებულ პირთათვის 8 ყოფილი საავადმყოფოს შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების დეტალური პროექტის, სატენდერო დოკუმენტაციის მომზადებისა და საავტორო ზედამხედველობის განხორციელების მიზნით. ხელშეკრულების ფარგლებში პროექტანტის – შპს „ჯ-ის“ მიერ მომზადდა საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაცია; 2013 წლის 27 დეკემბერს აღნიშნული პროექტის და სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად ფონდმა (შემკვეთმა) მოპასუხე/მენარდე კომპანიასთან გააფორმა NUSAID/W/ICB/07-Lot1-2013 ხელშეკრულება, ხონი-ბაღდათის რეგიონში 3 ყოფილი საავადმყოფო შენობების იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელ სახლებად რეაბილიტაციის თაობაზე.

6.15. მენარდე კომპანია მობილიზაციის სამუშაოების შემდეგ შეუდგა სადემონტაჟო სამუშაოებს; კედლებიდან ძველი ნალესის ჩამოყრის შემდეგ თვალსაჩინო გახდა სილიკატური აგურით აშენებულ მზიდ კედლებზე ვერტიკალური ბზარები. აღნიშნულის თაობაზე ეცნობა შემკვეთ ფონდს და პროექტანტს (შპს „ჯ-ს“). 2014 წლის 31 იანვარს ხონის ობიექტის „ა“ ბლოკის 7-7 და 8-8 ლერძებს შორის ოთხივე სართულის დონეზე ჩამოინგრა არსებული კონსტრუქცია.

6.16. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსი აღიარებს და ეფუძნება „pacta sunt servanda-ს“ (ხელშეკრულება უნდა შესრულდეს) პრინციპს, რომლის თანახმად ხელშეკრულების მხარემ, რომელმაც იკისრა ვალდებულება, უნდა შეასრულოს ხელშეკრულებით მისივე ნებით შეთანხმებული უფლება-მოვალეობები. შესრულების ვალდებულება პირველ რიგში ხელშეკრულებით გათვალისწინებული შედეგის დადგომას გულისხმობს. სსკ-ის 361-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კე-

თილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ამ მოთხოვნათა შეუსრულებლობა ვალდებულების დარღვევაა და წარმოშობს მოთხოვნის უფლებას იმ მხარისათვის, რომლის მიმართაც და ინტერესთა საზიანოდ შეთანხმების პირობები დაირღვა.

6.17. ვალდებულების შესრულების ლეგიტიმური სახელშეკრულებო ინტერესი, სამართლებრივი დაცვის თვალსაზრისით, განსაკუთრებული სიკეთეა ნებისმიერ სამართლებრივ სისტემაში. სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, პასუხისმგებლობის ყველაზე გავრცელებული სახეა ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, რა დროსაც პასუხისმგებლობა გამოიხატება დამრღვევი მხარის ვალდებულებაში, ანაზღაუროს მიყენებული ზიანი ნატურით ან ფულადი სახით. ზიანის ანაზღაურება მიეკუთვნება მეორად/დამატებით მოთხოვნებს და ინვესტ ქონებრივი ან არაქონებრივი ხასიათის უარყოფითი შედეგების დადგომას (შეად. ჰ.ბიოლინგი/პ.ლუტრინგჰაუსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნების სისტემური ანალიზი, თბილისი, 2009, 33.). ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა წარმოიშობა მაშინ, როდესაც პირველადი მოთხოვნის შესრულებისას ჩნდება პრობლემა. პრობლემა შეიძლება მდგომარეობდეს ვალდებულების შეუსრულებლობაში, არაჯეროვნად შესრულებაში ან ხელშეკრულებიდან გამომდინარე სხვა ვალდებულების დარღვევაში (იხ. სუსგ №ას-1633-2019; 9.03.2020 წ.).

6.18. წინამდებარე დავის ფარგლებში მოსარჩელე ფონდი კონტრაქტორისაგან (მენარდე კომპანიისგან) ითხოვს ზიანის – 207 163.69 ლარის ანაზღაურებას შემდეგ გარემოებებზე მითითებით: მენარდის მიერ სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოებისას არ იქნა გათვალისწინებული პროექტანტის მიერ შენობის რეაბილიტაციის დროს სავალდებულოდ გასათვალისწინებელი ნორმები; უფრო მეტიც, გაჩენილი დაზიანებების მიუხედავად, მენარდეს არ შეუჩერებია სარეაბილიტაციო სამუშაოები ახლად წარმოქმნილი გარემოებების გარკვევამდე; მენარდე/მოპასუხემ მოახდინა არა შენობის რეაბილიტაცია და პროექტით გათვალისწინებული ნორმების დაცვა, არამედ უხეშად დაარღვია და არ გაითვალისწინა პროექტანტის მითითებები შენობის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, რამაც ხელი შეუწყო არა შენობის რეაბილიტაციას, არამედ ჩამონგრევის ისე, რომ მისი შემდგომი გამოყენება და რეაბილიტაცია შეუძლებელია; შესაბამისად, მენარდისთვის გადახდილი თანხა წარმოადგენს დამდგარ ზიანს, რომლის ანაზღაურებაც უნდა დაეკისროს მოპასუხეს.

6.19. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა აპელანტის/მენარდის სააპელაციო პრეტენზია სასარჩელო მოთხოვნის იურიდიულ მართებულობასთან დაკავშირებით და დაასკვნა, რომ მოცემულ შემთხვევაში

შემკვეთის/მოსარჩელის მიერ მითითებული და საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ვერ ამართლებს შემკვეთი ფონდის სასარჩელო მოთხოვნას, რაც მის დაკმაყოფილებას გამოიწვევს.

6.20. სააპელაციო სასამართლომ საკასაციო სასამართლოს განმარტება მოიხმო იმის თაობაზე, რომ მოპასუხის მიერ შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში, სასამართლო არ ამოწმებს და არ აფასებს მტკიცებულებებს, ვინაიდან ეს საჭირო არაა, რადგან გადანყვებილებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტები დამტკიცებულად ითვლება, მაგრამ სასამართლო „იხედება კანონში“, რათა დამტკიცებულად ჩათვლილ ფაქტებს იურიდიული შეფასება მისცეს... მოპასუხე მხარის მიერ არასაპატიო მიზეზით შესაგებლის წარუდგენლობის შემთხვევაში, სსკ-ის 232¹-ე მუხლის კონტექსტში, დადგენილად მიიჩნევა დავის ის ფაქტობრივი გარემოებები, რომელსაც მოსარჩელე მხარე სარჩელში უთითებს, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლო დადგენილად მიიჩნევს არა მხარის მოსაზრებებს, არამედ იმ ფაქტებს, რომლებიც მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის შემადგენლობას ქმნიან. რაც შეეხება ამა თუ იმ მოსაზრებას, რომელსაც მხარე ავითარებს, ისინი სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს, რადროსაც საქმის განმხილველი მოსამართლე ამოწმებს ამ ფაქტებს მატერიალური სამართლის დანაწესებთან მიმართებით. თავის მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ მართლმსაჯულების აქტი, მიუხედავად იმისა, იგი მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპითაა მიღებული, თუ ერთ-ერთი მხარის გამოუცხადებლობის შედეგად, ყოველთვის უნდა ემყარებოდეს მატერიალური სამართლის ნორმას. მოპასუხის მიერ შესაგებლის წარუდგენლობა ან საქმის განხილვაზე გამოუცხადებლობა, თუნდაც ეს არასაპატიო მიზეზით იყოს განპირობებული, სასამართლოს არ ანიჭებს უფლებამოსილებას, გადანყვებილებას მხოლოდ სამართლებრივი სანქციის ფუნქცია შესძინოს და იურიდიული შეფასების გარეშე დააკმაყოფილოს მოსარჩელე მხარის ყველა პრეტენზია. სწორედ ამგვარი თვითნებობის თავიდან აცილებას ემსახურება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის როგორც 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის, ასევე 232¹-ე მუხლის დათქმა სარჩელში მითითებული გარემოებების იურიდიული მართებულობის შესახებ (იხ. სუსგ №ას-1416-2022, 07.02.2023წ.).

6.21. კონკრეტულ შემთხვევაში მოპასუხის მხრიდან შესაგებლის წარუდგენლობის პირობებში, პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად ცნო დადგენილად სარჩელში მითითებული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

6.21.1. მოსარჩელე ფონდსა და მენარდე კომპანიას შორის გაფორმდა ხელშეკრულება, ხონი-ბაღდათის რეგიონში საავადმყოფოების შე-

ნობების მრავალბინიან საცხოვრებელ სახლად რეაბილიტაციის თაობაზე;

6.21.2. კედლებიდან ძველი ნაღესის ჩამოყრის შემდეგ თვალსაჩინო გახდა სილიკატური აგურით აშენებულ მზიდ კედლებზე ვერტიკალური ბზარები. აღნიშნულის თაობაზე ეცნობა ფონდს (შემკვეთს) და პროექტანტს;

6.21.3. 2014 წლის 31 იანვარს ხონის ობიექტის „ა“ ბლოკის 7-7 და 8-8 ლერძებს შორის ოთხივე სართულის დონეზე ჩამოინგრა არსებული კონსტრუქცია;

6.21.4. პროექტანტის – შპს „ჯ-ის“ მიერ მომზადებული შენობის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ დასკვნის შესაბამისად, სწორედ „ა“ ბლოკის შენობის კედლების მდგომარეობა შეფასებული იყო, როგორც ნორმალური და ასევე ძირითადად კარგ მდგომარეობაში მყოფი;

6.21.5. ქ. ხონის ყოფილი საავადმყოფოს მთავარ კორპუსში ფიქსირებულია ნგრევის ორი ზონა. ზიანი მასშტაბური ხასიათისაა და მისი გათვალისწინებით შენობის ფაქტიურად არსებული მდგომარეობიდან პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენა ტექნიკურად შეუძლებელია; შენობა დაექვემდებარა დემონტაჟს;

6.21.6. მენარდე კომპანიის მიერ სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოების დროს გაჩენილი დაზიანებების მიუხედავად, მენარდეს არ შეუჩერებია სარეაბილიტაციო სამუშაოები ახლად წარმოქმნილი გარემოებების გარკვევამდე;

6.21.7. შემკვეთ ფონდს ქ. ხონის საავადმყოფოს შენობის რეაბილიტაციის პროექტის და მენარდე კომპანიის მიერ ამ შენობაზე განხორციელებული სამუშაოების საფასური მთლიანად აქვს გადახდილი, რაც რეალურად მის მიერ განცდილ ზიანს წარმოადგენს, ვინაიდან ზემოხსენებული ექსპერტიზის მიხედვით შენობა აღარ ექვემდებარება აღდგენას და მთლიანად სადემონტაჟოა.

6.22. პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელში მითითებული დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ამართლებდა შემკვეთი ფონდის სასარჩელო მოთხოვნას, ხელშეკრულებიდან გასვლისა და მენარდისათვის ხელშეკრულების ფარგლებში გადაცემული თანხის დაბრუნების თაობაზე, რაც სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა.

6.23. სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ განსახილველ შემთხვევაში ფონდის სარჩელი ეხება ნაკლოვანი შესრულების გამო სახელშეკრულებო ზიანის ანაზღაურებას, უშუალოდ წარდობის სახელშეკრულებო ურთიერთობის მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმები კი არ შეიცავს ნაკლიანი შესრულებისათვის ზიანის ანაზღაურების სპეციალურ დანაწესს და ვინაიდან აღნიშნული საკითხი არც მხარეთა

შორის გაფორმებული ხელშეკრულებით რეგულირდება, დავის გადაწყვეტისას სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელოს სახელშეკრულებო სამართლის ზოგადი ნაწილის იმ ნორმებით, რომლებიც განსაზღვრავენ ზიანის ანაზღაურების წესს, ორმხრივი ხელშეკრულების დროს ვალდებულების დარღვევისას.

6.24. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების ცენტრალურ და უზოგადეს ნორმას წარმოადგენს სსკ-ის 394-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც კრედიტორს მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევის შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას ანიჭებს (შეად. გიორგი ვაშაკიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, მუხლი 394-ე, ველი 2, თბილისი, 2019). სსკ-ის 394.1 მუხლის შესაბამისად, „მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება“. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის. აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული დანაწესის გამოყენების წინაპირობებია: 1) ზიანი; 2) ქმედების მართლწინააღმდეგობა; 3) მიზეზობრივი კავშირი; 4) ბრალი. სსკ-ის 395.1 მუხლის თანახმად, „მოვალეს პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული და ვალდებულების არსიდანაც სხვა რამ არ გამომდინარეობს“. ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოების არსებობის შემთხვევაში, ნაგარაუდები სამართლებრივი მდგომარეობის აღდგენის ორიენტირი სახელშეკრულებო თუ არასახელშეკრულებო ზიანის დადგომის შემთხვევაში განმტკიცებულია სსკ-ის 408.1 მუხლში, რომლის ნორმატიული მიზნიდან გამომდინარეობს, რომ „იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება“. ამდენად, სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევისათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, პირს დაეკისრება მხოლოდ ერთდროულად რამდენიმე პირობის არსებობის შემთხვევაში: 1) უნდა არსებობდეს მართლსაწინააღმდეგო მოქმედება, 2) სახეზე უნდა იყოს ზიანი, 3) უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი დამდგარ შედეგსა (ზიანს) და მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას შორის, 4) ზიანის მიმყენებელს უნდა მიუძღოდეს ბრალი.

6.25. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სამოქალაქო სამართალში ზიანში მოიაზრება ქონებაზე ან სამართლებრივად დაცულ სხვა სიკეთეზე გარკვეული ზემოქმედებით გამოწვეული უარყოფითი შედეგი. ზიანი წარმოადგენს სამართალდარღვევის შემადგენლობის აუცი-

ლებელ ელემენტს. თუ არაა ზიანი, არც ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება დადგეს. ზიანი სწორედ რომ მართლსაწინააღმდეგო მოქმედების შედეგია. იგი წარმოადგენს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შედეგს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, მუხლი 394-ე, ველი 9, თბილისი, 2019). ზიანში იგულისხმება არა მხოლოდ დაზარალებულის ქონებრივი აქტივების შემცირება, არამედ პასივების გაზრდაც (შეად. საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, 2007, გვ.35). ზიანის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაშია მისაღები ის ინტერესი, რომელიც კრედიტორს ჰქონდა ვალდებულების ჯეროვანი შესრულების მიმართ. ასევე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ვალდებულების შესრულების დრო და ადგილი. ზიანის ანაზღაურების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს რეალურად გაცდილი დანაკარგების ჯამს. ის არ უნდა ატარებდეს მოვალის მიმართ სადამსჯელო ხასიათს, რამეთუ ვალდებულების დარღვევისათვის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის არსი მდგომარეობს კრედიტორისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაში და არა – მოვალის დასჯაში.

მხარეს არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა, რომელიც „მიუღებელია“ ქონებრივი პასუხისმგებლობის ჩვეულებრივი პრინციპებისათვის. ზიანის ანაზღაურების ოდენობა ისე უნდა განისაზღვროს, რომ ამას არ მოჰყვეს რომელიმე მხრის უსაფუძვლო გამდიდრება. ზიანი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით უნდა იყოს მიყენებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც წესი, ზიანის ანაზღაურების საკითხი არ დადგება. მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებს ის, ვინც არღვევს სამართლებრივ დანაწესებს, სამართლის ნორმათა მოთხოვნებს; მართლწინააღმდეგობა მოიცავს როგორც კანონით დადგენილი წესების, ისე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევას და გულისხმობს როგორც აქტიურ მოქმედებას, ისე უმოქმედობასაც – როცა ხელშეკრულების მხარე არ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებას; მიზეზობრივი კავშირი სამართალდარღვევის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტია. ანაზღაურდება მხოლოდ ისეთი ზიანი, რომელიც მართლსაწინააღმდეგო ქმედებით იყო გამოწვეული. იმისათვის, რომ მოვალეს დაეკისროს პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გაირკვეს, წარმოადგენს თუ არა ზიანი მოვალის მოქმედების უშუალო შედეგს.

6.26. სსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, „ანაზღაურდება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს“. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი უპირატესობას ანიჭებს უშუალო მიზეზობ-

რივი კავშირის თეორიას. ანუ პირი მხოლოდ მაშინ აგებს პასუხს ზიანი-სათვის, როცა მისი ქმედება ადეკვატურ კავშირშია დამდგარ შედეგ-თან/ზიანთან (*causa principalis sine qua non*) ანუ დამდგარი ზიანი დარ-ღვეული ვალდებულების რეალური და მოსალოდნელი შედეგია და მისი მიზეზობრივი კავშირი ქმედებასთან ობიექტური გადმოსახედიდან დასტურდება. სავარაუდოა სახეზეა, თუ შედეგის დაშვება შეგნებუ-ლი მოვალის პერსპექტივიდან ობიექტურად შესაძლებელი იყო (შეად. ჰ. ბიოლინგი, პ. ლუტრინგჰაუსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექ-სის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, თბი-ლისი, 2009, გვ. 48). პასუხისმგებლობის უმნიშვნელოვანესი სუბიექ-ტური ელემენტია ბრალი. ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი, სა-ყოველთაოადაა აღიარებული სახელშეკრულებო სამართალში (შეად. გი-ორგი ვაშაკიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, მუხლი 395-ე, ველი 1, თბილისი, 2019). მხარის ბრალეულობის გან-საზღვრისათვის ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ხელშეკრულების მონაწილე მხარის გო-ნივრულ ქცევას, რომელიც 1:302-ე მუხლის თანახმად, დგინდება იმის მიხედვით, თუ რას მიიჩნევს გონივრულად იმავე პირობებში მოქმედი ობიექტური მესამე პირი კეთილსინდისიერების პრინციპის გათვალის-წინებით. გონივრულობის შეფასებისას, მხედველობაში მიიღება: ხელ-შეკრულების ბუნება და მიზანი, კონკრეტული შემთხვევის ფაქტობ-რივი გარემოებები, საცაქრო ჩვეულებები და პრაქტიკა, ასევე მხარეთა პროფესიის თავისებურება (შეად. Lando/ Beale, *Principles of European Contract Law. Part I and II.*, Kluwer Law International, The Hague/London/ Boston., 2000, 126).

6.27. სააპელაციო სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების პრინციპიდან გამომდინარე, როგორც ზიანის მიყენების ფაქტი, ასევე განცდილი ზიანის ოდენობის დამტკიცების ტვირთი აწევს დაზარალებულ მხარეს, ანუ კრედიტორს, რომელიც წინამდებარე სასამართლო პროცესში წარმოადგენს მოსარ-ჩელე (მონინალმდეგე) მხარეს. სწორედ მოსარჩელეა ვალდებული ამ-ტკიცოს როგორც ზიანის არსებობა და მისი მოცულობა, ასევე მიზე-ზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, ანუ, მოვა-ლის მოქმედება უნდა იყოს არა მარტო ბრალეული, არამედ ზიანის გა-მომწვევიც. თავის მხრივ, ზიანის მიმყენებელმა უნდა ამტკიცოს მის ქმედებაში მართლწინააღმდეგობისა და ბრალის არარსებობა. სააპე-ლაციო სასამართლოს შეფასებით, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩე-ლის მიერ სარჩელში მითითებული და დადასტურებულად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები, იმის თაობაზე რომ პროექტანტის – შპს „ჯ-ის“ მიერ მომზადებული შენობის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ

დასკვნის შესაბამისად სწორედაც „ა“ ბლოკის შენობის კედლების მდგომარეობა შეფასებული იყო, როგორც ნორმალური და ასევე ძირითადად კარგ მდგომარეობაში მყოფი; რომ მენარდე კომპანიის მიერ წარმოებული სარეაბილიტაციო სამუშაოების პროცესში, კედლებიდან ძველი ნალესის ჩამოყრის შემდეგ თვალსაჩინო გახდა სილიკატური აგურით აშენებულ მზიდ კედლებზე ვერტიკალური ბზარები, რის თაობაზეც ეცნობა შემკვეთ ფონდს და პროექტანტს; რომ მენარდე კომპანიის მიერ სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოების დროს გაჩენილი დაზიანებების მიუხედავად, მენარდეს არ შეუჩერებია სარეაბილიტაციო სამუშაოები ახლად წარმოქმნილი გარემოებების გარკვევამდე და რომ 2014 წლის 31 იანვარს ხონის ობიექტის „ა“ ბლოკის 7-7 და 8-8 ლერძებს შორის ოთხივე სართულის დონეზე ჩამოინგრა არსებული კონსტრუქცია – არასაკმარისია მოპასუხის/მენარდის მართლსაწინააღმდეგო ქმედების არსებობის და მის დამდგარ შედეგთან (არსებული კონსტრუქციის ნგრევა) მიზეზშედეგობრივი კავშირის დადასტურების თვალსაზრისით. სსკ-ის 415-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით არის გამოწვეული ზიანი. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ეს წესი გამოიყენება მაშინაც, როცა დაზარალებულის ბრალი გამოიხატება მის უმოქმედობაში, თავიდან აეცილებინა ან შეემცირებინა ზიანი. სსკ-ის 415-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, მიყენებული ზიანი შეიძლება ნაწილობრივ ან საერთოდაც გამოირიცხოს, თუ დადასტურდება, რომ ზიანის დადგომაში დაზარალებულის ბრალი უფრო მეტია, ვიდრე მოვალის.

6.28. აპელანტი მხარის – მენარდის ბრალეულობის განსაზღვრის თვალსაზრისით საგულისხმოა მოსარჩელის მიერ სასამართლო სხდომაზე, მტკიცებულების სახით წარმოდგენილი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის კანონიერ ძალაში შესული 2019 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება. როგორც აღნიშნული გადაწყვეტილებით დასტურდება ფონდის სარჩელი ზიანის ანაზღაურების თაობაზე, მოპასუხე შპს „ჯ-ის“, რომელიც პროექტანტს წარმოადგენს, მიმართ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა შემდეგი არგუმენტაციით: უდავოა, რომ შპს „ჯ-ს“/პროექტანტს ევალებოდა ხონის ყოფილი საავადმყოფოს საინჟინრო კვლევა, რათა მომხდარიყო შენობის სარეაბილიტაციოდ ვარგისიანობის დადგენა. იმ შემთხვევაში თუ აღმოჩნდებოდა, რომ შენობა დაზიანებულია შენობაზე სარეაბილიტაციო სამუშაოები არ განხორციელდებოდა; შპს „ჯ-მა“ ჯეროვნად არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება და მის მიერ მომზადებული

ლი დასკვნა შენობის მდგომარეობასთან დაკავშირებით არ იყო ობიექტის სრულყოფილი შესწავლის შედეგი, არ ასახავდა ყველა რისკს, რაც შენობის რეკონსტრუქციას შეიძლება მოჰყოლოდა; ამასთან, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით დგინდება შემკვეთი ფონდის უყურადღებო, გაუფრთხილებელი და წინდაუხედავი დამოკიდებულება პროექტის მომზადების განხორციელების პროცესში. შემკვეთმა ყოველგვარი შემონშების და შესწავლის გარეშე მიიღო შემსრულებლის მიერ ვიზუალური დათვალიერების მეთოდით შედგენილი დასკვნა. შემკვეთს ევალეზობდა გაცილებით მეტი ყურადღების და წინდახედულების გამოჩენა, როგორც ტექნიკური დავალების შედგენისას, ასევე შესრულებული სამუშაოს შედეგების შეფასებისას, რადგან აშკარა იყო რომ შპს „ჯ-ს“ /პროექტანტს არ ჰქონდა შენობის მდგომარეობასთან დაკავშირებით სათანადო კვლევა ჩატარებული, რასთან მიმართებითაც შემკვეთს პრეტენზია არ განუცხადებია... უდავოა, რომ შემკვეთის მიერ არ იქნა უზრუნველყოფილი კონსულტანტის მონაწილეობა სარეაბილიტაციო სამუშაოებში კონსულტირების მიზნით, რითაც სამუშაოების წარმოებისას მიღებული ზიანის რისკი მან თავის თავზე აიღო;

6.29. შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში ასახული დასკვნის საწინააღმდეგოდ, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მტკიცების ტვირთის მქონე შემკვეთმა ფონდმა, როგორც მოსარჩელე მხარემ, მისი მტკიცების ტვირთის ფარგლებში ვერ დაადასტურა მინიმუმ იმ გარემოებების არსებობა, რაც ერთმნიშვნელოვნად წარმოშობდა მოპასუხე კომპანიის/მენარდის მხრიდან იმ ზიანის სრულად ანაზღაურების ვალდებულებას, რაც მითითებულია შემკვეთის სარჩელში. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მოსარჩელის მიერ სარჩელის საფუძვლად მითითებული და დამტკიცებულად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის შემადგენლობას არ ქმნიან, რაც ზიანის ანაზღაურების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობას და შესაბამისად, სარჩელის დაკმაყოფილებას გამორიცხავს.

6.30. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეზე ლობჟანიძე და ფერაძე საქართველოს წინააღმდეგ (საჩივარი №21447/11 და №35839/11 2020 წლის 27 თებერვალი) განმარტავს: „პარ. 65. კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი ეროვნულ სასამართლოებს ავალდებულებს, ნათლად მიუთითონ საფუძვლები, რომლებსაც დაეყრდნენ გადაწყვეტილების მიღებისას (იხ. *Taxquet v. Belgium* [დიდი პალატა], no. 926/05, § 91, ECHR 2010, და *Nikolay Genov v. Bulgaria*, no. 7202/09, § 27, 13 ივლისი 2017). ვალდებულების ფარგლები შეიძლება განსხვავდებოდეს სადავო გადაწყვეტილების ბუნებიდან გამომდინარე და ის უნდა განი-

საზღვროს თითოეული საქმის გარემოებების გათვალისწინებით (იხ. Ruiz Torija v. Spain, 9 დეკემბერი 1994, § 29, Series A no. 303-A; García Ruiz v. Spain [დიდი პალატა], no. 30544/96, § 26, ECHR 1999-I; და Moreira Ferreira v. Portugal (no.2) [დიდი პალატა] (no. 19867/12, § 84, 11 ივლისი 2017). ზემოაღნიშნული ვალეზულება არ მოითხოვს მომჩივნების მიერ წარმოდგენილ ყველა არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემას (იხ. Fomin v. Moldova, no. 36755/06, § 31, 11 ოქტომბერი 2011), არამედ ის გულისხმობს, რომ სამართალწარმოების მხარეები უნდა ელოდნენ კონკრეტულ და მკაფიო პასუხებს იმ არგუმენტებზე, რომლებიც გადამწყვეტია სამართალწარმოების შედეგებისთვის (იხ. Moreira Ferreira, § 84; Tchankotadze v. Georgia, no. 15256/05, § 103, 21 ივნისი 2016; და Deryan v. Turkey, no. 41721/04, § 33, 21 ივლისი 2015). გადანაცვტილებიდან ნათლად უნდა ჩანდეს, რომ განხილულ იქნა საქმის არსებითი საკითხები (იხ. Boldea v. Romania, no. 19997/02, § 30, 15 თებერვალი 2007, და Uche v. Switzerland, no. 12211/09, § 37, 17 აპრილი 2018; ასევე იხ. ასევე ჯღარკავა საქართველოს წინააღმდეგ, № 7932/03).

7. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

7.1. სააპელაციო სასამართლოს გადანაცვტილება საკასაციო წესით გასაჩივრა მოსარჩელე ფონდმა (შემკვეთმა), რომელმაც, გასაჩივრებული გადანაცვტილების გაუქმებისა და ახალი გადანაცვტილების მიღების გზით, სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა შემდეგ ძირითად საკასაციო არგუმენტებზე დაყრდნობით:

7.1.1. სააპელაციო სასამართლომ დადგენილი წესით არ შეაფასა საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებები, მხოლოდ ერთ ფაქტობრივ გარემოებაზე დაყრდნობით მიიღო გადანაცვტილება, რომელიც ეწინააღმდეგება სასამართლოს ფუნდამენტურ პრინციპებს, კერძოდ, დაარღვია მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტი;

7.1.2. სააპელაციო სასამართლომ დასაბუთება დააფუძნა იმ გარემოებას, რომ 2014 წლის 31 იანვრის ხონის ობიექტის „ა“ ბლოკის 7-7 და 8-8 ლერძებს შორის ოთხივე სართულის დონეზე ჩამონგრევა არასაკმარისია მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო ქმედების არსებობის და მისი დამდგარ შედეგთან მიზანშედეგობრივი კავშირის დადასტურების თვალსაზრისით. საგულისხმოა, რომ სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება თავისი გადანაცვტილების სამართლიანობის დასაბუთებისთვის გამოიყენა დამახინჯებული ფორმით. პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა სსსკ-ის 232¹-ე მუხლზე და მიიჩნია, რომ განსახილველი საქმის ფარგლებში, სადავო ფაქტები არ არსებობდა, რადგან „... ასეთ შემთხვევაში, სსსკ-ის XLVI თავში მოცემული წესით საქმის განხილვისას, სასამართლო მტკიცებულებებს არ იკ-

ვლევს: კანონის ძალით სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემო-
ებები ყოველგვარი კვლევისა და შემოწმების გარეშე მიიჩნევა დადას-
ტურებულად...“ (ძლიერიშვილი ზ., სამოქალაქო საპროცესო კოდექსის
კომენტარი, თბილისი, 2020, 845);

7.1.3. მხარეთა შორის გაფორმდა ხელშეკრულება, ხონი-ბაღდათის
რეგიონში საავადმყოფოების შენობების მრავალბინიან საცხოვრებელ
სახლად რეაბილიტაციის თაობაზე. კედლებიდან ძველი ნალესის ჩამოყ-
რის შემდეგ თვალსაჩინო გახდა სილიკატური აგურით აშენებულ მზიდ
კედლებზე ვერტიკალური ბზარები. აღნიშნულის თაობაზე ეცნობა
ფონდს და პროექტანტს. 2014 წლის 31 იანვარს ხონის ობიექტის „ა“
ბლოკის 7-7 და 8-8 ლერძებს შორის ოთხივე სართულის დონეზე ჩამო-
ინგრა არსებული კონსტრუქცია. შპს „ჯ-ის“ მიერ მომზადებული შენო-
ბის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ დასკვნის შესაბამისად, სწო-
რედაც „ა“ ბლოკის შენობის კედლების მდგომარეობა შეფასებული იყო,
როგორც ნორმალური და ძირითადად კარგ მდგომარეობაში მყოფი. ხო-
ნის ყოფილი საავადმყოფოს მთავარ კორპუსში ფიქსირებულია ნგრე-
ვის ორი ზონა. ზიანი მასშტაბური ხასიათისაა და მისი გათვალისწინე-
ბით შენობის ფაქტობრივად არსებული მდგომარეობიდან პირვანდელ
მდგომარეობამდე აღდგენა ტექნიკურად შეუძლებელია; შენობა და-
ექვემდებარა დემონტაჟს. მოპასუხეს სარეაბილიტაციო სამუშაოების
წარმოების დროს გაჩენილი დაზიანებების მიუხედავად, არ შეუჩერე-
ბია სარეაბილიტაციო სამუშაოები ახლად წარმოქმნილი გარემოებების
გარკვევამდე. მოსარჩელემ ქ. ხონის საავადმყოფოს შენობის რეაბი-
ლიტაციის პროექტისა და მოპასუხის მიერ ამ შენობაზე განხორციელე-
ბული სამუშაოების საფასური მთლიანად გადაიხდა, რაც რეალობაში
წარმოადგენს მის ზიანს, ვინაიდან, ზემოხსენებული ექსპერტიზის მი-
ხედვით, შენობა აღარ ექვემდებარება აღდგენას და მთლიანად სადე-
მონტაჟოა. აღნიშნული უდავო ფაქტობრივ გარემოებების საფუძველია
ის მტკიცებულებები, რომელიც მოსარჩელემ წარადგინა, კერძოდ: ა) სა-
მხარაულის ექსპერტიზის დასკვნა; ბ) შპს „ჯ-ის“ დასკვნა; გ) პროექ-
ტანტის შპს „ჯ-ისა“ და მოსარჩელის წერილები, საიდანაც ჩანს, რომ
მოპასუხეს/მენარდეს, გაჩენილი ბზარების მიუხედავად, არ შეუწყვი-
ტავს მუშაობა; დ) მოპასუხისათვის მოსარჩელის მიერ 207 163,69 ლა-
რის გადახდის დამადასტურებელი საგადახდო მოთხოვნა და სხვა;

7.1.4. კასატორის მოსაზრებით, ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გა-
რემოებები მთლიანობაში ადასტურებს მოპასუხის მიერ ვალდებულებ-
ის არაჯეროვანი შესრულების ფაქტს. სააპელაციო სასამართლოს სწო-
რედ ამ ფაქტობრივი გარემოებების ერთობლივი განხილვისა და გაანა-
ლიზების საფუძველზე უნდა მიეღო სამართლიანი გადაწყვეტილება და
არა მხოლოდ კონტექსტიდან ამოვარდილი ერთ-ერთი მის მიერ ინტერ-

პრეტირებული ფაქტობრივი გარემოების საფუძველზე, რადგან ნორმის დისპოზიციის (ფაქტობრივი) ელემენტების (როგორიცაა მაგალითად: განზრახვა, კეთილსინდისიერება და ა.შ.) არსებობა-არარსებობის შესაფასებლად აუცილებელია სწორედ ისეთი ფაქტების მითითება, რომლებიც ქმნიან შეფასების საფუძველს და შესაძლებელი იქნება სამართლიანი გადაწყვეტილების მიღება;

7.1.5. სასამართლოს უპირველესი ამოცანას წარმოადგენს, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას, თუმცა, მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ არათუ შეამოწმა დადგენილი უდავო ფაქტობრივი გარემოებები, არამედ არც კი იმსჯელა სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები რატომ არ არის ის ფაქტობრივი შემადგენლობა, რომელიც წარმოშობს სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველს. სასამართლოს ვალდებულებაა კანონიერი გადაწყვეტილების გამოტანა, რომელიც ეფუძნება საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებას, სწორედ ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისად ადგენს სასამართლო, თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. სააპელაციო სასამართლომ, მხოლოდ სუბიექტურად, ერთ ფაქტობრივ გარემოებაზე მითითებით არ დააკმაყოფილა სარჩელი, რაც ცალსახად მიკერძოებულებაზე მიუთითებს;

7.1.6. საკასაციო სასამართლო თავის ერთ-ერთ გადანწყვეტილებაში განმარტავს, რომ „საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა საქმეზე გადანწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში“. კასატორი უთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში მოპასუხეს არ აქვს წარდგენილი წერილობითი შესაგებელი. თუკი მოსარჩელის მიერ წარდგენილი ფაქტები/მტკიცებულებები შედავებული არ არის მოპასუხის მიერ, მაშინ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები დამტკიცებულად ითვლება;

7.1.7. კასატორი ყურადღებას ამახვილებს საკასაციო სასამართლოს ერთ-ერთ განმარტებაზე, რომ მოთხოვნის საფუძვლის (საფუძვლების)

ძიებისას, სასამართლოსათვის ამოსავალია ის კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას. სწორედ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და გარემოებები განსაზღვრავენ სარჩელის მოთხოვნის შინაარსს. სასამართლომ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, უნდა გაარკვიოს, თუ საიდან გამომდინარეობს მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, კერძოდ, სახელშეკრულებო შეთანხმებებიდან, ზიანის მიყენებიდან (დელიქტი), უსაფუძვლო გამდიდრებიდან თუ კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს უნდა შეეფასებინა დამტკიცებული ფაქტები, თუმცა მან თავი აარიდა მათ შეფასებას და მხოლოდ ზოგადი სამართლებრივი მსჯელობებით შემოიფარგლა;

7.1.8. კასატორის მტკიცებით, სააპელაციო სასამართლომ სხვა საქმეში (2019 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილებიდან) არსებულ უდავო და დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე კი არ გაამახვილა ყურადღება, არც მიუთითა პრეიუდიციული მნიშვნელობის ფაქტებზე, არამედ პროექტანტის მიკერძოებული პოზიციის საფუძველზე მიიჩნია, რომ „აპელანტის აზრით, დგინდება მოსარჩელის უყურადღებო, გაუფრთხილებელი და წინდაუხედავი დამოკიდებულება პროექტის მიმართ“. საყურადღებოა, ის გარემოება, რომ სააპელაციო სასამართლომ კონკრეტულ დავასთან დაკავშირებულ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით კი არ იმსჯელა, არამედ არსობრივად განსხვავებული სხვა დავის მონაწილე აპელანტის (შპს „ჯ-ის“) მიკერძოებულ პოზიციაზე გააკეთა მითითება;

7.1.9. კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ ზემოხსენებულ სხვა გადაწყვეტილებაში (2019 წლის 21 ნოემბერი) არსებულ სამხარაულის ექსპერტიზის დასკვნაზე დაამყარა მსჯელობა, რომელის მიხედვითაც ავარიული მდგომარეობის შექმნა დაკავშირებულია ორ განმაპირობებელ ფაქტორთა ერთობლიობასთან, კერძოდ; „ა) მზარდი კონსტრუქციის დაზიანება; ბ) სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოება“. საქმის უდავო ფაქტობრივი გარემოებებით დასტურდება, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოებს ახორციელებდა მოპასუხე – მენარდე კომპანია. პროექტანტის – შპს „ჯ-ის“ და მოპასუხის/მენარდის წერილიდან ირკვევა, რომ მოპასუხის/მენარდის მიერ სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოებამ გამოიწვია მზარდი კონსტრუქციის დაზიანება. ამ უკანასკნელმა კი გამოიწვია ხონის ობიექტის „ა“ ბლოკის 7-7 და 8-8 ლერძებს შორის ოთხივე სართულის დონეზე არსებული კონსტრუქციის ჩამონგრევა (დადგენილი ფაქტობრივი გარემოება). აღნიშნულიდან გამომდინარე, ცალსახაა, რომ მოპასუხემ/მენარდემ ხელშეკრულებით

გათვალისწინებული ვალდებულება მოსარჩელის/შემკვეთის წინაშე არაჯეროვნად შესარულა, რითაც შემკვეთ ფონდს მიადგა ზიანი.

7.1.10. კასატორის მოსაზრებით, ზემოხსენებული გარემოებები ადასტურებენ, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილება მიღებულია მხოლოდ მოპასუხის ინტერესის გათვალისწინებით;

7.1.11. სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“¹ პუნქტის საფუძველზე კასატორს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილებით, რომელიც საკასაციო წესით არის გასაჩივრებული, არ არის დადგენილი დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები. ეს გარემოება კი გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

7.1.12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024 წლის 26 ივნისის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე არსებითად განხილვის მიზნით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთებულობა და დაასკვნა, რომ მოსარჩელის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დასაბუთებულია, შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება ნაწილობრივ უნდა გაუქმდეს და, ამ ნაწილში მიღებული ახალი გადაწყვეტილებით, შემკვეთი ფონდის სარჩელი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს.

8. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა წარმოადგინა ნაწილობრივ დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

9. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ საქმეზე დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 5.1-5.7 ქვეპუნქტები და 6.2.1.1-6.2.1.7 ქვეპუნქტები) სავსებით საკმარისია შემაჯამებელი გადაწყვეტილების მისაღებად. საკასაციო სასამართლო ასევე იზი-

არებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას შესაგებლის წარუდგენლობისა და მისი სამართლებრივი შედეგების შესახებ (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 6.3-6.7 ქვეპუნქტები), რაც სავსებით შეესაბამება საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნებს, იურიდიულ დოქტრინას და საკასაციო სასამართლოს პრაქტიკას.

10. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებას და მიაჩნია, რომ მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის არათანასწორმა გადანაწილებამ განაპირობა საქმეზე იურიდიულად დაუსაბუთებელი შედეგის დადგომა, რადგან საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მხარეთა განმარტებები და მათ დამტკიცებლად წარდგენილი მტკიცებულებები არ ქმნის საკასაციო სასამართლოს მიერ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგის გაზიარების საფუძველს, რომ მოცემულ შემთხვევაში შემკვეთის/მოსარჩელის მიერ მითითებული და საქმეზე დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ვერ ამართლებს შემკვეთი ფონდის სასარჩელო მოთხოვნას, რაც მის დაკმაყოფილებას, თუნდაც ნაწილობრივ, გამორიცხავს.

11. წინამდებარე გადაწყვეტილების 6.21.1-6.21.7 ქვეპუნქტებში მითითებული საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები მხარეთა შორის უდავოა, რადგან მოსარჩელის პოზიციას, როგორც უკვე აღინიშნა, არ დაპირისპირებია მოპასუხის წერილობითი შესაგებელი. საქმის მასალებში წარმოდგენილია თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 21 ნოემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც სამოქალაქო დავა გადაწყდა მოცემული საქმის მონაწილე შემკვეთ ფონდსა და შპს „ჯ-ს“ (პროექტანტს – იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 3.1 ქვეპუნქტი) შორის, რომლის თანახმად, პროექტანტს, მის მიერ ფონდისთვის განეული არაკვალიფიციური მომსახურების გამო, რაც ხელშეკრულების მიხედვით შენობების საინჟინრო კვლევას და მათ ინსპექტირებას მოიცავდა, 26 529, 44 ლარის ანაზღაურება დაეკისრა. ამდენად, მითითებული საქმე, რომელიც, ცხადია, სამართლებრივად პრეიუდიციული მნიშვნელობის მქონე (პრეიუდიციული მნიშვნელობის მქონე ფაქტებზე იხ. პაატა ქათამაძე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის რჩეული მუხლების კომენტარი, მუხლი 266, თბილისი, GIZ, 2020, გვ. 994; ასევე – სუსგ-ები: სხვა მრავალთა შორის: №ას-661-2021, 20.04.2022წ; №ას-398-2022, 10.05.2022წ; №ას-1216-2022, 19.06.2023წ; №ას-1171-2022, 6.07.2023წ; №ას-509-2023, 19.12.2023წ.) ვერ იქნება შემკვეთ ფონდსა და მენარდე კომპანიას შორის წინამდებარე დავაზე, განსაზღვრავს, რომ პროექტანტმა არაკვალიფიციურად შეასრულა თავისი სახელშეკრულებო ვალდებულება ფონდთან, რის გამოც, ამ უკანასკნელის სა-

სარგებლოდ, პროექტანტს ნაწილობრივ დაეკისრა სახელშეკრულებო ზიანიდან გამომდინარე პასუხისმგებლობა.

12. საკასაციო საჩივრის ფარგლებში და მოსარჩელე მხარის მოთხოვნის მიხედვით, მოცემული საქმის იურიდიული შედეგისათვის, უნდა შეფასდეს, პროექტანტის მიერ შემკვეთის მიმართ განეული ნაკლოვანი მომსახურება, თავის მხრივ, შემკვეთის მიერ გამოჩენილი წინდაუხედაობა და უყურადღებობა პროექტის მომზადების პროცესში, რომლის მიხედვითაც მენარდეს უნდა განეხორციელებინა შენობა-ნაგებობის დემონტაჟი, სრულად გამორიცხავს თუ მენარდე კომპანიის (მოპასუხის) პასუხისმგებლობას ხელშეკრულების საფუძველზე შემკვეთის წინაშე. კასატორის მიერ გასაჩივრებული სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა შემკვეთის სარჩელი, იმას ემყარება, რომ მოპასუხე მხარის – მენარდის ბრალეულობის განსაზღვრის თვალსაზრისით, თვითონ მოსარჩელის მიერვე სასამართლო სხდომაზე, მტკიცებულების სახით წარდგენილი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის კანონიერ ძალაში შესული 2019 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება ადასტურებს, რომ პროექტანტმა – შპს „ჯ-მა“, ჯეროვნად არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება და მის მიერ მომზადებული დასკვნა შენობის მდგომარეობასთან დაკავშირებით არ იყო ობიექტის სრულყოფილი შესწავლის შედეგი, არ ასახავდა ყველა რისკს, რაც შენობის რეკონსტრუქციას შეიძლებოდა მოჰყოლოდა. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, იმავე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დგინდება შემკვეთი ფონდის უყურადღებო, გაუფრთხილებელი და წინდაუხედავი დამოკიდებულება პროექტის მომზადების განხორციელების პროცესში. შემკვეთმა ყოველგვარი შემოწმების და შესწავლის გარეშე მიიღო შემსრულებლის – პროექტანტის მიერ ვიზუალური დათვალიერების მეთოდით შედგენილი დასკვნა. შემკვეთს ევალებოდა გაცილებით მეტი ყურადღებისა და წინდახედულების გამოჩენა, როგორც ტექნიკური დავალების შედგენისას, ასევე შესრულებული სამუშაოს შედეგების შეფასებისას, რადგან აშკარა იყო, რომ პროექტანტს არ ჰქონდა შენობის მდგომარეობასთან დაკავშირებით სათანადო კვლევა ჩატარებული, რასთან მიმართებითაც შემკვეთს პრეტენზია არ განუცხადებია... სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, უდავოა, რომ შემკვეთის მიერ არ იქნა უზრუნველყოფილი კონსულტანტის მონაწილეობა სარეაბილიტაციო სამუშაოებში კონსულტირების მიზნით, რითაც სამუშაოების წარმოებისას მიღებული ზიანის რისკი მან თავის თავზე აიღო (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 6.27-6.28 ქვეპუნქტები და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის კანონიერ ძალაში შესული 2019 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება); აქე-

დან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მტკიცების ტვირთის მქონე შემკვეთმა ფონდმა, როგორც მოსარჩელე მხარემ, მისი მტკიცების ტვირთის ფარგლებში ვერ დაადასტურა მინიმუმ იმ გარემოებების არსებობა, რაც ერთმნიშვნელოვნად წარმოშობდა მოპასუხე კომპანიის/მენარდის მხრიდან იმ ზიანის სრულად ანაზღაურების ვალდებულებას, რაც მითითებულია შემკვეთის სარჩელში. სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასებით, მოსარჩელის მიერ სარჩელის საფუძვლად მითითებული და დამტკიცებულად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის შემადგენლობას არ ქმნიან, რაც ზიანის ანაზღაურების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობას და შესაბამისად, სარჩელის დაკმაყოფილებას გამორიცხავს (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 6.29 ქვეპუნქტი).

13. საკასაციო სასამართლო, სააპელაციო სასამართლოს მსგავსად, მოიხმობს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის კანონიერ ძალაში შესულ 2019 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილებას, როგორც ერთ-ერთ მტკიცებულებას, რომლითაც დასტურდება, რომ წინამდებარე დავის მოსარჩელე/შემკვეთ მხარესა და პროექტანტს (შპს „ჯ-ს“) შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, შემკვეთი ფონდს „ევალეობა გაცილებით მეტი ყურადღების და წინდახედულების გამოჩენა, როგორც ტექნიკური დავალების შედგენისას, ასევე შესრულებული სამუშაოს შედეგების შეფასებისას, რადგან აშკარა იყო, რომ შპს „ჯ-ს“ არ ჰქონდა შენობის მდგომარეობასთან დაკავშირებით სათანადო კვლევა ჩატარებული.“ ამავე გადაწყვეტილებით დადგენილია შემკვეთი ფონდის „უყურადღებო, გაუფრთხილებელი და წინდაუხედავი დამოკიდებულება პროექტის მომზადების განხორციელების პროცესში“. იმავე გადაწყვეტილებაში მითითებულია: რაც შეეხება შენობის დემონტაჟში გადახდილ თანხას, შპს „ინ-სი“-სთან (წინამდებარე დავის მოპასუხე/მენარდე კომპანია) ურთიერთობას და მასთან დადებული ხელშეკრულებით განცდილ ზიანს, აღნიშნული არ შეიძლება დაკისრებოდა დავის მოპასუხე პროექტანტს – შპს „ჯ-ს“. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის კანონიერ ძალაში შესულ 2019 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილებაში აღნიშნულია: ავარიული მდგომარეობის შექმნა ექსპერტიზის დასკვნაში დაკავშირებულია სავარაუდო ორ განმაპირობებელ ფაქტორთა ერთობლიობასთან, კერძოდ: ა) მზიდი კონსტრუქციების დაზიანება და ბ) სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოება. უშუალოდ სამუშაოები ხორციელდებოდა მოსარჩელის (შემკვეთი ფონდის) კონტრაქტორი შპს „ინ-სი“-ს მიერ, რაც ასუსტებს მოპასუხე შპს „ჯ-ის“ შესაძლებლობას, განახორციელოს პირდაპირი კონტროლი მიმდინარე სამუშაოებთან დაკავშირებით. ამავდრო-

ულად, მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ ამავე დანართით ცალსახად არის აღნიშნული შემკვეთი ფონდის მოვალეობა სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებისა და ზედამხედველობის სრულ მართვასა და კოორდინირებასთან დაკავშირებით.

14. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომელიც წინამდებარე გადაწყვეტილების 6.23-6.26 ქვეპუნქტებშია ასახული და ემყარება სამოქალაქო კოდექსით აღიარებულ ფუძემდებლურ „pacta sunt servanda“ – (ხელშეკრულება უნდა შესრულდეს) პრინციპს, რაც იმას გულისხმობს, რომ ხელშეკრულების კონტრაქტებს ეკისრებათ კეთილსინდისიერად მოქმედების ვალდებულება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის კანონიერ ძალაში შესულ 2019 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილებაში აღნიშნულია: ავარიული მდგომარეობის შექმნა ექსპერტიზის დასკვნაში დაკავშირებულია სავარაუდო ორ განმაპირობებელ ფაქტორთა ერთობლიობასთან, კერძოდ: ა) მზიდი კონსტრუქციების დაზიანება და ბ) სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოება.

უდავოდ არის დადგენილი, რომ მენარდე კომპანიის მიერ სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოების დროს გაჩენილი დაზიანებების მიუხედავად, მენარდეს არ შეუჩერებია სარეაბილიტაციო სამუშაოები ახლად წარმოქმნილი გარემოებების გარკვევამდე; უდავოდ არის დადგენილი, რომ შემკვეთ ფონდს ქ. ხონის საავადმყოფოს შენობის რეაბილიტაციის პროექტის და მენარდე კომპანიის მიერ ამ შენობაზე განხორციელებული სამუშაოების საფასური მთლიანად აქვს გადახდილი, რაც, მოსარჩელის მტკიცებით, მის მიერ განცდილ ზიანს წარმოადგენს, ვინაიდან ზემოხსენებული ექსპერტიზის მიხედვით შენობა აღარ ექვემდებარება აღდგენას და მთლიანად სადემონტაჟოა.

15. საკასაციო სასამართლო სსკ-ის 415-ე მუხლის დანაწესს მოიხმობს, რომლის თანახმად, თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამოწვეული. ეს წესი გამოიყენება მაშინაც, როცა დაზარალებულის ბრალი გამოიხატება მის უმოქმედობაში, თავიდან აეცილებინა ან შეემცირებინა ზიანი. წინამდებარე დავაზე შემკვეთ ფონდს, რომელიც მოსარჩელეა და დაზარალებულად მიაჩნია თავი, კონკრეტული ვალდებულებები ჰქონდა მისი დაკვეთით მომზადებული პროექტის ინსპექტირებასა და კონსულტირებაზე, რაზედაც მითითებულია თვითონ მოსარჩელისავე წარმოდგენილ ერთ-ერთ მტკიცებულებაში – თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის კანონიერ ძალაში შესულ 2019 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილებაში. შესაბამისად, საკასაციო სასა-

მართლოს მიაჩნია, რომ მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს. დადგენილია, რომ მენარდე კომპანიის მიერ სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოების დროს გაჩენილი დაზიანებების მიუხედავად, მენარდეს/მოპასუხეს არ შეუჩერებია სარეაბილიტაციო სამუშაოები ახლად წარმოქმნილი გარემოებების გარკვევამდე, არც შემკვეთს გამოუვლენია ის პასუხისმგებლობა, რაც მას ევალებოდა პროექტანტთან ურთიერთობაში, რათა ისეთი კვალიფიციური საინჟინრო პროექტი და შესაბამისი დოკუმენტაცია მომზადებულიყო, რაც მენარდეს სრულად დააკისრებდა პასუხისმგებლობას, ემოქმედა დადგენილი სტანდარტებით მომზადებული პროექტის მიხედვით და მხოლოდ მის შესაბამისად ეწარმოებინა სამუშაოები.

16. საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასებით, გამოვლენილია შერეული ბრალის ფაქტობრივი გარემოებები, სადაც ორივე მხარეს – შემკვეთსაც (მოსარჩელე ფონდსაც) და მენარდესაც (მოპასუხე კომპანიასაც) თანაბრად მოეთხოვებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებიდან გამომდინარე. სააპელაციო სასამართლოს დასკვნის საწინააღმდეგოდ, რომ არ არის გამოვლენილი სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი, რაც ერთმნიშვნელოვნად წარმოშობს მოპასუხე კომპანიის/მენარდის მხრიდან იმ ზიანის სრულად ანაზღაურების ვალდებულებას, რაც მითითებულია შემკვეთის სარჩელში, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ხელშეკრულების მონაწილეთა შორის პასუხისმგებლობა თანაბრად 50%/50%-ით უნდა გადანაწილდეს. სსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, „ანაზღაურდება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.“ საქმის მასალებში მოსარჩელის მიერ წარმოდგენილია მხარეთა შორის მიმოწერა: შემკვეთსა და პროექტანტს – შპს „ჯ-ს“ შორის, რომლის მიხედვით ფონდს პროექტანტი პასუხობს, რომ პროექტით გათვალისწინებული იყო შენობის შიგნით ანტისეისმური ჩარჩოს მონყობა, რაც არ იქნა გათვალისწინებული; რეაბილიტაციის სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას ერთდროულად განხორციელდა მზიდი კედლებიდან ნალესის მოხსნა და აგურის ტიხრების დაშლა. სამუშაოთა წარმოების პროცესში ხდებოდა დინამიური ძალების გადაცემა მზიდ კედლებზე და ა.შ. ამ მიმოწერაზე მსჯელობისას სააპელაციო სასამართლო მხოლოდ იმას უთითებს, რომ მენარდის ბრალეულობის დადგენა შეუძლებელია (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 6.28 ქვეპუნქტი) და, მიუხედავად იმისა, რომ მენარდე კომპანიის მიერ სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოების დროს გაჩნდა დაზიანებები, ხოლო მენარდეს არ შეუჩერებია სარეაბილიტაციო სამუშაოები ახლად წარმოქმნილი გარემოებების გარკვევამდე, არ მიიჩნევს საკმარისად მენარდის პასუხისმგებლობის დასადგენად, თუნდაც ნა-

ნილობრივ. საკასაციო სასამართლო კიდეც ერთხელ აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად მოიხმო სასარჩელო მოთხოვნის დამფუძნებელი სამართლებრივი ნორმები, თუმცა, მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის არასწორი განაწილებიდან გამომდინარე, არასწორად დაასკვნა, რომ სასარჩელო მოთხოვნა, რომელსაც წერილობითი შესაგებლით არ შედაგებია მოპასუხე, იურიდიულად სრულად გაუმართლებელია.

17. საქმეზე დადგენილი გარემოება, რომ მენარდე კომპანიის მიერ სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოების დროს გაჩენილი დაზიანებების მიუხედავად, მენარდეს/მოპასუხეს არ შეუჩერებია სარეაბილიტაციო სამუშაოები ახლად წარმოქმნილი გარემოებების გარკვევამდე, ასევე ექსპერტიზის დასკვნა, რომ „ზიანის მასშტაბური ხასიათისა და მისი გათვალისწინებით შენობის ფაქტიურად არსებული მდგომარეობიდან პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენა ტექნიკურად შეუძლებელია. შენობა ექვემდებარება დემონტაჟს“ მენარდის ნაწილობრივ პასუხისმგებლობას აფუძნებს, რადგან საქართველოს სამოქალაქო კოდექსი უპირატესობას ანიჭებს უშუალო მიზეზობრივი კავშირის თეორიას, ანუ პირი მხოლოდ მაშინ აგებს პასუხს ზიანისათვის, როცა მისი ქმედება ადეკვატურ კავშირშია დამდგარ შედეგთან/ზიანთან (*causa principalis sine qua non*) ანუ დამდგარი ზიანი დარღვეული ვალდებულების რეალური და მოსალოდნელი შედეგია და მისი მიზეზობრივი კავშირი ქმედებასთან ობიექტური გადმოსახედიდან დასტურდება. გამოვლენილი დაზიანებების მიუხედავად მენარდე კომპანიის მიერ სამუშაოების შეუჩერებლობა ზიანის სავარაუდობას და ალბათობას ავლენს, რადგან ასეთი შედეგის დაშვება შეგნებული მოვალის პერსპექტივიდან ობიექტურად შესაძლებელი იყო (შეად. ჰ. ბილინგი, პ. ლუტინგჰაუსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, თბილისი, 2009, გვ. 48). პასუხისმგებლობის უმნიშვნელოვანესი სუბიექტური ელემენტია ბრალი. ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი, საყოველთაოდაა აღიარებული სახელმეკრულებო სამართალში (შეად. გიორგი ვაშაკიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, მუხლი 395-ე, ველი 1, თბილისი, 2019). სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიუთითა, რომ მხარის ბრალეულობის განსაზღვრისათვის ევროპის სახელმეკრულებო სამართლის პრინციპები დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ხელმეკრულების მონაწილე მხარის გონივრულ ქცევას, რომელიც 1:302-ე მუხლის თანახმად, დგინდება იმის მიხედვით, თუ რას მიიჩნევს გონივრულად იმავე პირობებში მოქმედი ობიექტური მესამე პირი კეთილსინდისიერების პრინციპის გათვალისწინებით. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თუნდაც არაკვალიფიციური პროექტის პირობებში მუშაობისას მენარდისთვის თვალსაჩინო როგორც კი

გახდა დაზიანებები, მას არ შეუჩერებია მუშაობა, რაც მისი მოქმედების გონივრულად შეფასების საფუძველს არ ქმნის, ამასთან, ასეთ დროს მხედველობაში მიიღება: ხელშეკრულების ბუნება და მიზანი, კონკრეტული შემთხვევის ფაქტობრივი გარემოებები, სავაჭრო ჩვეულებები და პრაქტიკა, ასევე მხარეთა პროფესიის თავისებურება. (შეად. Lando/ Beale, Principles of European Contract Law. Part I and II., Kluwer Law International, The Hague/London/Boston., 2000, 126).

18. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „შერეული ბრალის არსებობისას დამდგარი ზიანის სრული ოდენობით ანაზღაურება არ დაეკისრება ზიანის მიმყენებელს, პირიქით, მისი პასუხისმგებლობა მცირდება იმ ნაწილში, რითაც დაზარალებულმა ხელი შეუწყო ზიანის წარმოშობას. ამდენად, თუ დამდგარი ზიანი ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა ერთობლივი ბრალეული ქმედების შედეგია, მაშინ პასუხისმგებლობა ორივე მხარეზე გადანაწილდება თითოეულის ბრალეულობის ხარისხის გათვალისწინებით (იხ: ლადო ჭანტურია (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001, 482.). სწორედ ამიტომ არ არსებობს შემკვეთი ფონდის საკასაციო შედეგების სრულად გაზიარებისა და სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველი.

19. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ თუ რაიმე სპეციალური კანონი განსხვავებულ წესს არ ითვალისწინებს, სსკ-ის 415-ე მუხლი მოქმედებს ყველა სახელშეკრულებო და კანონისმიერი თუ დელიქტური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შემთხვევაში, მაშინაც კი, როდესაც ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას ეხება საქმე (Oetker, in MüKo BGB, 7. Aufl., 2016, § 254, Rn 7 ff) (იხ: გ. რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი 2019 წ., მუხლი 415, ველი 9). დელიქტურ ვალდებულებებთან მიმართებაში სსკ-ის 415-ე მუხლის გამოყენება ეფუძნება ამავე კოდექსის 326-ე მუხლს, რომლის თანახმადაც წესები სახელშეკრულებო ვალდებულების შესახებ გამოიყენება ასევე სხვა არასახელშეკრულებო ვალდებულებათა მიმართ, თუკი ვალდებულების ხასიათიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს (შეად. სუსგ-ებს: №ას-504-481-2016, 30.09.2016წ. №ას-786-735-2017, 03.11.2017წ.; №ას-150-150-2018, 16.03.2018წ; №ას-351-2024, 26.06.2024წ; №ას-767-2023, 16.10.2024წ.).

20. საკასაციო სასამართლო სსკ-ის 318-ე მუხლის პირველ წინადადებას მოიხმობს, რომლის მიხედვით „ვალდებულებიდან შეიძლება გამომდინარეობდეს ამა თუ იმ ინფორმაციის მიღების უფლება“. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ეს დანაწესი კეთილსინდისიერების პრინციპის კონკრეტული გამოვლინებაა (იხ. სსკ-ის 8.3 მუხლი) და, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ტიპის სახელშეკრულებო ვალდებულებ-

ბაზე ვრცელდება და ასეთი ბუნებრივი ვალდებულება წარმოიშობა იმ შემთხვევაშიც კი, როცა მხარეებს ის არ შეუთანხმებიათ, თუკი ეს განპირობებულია ვალდებულების ხასიათით და კეთილსინდისიერი ქცევის სტანდარტით, თუმცა, მაინც არ ნიშნავს იმას, რომ ინფორმაციის გამცემი ყოველთვის არის ვალდებული, გასცეს ინფორმაცია საკუთარი ინიციატივით. კანონის ტექსტში საუბარია „ინფორმაციის მიღების უფლებაზე“ და ამ ინფორმაციის „გაცემის უზრუნველყოფაზე“ ... კითხვაზე არის თუ არა ინფორმაციის გამცემი ვალდებული, გასცეს ინფორმაცია საკუთარი ინიციატივით, ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არსებობს და ინფორმაციის გაცემის ვალდებულების ინტენსივობა უნდა შეფასდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე (იხ. გიორგი ვაშაკიძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი III, ქანტურია (რედ.), 2019, მუხლი 218, ველი 1,5) – შეად. სუსგ-ებს: №ას-717-670-2017, 26.04.2018წ; №ას-1585-2022, 12.06.2023წ; №ას-610-2022, 15.02.2023წ; №ას-1588-2022, 12.06.2023წ; №ას-829-2023, 9.02.2024წ; №ას-767-2023, 16.10.2024წ.). საკასაციო სამართლოს სამართლებრივი შეფასებით, სამუშაოთა წარმოების პროცესში გამოვლენილი და ზიანების შესახებ შემკვეთისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება ჰქონდა მენარდე კომპანიას (მოპასუხეს), რაც, შესასრულებელი სამუშაოს ხასიათისა და, სპეციფიკის გათვალისწინებით, ხელშეკრულების მონაწილე მხარის გონივრულ ქცევას ემყარება, რადგან იმავე პირობებში მოქმედი ობიექტური მესამე პირი გონივრულად და კეთილსინდისიერად მხოლოდ ასე მოიქცეოდა.

21. საკასაციო სამართლო განმარტავს, რომ მთელ რიგ შემთხვევებში კონკრეტული ზიანის დადგომაში არა მხოლოდ დამზიანებელს, არამედ ასევე დაზარალებულსაც შეაქვს თავისი „წვლილი“. სსკ-ის 415-ე მუხლი აწესრიგებს იმ წინაპირობებს, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც უნდა მოხდეს დაზარალებულის ამ „წვლილის“ გათვალისწინება, და მისგან გამომდინარე სამართლებრივ შედეგებს (იხ: გ. რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი III, თბილისი 2019 წ., მუხლი 405, ველი 1). შერეული ბრალის არსებობისას სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრა გულისხმობს არა ზიანის ანაზღაურებას დაზარალებულის მიერ, არამედ ზიანის მიმყენებლის პასუხისმგებლობის შემცირებას და ზიანის შესაბამისი ნაწილის დაზარალებულზე (კრედიტორი) დაკისრებას. ამ ვითარებაში არსებული ზიანი მოვალისა და დაზარალებულის ერთობლივი მოქმედების განუყოფელი შედეგია. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ანაზღაურების მოცულობა განისაზღვრება მხარეთა ბრალეულობის ხარისხით – უფრო მეტად თუ რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამოწვეული (სსკ-ის 415-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევის ანალოგიურ დებულებებს

ითვალისწინებს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 254-ე პარაგრაფი – „თანაბრალეულობა“ (იხ: Münch Komm BGB/Oetker §254. Bd 2a. Rn. 10. Palandt/Heinrichs, §254. Rn.15. Staudinger/Schiemann. §254. Rn.67. Bamberger/Roth., Grüneberg §254. Bd. 1. Rn.11. 19; იხ: სუსგ №ას-992-2020, 29.09.2021წ; №ას-767-2023, 16.10.2024წ).

22. საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასებით, შემკვეთი ფონდის სასარჩელო მოთხოვნა იურიდიულად გამართლებულია მხოლოდ 180 634.25 ლარის ნაწილში, რაც მენარდე კომპანიას (მოპასუხეს) უნდა დაეკისროს კასატორის (მოსარჩელის) სასარგებლოდ, შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიერ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ნაწილობრივ შეცვლით, საკასაციო საჩივარი (სარჩელი), ნაწილობრივ დასაბუთებულად იქნა მიჩნეული. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

23. სსსკ-ის 53.3 მუხლის საფუძველზე მხარეთა შორის სახელმწიფო ბაჟის გადანაწილების თაობაზე იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების საჩივროლუციო ნაწილის მე-6 პუნქტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 411-ე, 399-ე, 372-ე, 264.3, 257.3 მუხლებით და

გ ა დ ა ნ ე ჯ ი ტ ა:

1. სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილების ნაწილობრივ შეცვლით, მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;

3. სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

4. შპს „ი-ის“ სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის სასარგებლოდ დაეკისროს 180 634.25 ლარის გადახდა;

5. სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის სარჩელი დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;

6. შპს „ი-ის“ სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის სასარგებლოდ დაეკისროს სამივე ინსტანციის სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილის – 10438 ლარის ანაზღაურება;

7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებანი

პირბასამტახლოს შემცირება სასამართლოს მიერ

გადაწყვეტილება
საქართველოს სახალით

№ას-1245-2022

9 მარტი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: მ. ერემაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი)
ვ. კაკაბაძე,
ლ. მიქაბერიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგეობა-სა (შემდეგში: გამგეობა, მოპასუხე, შემსყიდველი, აპელანტი ან კასა-ტორი) და შპს „ი-ის“ (შემდეგში: მოსარჩელე, კომპანია ან მენარდე) შო-რის 2019 წლის 12 თებერვალს დაიდო №2.9.19/30/027 ხელშეკრულება სახელმწიფო 10 შესყიდვის შესახებ.

2. ხელშეკრულების თანახმად, შესყიდვის ობიექტს წარმოადგენდა ქ. თბილისში, ..., ... ქუჩა №14-ის, ... ქუჩა №-ის, ... ქ-ის, ..., ქუჩის, ..., ..., ... ქ. №...-ის, ..., ... ქუჩის მიმდებარედ და სკვერების მოწყობა-რეაბი-ლიტაციის სამუშაოები.

3. ხელშეკრულების ღირებულება 984 858 ლარს შეადგენდა, ხოლო, სამუშაოების დასრულების თარიღი 2019 წლის 20 მაისი იყო.

4. ხელშეკრულების 3.1 პუნქტის თანახმად, მიწოდების ვადაში შე-დიოდა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტი-ზის ეროვნული ბიუროს“ ან აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში აკრე-დიტირებული პირის მიერ ხელმოწერილი შესრულებული სამუშაოების მოცულობისა და ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტაციის (ფორმა №2 და ფარული სამუშაოების აქტები) წარდგენის ვადაც.

5. ხელშეკრულების 5.1 პუნქტის მიხედვით სამუშაოების წარმოე-ბის კალენდარულ გეგმა-გრაფიკში მითითებული ვადების ხელშეკრუ-ლებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ნებისმი-ერ ეტაპზე განახორციელებდა შემსყიდველი.

6. ხელშეკრულების 6.1. მუხლის მიხედვით, შესყიდვის ობიექტი ჩა-

ითვლებოდა მიღებულად, მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება მოხდებოდა შემსყიდველთან სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში აკრედიტირებული პირის მიერ ხელმოწერილი შესრულებული სამუშაოების მოცულობისა და ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტაციის (ფორმა №2 და ფარული სამუშაოების აქტები) წარმოდგენის შემდეგ.

7. ხელშეკრულების 7.2. მუხლის შესაბამისად, ანგარიშსწორება მოხდებოდა ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მიმწოდებელს დაეკისრებოდა პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების დარღვევისთვის. ამ შემთხვევაში, ანგარიშსწორება განხორციელდებოდა მიმწოდებლის მიერ დაკისრებული პირგასამტეხლოს შესაბამის ანგარიშზე გადახდის შემდეგ.

8. ხელშეკრულების 8.2. მუხლით, მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება, შესყიდვის ობიექტის (კონკრეტული მისამართის) სამუშაოების წარმოების კალენდარული გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში, შემსყიდველისათვის გადაეხადა პირგასამტეხლო, შესყიდვის ობიექტის (კონკრეტული მისამართის) სახარჯთაღრიცხვო ღირებულების 0.5%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე (2019 წლის 12 თებერვლის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №2.9.19/30/027 ხელშეკრულება);

9. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №2.9.19/30/027 ხელშეკრულების დანართი №3-ის შესაბამისად, კოჯორში ცენტრალური სკვერის რეაბილიტაციის სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ღირებულება განისაზღვრა 443 117.61 ლარით, ხოლო დანართი №2-ის შესაბამისად, ..., ... ქუჩის მიმდებარედ სკვერის მოწყობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება – 161 808.56 ლარით;

10. მხარეებს შორის 2019 წლის 25 აპრილის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №2.9.19/30/027 ხელშეკრულების დამატების მიხედვით, ..., ცენტრალური სკვერის რეაბილიტაციის სამუშაოების ღირებულება კორექტირებული ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე განისაზღვრა 440 098.60 ლარით;

11. მხარეთა შორის 2019 წლის 20 მაისს დადებული, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №2.9.19/30/027 ხელშეკრულების დამატების მიხედვით, ნაცვლად 2019 წლის 20 მაისისა, შესყიდვის ობიექტის მიწოდების საბოლოო ვადა განისაზღვრა 2019 წლის 5 ივნისით, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2019 წლის 5 ივლისის ჩათვლით;

12. 2019 წლის 19 აპრილის №2.9.19/30/027-4 მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად, მენარდემ 2019 წლის 12 თებერვლის ხელშეკრულების

საფუძველზე შეასრულა სკვერის მოწყობის სამუშაოები შემდეგ მისამართებზე: ... ქ.№7-ის მიმდებარედ – 36 723.97 ლარის ღირებულების და ..., ... ქუჩის მიმდებარედ – 6 372.76 ლარის ღირებულების. შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 43 096.73 ლარი.

13. 2019 წლის 3 მაისის №2.9.19/30/027-5 მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად, მენარდემ 2019 წლის 12 თებერვლის ხელშეკრულების საფუძველზე შეასრულა სკვერის მოწყობის სამუშაოები შემდეგ მისამართებზე: ..., ... ქუჩის მიმდებარედ სკვერის მოწყობა – 35 824.47 ლარი, ..., ცენტრალური სკვერის რეაბილიტაცია – 209 931.10 ლარი.

14. 2019 წლის 17 მაისის №2.9.19/30/027-6 მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად, 2019 წლის 12 თებერვლის ხელშეკრულების საფუძველზე შეასრულა სკვერის მოწყობის სამუშაოები შემდეგ მისამართზე: ..., ... ქუჩის მიმდებარედ – 38 304.82. შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 38 304.82 ლარი.

15. 2019 წლის 3 ივნისს შედგენილი, ... ცენტრალური სკვერის რეაბილიტაციაზე შესრულებული სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის (მათ შორის ფორმა №2 მიხედვით) NAT190000344 ინსპექტირების ანგარიშის №02/03 ვ-II (საექსპერტო დასკვნის) მიხედვით, კომპანიის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციისა და მასალების შესწავლის, ჩატარებული აზომვითი სამუშაოების შედეგად მიღებული მონაცემების შედარებით კორექტირებულ ხარჯთაღრიცხვებთან და ფორმა №2-თან და მოქმედი ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნის შესაბამისად, დადგინდა რომ: ქ. თბილისში, ... რაიონის ტერიტორიაზე, ..., ცენტრალური სკვერის რეაბილიტაციისას შესრულებული მეორე ეტაპის სამუშაოების მოცულობები შეესაბამება კორექტირებულ ხარჯთაღრიცხვის და ფორმა №2-ის მოცულობებს და მათი ღირებულებამ შეადგინა 230 167.50 ლარი, დღგ-ს ჩათვლით. ვიზუალური დათვალიერებით ხარისხი დამაკმაყოფილებელია და ეძლევა დადებითი რეკომენდაცია.

16. 2019 წლის 17 ივნისს ... შედგენილი, ... ქუჩის მიმდებარედ სკვერის მოწყობაზე შესრულებული სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის (მათ შორის ფორმა №2 მიხედვით) NAT190000344 ინსპექტირების ანგარიშის №02/03 ვ-III (საექსპერტო დასკვნის) მიხედვით, კომპანიის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციისა და მასალების შესწავლის, ჩატარებული აზომვითი სამუშაოების შედეგად მიღებული მონაცემების შედარებით კორექტირებულ ხარჯთაღრიცხვებთან და ფორმა №2-თან და მოქმედი ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნის შესაბამისად, დადგინდა რომ: ქ. თბილისში, ... რაიონის ტერიტორიაზე ..., ... ქუჩის მიმდებარედ სკვერის მოწყობის მესამე ეტაპის სამუშაოების ოდენობა შეესაბამებოდა ხარჯთაღ-

რიცხვის და ფორმა №2-ის მოცულობებს და შეადგენდა 112 371.98 ლარს დღგ-ს ჩათვლით. ფორმა №2-ში მითითებული ერთეულის ღირებულებები შეესაბამებოდა ხარჯთაღრიცხვაში მითითებულ ერთეულის ღირებულებებს, ვიზუალური დათვალიერებით ხარისხი დამაკმაყოფილებელი იყო და ეძლეოდა დადებითი რეკომენდაცია.

17. 2019 წლის 24 ივნისის №2.9.19/30/027-9 მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად, კომპანიამ 2019 წლის 12 თებერვლის ხელშეკრულების საფუძველზე შეასრულა სკვერის მოწყობის სამუშაოები შემდეგ მისამართზე: ..., ... ქუჩის მიმდებარედ – 112 371.98 ლარის, ..., ცენტრალური სკვერის რეაბილიტაცია – 230 167.50 ლარის ღირებულების; სამუშაოები მიწოდებულ იქნა 19 დღის ვადაგადაცილებით. შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 342 539.48 ლარი.

18. 2019 წლის 25 ივნისის გამგეობამ წერილობით მიმართა კომპანიას და აცნობა, რომ ..., ... ქუჩის მიმდებარედ სკვერის მოწყობის და ..., ცენტრალური სკვერის რეაბილიტაციის სამუშაოების 19 დღის ვადაგადაცილებით შესრულებისათვის, ეკისრებოდა პირგასამტეხლო – 57 181.18 ლარის ოდენობით. ..., ... ქუჩის მიმდებარედ სკვერის მოწყობის სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ღირებულების (161 808.56 ლარი) და ..., ცენტრალური სკვერის რეაბილიტაციის სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ღირებულების (440 098.60 ლარი) 0.5%, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. იმავე დღეს გამგეობას წერილობით მიმართა კომპანიამ, საკითხის გარკვევამდე, დაკისრებული ჯარიმის ჩასარიცხი თანხიდან დაკავებისა და შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნით.

19. 2019 წლის 27 ივნისის ტრანზაქციით, გამგეობამ, კომპანიისთვის დაკავებული პირგასამტეხლოს თანხა – 57 181.18 ლარი, ჩარიცხა სახელმწიფო ხაზინაში.

20. კომპანიის სასარჩელო მოთხოვნა

20.1. კომპანიამ თბილისის საქალაქო სასამართლოში წარადგინა სარჩელი და გამგეობისგან 56 911.48 ლარი მოითხოვა.

21. გამგეობის პოზიცია კომპანიის სასარჩელო მოთხოვნაზე

21.1. გამგეობამ წერილობით წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და განმარტა რომ კომპანიას პირგასამტეხლო ვალდებულების ვადის გადაცილების გამო დაერიცხა.

22. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება

22.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილებით კომპანიის სარჩელი დაკმაყოფილდა, გამგეობას კომპანიის სასარგებლოდ დაკავებული 57 181.18 ლარიდან 55 879.57 ლარის დაკისრება დაევალა.

23. გამგეობის სააპელაციო საჩივარი

23.1. გამგეობამ, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილებაზე წარდგენილი სააპელაციო საჩივრით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

24. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება და დასკვნები

24.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 18 ივლისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

24.2. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტები და მათი სამართლებრივი შეფასება (სსსკ-ის 390.3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი).

24.3. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით მოსარჩელე კომპანია, გამგეობისგან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადის დარღვევისათვის, უკანონოდ დარიცხული და დაკავებული პირგასამტეხლოს თანხის დაბრუნებას ითხოვდა. მოსარჩელის განმარტებით, კ-ის ობიექტზე პირგასამტეხლო საერთოდ არ უნდა დარიცხულიყო, ვინაიდან, მოსარჩელემ ობიექტზე სამუშაოები დაასრულა 3 ივნისს; ხოლო, რაც შეეხება ...-ის ობიექტს, ამ შემთხვევაში პირგასამტეხლო ვადაგადაცილებულ 12 და არა 19 დღეზე უნდა დარიცხულიყო; გარდა ამისა, მოსარჩელე არ ეთანხმებოდა დარიცხული პირგასამტეხლოს ოდენობას და მიიჩნევდა, რომ იგი შეუსაბამოდ მაღალია და სასამართლოს უნდა შეემცირებინა გონივრულ 0.02%-ის ოდენობამდე, ისე რომ პირგასამტეხლოს დათვლა განხორციელებულიყო არა მთლიანი ვალდებულების ღირებულებიდან, არამედ დროულად შეუსრულებელი ვალდებულებიდან.

24.4. სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელე კომპანიის მტკიცება, რომ ...-ში ვალდებულების შესრულების ვადა არ დაურღვევია, ხოლო, ...-ის ობიექტზე ნაცვლად 19 დღისა მხოლოდ 12 დღით დაარღვია ვალდებულება, არ გაიზიარა და განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხზე სააპელაციო პრეტენზია არ იყო წარდგენილი, შესაბამისად სადავო არ იყო, რომ ორივე ობიექტი შესრულდა 19 დღის დაგვიანებით. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს განმარტებით შეფასების საგანი იყო დადგენილი გარმოებების ფარგლებში, არსებობდა თუ არა მოპასუხის მიერ ვალდებულების დარღვევისათვის მოსარჩელეზე დარიცხული და ასანაზღაურებელი თანხიდან დაკავებული პირგასამტეხლოს შემცირების საფუძველი.

24.5. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, დაკისრებული პირგასამტეხლო – 0.5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ეწინააღმდე-

გებოდა სსკ-ით გათვალისწინებულ სამოქალაქო უფლებათა კეთილსინდისიერად განხორციელების პრინციპს.

24.6. დადგენილი იყო, რომ მოსარჩელემ ...-ის ობიექტზე ვადაგადაცილებით შეასრულა 230 167.50 ლარის ღირებულების სამუშაოები, ხოლო, კ-ის ობიექტზე – 112 371.98 ლარის ღირებულების სამუშაოები, თუმცა შემსყიდველმა პირგასამტეხლო დაარიცხა 19 დღით ვადაგადაცილების გამო კ-ში, დ-ის ქუჩის მიმდებარედ სკვერის მოწყობის სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ღირებულების (161 808.56 ლარი) და კ-ში, ცენტრალური სკვერის რეაბილიტაციის სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ღირებულების (440 098.60 ლარის) 0.5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, რამაც 57 181.18 ლარი შეადგინა ჯამში.

24.7. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ დარღვეული ვალდებულების მასშტაბიდან გამომდინარე გონივრულად მიიჩნია კ-ის ობიექტის შემთხვევაში 427 ლარის, ხოლო, კ-ის ობიექტის შემთხვევაში 874.63 ლარის დაკისრება, ჯამში 1 301.61 ლარი.

25. გამგეობის საკასაციო მოთხოვნა

25.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 18 ივლისის განჩინებაზე საკასაციო საჩივარი წარადგინა გამგეობამ, გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

25.2. კასატორის განმარტებით, საქალაქო სასამართლომ, ხოლო, შემდეგ, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვებით, სააპელაციო სასამართლომ ვალდებულების დარღვევის მოცულობასთან მიმართებით გაცილებით მეტად შეამცირა პირგასამტეხლო. აღნიშნული, პირგასამტეხლოს როგორც სანქციის ხასიათს უკარგავს, აგრეთვე შესაძლოა ნაახალისოს სხვა კომპანიების მიერ ვალდებულების დარღვევა, და მცირე პირგასამტეხლოს პირობებში, არაჯეროვანი შესრულების მიუხედავად მაინც მიიღონ სოლიდური საბიუჯეტო სახსრები.

26. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

26.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 7 ოქტომბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულია წარმოებაში, ხოლო, იმავე წლის 15 თებერვლის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებადაა ცნობილი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზებისა და საკასაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთებულობის არსებითად განხილვის გზით შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ

საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

27. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

28. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 1-19 პუნქტები), რომელთაც წინამდებარე შემთხვევაში, სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით სავალდებულო ძალა აქვს საკასაციო სასამართლოსთვის, ამდენად, საკასაციო სასამართლო მხოლოდ სამართლებრივად შეაფასებს მხარეთა შორის შეთანხმებული და ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ დაკისრებული პირგასამტეხლო, ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან და განსახილველი საქმის გარემოებებიდან გამომდინარე წარმოადგენს თუ არა გონივრულ ოდენობას.

29. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციიდან გამომდინარე (საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), საკასაციო პალატის შეფასების საგანი იქნება კასატორის შედავებების საფუძვლიანობა, კერძოდ, კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმის გარემოებების გათვალისწინებით დაკისრებული პირგასამტეხლოს გონივრულობა (იხ. სუსგ. ას-1205-2022, 23.12.2022).

30. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც ითვალისწინებს იმ შედეგს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემოწმებაც სასამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების

გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა, რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტორზე შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტორი წინამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამოიწვია მხარისათვის სასურველ სამართლებრივ შედეგს (სუსგ №ას-189-2020, 20 აპრილი, 2022, პ. 13).

31. სსკ-ის 629-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს, შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია, გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური. ამავე კოდექსის 361-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. სამოქალაქო კანონმდებლობა ვალდებულების დარღვევის პრევენციისათვის ითვალისწინებს მოთხოვნის უზრუნველყოფის სანივთო და ვალდებულებით სამართლებრივ საშუალებებს, რომლებიც ვალდებულების შესრულებას ემსახურება და რომელთა შერჩევაც მხარეთა ნებაზე დამოკიდებული. ასეთ რიგს განეკუთვნება ვალდებულების უზრუნველყოფის დამატებითი საშუალება – პირგასამტეხლო.

32. განსახილველ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს შესრულებული სამუშაოს ასანაზღაურებელი თანხიდან კასატორის მიერ დაკავებული პირგასამტეხლოს ოდენობის გონივრულობა. კერძოდ, დადგენილია რომ კ-ისა და კ-ის ობიექტები მენარდემ 19 დღიანი დაგვიანებით შეასრულა, კ-ის ობიექტზე ვადაგადაცილებით შესრულდა 230 167.50 ლარის, ხოლო, კ-ის ობიექტზე 112 371.98 ლარის სამუშაოები. აღნიშნული ღირებულებისა და ვადის დარღვევის გათვალისწინებით ქვემდგომმა ინსტანციის სასამართლოებმა გონივრულ ოდენობად პირგასამტეხლოს სახით კომპანიისთვის 1301.61 ლარის დაკისრება მიიჩნიეს, ხოლო, კასატორის პრეტენზიით აღნიშნული ოდენობა შეუსაბამოდ დაბალია და დაკავებული პირგასამტეხლო სრულად უნდა დარჩეს ბიუჯეტში.

33. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტორი გათვალისწინებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორ-

მების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა საქმეზე გადანყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში.

34. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 417-ე მუხლი „პირგასამტეხლო არის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის“.

35. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ პირგასამტეხლო წარმოადგენს ვალდებულების შესრულების მიმართ მხარის შესაბამისი ინტერესის უზრუნველყოფის საშუალებას, რომლის გადახდის ვალდებულების წარმოშობა დაკავშირებულია ვალდებულების დარღვევასთან. პირგასამტეხლო ეკისრება მხარეს იმ დროიდან, როდესაც უნდა ყოფილიყო შესრულებული დარღვეული ვალდებულება – ამ ვალდებულების შესრულებამდე. პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრისას ყურადღება ექცევა რამდენიმე გარემოებას. მათ შორის: ა) პირგასამტეხლოს, როგორც სანქციის ხასიათის მქონე ინსტრუმენტის ფუნქციას, თავიდან აიცილოს დამატებით ვალდებულების დამრღვევი მოქმედებები; ბ) დარღვევის სიმძიმესა და მოცულობას და კრედიტორისათვის წარმოქმნილი საფრთხის ხარისხს; გ) ვალდებულების დამრღვევი პირის ბრალეულობის ხარისხს; დ) პირგასამტეხლოს ფუნქციას, მოიცვას თავის თავში ზიანის ანაზღაურება. პირგასამტეხლოს ოდენობაზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა თუ არაჯეროვნად შესრულება. (მდრ. სუსგ №ას-1274-2022, 22 ნოემბერი, 2022 წელი; №ას-1299-2022, 22 ნოემბერი, 2022 წელი; №ას-1451-1371-2017, 13 ნოემბერი, 2018);

36. პირგასამტეხლო დამატებითი (აქცესორული) ვალდებულებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი წარმოშობა და ნამდვილობა ძირითადი ვალდებულების არსებობაზეა დამოკიდებული. ქართულ კანონმდებლობაში პირგასამტეხლოს ორმაგი ფუნქცია გააჩნია: ერთი მხრივ, მას ვალდებულების ჯეროვანი შესრულების უზრუნველსაყოფად პრევენციული დატვირთვა აქვს ანუ, პირგასამტეხლოს დაკისრების რისკი ფსიქოლოგიურად ზემოქმედებს ვალდებულ პირზე და აიძულებს ვალდებულება ჯეროვნად შეასრულოს. პირგასამტეხლოს ფსიქოლოგიური ზემოქმედების ეფექტი სწორედ იმაში ვლინდება, რომ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ვალდებულ პირს რეპრესიული ხასიათის სანქცია ეკისრება. პირგასამტეხლოს მეორე ფუნქცია განცდილი ზიანის მარტივად და სწრაფად ანაზღაურებაში მდგომარეობს. იგი ერთგვარ სანქციასაც წარმოადგენს. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში,

სანქციად ქცეული პირგასამტეხლო ვალდებულ პირს უპირობოდ ეკისრება, მიუხედავად იმისა, განიცადა თუ არა კრედიტორმა ზიანი ამ დარღვევის შედეგად (მდრ. სუსგ №ას-428-428-2018, 13 ივლისი, 2018; №ას-1158-1104-2014, 06.05.2015; №ას-1265-1187-2015, 10.02.2016).

37. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ პირგასამტეხლო წარმოადგენს ვალდებულების შესრულების მიმართ მხარის შესაბამისი ინტერესის უზრუნველყოფის საშუალებას, რომლის გადახდის ვალდებულების წარმოშობა დაკავშირებულია ვალდებულების დარღვევასთან. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება დამოუკიდებელია ზიანის მიყენების ფაქტის მტკიცებისაგან ანუ, პირგასამტეხლოს მოთხოვნისათვის კრედიტორს არ ეკისრება მიყენებული ზიანის დამტკიცების ვალდებულება. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, მიუხედავად იმისა, რომ ისინი კრედიტორის ერთი და იმავე ინტერესის დაკმაყოფილებისაკენ არიან მიმართული, დამოუკიდებელ მოთხოვნებად რჩებიან. პირგასამტეხლოს მოთხოვნა კრედიტორს ყოველთვის გააჩნია მიუხედავად იმისა განიცადა თუ არა მან ზიანი. მთავარია ვალდებულების დარღვევის ფაქტი. პირგასამტეხლოს მოთხოვნისათვის მას ასევე არ ეკისრება მიყენებული ზიანის დამტკიცების ვალდებულება. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მიუხედავად იმისა, რომ ისინი კრედიტორის ერთი და იგივე ინტერესის დაკმაყოფილებისაკენ არიან მიმართულნი, დამოუკიდებელ მოთხოვნებად რჩებიან. (იხ: ირაკლი რობაქიძე, სახელმწიკრულებო სამართალი /ზ. ძლიერიშვილი, გიორგი ცერცვაძე, ირაკლი რობაქიძე, გიორგი სვანაძე, ლაშა ცერცვაძე, ლევან ჯანაშია/ გამომცემლობა „მერიდიანი“, 2014წ., გვ. 590).

38. პირგასამტეხლოს მოთხოვნა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების დარღვევის საკითხი წინასწარაა განსაზღვრული, კერძოდ, ვალდებულების დარღვევის როგორც იდენტიფიცირება, ისე მისი დადგენა უნდა იყოს შესაძლებელი, ხოლო ასეთი მოთხოვნის დაყენება კი არ უნდა მოდიოდეს შეუსაბამოებაში საკანონმდებლო დანაწესებთან. პირგასამტეხლოს მოთხოვნის თვალსაზრისით ყურადსაღებია მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევის საკითხი. ვალდებულების დარღვევა შეიძლება გამოიხატოს როგორც ვალდებულების არაჯეროვნად შესრულებაში, ასევე ვალდებულების შეუსრულებლობაში. პირგასამტეხლოს დაკისრებისათვის ვალდებულების დარღვევა (შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება) აუცილებლად მოვალის ბრალეულობით უნდა იქნეს გამოწვეული. თუ არ დადგინდება მოვალის ბრალი, მაშინ მის მიმართ პირგასამტეხლოს დაკისრების მოთხოვნასაც არ ექნება სამართლებრივი საფუძველი (იხ. სერგი ჯორბენაძე, საქართვე-

ლოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, მუხლი 417, ველი 23-26).

39. პირგასამტეხლო წარმოადგენს ერთგვარ სანქციას, სასჯელს მხარისათვის ვალდებულების შეუსრულებლობის გამო. შესაბამისად, აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა წარმოიშობა ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ხოლო ვალდებულების დარღვევად მიიჩნევა, როგორც ვალდებულების არაჯეროვნად, არასრულად შესრულება, ასევე მისი შეუსრულებლობაც (მდრ: სუსგ №ას-1432-1351-2012, 20 მაისი, 2013 წელი.) პირგასამტეხლოს დაკისრება ხდება ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში. შესაბამისად, პირგასამტეხლოს დაკისრება მოაზრებულია მხოლოდ ძირითადი ან/და დამატებითი ვალდებულების დარღვევისას (იხ. გიორგი ვაშაქიძე, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, თბილისი, 2010, გვერდი. 232). მტკიცების ტვირთის განაწილების მხრივ კრედიტორმა უნდა ამტკიცოს ვალდებულების დარღვევა და პირგასამტეხლოს თაობაზე წერილობითი შეთანხმების არსებობა, ხოლო მოვალის მტკიცების ტვირთს წარმოადგენს ვალდებულების ჯეროვანი შესრულება ან მისი ბრალეულობის გამორიცხვა. (იხ. ქეთევან მესხიშვილი, კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, ტომი I, თბილისი, 2020, გვერდი 93).

40. სსკ-ის 420-ე მუხლის მიხედვით, პირგასამტეხლოს შემცირების უფლება სასამართლოს აქვს მინიჭებული. ეს ის იშვიათი გამონაკლისთაგანია, როდესაც კანონი სახელშეკრულებო თავისუფლებაში ჩარევას დასაშვებად მიიჩნევს, თუმცა, ამგვარი ჩარევა გარკვეულ შეზღუდვებს ექვემდებარება (იხ. ს. ჯორბენაძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, 2019 წელი, გვ. 800). კანონის სიტყვასიტყვით განმარტების შედეგად, მაღალი პირგასამტეხლო არ მცირდება. შემცირებას მხოლოდ „შეუსაბამოდ მაღალი“ პირგასამტეხლო ექვემდებარება. პირგასამტეხლო შეუსაბამოდ მაღალია თუ არა, შეფასებითი კატეგორიაა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის გარემოებების ერთობლივი ანალიზის შედეგად წყდება. ამასთან, შეფასების მიზნებისათვის მხედველობაში მიიღება პირგასამტეხლოს აშკარა შეუსაბამობა ვალდებულების დარღვევის შედეგებთან, რაც შეიძლება გამომდინარეობდეს პირგასამტეხლოს განსაკუთრებით მაღალი პროცენტიდან, ზიანის უმნიშვნელო ოდენობიდან, ვალდებულების დარღვევის მოკლე ვადიდან და ა.შ. მნიშვნელობა ენიჭება ნაკისრი ვალდებულების დარღვევაში მოვალის ბრალის ხარისხსაც, აგრეთვე გასათვალისწინებელია მოვალის ეკონომიკური მდგომარეობა. თუ მოსამართლე მივა იმ დასკვნამდე, რომ პირგასამტეხლოს ოდენობა შეუსაბამოდ მაღალია, იგი შეამცირებს მას იმ ოდენობამდე, რომელსაც ვალდებულების დარღვე-

ვის თანაზომიერად და სამართლიანად მიიჩნევს. (შდრ. ირ. რობაქიძე, სახელშეკრულებო სამართალი, თანაავტორობით, თბილისი, 2014, გვ. 604, 605.).

41. სასამართლოს სსკ-ის 420-ე მუხლის საფუძველზე, უფლება აქვს, შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო, რაც შეფასებითი კატეგორიაა და, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის გარემოებების ერთობლივი ანალიზის შედეგად წყდება. პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, მოიხმოს პირგასამტეხლოს შემცირების საფუძვლიანობის თაობაზე დამკვიდრებული სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკაც. საკასაციო სასამართლომ პირგასამტეხლოს თაობაზე არაერთ საქმეზე განმარტა, რომ კანონმდებლობით პირგასამტეხლო მხარეთა მიერ ნების თავისუფალი გამოვლენის გზით მიღწეული შეთანხმებაა, თუმცა იგი არ წარმოადგენს მხარეთა აბსოლუტურ უფლებას და კვალიფიციური შედეგების პირობებში, სასამართლო უფლებამოსილია, შეაფასოს კრედიტორის მიერ მოთხოვნილი ოდენობით პირგასამტეხლოს თანაზომიერება ვალდებულების დარღვევასთან მიმართებით. სასამართლოს მხრიდან მხარეთა თავისუფალი ნების გამოვლენით მიღწეულ შეთანხმებაში ჩარევის კანონისმიერ საფუძველს წარმოადგენს სასამართლოსათვის დაკისრებული ერთგვარი საჯარო წესრიგის უზრუნველყოფელი ვალდებულება (იხ. სუსგ-ები: №ას-1292-2019, 24.12.2020წ.; №ას-386-2019, 02.04.2021წ.; №ას-1199-1127-2015, 13.04.2016წ.). პირგასამტეხლოს შემცირებისას სასამართლო მხედველობაში იღებს მხარის ქონებრივ მდგომარეობასა და სხვა გარემოებებს, კერძოდ, იმას, თუ როგორია შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობისა და არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან. პირგასამტეხლოს შეუსაბამობის კრიტერიუმად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შეიძლება, ჩაითვალოს ისეთი გარემოებები, როგორიცაა: ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს შეუსაბამოდ მაღალი პროცენტი, პირგასამტეხლოს თანხის მნიშვნელოვანი გადაჭარბება ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეულ შესაძლო ზიანზე, ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა და სხვა (სუსგ №ას-1511-2018, 26.03.2019წ.). პირგასამტეხლოს შემცირება არ გულისხმობს მის გაუქმებას. პირგასამტეხლოს შემცირების საფუძველია, ერთი მხრივ, ის, რომ კრედიტორი პირგასამტეხლოს მიღებით არ გამდიდრდეს და მოვალეს არ დაანევს მძიმე ტვირთად პირგასამტეხლოს გადახდა, (შესაბამისად, პირგასამტეხლო არ იქცეს ერთგვარ სადამსჯელო ღონისძიებად), ხოლო მეორე მხრივ კი – პირგასამტეხლო იყოს ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი, საპირწონე და გონივრული. აღნიშნულში მოიაზრება სახელშეკრულებო თანასწორობისა და სამართლიანო-

ბის პრინციპის დაცვით პირგასამტეხლოს გონივრულ ოდენობამდე შემცირება (სუსგ. №ას-186-2021, 25.03.2021წ.). პირგასამტეხლო, როგორც უპირველესად კრედიტორის სახელშეკრულებო ინტერესის უზრუნველმყოფი მექანიზმი, ძალმოსილი შეიძლება იყოს მხოლოდ მაშინ, თუ ის ამავედროულად უზრუნველყოფს მოვალის გონივრული ფარგლებით დაცვას. სახელშეკრულებო თანასწორობის დაცვის პროცესში ბალანსი, თანაზომიერება დასაცავია, ერთი მხრივ, პირგასამტეხლოს ოდენობას, როგორც სახელშეკრულებო თავისუფლების (შინაარსის განსაზღვრის თავისუფლების) გამოხატულებას და, მეორე მხრივ, მოვალის დაცვას, როგორც ამ თავისუფლების ლეგიტიმურ შეზღუდვას შორის (იხ. ნათია ჩიტაშვილი, პირგასამტეხლოსა და ზიანის მოთხოვნათა სახელშეკრულებო ინტერესის უზრუნველმყოფი ფუნქცია. შედარებითი სამართლის ჟურნალი 2/2020, გვ.7.).

42. იმისათვის, რომ სასამართლომ შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო, კრედიტორის მოთხოვნა პირგასამტეხლოს გადახდაზე წარმოშობილი უნდა იყოს, ე.ი. ძირითადი ვალდებულება უნდა იქნეს დარღვეული. პირგასამტეხლოს შემცირება მის წარმოშობამდე ანუ ძირითადი ვალდებულების დარღვევამდე, დაუშვებელია (შდრ. Friesecke, in Palandt, BGB Komm., 78 Aufl., 2018., §343, Rn.5). სწორედ დარღვევის მომენტიდან ეკისრება მოვალეს პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება და სწორედ ამ მომენტიდან ხდება იგი შესასრულებლად მძიმე ან შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო. გარდა ამისა, სსკ-ის 420-ე მუხლის გამოყენებისათვის აუცილებელ წინაპირობად გვევლინება ის გარემოება, რომ პირგასამტეხლო არ უნდა იყოს უკვე გადახდილი მოვალის მიერ. უკვე გადახდილი პირგასამტეხლოს შემცირება სასამართლოს მიერ, გამორიცხულია. აღნიშნული დასკვნის საფუძველს წარმოადგენს ის გარემოება, რომ მოვალის მხრიდან პირგასამტეხლოს შემცირების მოთხოვნას ეფუძნება სწორედ იმას, რომ დაკისრებული პირგასამტეხლო შესასრულებლად მძიმეა მოვალისათვის. იმ შემთხვევაში კი, როდესაც მოვალე ნებაყოფლობით იხდის პირგასამტეხლოს, ამ გადახდით იგი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ პირგასამტეხლო მას შეუსაბამოდ მაღლად არ მიაჩნია (შდრ. სუსგ №ას-1527-2018, 31 იანვარი, 2019 წელი).

43. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ის 420-ე მუხლის დანაწესი იმპერატიულია, შესაბამისად, მხარეებს არ გააჩნიათ უფლებამოსილება, თავიანთი შეთანხმებით გამორიცხონ იგი. სსკ-ის 420-ე მუხლით გათვალისწინებული მოწესრიგება, არ გამოიყენება კანონით გათვალისწინებულ პირგასამტეხლოსთან მიმართებით.

44. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სასამართლო პირგასამტეხლოს შემცირების თაობაზე, მოპასუხის მიერ დაყენებული მოთხოვნის საფუძველზე მსჯელობს. ასეთი მოთხოვნა შეიძლება მითითებული იქ-

ნეს, როგორც შესაგებელში, ასევე პირველ ინსტანციაში საქმის მომზადების დამთავრებამდე მოპასუხის მიერ აღძრულ შუამდგომლობაში. ცალკეულ შემთხვევებში ასეთი მოთხოვნის დაყენება სარჩელითაცაა შესაძლებელი, მაგალითად, ნოტარიუსის მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცელში ცვლილებების შეტანა (პირგასამტეხლოს გონივრულ ოდენობამდე შემცირება). პირგასამტეხლოს შემცირების თაობაზე მოთხოვნის დაყენებასთან ერთად, მხარემ უნდა დაასაბუთოს, რას ეფუძნება ასეთი მოთხოვნა, ანუ მტკიცების ტვირთი პირგასამტეხლოს გონივრულ ოდენობამდე შემცირების თაობაზე, ეკისრება ვალდებულ პირს (მოვალეს) (იხ. სუსგ №ას-888-2020, 10 დეკემბერი, 2020). განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ სწორედ კომპანიის მიერ წარდგენილი სარჩელითაა დაკავებული პირგასამტეხლოს შემცირება მოთხოვნილი.

45. ზემოაღნიშნული ფაქტობრივსამართლებრივი დასაბუთების გათვალისწინებით საკასაციო სასამართლო კვლავ განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში დადგენილი იყო კ-ის ობიექტზე 19 დღის დაგვიანებით შესრულდა 230 371.98 ლარის სამუშაოები, ხოლო, კიკეთის ობიექტზე ასევე 19 დღის დაგვიანებით შესრულდა 112 371.98 ლარის სამუშაოები. შესრულებული სამუშაოების ასანაზღაურებელი თანხიდან მხარეთა შეთანხმებით შემსყიდველმა დააკავა 57 181.18 ლარი.

45.1. ამდენად, საკასაციო სასამართლო გონივრულად მიიჩნევს, მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა შეთანხმების გათვალისწინებით, კ-ის ობიექტის შემთხვევაში ვადაგადაცილებული დღეებისა და სამუშაოების ღირებულების, კერძოდ 230 371.98 ლარის 0.5% (X19 ვადაგადაცილებულ დღეზე) 21 865.91 ლარი განახევრდეს და კ-ის ობიექტის შემთხვევაში კომპანიას დაეკისროს პირგასამტეხლოს სახით 10 932.95 ლარი.

45.2. კ-ის ობიექტის შემთხვევაში კი, ვადაგადაცილებული დღეებისა და სამუშაოების ღირებულების, კერძოდ 112 371.91 ლარის 0.5% (X19 ვადაგადაცილებულ დღეზე) 10 675.33 ლარი ასევე განახევრდეს და კ-ის ობიექტის შემთხვევაში კომპანიას დაეკისროს პირგასამტეხლოს სახით 5 337.66 ლარი.

46. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ჯამში პირგასამტეხლოს სახით დაკავებული თანხიდან კომპანიას უნდა დაეკისროს 16 270.27 ლარი, ხოლო, გამგეობას დაევალოს 40 910.91 ლარის დაბრუნება.

47. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადანყევტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთ-

ხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა.

48. განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ კომპანიის სასარჩელო მოთხოვნას პირველ ინსტანციაში წარმოდგენდა მთანმინდის გამგეობის მიერ დაკავებული პირგასამტეხლოს 57 181.18 ლარის დაბრუნება. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხე გამგეობას მოსარჩელე კომპანიისთვის 57 181.18 ლარიდან 55 879.57 ლარის დაბრუნება დაევალა. დასახელებული გადაწყვეტილება თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 18 ივლისის განჩინებით დარჩა უცვლელად.

49. სსსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

50. ზემოაღნიშნული ნორმებისა და ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, ვინაიდან საკასაციო სასამართლო იღებს ახალ გადაწყვეტილებას, სასამართლო ხარჯებსაც გაანაწილებს ხელახლა შემდგენილად, წარმოდგენილი საკასაციო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილებით კომპანიას 57 181.18 პირგასამტეხლოს სახით დაკავებული ლარიდან დაუბრუნდა 40 910.91 ლარი, ამდენად, პირველ ინსტანციაში მოსარჩელე კომპანიის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 1 716 ლარის ის ნაწილი, რომელიც დაკმაყოფილებული სარჩელის პროპორციულია – 1 227.32 ლარი უნდა დაეკისროს გამგეობას კომპანიის სასარგებლოდ, მიუხედავად იმისა, რომ ის გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან, ხოლო, დარჩენილი ნაწილი უნდა დარჩეს ბიუჯეტში. სააპელაციო სასამართლოში, მიუხედავად იმისა, რომ სააპელაციო საჩივრის წარდგენისთვის გათვალისწინებული სახელმწიფო ბაჟისგან გათავისუფლებული იყო გამგეობა, მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებულ – 16 270.27 ლარის ნაწილში, სახელმწიფო ბაჟი – 650.81 ლარი უნდა დაეკისროს კომპანიას სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. სააპელაციო სასამართლოს მსგავსად, საკასაციო სასამართლოში, კომპანიას უნდა დაეკისროს ნაგებული თანხის 5% – 813.51 ლარი ბიუჯეტის სასარგებლოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8 მუხლით, 53-ე, 408-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა ლ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მთანმინდის რაიონის გამგეობის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

1.1. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 18 ივლისის განჩინება;

1.2. ახალი გადაწყვეტილების მიღებით შპს „ი-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

1.3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მთანმინდის რაიონის გამგეობას დაევალოს შპს „ი-ისთვის“ პირგასამტეხლოს სახით დაკავებული 57 181.18 ლარიდან 40 910.91 ლარის დაბრუნება;

1.4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მთანმინდის რაიონის გამგეობას შპს „ი-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ პირველ ინსტანციაში გადახდილი ბაჟის ნაწილი – 1 227.32 ლარი, ხოლო, დანარჩენი დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში;

1.5. შპს „ი-ის“ სახელმწიფო ბიუჯეტის (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) სასარგებლოდ დაეკისროს 1 464.32 ლარი;

2. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

პირგასამტეხლოს შემცირება სასამართლოს მიერ

გ ა ლ ა ნ ე ყ ვ ა ტ ი ლ ა ბ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ხ ე ლ ი თ

№ას-1218-2022

23 მარტი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: გ. მიქაუტაძე (თავმჯდომარე),
რ. ნადარაია (მომხსენებელი),
ლ. ქორჩიაშვილი**

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „ჯ-იმ“ (შემდეგში – მოსარჩელემ) სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში შპს „თ. ჯ-ის“ (შემდეგში – მოპასუხის) მიმართ, 93580.5 ლარის ოდენობით დაკავებული პირგასამტეხლოს დაბ-

რუნების მოთხოვნით.

1.1. მოპასუხემ წერილობით წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილებით, შპს „ჯ-ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა მოსარჩელემ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 06 ივნისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

5. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

5.1. 2020 წლის 01 ოქტომბერს შპს „თ. ჯ-ს“ (შემსყიდველი) და შპს „ჯ-ის“ (მიმწოდებელი) შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №30-447, რომლის საგანს წარმოადგენდა ნატურიუმის ორთქლის მაღალი წნევის ნათურების (შეყიდვის ობიექტი) მიწოდება. შესყიდვის ობიექტის აღწერა, რაოდენობა, ერთეულის ფასი და ძირითადი მახასიათებლები მოცემული იყო №1 დანართში, რაც წარმოადგენდა ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

5.2. ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება განისაზღვრა 479 900.00 ლარით (დღგ-ის ჩათვლით). ხელშეკრულების 5.1 პუნქტის თანახმად, შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 120 დღით.

5.3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული იქნა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის. კერძოდ, ხელშეკრულების 9.1 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის მხარეს ეკისრებოდა პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.

5.4. დადგენილია, რომ 2020 წლის 28 ოქტომბერს, მოსარჩელემ მოპასუხეს მიაწოდა №30-477 ხელშეკრულებით შეთანხმებული – 177 859.80 ლარის ღირებულების ნათურა, ხოლო 2020 წლის 30 დეკემბერს, მოსარჩელემ მოპასუხეს მიაწოდა ხელშეკრულებით შეთანხმებული –

150 805,00 ლარის ღირებულების ნათურა. დადგენილია, რომ შემსყიდველმა მიმწოდებელს აუნაზღაურა 328 664.8 ლარი, 2020 წლის 09 ნოემბერს და 2020 წლის 30 დეკემბერს. მოსარჩელემ მოპასუხეს 2021 წლის 11 თებერვალს კვლავ მიაწოდა №30-477 ხელშეკრულებით შეთანხმებული 3084 ერთეული ნატრიუმის ორთქლის მაღალი წნევის 70 ვატის სიმძლავრის, 43 638.6 ლარის ღირებულების ნათურა, ხოლო 2021 წლის 11 მარტს, 7604 ერთეული ნატრიუმის ორთქლის მაღალი წნევის 70 ვატის სიმძლავრის, 107 596.00 ლარის ღირებულების ნათურა.

5.5. 2021 წლის 10 თებერვლის ინსპექტირების დასკვნით, მიმწოდებელს დაერიცხა პირგასამტეხლო 2021 წლის 30 იანვრიდან, 2021 წლის 09 თებერვლამდე, თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე – 2 399.5 ლარის ოდენობით, სულ – 26 394.5 ლარი. მოპასუხემ მიმწოდებელს ნაცვლად 43 638.6 ლარისა, გადაუხადა მხოლოდ 17 244.10 ლარი. 2021 წლის 10 თებერვლის ინსპექტირების დასკვნით, მიმწოდებელს დაერიცხა პირგასამტეხლო 2021 წლის 10 თებერვლიდან, 2021 წლის 09 მარტამდე (28 დღე) თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე – 2 399.5 ლარის ოდენობით, სულ – 67 186.00 ლარი. მოპასუხემ მიმწოდებელს ნაცვლად 107 596.00 ლარისა, გადაუხადა მხოლოდ 40 410.60 ლარი. საბოლოოდ, შემსყიდველმა მიმწოდებელს დაუკავა 93 580.5 ლარი.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთება:

5.4. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, არ დასტურდებოდა, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამომწვეული იყო ვალდებული პირისაგან დამოუკიდებლად შექმნილი გარემოებებით. აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულებები მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი არ ყოფილა. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საქმის მასალებში წარმოდგენილ 2021 წლის 25 იანვრის წერილზე, რომლითაც მწარმოებელი ქარხნის წარმომადგენელმა მოპასუხეს მიაწოდა ინფორმაცია, რომ მოსარჩელემ დროულად განახორციელა შეკვეთა ტენდერით გათვალისწინებული პროდუქციის დამზადება-შესყიდვაზე, ქარხანამ ასევე დროულად დაამზადა შეკვეთილი პროდუქციის დამზადება, თუმცა პროდუქციის ტრანსპორტირება საქართველოში შეფერხდა მოსარჩელისა და დამამზადებელი ქარხნისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, კერძოდ სადავო პერიოდში, ჩინეთის ტერიტორიაზე წარმოქმნილი, პროდუქციის გადასაზიდად საჭირო კონტეინერების დეფიციტის გამო, რაც თავის მხრივ, გამომწვეული იყო პანდემიითა და მსოფლიოში არსებული სხვადასხვა შეზღუდვებით. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული წერილი არ წარმოადგენდა სათანადო მტკიცებულებას მოსარჩელის მიერ სადავოდ გახდილი გარემოების დადასტურებისათვის.

5.5. რაც შეეხება სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირების შესახებ, პალატამ ყურადღება გაამახვილა სასარჩელო მოთხოვნაზე, რომლითაც შპს „ჯ-ის“ მოთხოვნას წარმოადგენს მოპასუხისათვის 93 580.5 ლარის დაკისრება. სარჩელის თანახმად, აღნიშნული წარმოადგენდა მოპასუხის მიერ მოსარჩელისათვის პირგასამტეხლოს სახით დაკავებულ თანხას. რაც შეეხება, მოპასუხის მიერ მოსარჩელისათვის დარიცხული პირგასამტეხლოს შემცირებას, აღნიშნული მოსარჩელის მიერ სარჩელით მოთხოვნილი არ იყო, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ის მოკლებული იყო შესაძლებლობას ემსჯელა და შეეფასებინა დაკისრებული პირგასამტეხლოს გონივრულობა.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 06 ივნისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

საკასაციო საჩივრის მოთხოვნის ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

6.1. კასატორის მითითებით, მოსარჩელემ როგორც სარჩელში, ასევე მოსამზადებელ სხდომაზე წარმოდგენილი ახსნა-განმარტებით მიუთითა შეთანხმებული პირგასამტეხლოს შეუსაბამოდ მაღალ ოდენობაზე.

6.2. მოპასუხემ მოსარჩელეს გადასახდელი თანხებიდან დაუკავა პირგასამტეხლო, ხელშეკრულების მთლიანი ღირებულებიდან დაანგარიშებით, მაშინ როდესაც, პირგასამტეხლოს დარიცხვის მომენტისთვის მოსარჩელეს უკვე შესრულებული ჰქონდა მთლიანი სახელშეკრულებო ვალდებულების 2/3-ზე მეტი. სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა, რომ მოსარჩელის პრეტენზია მიმართული იყო ასევე პირგასამტეხლოს დაანგარიშების წესზე და ემსჯელა მასზე.

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 06 ოქტომბრის განჩინებით სსსკ-ის 396-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად დასაშვებობის შესამოწმებლად. ამავე სასამართლოს 2023 წლის 16 მარტის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

სამოტივაციო ნაწილი:

8. საკასაციო პალატამ შეისწავლა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია,

შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს განჩინება უნდა გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

9. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებასა და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის გამოყენება ან/და განმარტება. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

10. საკასაციო პალატა პირველ რიგში განმარტავს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის განმსაზღვრელია სარჩელში მითითებული ფაქტები და გარემოებები. სარჩელის ინდივიდუალიზაცია სარჩელის ელემენტების მეშვეობითაა შესაძლებელი. სსსკ-ის მე-3, მე-4, 83-ე და 178-ე მუხლების ანალიზით შესაძლებელია, დავასკვნათ, რომ სარჩელი შედგება ორი ელემენტისგან: სარჩელის საგნისა და სარჩელის საფუძვლისგან. სარჩელის საგანია მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისადმი (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი), ხოლო სარჩელის საფუძველი – კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). საქმის გარემოებათა ანალიზის საფუძველზე მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის დადგენა და მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის მოძიება კი, სასამართლოს ვალდებულებაა. სადავო ურთიერთობის შეფასებისას, ზემდგომი ინსტანციის სასამართლო არაა შეზღუდული ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი შეფასებებით, შესაბამისად, თუ ზემდგომი ინსტანციის სასამართლო გამოარკვევს, რომ ქვემდგომი სასამართლოს სამართლებრივი შეფასება არ გამომდინარეობს საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან, იგი ვალდებულია, ეს გარემოე-

ბები თავად შეაფასოს სამართლებრივად სწორად და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

11. პირველი ინსტანციის სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის ის მითითება, რომ ვადის გადაცილებაში მას ბრალი არ მიუძღოდა და შესაბამისად, მოპასუხემ უსაფუძვლოდ დაარიცხა და დაუკავა პირგასამტეხლო, რის გამოც არსებობდა მოპასუხის მიერ დაკავებული პირგასამტეხლოს მისთვის სრულად დაბრუნების საფუძველი. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების პირობა ბრალეულად დაარღვია და მას წარმოეშვა პირგასამტეხლოს გადახდის მოვალეობა, რის გამოც სარჩელი არ დაკმაყოფილდა. პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ. საკასაციო საჩივრით მოსარჩელე სადავოდ არ ხდის მისთვის პირგასამტეხლოს დარიცხვის საფუძველების არსებობას, ის მხოლოდ სადავოდ ხდის ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ პირგასამტეხლოს შემცირებაზე უარის თქმას, რამეთუ საკასაციო სასამართლოში კასატორის ძირითადი პრეტენზია მიმართულია ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ პირგასამტეხლოს შემცირებაზე უარის თქმის საფუძველიანობაზე, ვინაიდან მიიჩნია, რომ პირგასამტეხლოს ოდენობა არასწორად იქნა დაანგარიშებული. შესაბამისად, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს პირგასამტეხლოს დარიცხვის საფუძველების არსებობაზე (სსსკ-ის 404-ე მუხლი) და შესაფასებელ საკითს წარმოადგენს მხოლოდ პირგასამტეხლოს შემცირებაზე უარის თქმის მართებულობა.

12. პალატის მოსაზრებით, საკასაციო საჩივრით სადავო საკითხზე მსჯელობამდე, უპირველეს ყოვლისა უნდა შეფასდეს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის საფუძველიანობა იმის შესახებ, რომ პალატა მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს და შეაფასოს დაკისრებული პირგასამტეხლოს გონივრულობა, ვინაიდან, სასარჩელო მოთხოვნა იყო მოპასუხისათვის 93 580.5 ლარის გადახდის დაკისრება და არა დარიცხული პირგასამტეხლოს შემცირება. საკასაციო პალატა, სააპელაციო სასამართლოს ამ მსჯელობას ვერ გაიზიარებს და აღნიშნავს, რომ მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დროულად შეუსრულებლობის გამო (ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში არ იქნა მიწოდებული ხელშეკრულების საგნის ნაწილი), ამავდროულად ხელშეკრულებით გათვალისწინებული და მოპასუხის მიერ დაკავებული პირგასამტეხლოს – 93580,5 ლარის მოსარჩელისათვის დაბრუნება. სასარჩელო მოთხოვნის გრაფაში კი მოსარჩელეს არ ჰქონდა მითითება შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირებაზე, რაც გახდა საფუძველი პირგასამტეხლოს შემცირებაზე მოთხოვნის დაუკმაყოფილებლო-

ბის. პალატა აღნიშნავს, რომ სარჩელის თანახმად სასარჩელო მოთხოვნის (მოპასუხისათვის თანხის დაკისრების) საფუძველი არის მოპასუხის მიერ მოსარჩელისათვის პირგასამტეხლოს უსაფუძვლოდ დარიცხვაზე და შემდგომ უსაფუძვლოდ დაკავებაზე მითითება. მართალია, სასარჩელო მოთხოვნის გრაფაში მოსარჩელე არ უთითებს პირგასამტეხლოს შემცირებაზე, თუმცა სარჩელით მოსარჩელის პრეტენზია მიმართულია არა მხოლოდ პირგასამტეხლოს დარიცხვის და დაკავების უსაფუძვლობაზე, არამედ შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს დარიცხვაზეც, რადგან მიიჩნია, რომ ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 0,5%-ის დარიცხვა ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ ერთგვაროვან პრაქტიკას. ამდენად, ცხადია, რომ მოსარჩელე სარჩელით დავობდა არა მხოლოდ პირგასამტეხლოს დარიცხვის კანონიერებაზე, არამედ, შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს დაკისრებაზეც. პალატა აღნიშნავს, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და გარემოებები განსაზღვრავს სასარჩელო მოთხოვნის შინაარსს. საქმის გარემოებათა ანალიზის საფუძველზე მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის დადგენა და მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის მოძიება კი სასამართლოს ვალდებულებაა (ანალოგიურ განმარტებას აკეთებს საქართველოს უზენაესი სასამართლო 2022 წლის 25 თებერვლის №ას-52-2020 გადაწყვეტილებაში). ამასთან, ამ შემთხვევაში ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ სსკ-ის 420-ე მუხლი სასამართლოს ანიჭებს უფლებამოსილებას, მხარის მოთხოვნის საფუძველზე იმსჯელოს და შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო მხარეთა მიერ გამოვლენილი ნების მიუხედავად. ამდენად, სასარჩელო მოთხოვნა და სარჩელში მითითებული ფაქტების და გარემოებების ერთობლიობა, სასამართლოს აძლევდა შესაძლებლობას, ემსჯელა დარიცხული და დაკავებული პირგასამტეხლოს ოდენობის გონივრულობაზე.

13. პირგასამტეხლოს დაკისრების საფუძვლის არსებობის გამოსარკვევად სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს სსკ-ის 417-ე-418-ე (პირგასამტეხლო – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა – მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის; ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ პირგასამტეხლო, რომელიც შეიძლება აღემატებოდეს შესაძლო ზიანს, გარდა ამ კოდექსის 625-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა; შეთანხმება პირგასამტეხლოს შესახებ მოითხოვს წერილობით ფორმას) და 420-ე (სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო) მუხლებით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობა. კერძოდ, ეს წინაპირობები შემდეგია: ა) მხარე-

თა შორის ხელშეკრულების დადება; ბ) პირგასამტეხლოზე წერილობითი შეთანხმება; გ) ვალდებულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება.

14. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსი აღიარებს და ეფუძნება „pacta sunt servanda-ს“ (ხელშეკრულება უნდა შესრულდეს) პრინციპს, რომლის თანახმად ხელშეკრულების მხარემ, რომელმაც იკისრა ვალდებულება, უნდა შეასრულოს ხელშეკრულებით მისივე ნებით შეთანხმებული უფლება-მოვალეობები. სსკ-ის 361-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ამ მოთხოვნათა შეუსრულებლობა ვალდებულების დარღვევაა. სამოქალაქო კანონმდებლობა ვალდებულების დარღვევის პრევენციისათვის ითვალისწინებს მოთხოვნის უზრუნველყოფის სანივთო და ვალდებულებით სამართლებრივ საშუალებებს, რომლებიც ვალდებულების შესრულებას ემსახურებიან და რომელთა შერჩევა მხარეთა ნებაზეა დამოკიდებული. ასეთ საშუალებათა რიგს განეკუთვნება ვალდებულების უზრუნველყოფის დამატებითი საშუალება პირგასამტეხლო (შდრ. სუსგ №ას-1079-2019, 30 სექტემბერი, 2019).

15. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პირგასამტეხლო წარმოადგენს ვალდებულების შესრულების მიმართ მხარის შესაბამისი ინტერესის უზრუნველყოფის საშუალებას, რომლის გადახდის ვალდებულების წარმოშობა დაკავშირებულია ვალდებულების დარღვევასთან. პირგასამტეხლო ეკისრება მხარეს იმ დროიდან, როდესაც უნდა ყოფილიყო შესრულებული დარღვეული ვალდებულება – ამ ვალდებულების შესრულებამდე (შდრ. სუსგ №ას-1451-1371-2017, 13 ნოემბერი, 2018; №ას-848-814-2016, 28 დეკემბერი, 2016).

16. პირგასამტეხლო დამატებითი (აქცესორული) ვალდებულებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი წარმოშობა და ნამდვილობა ძირითადი ვალდებულების არსებობაზეა დამოკიდებული. ქართულ კანონმდებლობაში პირგასამტეხლოს ორმაგი ფუნქცია გააჩნია: ერთი მხრივ, მას ვალდებულების ჯეროვანი შესრულების უზრუნველსაყოფად პრევენციული დატვირთვა აქვს. ანუ, პირგასამტეხლოს დაკისრების რისკი ფსიქოლოგიურად ზემოქმედებს ვალდებულ პირზე და აიძულებს ვალდებულება ჯეროვნად შეასრულოს. პირგასამტეხლოს ფსიქოლოგიური ზემოქმედების ეფექტი სწორედ იმაში ვლინდება, რომ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ვალდებულ პირს რეპრესიული ხასიათის სანქცია ეკისრება. პირგასამტეხლოს მეორე ფუნქცია განცდილი ზიანის მარტივად და სწრაფად ანაზღაურებაში მდგომარეობს. იგი ერთგვარ სანქციასაც წარმოადგენს. ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, სანქციად ქცეული პირგასამტეხლო ვალდებულ პირს უპირობოდ ეკის-

რება, მიუხედავად იმისა, განიცადა თუ არა კრედიტორმა ზიანი ამ დარღვევის შედეგად (სუსგ №ას-428-428-2018, 13 ივლისი, 2018; №ას-1158-1104-2014, 06.05.2015; №ას-1265-1187-2015, 10.02.2016). პირგასამტეხლო წარმოადგენს ვალდებულების შესრულების მიმართ მხარის შესაბამისი ინტერესის უზრუნველყოფის საშუალებას, რომლის გადახდის ვალდებულების წარმოშობა დაკავშირებულია ვალდებულების დარღვევასთან.

17. საკასაციო პალატამ არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ: „პირგასამტეხლოს მიზანია ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების დარღვევის თავიდან აცილება, ხოლო ვალდებულების დარღვევის პირობებში ე.წ. „პრეზუმირებული მინიმალური ზიანის“ ანაზღაურების უზრუნველყოფა, რაც, რაღა თქმა უნდა, არ წარმოადგენს ფაქტობრივი ზიანის ეკვივალენტ ფულად თანხას და არც ფაქტობრივად დამდგარი ზიანის ანაზღაურებას ემსახურება“ (სუსგ №ას-1597-2019, 13 დეკემბერი, 2019 წელი).

18. პირგასამტეხლოს მოთხოვნა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების დარღვევის საკითხი წინასწარაა განსაზღვრული, კერძოდ ვალდებულების დარღვევის როგორც იდენტიფიცირება, ისე მისი დადგენა უნდა იყოს შესაძლებელი, ხოლო ასეთი მოთხოვნის დაყენება კი არ უნდა მოდიოდეს შეუსაბამობაში საკანონმდებლო დანაწესებთან. პირგასამტეხლოს მოთხოვნის თვალსაზრისით ყურადსაღებია მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევის საკითხი. ვალდებულების დარღვევა შეიძლება გამოიხატოს როგორც ვალდებულების არაჯეროვნად შესრულებაში, ასევე ვალდებულების შეუსრულებლობაში. პირგასამტეხლოს დაკისრებისათვის ვალდებულების დარღვევა (შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება) აუცილებლად მოვალის ბრალეულობით უნდა იქნეს გამოწვეული. თუ არ დადგინდება მოვალის ბრალი, მაშინ მის მიმართ პირგასამტეხლოს დაკისრების მოთხოვნასაც არ ექნება სამართლებრივი საფუძველი (იხ. სერგი ჯორბენაძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, მუხლი 417, ველი 23-26).

19. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პირგასამტეხლოს მიზანია კრედიტორის დარღვეული უფლების აღდგენა და არა გამდიდრება. შესაბამისად, პირგასამტეხლო უნდა იყოს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი და გონივრული. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 წანაწილის თანახმად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი. კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოქმედებას პასუხისმგებლობით, ერთმანეთის უფლებებისად-

მი პატივისცემით მოჰყრობას.

20. რაც შეეხება პირგასამტეხლოს ოდენობას, მისი განსაზღვრისას ყურადღება ექცევა რამდენიმე გარემოებას. მათ შორის: ა) პირგასამტეხლოს, როგორც სანქციის ხასიათის მქონე ინსტრუმენტის ფუნქციას, თავიდან აიცილოს დამატებით ვალდებულების დამრღვევი მოქმედებები; ბ) დარღვევის სიმძიმესა და მოცულობას და კრედიტორისათვის წარმოქმნილი საფრთხის ხარისხს; გ) ვალდებულების დამრღვევი პირის ბრალეულობის ხარისხს; დ) პირგასამტეხლოს ფუნქციას, მოიცვას თავის თავში ზიანის ანაზღაურება“ (იხ. სუსგ № ას-816-767-2015, 19.11.2015წ.).

21. სსკ-ის 420-ე მუხლის (სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო) მიხედვით, პირგასამტეხლოს შემცირების უფლება სასამართლოს აქვს მინიჭებული. მართალია, პირგასამტეხლოს განსაზღვრა მხარეთა უფლებაა და აღნიშნული კუთხით მოქმედებს სახელშეკრულებო ურთიერთობებში დამკვიდრებული მხარეთა ნების ავტონომიის პრინციპი, თუმცა, აღნიშნული მუხლი შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს, მხარის მოთხოვნის საფუძველზე იმსჯელოს და შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო მხარეთა მიერ გამოვლენილი ნების მიუხედავად. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პირგასამტეხლოს შემცირება არ გულისხმობს მის გაუქმებას. პირგასამტეხლოს შემცირების საფუძველია, ერთი მხრივ, ის, რომ კრედიტორი პირგასამტეხლოს მიღებით არ გამდიდრდეს და მოვალეს არ დაანვეს მძიმე ტვირთად პირგასამტეხლოს გადახდა, (შესაბამისად, პირგასამტეხლო არ იქცეს ერთგვარ სადამსჯელო ღონისძიებად), ხოლო მეორე მხრივ კი, – პირგასამტეხლო იყოს ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი, საპირწონე და გონივრული. აღნიშნულში მოიაზრება სახელშეკრულებო თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპის დაცვით პირგასამტეხლოს გონივრულ ოდენობამდე შემცირება. აღსანიშნავია, რომ პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრა სასამართლოს მიერ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გარემოებათა ყოველმხრივი შეფასების შედეგად დგინდება და რაიმე განსხვავებული სტანდარტი, რომელიც განაზოგადებს პირგასამტეხლოს მათემატიკურ მაჩვენებელს, სასამართლო პრაქტიკით არ არის დადგენილი. სასამართლომ უნდა დაიცვას ის სამართლიანი ბალანსი, რომელიც სამოქალაქო-სამართლებრივი ვალდებულების დარღვევას მოჰყვა.

22. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საკასაციო სასამართლოს მყარად დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, ვალდებულების ნაწილის შესრულების ვადის გადაცილებისთვის პირგასამტეხლოს ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან დაანგარიშება ეწინააღმდეგება სამოქალაქო-სამართლებრივი ვალდებულების დარღვევას მოჰყვა.

ლაქო ბრუნვის უსაფრთხოებისა და კეთილსინდისიერების მინიმალურ სტანდარტს, რადგან პირგასამტეხლოს ასეთი ოდენობით დაკისრება, როგორც კრედიტორის დარღვეული უფლებების და ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ერთგვარი სანქცია, თავის ნორმატიულ დანიშნულებას ვერ შეასრულებს. პირგასამტეხლო უნდა დაანგარიშდეს არა ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან, არამედ მხარის მიერ ფაქტობრივად შეუსრულებელი ან არაჯეროვნად შესრულებული ვალდებულების ღირებულებიდან (სუსგ-ები: №ას-626-2021, 14 ივლისი, 2021 წელი; №ას-1819-2019 19 თებერვალი, 2020; №ას-971-2019, 28.10.2019წ. №ას-164-160-2016, 28 ივლისი, 2016წ.).

23. განსახილველ შემთხვევაში, უდავოა, რომ მხარეთა შორის 2020 წლის 01 ოქტომბერს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №30-447, რომლის საგანს წარმოადგენდა ნატრიუმის ორთქლის მაღალი წნევის ნათურების (შეყიდვის ობიექტი) მიწოდება. შესყიდვის ობიექტის აღწერა, რაოდენობა, ერთეულის ფასი და ძირითადი მახასიათებლები მოცემული იყო №1 დანართში, რაც წარმოადგენდა ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება განისაზღვრა 479 900.00 ლარით (დღგ-ის ჩათვლით). სადავო არაა მხარეთა შეთანხმებით დადებული ხელშეკრულების პირობები, უფლებები და ვალდებულებები. დადგენილია და სადავოდ არ გამხდარა, რომ მოსარჩელემ მოპასუხეს ხელშეკრულების საგნის ნაწილი მიანოდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში.

23.1. ხელშეკრულების 5.1 პუნქტის თანახმად, შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 120 დღით. შპს „ჯ-იმ“ ნაწილობრივ დაარღვია ხელშეკრულებით განსაზღვრული მიწოდების ვადა, კერძოდ: მოსარჩელემ მოპასუხეს 2021 წლის 11 თებერვალს, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ მიანოდა №30-477 ხელშეკრულებით შეთანხმებული 3084 ერთეული ნატრიუმის ორთქლის მაღალი წნევის 70 ვატის სიმძლავრის, 43 638.6 ლარის ღირებულების ნათურა, ხოლო 2021 წლის 11 მარტს, 7604 ერთეული ნატრიუმის ორთქლის მაღალი წნევის 70 ვატის სიმძლავრის, 107 596.00 ლარის ღირებულების ნათურა.

23.2. 2021 წლის 10 თებერვლის ინსპექტირების დასკვნით, მიმწოდებელს დაერიცხა პირგასამტეხლო 2021 წლის 30 იანვრიდან 2021 წლის 09 თებერვლამდე, თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე – 2 399.5 ლარის ოდენობით, სულ – 26 394.5 ლარი. მოპასუხემ მიმწოდებელს ნაცვლად 43 638.6 ლარისა, გადაუხადა მხოლოდ 17 244.10 ლარი. 2021 წლის 10 მარტის ინსპექტირების დასკვნით, მიმწოდებელს დაერიცხა პირგასამტეხლო 2021 წლის 10 თებერვლიდან 2021 წლის 09 მარტამდე (28 დღე) თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე – 2 399.5 ლარის ოდენო-

ბით, სულ – 67 186.00 ლარი. მოპასუხემ მიმწოდებელს ნაცვლად 107 596.00 ლარისა, გადაუხადა მხოლოდ 40 410.60 ლარი. საბოლოოდ, შემსყიდველმა მიმწოდებელს დაუკავა 93 580.5 ლარი.

23.3. პალატის შეფასებით, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ვადაგადაცილებით შესრულდა შესასრულებელი ვალდებულების მხოლოდ ნაწილი, პირგასამტეხლო დაანგარიშებული უნდა იქნეს არა ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან, არამედ ვადაგადაცილებით მიწოდებული ხელშეკრულების საგნის ღირებულებიდან. კერძოდ: 2021 წლის 11 თებერვლის მდგომარეობით, შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულება იყო 151234.6 ლარი, შესაბამისად, უზენაესი სასამართლოს მიერ მყარად დადგენილი პრაქტიკის თანახმად, დასაკავებელი პირგასამტეხლოს ოდენობა უნდა დაანგარიშებულიყო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულებიდან – 151234.6 ლარიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე, პირგასამტეხლოს ოდენობა ერთი დღისთვის შეადგენდა 756.17 ლარს (151234.6-ის 0.5%), ხოლო 2021 წლის 11 თებერვლისათვის, ვადადარღვეული დღეების რაოდენობის გათვალისწინებით პირგასამტეხლოს ოდენობამ შეადგინა 8317.87 ლარი (756.17X11). დადგენილი ფაქტობრივი გარემოებაა ისიც, რომ 2021 წლის 11 თებერვალს მოსარჩელემ მოპასუხეს მიაწოდა 43638.6 ლარის ღირებულების პროდუქტი. 2021 წლის 11 მარტს, მოსარჩელემ მოპასუხეს ხელშეკრულების ვადის დარღვევით მიაწოდა დარჩენილი 107596 ლარის პროდუქტი. აქედან გამომდინარე, მოსარჩელემ მოპასუხეს, 107 596 ლარის პროდუქტი მიაწოდა 28 დღის ვადის დარღვევით. ამ შემთხვევაშიც, უზენაესი სასამართლოს მიერ მყარად დადგენილი პრაქტიკის თანახმად, 11 მარტისთვის დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ოდენობა უნდა დაანგარიშდეს შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულებიდან – 107596 ლარიდან, რომლის 0,5% არის 538 ლარი. ვადადარღვეული დღეების (28 დღე) გათვალისწინებით კი პირგასამტეხლოს ოდენობა შეადგენს 15063.47 ლარს. ჯამში მოსარჩელისათვის დასაკისრებელი და დასაკავებელი პირგასამტეხლოს ოდენობა შეადგენს 23381.34 ლარს. ვინაიდან, მოპასუხემ მოსარჩელეს დაუკავა 93580.5 ლარი, ხოლო დასაკავებელი პირგასამტეხლოს ოდენობა შეადგენდა 23381.28 ლარს. მოსარჩელეს უნდა შეუმცირდეს ზედმეტად დარიცხული პირგასამტეხლო, 70 199.16 ლარით (93580.5-23381.28) და მოპასუხეს უნდა დაევალოს დაუბრუნოს მოსარჩელეს 70199.16 ლარი, როგორც ზედმეტად დაკავებული თანხა.

24. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორის პრეტენზიას, სარჩელით მოთხოვნილი დაკავებული პირგასამტეხლოს ნაწილის დაბრუნების შესახებ აქვს სამართლებრივად ვარგისი საფუძველი, კასატორის მოთხოვნა საფუძვლიანია და ქვემ-

დგომი სასამართლოების მიერ დაკავებული პირგასამტეხლოს გაანგარიშება არასწორად განხორციელდა ხელშეკრულების მთლიანი ღირებულებიდან, რაც საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველია.

25. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, კერძოდ, პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს; გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და მოპასუხეს დაევალოს მის მიერ დაკავებული 93580.5 ლარიდან 70199.16 ლარის მოსარჩელისათვის დაბრუნება.

26. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

27. სსკ-ის 55-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები და სახელმწიფო ბაჟი, რომელთა გადახდისაგან გათავისუფლებული იყო მოსარჩელე, გადახდება მოპასუხეს ბიუჯეტის შემოსავლის სასარგებლოდ, მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელიც დაკმაყოფილებულია. განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით ირკვევა, რომ მოსარჩელეს სამივე ინსტანციის სასამართლოში წინასწარ გადახდილი აქვს სახელმწიფო ბაჟი 8423.88 (2105.97+2807.96+3509.95) ლარი, რისი ანაზღაურებაც მოპასუხეს უნდა დაეკისროს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო

ლაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 264.3 408.3, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. შპს „ჯ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 06 ივნისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. შპს „ჯ-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. შპს „თ. ჯ-ს“ შპს „ჯ-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს თანხის გადახდა 70199.16 ლარის ოდენობით;
5. შპს „თ. ჯ-ს“ (...) შპს „ჯ-ის“ (...) სასარგებლოდ, დაეკისროს სამივე ინსტანციის სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან – 8423.88 (2105.97+2807.96+3509.95) ლარის გადახდა;
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

5. ვალდებულების შეწყვეტა

ვალდებულებათა გააქვითვის შესაძლებლობა

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-853-2022

16 ოქტომბერი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ვ. კაკაბაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მიქაბერიძე,
მ. ერემაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოპასუხე, აპელანტი, კასატორი, შემკვეთი, შემსყიდველი ან მერია) სატენდერო კომისიის №1 სხდომის ოქმით, კომისიამ დაადგინა ქარელის მუნიციპალიტეტში 2020-2021-2022 წლებში განსახორციელებული ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვაზე ელექტრონული ტენდერი, აუქციონის გარეშე (TAT) სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად.

2 მერიასა და შპს „ა.ს-ს“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოსარჩელე, მოწინააღმდეგე მხარე, მიმწოდებელი ან მენარდე) შორის 2020 წლის 22 აპრილს დაიდო №80 ხელშეკრულება (სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება), რომლის საგანს ქარელის მუნიციპალიტეტში, 2020-2021-2022 წლებში განსახორციელებული ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა წარმოადგენდა.

2.1. ხელშეკრულების ღირებულება – 99 325 ლარით, პროექტირებას დაქვემდებარებულ თითოეულ ობიექტზე მომსახურების ღირებულება კი, მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის გადაცემული დასრულებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით განსაზღვრული სამუშაოების ღირებულების 0,58-ით, ხოლო ვალდებულების შესრულების ვადა 2020 წლის 21 ივნისის ჩათვლით განისაზღვრა (სა-

ხელმწიფო შესყიდვის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 და მე-8 მუხლი; საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის, 629-ე მუხლის პირველი ნაწილი).

2.1. მომსახურების გაწევის ვადების დარღვევის შემთხვევაში დამრღვევი ვალდებული იყო მეორე მხარისათვის მოთხოვნისთანავე გადაეხადა პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულების ღირებულების 0.05%, 14 სამუშაო დღეში.

2.2. ხელშეკრულებაში ცვლილება შევიდა და სამუშაოს შესრულების ვადა – 2020 წლის 9 ივლისის ჩათვლით განისაზღვრა.

3. მოსარჩელემ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულება – 122 დღიანი ვადაგადაცილებით შეასრულა.

4. მოსარჩელემ 2020 წლის 9 ნოემბერს, მოპასუხეს 18 ადმინისტრაციულ ერთეულში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო/სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარუდგინა. შესრულებული სამუშაოს ღირებულება შეთანხმების 2.2 პუნქტით განსაზღვრა.

5. მოსარჩელის მიერ მოპასუხისთვის ჩაბარებული საპროექტო/სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ღირებულება ჯამურად – 139 045,58 ლარია.

6. მოპასუხემ მოსარჩელეს – 99 325 ლარი ჩაურიცხა, ხოლო 6058,83 ლარი პირგასამტეხლოს ანგარიშში ჩათვალა. ამ თანხის ზევით ანაზღაურებაზე კი, უარი განაცხადა.

7. მხარეებს შორის 2020 წლის 25 ნოემბერს გაფორმებული საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად, ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე, შესრულებულია საპროექტო/სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება. ასანაზღაურებელი თანხა – 99 325 ლარია. დადგინდა, რომ მოსარჩელის მიერ შესრულებული სამუშაო ვადაგადაცილებულია – 122 დღით. მიმწოდებლის მიერ მიწოდების ვადაგადაცილების გამო, შემსყიდველმა მოითხოვა მიმწოდებლისაგან პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულების ღირებულების 0,05%-ის ოდენობით. შემსყიდველმა, მიმწოდებლის თხოვნით, თანხის დაკავება განახორციელა მიღება-ჩაბარების აქტით განსაზღვრული თანხიდან. ჯამში დაკავებული იქნა – 6058,83 ლარი.

8. ზემოაღნიშნულ ფაქტებზე დაყრდნობით მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ თანხის დაკისრების მოთხოვნით.

9. მოპასუხემ წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო.

10. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 9 სექტემბრის გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხეს – 3635,30 ლარის გადახდა დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ;

11. მოპასუხემ სააპელაციო საჩივრით გასაჩივრებული გადაწყვე-

ტილების ნაწილობრივ გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღება და სარჩელის სრულად უარყოფა მოითხოვა.

12. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 30 მარტის განჩინებით, სააპელაციო საჩივარი უარყოფილ იქნა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

12.1. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ საქმე მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევების გარეშე განიხილა, ამასთან, არსებითად სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არსებითად სწორად შეაფასა.

13. განჩინება მოპასუხემ საკასაციო წესით გაასაჩივრა და მოითხოვა, გასაჩივრებული განჩინების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღება და სარჩელის სრულად უარყოფა შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

13.1. კასატორის მტკიცებით, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ არასწორად შეამცირა დაკისრებული პირგასამტეხლო.

14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 6 ოქტომბრის განჩინებით, სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულია განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია. შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

15. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხის/კასატორის პრეტენზიები, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეზე დადგენილი ფაქტები და არასწორად განმარტა კანონი, რასაც შედეგად მოჰყვა სამართლებრივად დაუსაბუთებელი დასკვნები, დასაბუთებულია.

16. განსახილველ შემთხვევაში, ცალსახად დასტურდება კასატორსა და მოსარჩელეს შორის ნარდობის სამართალურთიერთობის არსებობა, რომელიც რეგულირდება სამოქალაქო კოდექსის 629.1 და (ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს, შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია, გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური) 417-ე-418-ე (პირგასამტეხლო – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა

– მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის; ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ პირგასამტეხლო, რომელიც შეიძლება აღემატებოდეს შესაძლო ზიანს, გარდა ამ კოდექსის 625-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა. შეთანხმება პირგასამტეხლოს შესახებ მოითხოვს წერილობით ფორმას) მუხლებით.

17. პირგასამტეხლოს სამართლებრივი ბუნება, მისი ფუნქცია და გამოყენების ფარგლები უზენაესი სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაშია ასახული. „ის წარმოადგენს ვალდებულების შესრულების მიმართ მხარის შესაბამისი ინტერესის უზრუნველყოფის საშუალებას, რომლის გადახდის ვალდებულების წარმოშობა უკავშირდება ვალდებულების დარღვევას. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება დამოუკიდებელია ზიანის მიყენების ფაქტის მტკიცებისაგან, ანუ პირგასამტეხლოს მოთხოვნისათვის კრედიტორს არ ეკისრება მიყენებული ზიანის დამტკიცების ვალდებულება. პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება კრედიტორს ყოველთვის გააჩნია, მიუხედავად იმისა, განიცადა თუ არა მან ზიანი. მთავარია, ვალდებულების დარღვევის ფაქტი...“, „პირგასამტეხლო ეკისრება მხარეს იმ დროიდან, როდესაც უნდა ყოფილიყო შესრულებული დარღვეული ვალდებულება – ამ ვალდებულების შესრულებამდე.

პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრისას ყურადღება ექცევა რამდენიმე გარემოებას. მათ შორის:

ა) პირგასამტეხლოს, როგორც სანქციის ხასიათის მქონე ინსტრუმენტის ფუნქციას, თავიდან აიცილოს დამატებით ვალდებულების დამრღვევი მოქმედებები;

ბ) დარღვევის სიმძიმესა და მოცულობას და კრედიტორისათვის წარმოქმნილი საფრთხის ხარისხს;

გ) ვალდებულების დამრღვევი პირის ბრალეულობის ხარისხს;

დ) პირგასამტეხლოს ფუნქციას, მოიცვას თავის თავში ზიანის ანაზღაურება. პირგასამტეხლოს ოდენობაზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ხანგრძლივობა“ (მდრ. სუსგ-ები №ას-848-814-2016, 28.12.2016; №ას-816-767-2015, 19.11.2015; №ას-953-918-2016, 22.11.2016).

18. განსახილველ შემთხვევაში, სადავო სახელშეკრულებო ურთიერთობის სუბიექტები კერძო სამართლის იურიდიული პირები არიან, ამასთან, ხელშეკრულება მხარეთა ვალდებულების განმსაზღვრელი იმ ვალდებულებისაგან შედგება, რომელიც ხელშეკრულებით თავისუფალი ნების გამოვლენის შედეგად მიღწეულ შეთანხმებას ასახავს (სსკ-ის 327-ე მუხლი) და კანონის თანახმად, სწორედ ამ ჩარჩოშია მოქცეული მათი პასუხისმგებლობის ფარგლებიც (გარდა კანონის იმპერატიული

დანანესებისა).

18.1. მხარეთა მიერ შეთანხმებული პირგასამტეხლო (ყოველ ვადა-გადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.05%) – ვალდებულების შესრულების მიმართ მხარის შესაბამისი ინტერესის უზრუნველყოფის საშუალებაა. უფრო კონკრეტულად, რომ ვთქვათ: იჯარის ხელშეკრულებაში მითითებული პირგასამტეხლო, ვალდებულების დარღვევის საპირწონეა, იგი სანქციის ხასიათის მქონე ინსტრუმენტის ფუნქციას ასრულებს და იმ მიზანს ემსახურება, რომ თავიდან აიცილოს დამატებით ვალდებულების დამრღვევი მოქმედებები. საკითხის ამგვარად გადაწყვეტა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკასთან შესაბამისია (მდრ. იხ. სუსგ: №ას-189-2020, 20.04.2021).

18.2. მხარეებს შორის 2020 წლის 25 ნოემბერს გაფორმებული საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად, ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე, შესრულებულია საპროექტო/სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება. ასანაზღაურებელი თანხა – 99 325 ლარია. დადგინდა, რომ მოსარჩელის მიერ შესრულებული სამუშაო ვადაგადაცილებულია – 122 დღით, მიმწოდებლის მიერ მიწოდების ვადაგადაცილების გამო, შემსყიდველმა მოითხოვა მიმწოდებლისაგან პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულების ღირებულების 0,05%-ის ოდენობით, რამაც – 6058,83 ლარი შეადგინა, შესაბამისად, მოსარჩელემ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების პირობა დაარღვია – სამუშაოს შესრულების ვადა გადააცილა და მას წარმოეშვა პირგასამტეხლოს გადახდის მოვალეობა.

18.3. 2020 წლის 25 მოემბრის საბოლოო მიღება-ჩაბარების № 157 აქტით, მოსარჩელემ თანხმობა განაცხადა პირგასამტეხლოს გადახდაზე, 2020 წლის 27 ნოემბრის წერილით კი, ასანაზღაურებელ თანხაში დაკისრებული პირგასამტეხლოს გაქვითვა ითხოვა.

18.4. საკასაციო სასამართლო იმასაც ითვალისწინებს, რომ შემკვეთმა მენარდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადაც გაუგრძელა. ამასთან, მოსარჩელეს არ მიუთითებია და არც საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ მან ვადის გაგრძელების თხოვნით დამატებით მიმართა შემკვეთს და ამ უკანასკნელმა უარი განუცხადა. ამდენად, არსებობს მისთვის პირგასამტეხლოს დაკისრების კანონით (სსკ-ის 417-ე-418-ე მუხლებით) გათვალისწინებული საფუძველი.

18.5. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზეც, რომ პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება მენარდემ იკისრა 2020 წლის 25 ნოემბრის საბოლოო მიღება-ჩაბარების 157 აქტით. მეტიც, მენარდემ განცხადებით მიმართა შემკვეთს და სთხოვა, ასანაზღაურებელ თანხაში (მიღება-ჩაბარების აქტით განსაზღვრულ შესრულებული

სამუშაოს ღირებულებაში) გაექვითა დაკისრებული პირგასამტეხლო. ამ გარემოებათა მხედველობაში მიღებით, სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვით ვალდებულება შეწყდა. ზემოხსენებული „საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტით“ ირკვევა, რომ მხარეებმა ამ აქტით განსაზღვრეს თავიანთი მოთხოვნების ოდენობა. აღნიშნული აქტის მიხედვით, მენარდისათვის ასანაზღაურებელი თანხა – 99 325 ლარი, ხოლო შემკვეთისათვის გადასახდელი პირგასამტეხლო – 6058,83 ლარია.

19. სსკ-ის 4421.1 (ორ პირს შორის არსებული ურთიერთმოთხოვნა შეიძლება გაქვითვით შეწყდეს, თუ დამდგარია ამ მოთხოვნათა შესრულების ვადა) მუხლის თანახმად, ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა თანამედროვე სამართალში ფართოდაა გავრცელებული. კონტინენტური ევროპის ქვეყნებში იგი გამოიყენება როგორც მატერიალური სამართლის ინსტიტუტი, ხოლო საერთო სამართალში იგი საპროცესო სამართლის ინსტიტუტია და გამოიყენება მხარეთა შორის დავის გადაწყვეტის საპროცესო საშუალებად. გაქვითვა ითვალისწინებს დამოუკიდებელი მოთხოვნების არსებობას და ეკონომიკური მიზნებიდან გამომდინარე, მიმართულია მსგავსი მოთხოვნების გამარტივებულ შესრულებაზე.

19.1. მოთხოვნათა გაქვითვა გაქვითვის უფლების მქონე პირებს ორ მნიშვნელოვან უპირატესობას ანიჭებს: 1) იგი იძლევა შესაძლებლობას, რომ ვალდებულმა პირმა თავისი ვალდებულება რეალური შესრულების გარეშე შეასრულოს; 2) იგი უმარტივებს კრედიტორს მოთხოვნის დაკმაყოფილებას სასარჩელო პროცესში ჩაბმის გარეშე. გაქვითვის პირველი სავალდებულო წინაპირობაა, რომ ორ პირს ერთმანეთის მიმართ ეკისრებოდეს ვალდებულების შესრულება, ე.ი. თითოეული მათგანი ერთდროულად კრედიტორიც უნდა იყოს და მოვალეც. მოთხოვნის მოვალე უნდა იყოს საპირისპირო მოთხოვნის კრედიტორი, ხოლო მოთხოვნის კრედიტორი კი, საპირისპირო მოთხოვნის მოვალე, ამგვარად, უნდა არსებობდეს საპასუხო მოთხოვნები (ურთიერთმოთხოვნები). აუცილებელია ასევე, რომ ორივე ეს მოთხოვნა არსებობდეს გაქვითვის შესახებ განცხადების გაკეთების მომენტში.

19.2. იმისათვის, რომ მოხდეს ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა, მოთხოვნა უნდა აკმაყოფილებდეს ნამდვილობის პირობებს, კერძოდ: ა) საპასუხო მოთხოვნა რეალურად უნდა არსებობდეს; ბ) ეს მოთხოვნა უნდა იყოს უდავო; გ) როგორც წესი, დამდგარი უნდა იყოს საპასუხო მოთხოვნის შესრულების ვადა (შდრ: სუსგ №ას-1039-2020, 03.02.2022 წ.; №ას-1159-2021, 01.04.2022 წ.; №ას-1632-2021, 12.01.2021 წელი).

19.3. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსკ-ის 442-ე მუხლის საფუძველზე ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა წარმოადგენს ცალ-

მხრივ გარიგებას, რა დროსაც, სამართლებრივი შედეგის დადგომისათვის სავალდებულოა ერთი პირის მიერ ნების გამოვლენა, ხოლო მეორე პირის მიერ მისი მიღება... მისი ქმედითობა დამოკიდებულია მეორე პირის მიერ ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის ნების მიღებასა და გასაქვითი ვალდებულების არასადავოებაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ გაქვითვა შესაძლებელია მაშინ, როდესაც მხარეების მიერ აღიარებულია და სადავოდ არ არის გამხდარი ვალდებულება და მისი მოცულობა. მხარეს ამ უფლების განსახორციელებლად არ სჭირდება სასამართლოსათვის დამოუკიდებელი სარჩელით მიმართვა. იმისათვის, რომ განხორციელდეს გაქვითვა, აუცილებელია არსებობდეს გარიგების ნამდვილობის ყველა წინაპირობა: უფლებამოსილი პირის მიერ გაქვითვაზე გამოვლენილი ნება, რომელიც ადრესატს მიუვიდა (სსკ-ის 51.1 მუხლი), გასაქვითი მოთხოვნების ერთგვაროვნება (ორივე მათგანი ფულადი ხასიათისაა), ურთიერთმოთხოვნათა შესრულების ვადის დადგომა და სსკ-ის 447-ე მუხლით გათვალისწინებული გაქვითვის გამომრიცხველი გარემოებების არარსებობა (შდრ: სუსგ №ას-708-678-2016, 27 იანვარი, 2017 წელი).

19.4. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ მენარდემ (მოსარჩელე) განცხადებით მიმართა შემკვეთს (მოპასუხე) და გამოხატა ნება, მიღება-ჩაბარების აქტით განსაზღვრულ შესრულებული სამუშაოს ღირებულებაში გაექვითა დაკისრებული პირგასამტეხლო. საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად, მხარეებმა განსაზღვრეს თავიანთი მოთხოვნების ოდენობა. მენარდისათვის ასანაზღაურებელმა თანხამ შეადგინა – 99 325 ლარი, ხოლო შემკვეთისათვის გადასახდელი პირგასამტეხლომ – 6058,83 ლარი. შემკვეთმა, მენარდის თხოვნის შესაბამისად, განახორციელა ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა და ამ გაქვითვის შედეგად დარჩენილი თანხა აუნაზღაურა მენარდეს. ამდენად, რაკი შემკვეთსა და მენარდეს ერთმანეთის მიმართ მოთხოვნები გააჩნდათ და ამ მოთხოვნების შესრულების ვადაც დამდგარი იყო, ამასთან, მენარდემ გაქვითვის თაობაზე თავად მიმართა შემკვეთს, არსებობდა სსკ-ის 442-ე მუხლით გათვალისწინებული ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის წინაპირობები. ამასთან, რადგან – 6058,83 ლარის ფარგლებში მენარდისა და შემკვეთის ურთიერთმოთხოვნები გაიქვითა, ამ თანხის ფარგლებში შემკვეთის ვალდებულება მენარდისათვის ნარდობის საზღაურის გადახდის თაობაზე შეწყდა. შესაბამისად, ვინაიდან ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა ვალდებულების შეწყვეტის საფუძველია, მენარდეს გაქვითული თანხის მოთხოვნის უფლება აღარ გააჩნია, რაც სარჩელის უარყოფის საფუძველია.

20. კასატორი გათავისუფლებულია საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართვე-

ლოს კანონის 5.1 მუხლის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, შესაბამისად, მოპასუხეს სსსკ-ის 55.1 მუხლის (სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით განეული ხარჯები და სახელმწიფო ბაჟი, რომელთა გადახდისაგან განთავისუფლებული იყო მოსარჩელე, გადახდება მოპასუხეს ბიუჯეტის შემოსავლის სასარგებლოდ, მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელიც დაკმაყოფილებულია) თანახმად, უნდა დაეკისროს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის – ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 408.3, 411-ე მუხლებით და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 30 მარტის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. შპს „ა.ს-ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. შპს „ა.ს-ს“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟი – 300 ლარის გადახდა;
5. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
ტელ.: (995 32) 2 98 20 75
www.supremecourt.ge